

114
1968/2



ᐃᐅᐅᐅᐅᐅᐅ

114/25

7

1968

+

ენათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-კულტიკური შუახელის

წელიწადი 45-ე

№ 7

თბილისი 1968 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერების აკადემიის ორგანო

10846

უნიკონი

10228

იანის რიფსისი — საბარძნითი, ნაწყვეტი, თარგმნა ოთარ კილაძემ	3
ალექსის პარისი — ზვეს დავობრუნდით, ლექსი, თარგმნა გივი გაეგევიკორმა	4
თავაკოს ანთიასი — ლექსები, თარგმნა ემზარ კეიტაიშვილმა და ტარიელ კანტუჩიამ	5
აბილას აბილითისი — სიმღერა მოკლულ გოგონაზე, ლექსი, თარგმნა ოთარ კილაძემ	7
ფოტოლა იანაკოვლი — ლექსები, თარგმნა ვ. გაეგევიკორმა და ნელი გაბრიჩიძემ	8
ლევან გოთა — შიშველიაბი, რომანი, გაგრძელება	10
ალექსანდრე მთათალი — ბედი მღვდარი, პოემა	30
სოფოკლა — ანტიგონა, თარგმნა ძველი ბერძნულიდან დავით გაბრიჩიძემ	61
კონსტანტინე პასტოვსკი — ოპრის ვარდი, გაგრძელება თარგმნა გურამ გოგევიკორმამ	102

კრიტიკა და კომპლემენტები

საჩხი შილანი, ავლივი ჯარაბიშვილი, ანა კალანდია, ნიკო კეცხველი, მუსხან მამაზაჩიანი, ვიორგი ნატროშვილი, მახანა ტაბლიაშვილი, ვიორგი ჩიბაძე, ვიორგი ჯიჯელაძე — კონსტანტინე ჯანსუყიანის რეპროდუქციის გამოცემის გამო	111
ვლ. პარაკიშვილი — ილია გავგაგაძე და ნიკო სიყანაშვილი	130
რარა ნაპოვი — ქართული რომანტიზმის სათავეებთან	142



გიორგი შეთაკაური — სტუმარმასპინძლობის ასახვა ქართულ ხალხურ კოდექსში	146
გიორგი ავალიანი — რუსი და მართლმადიდებელი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის ასახვა გაზეთ „დროებაში“	152
მისხილ კაქალიძე — დიმიტრი სემიონოვი და ვაჟა ფშაველა	159
პარონი პასვიანი — სვანეთის ისტორიის ჯოგბიერთი საკითხისათვის	165

ფაქტები, მოგონებანი

3. პარონი — თეირანი, 1943 წელი. გაგრძელება	175
--	-----

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ჩიქოვანი — „ლენინი და ოქტომბერი“	187
პაპი პაპიაშვილი — კოეტის ახალი წიგნი	188



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღერტი,
- ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩავეტაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VII-68 წ. ქალღმერთის ზომა 70x108. ანაწილების ზომა 7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირბეჭად ფორმათა რაოდენობა 16. უფ. 02341. ტირაჟი 9.500. შეფ. № 2239.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეჭდვითი: რედაქციის — 98-55-11, პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ს ა ბ ე რ ძ ე ნ ი

(ნაწყვეტი)

ეს ხე მტრის ცისქვეშ ვერ გაიზრდება.

ამ ქვევსაც სუნთქვა არ შეუძლიათ
დამწყრობლის ფესქვეშ...

და ეს ღიმილიც ჩააფერფლება,
მზემ თუ სხივები არ მიაშველა.
ვერც ეს გულები ვერ იფეთქებენ,
თუკი სიმათლე არ არის ქვეყნად.

დუმილს მოუცავს მთელი ბუნება.
იშხირებიან კლდეები მკაცრად
და გახურებულ მკერდში იკრავენ
დაბნეულ ზეცას

და დაობლებულ ხეების ტოტებს
და გამხმარ ვენახს.

არც წყალი ფეთქავს და არც ბალახი,
არაფერია წყვდიადის გარდა

და ამ წყვდიადში გზაც იკარგება
და ღობის ჩრდილი ქცეულა რკინად.

მდინარეებიც, ხეებიც, ხმებიც
გაქვავებულან.

ფესვიც წიაღში ქვას წაწყდომია.

და ეკლიანი გრძელი მკლავები
გადაუშლია კლდეებზე ბუნქნარს.

არც წყალი ფეთქავს და არც ბალახი,
არაფერია წყვდიადის გარდა.

ვეელას წყურია, დიდი ხანია,

და ყველა მწარე ცის ნაჭერს ღეჭავს.

ცა როცა იწვის, პურიც მწარდება

და უმილობით გამშრალი თვალი

ისევ რაღაცას უცდის ჯიუტად —
კიპარისივით, —

ხრიოკ კლდეებში რომ ამოზრდილა.

შეხორცებულა ხელი და თოფი,

გაგრძელებაა თოფი ხელისა,

გაგრძელებაა ხელი სულისა.

და სიძულვილი ამძიმებს ბაგეს,

ხოლო თვალებში რისხვა და სევდა

ჩასახლებულა ვარსკვლავის მსგავსად.

მაგრამ გულს სჯერა, რომ დაბრუნდება



ამ ქვეყანაზეც ბედნიერება,
როცა ერთმანეთს ხელს ხევევენ ძმურად.
და როცა ბავშვებს ეფერებიან
მათ ხშირ წვერებში ჩაბუდებულნი,
უბრუნდებიან მერცხლები ზევას.
და ცარიელი ჯიბეებიდან
იფანტებიან ძირს ვარსკვლავები,
როცა ისინი ძილს ნებდებიან.

ყველას წყურია, შიმშილობს ყველა,
ყველა ამ წმინდა ბრძოლის მსხვერპლია.
გვალვამ შეჭამა მათი მინდვრები,
გვალვამ და ხვატმა და ზღვის მარილმა.
მათ სახლს კარები მოგლიჯა ქარმა,
ძირფესვიანად მოგლიჯა ბურქიც
იასანისა,
მათ მოედანზე რომ იზრდებოდა.
და კიპარისის ნაყოფის მსგავსად
მათ საუბარსაც მწარე გემო აქვს.
მათ ტანსაცმელში სიკვდილი ბუდობს.
ფეხებთან მკვდარი ძაღლები ყრია
და ძვლებზე წვიმა ხმაურობს ზანტად.
მაგრამ ისინი უძრავად დგანან
და ბნელში ჩამკვდარ ზღვას გასცქრიან.
გათავდა პურიც, ღვინოც და ტყვიაც,
ზარბაზნებს გულით ტენიან ახლა
და თუმცა არცერთს არ ქვია მკვდარი,
ისინი ასე იხოებიან.
ხოლო წყვდიადში მათი თვალები
იბრძვიან ცეცხლის ენების მსგავსად
და ქარში გაშლილ დროშებსაც გვანან.
და დილით, როცა კლდეების ზემოთ
წყვდიადი ოდნავ გაიცრიცება,
ოთხივე მზარეს გზაენიან ხოლმე
ჯანთიადივით მთრთოლვარე მტრედებს.

თარგმნა ოთარ ბილაძე

აღმსის პაჩინი

ჩვენ ღაბბრუნდებით

ღიას, ჩვენ მოვალთ, მოვალთ ოდესმე და დასრულდება
გზა პილიგრიმის,
ჩვენ გველოდება ზღვის ნაპირი და გათვრებული
მთების გვირგვინი;
ჩვენ გველოდება ჩვენი საშობლო, მთელი თავისი
სიგრძე-სიგანით,



დადუმებული და ნაღვლიანი და თავის ხვედრთან
 შეურიგალი,
 ზღვა გამოგვიწვდის მაღლიან კალთას და დედასავით
 ის იმ კალთაში
 ჩვენ მოგვიგროვებს ციურ მნათობებს, რომ ცინ
 ვარსკვლავი ათიათასი
 მოგვიახლოვოს გახიზნულ ბავშვებს და ეს თვალები
 შუქით აგვივსოს
 და ლტოლვილები მშობლიურ მიწას დავებრუნდებით
 სამარადისოდ!

თარგმნა ვივი ბეჰავაძემ

თავკარს ანთიასი

ქვიაროსული ჩაფსოლია

(ნაწყვეტი)

ჩემი კუნძული — კლდე შუა ზღვაში.
 აქ აღმართულა ჩემი კუნძული,
 რომ წამიერი სიმშვიდე მისცეს
 შორი მგზავრობით დაქანცულ ჩიტებს,
 ცივ და უსაზღვრო ცაში გათოშილ
 პაწია ჩიტებს.

გადმოუვლიათ ზღვები და მთები.
 შეუპოვრობა მაოცებს მათი,
 მათი უმწეო სხეულის სითბო.
 მკერდით აპობენ გაყინულ ჰაერს,
 წამებას სასტიკს არ უჩანს ბოლო.
 საზარელია სიჩუმე ზეცის,
 საწყლებს ქროლვაში თავბრუ ეხვევათ
 და მათი გული ზარივით რეკავს,
 თითქოს უნდათო გამოღვიძება
 ჩაძინებული ქარიშხალისა.

ძირს კი ზღვა შფოთავს
 ზურგზე განრთხმული,
 უჩანს ტალღათა თეთრი ეშვები
 და იცდის, როგორც სველი სამარე...
 ამ დროს იელვებს სხივდაფენილი
 ჩემი კუნძული — კლდე შუა ზღვაში, —

იელვებს დიდი იმედის ნიშნად
 და მშვიდდებიან უცებ ჩიტები
 ცა რას დააკლებთ,
 ზღვა რას დააკლებთ
 უკვე არაფრის არა აქვთ შიში.

ჩემი კუნძული — კლდე შუა ზღვაში
 ჩიტებს აღთქმული მიწა ჰგონიათ,
 ძირს ეშვებიან, იქაურობას
 მათი საამო ღღურტული ავსებს.
 ჩემი კუნძული — კლდე შუა ზღვაში.
 ის აღმართულა, რომ დაღლილ ჩიტებს
 მისცეს ნანატრი ჭერი და სითბო,
 სურნელოვანი მისცეს ჰაერი,
 თქროს მარცვალთ სავსე თავთავი.
 კუნძულს ცვრიანი ბალახი ამკობს,
 ათასნაირი ელაგს ნაყოფი,
 რათა მშვიერმა ჩიტებმა კენკონ,
 იგემონ სიტკბო მათრობელ წვეინს.

დაბლობში ღურჯად გაშლილა — ზერენო,
 ვხედავ ხასხასა მოლზე დაფენილ
 ყაყაჩოების წითელ ფარდაგებს.
 ანათებს,

ღელავს ზღვა ყვავილების...

ქარში შრიალებს ჭადარი,
დაფნა...

ერთად ხარობენ, მშობელ მიწის გულს
ჩასჭიდებიან შავი ფესვებით.

დგანან ხეები — გოლიათები,
საუკუნეებს გადაუვლია

მათ თავზე,

მაინც ამაყად დგანან;

მათთვის უცხოა სიკვდილის შიში,

ვეგებებიან დროთა ქარიშხლებს.

და ყველაფერი, რაც კი აქ არი —
ხე,

ყვავილები,

წმინდა პაერი...

სულ ასე დარჩეს,

მინდა მოხმარდეს

თავისუფლებას, სინათლეს, ხალისს!

მშობელო ხალხო,

რაც თავი მახსოვს,

ბნელ საკანში ხარ გამოგეტყობ;

სარკმელთან დადის შენი დარაჯი.

მაგრამ ანგელოზს არ ვაფიწყებებით —

ციხფერი ჩრდილი მსუბუქი ფრთების

გადააფარა ტანჯვას და ნალევს;

მშობელი ხალხი იმედით ცხოვრობს.

რკინით აჭედელ ციხის სარკმელთან

დგება იმედის მოღურჯო შუქი;

თვალში ნათელი იბუდებს ამ დროს

და მოკუმული ტუჩები თრთიან.

თავისუფლება სწყურია კუნძულს,

საუკუნოვანს ინახავს ნალევს.

პოი, ელადავ, ელადავ ჩემო!

თარგმნი პეზარ კვიციანიძისა

რ ე კ ღ ა რ ა მ ი ა

სანამ სიკვდილით ბაგეს ჩემსას

დაადუმებდნენ,

შენს სადიდებულს ხმამალა ვიტყვი,

სიცოცხლე ჩემო —

ლურჯთვალემა თავისუფლებაგ.

მე კარგად ვიცი, დედამიწა არ არის ბურთი,

ნისლეულებში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე.

უსმინე, იგი ჩემს მკერდში ფუთქავს.

გესმის? სიმღერა! მისი სიმღერა...

თუ შემღერება, მაშინ ისიც ჩემსავით მღერის!

ჩემსავით ტირის, თუ მტკირება!

ხომ შეიძლება, მეც ისევე ვიყო უკვდავი,
როგორც იგია — უკვდავი და მარადიული!

ათიათასი ჩემი ცხოვრება,

როგორც გულდაგულ ასხმული გალა,

მოიწვევს ცისკენ, ღრუბლისკენ, მზისკენ.

შენსკენ,

ლურჯთვალა თავისუფლებაგ.

და სანამ ბაგეს სიკვდილის ხმა

დამიდუმებდეს,

შენს სადიდებულს ხმამალა ვამბობ

სიცოცხლე ჩემო,

ლურჯთვალემა თავისუფლებაგ!

თარგმნი ტარიელ პანტურიამ



აქიდას პიროვნისი

სიმღერა მოკლე გომონაზე

ადრე აყვავდა შენი სხეული
ჩვენს მოსახიბლად.
ადრე გაივსო მზით და სინათლით
შენი ფოთლებიც,
შენს ნაზ რტოებზე. —
ჩვენი მწუსარე და დიდი ბაღის
დასამშვენებლად.
ადრე ათრთოლდა შენი ფესვი მიწის წიაღში,
მიწის მღელვარე წყაროების ამოსაზიდად.
შენ ხომ გინდოდა, რომ ხესავით
ყოფილიყავი
ჯანღონით სავსე,
რადგან ქარიშხალს გრძნობდი გუმანით,
ხოლო სიმღერით და ყვავილებით
სულს იმდიდრებდი.
თუმცა იცოდი, რომ ამ ყვავილებს
ტანჯავდა სუსხის მძიმე ბორკილი
და მწუსარება იმალებოდა
სიმღერის მიღმა.
ამიტომ იყო, რომ შენს სიცილშიც,
ვერცხლის წკრიალით სავსე სიცილშიც,
ჟონავდა მიწის დიადი სვედაც.
მხოლოდ ცამეტკერ აყვავდა შენთვის
ტყე და მინდორი.
მხოლოდ ცამეტკერ გაივსო შენთვის
პაერი,

ფოთლის ნაზი სურნელით.
შენ კი ჩვენს ლექსებს, როგორც ყვავილებს,
გამოუცდელი თითებით კრეფდი,
გვირგვინს იწნავდი და ბედნიერი
იღვამდი თავზე.
მერე კი ტყვია გესროლეს ზურგში.
გაოცებული დიდი თვალებით
მოხვედე მკვლელებს,
ასე უზროდ რომ დააფეთეს
შენი ბავშვობის წყნარი ლაქვარდი.
ასე გულგრილად რომ ამოიღეს
შენი პატარა ზურგი მიზანში...
შენ კი გეგონა, რომ უსასრულოდ
გაგრძელებოდა სიცოცხლე შენი,
ხოლო სიკვდილზე არცკი ფიქრობდი,
როცა ქვეყანას იკრავდი მკერდში.
ის კი ფეხდაფეხ მოგდევდა თურმე,
თურმე შენს გვერდით იღვას სიკვდილი.
იგი ჩვენს გვერდით არის ყოველთვის,
მაგრამ მე მაინც ვერ მოვასწარი,
რომ ეს ამეხსნა და მეთქვა შენთვის.
ვერ მოვასწარი და ისე მოკვდი,
რომ არ იცნობდი სიკვდილს სრულებით,
ვერც გაიცნობდი, ჩემო პატარავ,
შენ ხომ ცოცხლობდი სიცოცხლისათვის.

თარგმნა ოთარ ზილაძემ



წოდება იანაკოპალი

ჩ ე მ ი ხ ე ლ ე ბ ი

აი ხელები — თითქოს ფოლადის —
 ზოგჯერ მკაცრები, ზოგჯერ ნაზები.
 მათი წარსული, მათი მყოფადი
 უნდა შეიგრძნო მთელი არსებით.
 ახსოვთ წარსული ხელებს თავისი,
 როცა მომავლის რწმენა ჰკვებავდათ,
 მათ შეხვედრათა უყვართ ხალისი
 და სძულთ სიმწარე განშორებათა.
 მათ უამრავი საქმე მონახეს,
 გაუტყუბიათ ღამე ურიცხვი,
 ზემისათვის რთავდნენ ოთახებს
 და ამზადებდნენ სუფრას სტუმრისთვის.
 ხნავდნენ, თესავდნენ, მკიდნენ, ლეწავდნენ,
 ყვავილებს რგავდნენ ბაღში ნიადაგ
 და ამალვებდნენ სასლებს ზეცამდე
 საბედნიეროდ ადამიანთა.
 ეტანებოდნენ ზოგჯერ იარაღს,
 მტერი კარგავდა ღონეს მაშინვე,
 მოუშუშებდნენ მოძმეს იარაღს,
 დაავიწყებდნენ ტკივილს საშინელს.
 გზას უკვალავდნენ თავისუფლებას,
 არ დაეჭებდნენ გზათა იოლთა,
 იფანტებოდნენ შავი ღრუბლები
 და მზე წითელი ამოდიოდა.
 ...აი ხელები, მრავალ საქმეთა
 მომსწრეთ სხვა საქმე კვლავ ენატრებათ,
 ბევრი უმღერდა, ბევრი აჭებდა
 მათ სიმამაცეს და თავდადებას.
 დღეს შემართულან ცისკენ ტოტივით
 და თხოულობენ კალამს ხელები,

ახალ ჰანგებს და ახალ მოტივებს
 იმეორებენ შეუსვენებლივ.
 მე ხელებს ჩემი გული მივანდე.
 მათ უნდა მითხრან ჩემი სათქმელი,
 ციდან ჩამოდის მეტი სინათლე,
 გაღებულია ყველა საკმელი,
 გული მივანდე, გულით მივინდე,
 სულში მზის მადლი ჩავაწურვინე,
 გამიმართლებენ ღამაზე იმედებს,
 გამიღვიძებენ ახალ სურვილებს,
 მშობელი ხალხის თავგადასავალს
 მე მაზიარეს ჩემმა ხელებმა,
 მასწავლეს: ვინაც ძმობა მასწავლა
 მისი სახელის დასახელება.
 ისინი ჰკმობენ უამინდობას,
 როცა მზიანი ცა იჭუფრება;
 კვლავ ადიდებენ დიად მშვიდობას,
 კვლავ ადიდებენ თავისუფლებას.
 კარებს ამტკიცვენ მაღალ ციხეთა,
 მზეზე გამოჰყავთ წყნარი მტრედეები,
 როცა ცისკარი გამოიხედავს,
 ესალმებიან დაიმედებით.
 უხანგრძლივებენ დღეებს ბებოებს,
 რომლებმაც მძიმე ტვირთი ატარეს,
 შეყვარებულებს ეფერებიან,
 უაღრესებენ ბავშვებს პატარებს.
 დაე მზის თვალმა მარად ანათოს,
 გული მღეროდეს შეუწრებლივ;
 აი ხელები... დაე არასდროს
 არ დაიღალონ ჩემი ხელები.

ზეიმოს. ხარობს საბჭოთა ხალხი



შემოდგომის ჩიტუნები
 ქიქივებენ ფოთოლთ ტბაში,
 ცისკენ ვეღარ ვიყურები,
 ისე ბრწყინავს გარიჟრაჟი.

რა ოცნებებს გვანთებინებს,
 რა წკრიალი ახლავს ზარის,
 სითბოდ უვლის არტერიებს
 საოქტომბრო ჰანგი მძლავრი.

ჩვენს იდეებს უკვდავებს,
 დოვლათს, შექმნილს თადარიგით,
 ხალხის იღბალს, პურის თაველს,
 მზეს აღიდებს პიზნი იგი.

სულს უმაღლებს ადამიანს,
 თეთრ მწვერვალებს დაპგუგუნებს,
 გამარჯვებით გადაიარს,
 ვიცი, მარად საუკუნეს.

სიყვარულის ტოტებს ვარხევ,
 ხალხთა ზღვაში დავიკარგე,

სად ლენინის ძვირფას სახელს
 იმეორებს ყველა ბაგე.

დასრიალებს, ვით ჩანჩქერი,
 ღელავს, როგორც ზღვათა მკერდი —
 საოქტომბრო დროშის ფერი,
 საოქტომბრო ალავერდი.

ჩემშიც ბორგავს რიტმი მისი,
 მეც სავსე ვარ მისი ღონით,
 და ამაყად, ვნებით, რისხვით
 მეთასხედ ვამბობ მგონი:

„ვერ დაგჯაბნოს, ვერა, სევდამ,
 ჩემი მკერდი გექცეს ფარად...
 ო, ელადა, ჩემო დედავ,
 არ გატყდები, მჯერა მარად!“

მეც ვზეიმობ სხვებთან ერთად,
 ფიქრს ვაყოლებ გულის ძგერას:
 „ო, ელადა, ჩემო დედავ,
 არ გატყდები, მარად მჯერა!“

თარგმნა ნელი გაბრიძეძე



მ ი თ რ ი ლ ა ტ ე

კ ო მ ა ნ ი

სქვამგური ქურუხად სდუმდა. ალისტარხო კი აქეთ-იქით აქროლებდა თავის ბედაურს და ცხენ-კაცის შემკულობითა თუ წურთნილოზით ყველას თვალს სვრიდა.

მეფემ იხმო კიდევაც.

— ალისტარხო-მხედარო! ცხენს ნუ დაღლი! შენი უნდა იყოს ილორ-მარულა! პირუთენელი ჯილდო ჩემია! მამა შენი, სქვამგურ საპატიო ამაღალში შეახლოს!

ალისტარხო მარჯვედ დაქვეითდა, ცალ მუხლზე ჩადგა, მაგრამ ვიდრე გრძელდახვეულ მადლობას მოახსენებდა, მეფემ ჩაიარა.

გახარებული ალისტარხო ახლა მამას მიეჭრა. მაგრამ მამამ შემოუტია:

— რას ედებოდი თვალწინ?! ეს ჩუმი ლაშქართწყვეა და შეაბჯრული საპატიო ამაღალა დამხველებს უფრო მაგონებს! მეტი გზა არა გაქვს, უეჭველად შენი უნდა იყოს მარულა! იცოდე, ვილაც დიდი და მოხერხებული, თან ცხენკეთილი მეტოქე გყავს! თუ მარტო ამაშია მისი მეტოქეობა! შენ კი ქერის მარცვალი ჰყენე! ეს მარულა ჰკუთნ უნდა მოიგო, თორემ როდის იყო, მეფის გვირგვინი, ცხენს ება ძუაზე? ვერ გაიგე, პირუთენელიო! მას უზურში სხვა ჰყავს! არაფერში არ დაიხიო! ის „ნისლა“ ბოლოს ხომ უნდა მოვიდეს ილორს. თავს დაესხით, ილორი ხარიპარიაა და ცხენის გატაცებას უფრო გაპატიებს! თუ ვერ მოიტაცებთ, ძარღვები დაუს-

ხებეთ, ისარი სტყორცნეთ მუცელში.

— იქნება! იქნება! — თავისთვის იმეორებდა ალისტარხო.

— ცხენსაც მოუარე. ჩაგინისკარტა. მართალი ვითხრა გოჯელმა, გზაში სხვა ჰხედნე, თორემ შენი ხასიათი რომ ვიცი, რამდენ გომბიოს დაინახავ, ცხენს გააჰქენებს ცოლსაც დიდი ხანია მოგვეგრიდი, მაგრამ ჯერ ტახტის შემკვიდრობა, მერმე დედოფლის გამოჩახვა!

— იქნება! იქნება!

— ნურც ჩემთან მოხვალ, თუ არ გიხმე. იმ წვერ-ბურბუშულას ათასი თვალი და ყური ექნება ირგვლივ. თუ მაინცდამაინც გეზა-მეგრი ნახე, დაიმახსოვრე! საცერივით რომ გაქვს გულისყური. უკანასკნელი ცდაა!

— იქნება! იქნება! — ნირშერეულად იმეორებდა ალისტარხო.

ნააღლუმევეს საპატიონი ცხენ-ქალაქის ქვედა დიდ ტაძარში იწვიეს. ხალხი და ლაშქარი გარეთ სატაძროზე იდგა.

საპატიონი და მრავალნი შეაბჯრულნი, თავბირშეფარულნი, იდგნენ ტაძრის კერპების წინ და ყველა თავისთვის ლოცულობდა.

გოჯ-მეფე ახლა მოგვობდა. თავად ლოცულობდა მითრასა და არმაზის წინაშე. გვირგვინი სამსხვერპლოზე ესვენა და მოგვთა მოგვის ჩაჩი ეხურა. აქვე იქადაგა „ყველა ნათესავერტომთა წარსამართებლად“ და სულ მალევე მგზავრული ცხენი დასძრა.

საპატიო ამაღალს რჩეულთ ლაშქარიც მოსდევდა, მერმე დიდი ალალი დაბო-

ლოს მეილორენი. მათში ხატის მონე-
ბიც ბევრნი იყვნენ, შეწირულებიც,
თავადთქმულებიც, ფეხშიშველა ან
ჯაჭვშებმულები მოდიოდნენ ილორს.
ამათ შორის ბევრნი იყვნენ ქალებიც.
უშვილო დედაკაცები, ხეიბრები, სუ-
ლით და ხორციტ ტანჩულები.

გზადაგზა სულ მატულობდა ილორის
ერი.

ემატებოდნენ სქვამგურის მომხრე-
ნიც, მაგრამ შხეთელს საპატიო ამაღ-
ში ჰხედავდნენ და ვითარების გამორ-
კვეცამდე ვერიდებოდნენ.

სქვამგური კი თავის შხრივ ამჩნევდა,
რომ საპატიო ამაღას, უფრო დიდი და
შედარაჩებული საპატიო ბადრაგი მოჰ-
ყვებოდა. მათი მძიმედ შეაბჯრულობა

17. კუპრა-ბალკანის მარცხი

ზარადჩამოფარებულ მითრიდატეს
თვალთ დანახული კოლხეთის გზები,
საერთოდ ილორს წასვლა-მოგზაურობა
ზღაპრის ზმანებას ჰგავდა.

თითქოს მთელი კოლხეთი ცხენზე
იყო შემჯდარი და მწვანე ზღვაში შე-
ცურებული. ყველაფერი მოძრაობდა,
დიოდა... ვიწრო ბილიკებზე, ხეობებში,
ლეღისპირებში, შუკებში, თემშარაზე,
გზაჯვარებასა და გზაპირებში, კოხტა-
კოხტა ფაცხა-ფანტულა სოფლების პი-
რებში... ხან ძლივს გარღვეულ შქერ-
ნარსა და თხილნარებში, ხან ჩაჰაობე-
ბულ თხმელნარებსა თუ ახოვან წიფლ-
ნარებში.

აქ ტყესა და, საერთოდ, მწვანეს სრუ-
ლი სტიქიონის ძალა ჰქონდა მოპოვე-
ბული, რომელსაც მალა, ცისპირზე
კავკასიონი უდგა, ქვევით კი — მიწის
პირზე, უთვალავი სახისა და ვარჯის
მცენარეული, უხვად ხილსმული და
ყვავილოვანი....

ვიწრო ლეღები და ჩანჩქერები კი
პირდაპირ სუროებსა და ფათალოებში
ჩაგრებილად დიოდნენ. და რაც უფრო
მეტ გზა-ბილიკებს თელავდა მითრიდა-

და ზარადდაშვებულობა ზაფხად და ზა-
რად ადგა გუმანს. და წვერ-ჭურჭურ-
ლას სრულ მზადყოფნას ნიშნავდა. მე-
ტი ვეღარ წარმოედგინა. და მხოლოდ
სულ ვიწრო წრემ იცოდა, რომ ამ ვე-
რად ეს მზადყოფნასაც ნიშნავდა და
ზოგ ვინმეს შეფარვის საშუალებასაც.

მეფის საყდრიონს მანდილოსნები არ
ახლდნენ. მისი სასახლის კარიცა და
მგზავრიონიც მკაცრად ბერული იყო.
მაგრამ სიმღერა-გალობა და გზათმხი-
რულება არ დაჰკლებია. და ვაიბედია
სპერელი თუმცა შეაბჯრულად და სა-
ხეფარულად ვიდოდა, მაგრამ გული
ხსნილი ჰქონდა და კოლხეთი თავის
პონტოზე უკვე არანაქლებ ღვიძლიანად
უყვარდა.

ტე, მით უფრო მეტად იხიბლებოდა.
და ეს „მწვანე ხიბლვა“ და კოლხეთის
სიყვარული სუროსავით შეუქმნევლად
და მოუშორებლად უძვრებოდა სულსა
და ღვიძლში სპერელს.

ეს „სურო-გრძნობა“ განსაკუთრებით
მოეძალა ენგური რომ აუღუღდა ცხენ-
ქვეშ, ქაფად და გაფად რომ მოედო სა-
წვივეებს და ყველა გრძნობა მიიბორკა.

ცხენოსნები სხვადასხვა ნაკაფ გზე-
ბით ვიდოდნენ. სოფელ-სოფელ ალბათ
საურმე გზებიც იყო. აქა-იქ შესაყარში
მოჩარდახულ ურმებს ხედებოდნენ.

შორიდან, ტანწერწერტა ქალწულები
ხელებს თამამ სალამად უქნევდნენ, ახ-
ლოს კი თვალებს ნაბავდნენ და პირ-
უკარებლად იდგნენ, მათი გრძელი ნამ-
წნაეები უკვე თვალებში ებორაკებოდა
ადრე შეტრფიალებულ მუზარადოსანს.
ყველა და ყველაფერი სატრფიალოში
და მწვანე ხიბლვის ფერში იყო გაკრი-
ლი.

მაგრამ სვანეთიდან ჩამოსულმა, ცხე-
ნებზე ვაჟურად შემჯდარმა ქალწულებ-
მა და დედაქალებმა რომ გადაუყვეთეს
გზა, მაშინ კი ვეღარ დაჰფარა ლეღა,

გზა მისცა და აბჯროსანთა ამაღლსაც გამოგყო.

ღელა-ქალებისა, ვადიებისა, მანდილოსნებისა და ქალწულების მეტი რა უნახავს თავის სასახლესა და ქალაქში ქაბუქს „ჟამსა პირველ ქაბუქობისასა“, მაშინ არც დიდ განსხვავებას აძლევდა მამაკაცსა და დედაკაცს, ეს ტანისამოსისა და მემკვიდრეობის განსხვავება უფრო ეგონა. მერმე კი, როდესაც ათენში სწავლობდა და სხვათა გარდა, წამლებისა და ადამიანის აგებულობის ზოგი რამ შეისწავლა, არც მაშინ ჩასწვდომობა გულში სქესთა სხვაობა. მაგრამ ახლა ფრიადი გულის ღელვითა და კრძალვით დაინახა საჭალებით.. და, უპირველეს ყოვლისა, ქალწულები და არა ღელა-ქალები! აი, ცხენზე რომ ბიჭურად სხედან და მიინც ქალწულურად მოიხევიან, კისერი ხოხბებებით მოუღერებიათ, თვალ-წამწამებს ჩაღიმებული კდებია დაჰკრავთ, ამ მზისა და მწვანის სამყაროში მიინც მზეთუნახავი და თითქოს გამჭვირვალენი არიან!

ტარიელი მოსწვდა:

— რად გაგვშორდი? კოლხთუფალი გკითხულობს! — ტარიელმა ქალთა ქარავანი დაინახა და უღვაშებში ჩაეცინა, — ნუთუ კალთის მონა იქნები? გვარში კი მოვდგამთ! — მეგობრულად დატუჰსა და წინ წარუძღვა.

— კი მაგრამ, როგორ შეამჩნია ჩემი ჩამორჩენა? ცხენით მარჩევს? — ნირი აღარ გაიტეხა განზრახ ჩამორჩენილმა.

— ხმით! შენი მოძახილი დააკლდა კოლხთუფალსა და აბჯროსანთა გუნდს, თორემ მე ხომ ბანს ვამბობ და სხვა არა მესმის რა!

ვაიბედისა რომ კარგი ხმა ჰქონდა ეს ყველამ იცოდა, მაგრამ კოლხ-იბერულ-მრავალხმოვან სიმღერებშიაც თუ სწრაფად გაირკვეოდა აბა ამას ვინ იფიქრებდა ათონს ერთხმინან სიმღერავალობაზე განსწავლულისგან!

მძიმე აბჯროსანთა გუნდში მოძახილის მოჭმელი მის უმჯობესი აღარც ჰყავდათ. გოჯი თავად მოგვი და მგა-

ლობელი იყო და სიმღერის ნიჭს ფრთხილად აფასებდა. ქაბუქის მოძახილს გაიგონებდა თუ არა, ბედან-კოლხს განდახებდა:

— რა მოძახილია! თუ იცი, ვინ არის ის დალოცვილი!

— აბა ვინ არ ამღერდებო, როდესაც თავად მეფე-უფალი მგალობელი ჰყავს! — ბედანიც, განზრახ ხმამაღლა შემოსთავაზებდა მოხდენილ პასუხს.

ყველანი მხიარულნი, ხალისიანი, დინჯი ლაფშურით, გუნდის ხმაზე მოაყოლებდნენ ცხენებს. მხოლოდ სქვამგურ შხეთელი იყო გულდახშული და ჩაფიქრებული.

მას მძიმედ შეაბჯრულთა მოძახილი იმდენად არ აწუხებდა, როგორც მათი მედგარი და მქუხარე ბანი.

მართალია, გვაზა-მეგრის პირით ალისტარხომ რამდენიმეჯერ შემოუთვალა, რომ „შხეთელთ მომხრენი“ ბლომად მოდიან, მაგრამ ვერც ნისლა ცხენისა და ვერც მისი პატრონისა ვერაფერი გაიგო.

— ნისლა ნისლივით გაჰქრა და, ჩანს, სიზმარი იყო! — ანუგეშებდა გვაზა-მეგრი.

— ჭერიც სიზმარი იყო? სამორგვეს მჭრელიც? — დჯუდ უბრუნებდა სიტყვას სქვამგური, — ეს მძიმე აბჯროსნები რაღად მოჰყავს?

— მარულას მაგათ დავაწყებინებო! უნდა მოვაძლიეროთ. რომაულთ წესით გავეწუროთო!

— რა შიში აქვს?

— რომაელებმა პონტოც თუ ჩაიგდეს, მერმე ჩვენ მოგვდგებიანო.

— ასე თუ ეშინია რომისა, პაწა კი უნდა მისცეს გულისყური შინაურთ, ჯიხას მპყრობელთ. თორემ ისე არ გამოვიდეს, რომ ზოგმა ვინმემ შორეული რომის მეგობრობა და მფარველობა არჩიოს ახლობელ გოჯის ძალადობასა და უმემკვიდრეობას!

ილორის კუპრა-გალაგანი ვაჭრილ და ამოძირკვეულ ახოში იდგა. უკან, ზედმისულად უღრანი ტყე მოსდგომოდა.

სუროშეგლებული ალიზის, გალავანის შორიდანვე მოსჩანდა. მაღალ გალავანის თავზე ჩანდა შიგნიდან ამოსული ორი დიდი წმიდა ხე — ჭეგე-ჭყონი და ჭეგე-კეღარი.

— ილორი — ორღმერს უნდა ნიშნავდეს?! — მითრიდატეს გაუზიარა ბედანმა, — შიდა ხატ-ტამარი და სამსხვერპლო და მითრა-მისარონისა არის!

სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე, არცთუ მაღალი, მაგრამ ძირგამდგარი საცხოვრებელი კოშკი ადგა გალავანს. მის ქვევით კი, თითქოს კოშკ-გალავანის გავრძელება, საუკუნოვანი ბზის ტყე იყო, გაქვავებული, ურხევად და თვალ შეუღწევლად მდგარი, მის უკან კი უღრანთ-უღრანი ცამდე აღმართულ კედლად ჩანდა.

წინ, თვალუწვდენელ სარბიელზე სანრდილობო ფაცხების, სეფების, კარვებისა, დანრდილულ ურმებისა და ნაბდების ქოხების მთელი ქალაქი იყო.

ილორის ერი ირეოდა, ფუსფუსებდა, დიდ სამზადისში იყო.

კუპრა-გალავანს დაჯაჭვული და შეჭედილი კარი ება. მარჯვნივ ღელის რიყისაყენ, თითქმის ღალიძგამდე, დიდი ბაზრობა და ადებ-მიცემა იყო. აქ ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა, ადგილობრივ სელისა და შალის ნაქსოვებიდან დაწყებული, ოქრო თუ სხვა ლითონ-შვედლურ ნივთ-იარაღითა თუ შავბრიალა ჭურჭლეულით ვათაეებული. ძალიან ბევრი იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა ხეასტაგი. ილორობას განსაკუთრებით განთქმული იყო ცხენებით ვაჭრობა. მათი ჭიხვინი ილორის არიარეზე და ჰაერში გაბმულად იდგა და ყველაფერს ცხენის სიმაღლეზე და ჰენების კილორხევაზე წვართავდა.

სამსხვერპლო საქონელი ცალკე, სატკენელაზე იყო თავმოყრილი, უმეტესად ხარ-მოზვრები და თხები, უფრო იშვიათად კრავები და ვერძები, უსათუოდ მიხაკის ან სპილენძის ფერისა. მათ „ოქროვერძებს“ ეძახდნენ.

სამსხვერპლო ჯოგებში რამდენიმე ნიკორა ბუნა დადიოდა. მათ ყველა თვალს არიდებდა, რადგან ილორის მხეზიანი ხარიბარია იყო და თუ წელს შეუშლიდნენ, სულ არ გაეკარებოდა. შემოწირულსა თუ ნასყიდს, და საზვარაკოს შორიდან მოიყვანდა. ეს კი ილორის წყალობის დაკარგვას უდრიდა.

ილორის ერი თავის მეფესა და მოგვს ძახილითა და ყაბალახების ფრიალით შეეგება, კარიბჭემდე მიაცილა.

აქ ყველა დაქვეითდა. ილორელმა ხამზე-მოგვმა გალავანის კარიბჭის წელდაკეცილი გასაღები მოართვა მაფაუფალს. მანაც მოახლოებულ ამალას გადახედა, სქვამგურ შხეთელს გაუწოდა.

— წელს შენ გაგვიღე ილორ-გალავანი! კუპრას საგალობელიც წამოგვიწყე. შენი ხელკეთილობაც ვნახოთ!

ეს დიდი პატივის დადება იყო. სქვამგურმა სიამოვნება გადაიხადრა სახეზე. ნამღვილად კი გაიფიქრა — „ამ გასაღებით გალავანს კი მალებინებს, მარამ მე თავად თუ მეტავს!“

სქვამგურს სმენა ხმაზე უმჯობესი ჰქონდა, კუპრას ლექსიც ზეპირად იცოდა, მაგრამ გულში ღელვა ჰქონდა ჩავარდნილი. ახემებულ საქმეს, ახემებულ ფიქრებს ყოველმხრიდან უტრიალებდა და ბევრი რამ არ მოსწონდა. მისი „ბოლო თქმა“ უნდა ყოფილიყო და არა დასაწყისის წასიმღერება. ახლა მხოლოდ „ილორის გალავანივით“ მაღალი დაწყება იყო საქირო. გული მაინც გაიმხნევა და კვინიხამდე ასული ძახილით წამოიწყოს:

— ჰოი, რა დიდია, რა მაღალი. კუპრა-გალავანს!..

— ჰოი, ნანა! ჰოი, ნანა! ჰოი, ჰოი, ჰოი, ნანა! — ხელად შემოსძახეს ბერიკაცებმა, მერმე ილორის ერმა აიტაცა და ილორის არიარეზე, მინდორ-სარბიელსა და უღრანთ-უღრანზე გადაატარა ბანითა და მოძახილით. შემდიდრებული და შეომახებული გალობა... ახლა ქალე-

ბის თავშეკავებული კვილიც ჩაერთო და მეტი სიმაღლე მისცა.

— ჰოი, რა დიდი, რა მაღალი.. კუბრა-გალავანი! — უკვე ხამხე ილორელმა გაიმეორა და ლოცვა-საგალობლის კილო მისცა. სქვამგურის ვალებულ ბჭეში მოხუცები ვალობითა და ურთიერთ თავაზით, გზის დათმობით შედიოდნენ.

ცოტნე სახლთუხუცესმა მხოლოდ რჩეულ-ამალოსანნი და ილორის ბჭენი გაატარა ვიწრო ბჭეში.

წესის დასამყარებლად, მხოლოდ მძიმე აბჯროსნები შეიყვანეს გალავანში. დანარჩენი ლაშქარი გარეთ დაბანაკდა.

ვალობა კი ერთიანი დარჩა. თუმცა ნაწილი ვალობისა „შიგ შევიდა“, მაგრამ გარეთ უფრო ვუგუნებდა და მეტყველებდა. კუბრა-გალავნის ამბავს ჰყვებოდა:

— ჰოი, რა დიდი, რა მაღალი კუბრა-გალავანი!... ჰოი, ნანა!

ჯერ არ აშენდა, არამც და არამც... ვარე ილორი! ჰოი, ნანა!

შეიყარნენ ბჭენი ილორისნი ხუთას და ხუთი... ჰოი, ჰოი, ჰოი, ნანა!

ვერ ნახეს სიბრძნე, ვერც დასაბამი კედელთნგრევისა... ჰოი, ნანა!

მოვიდა დიდ ილორს და-ძმა, კუბრა-ქალწულ და ქაბუკი... ჰოი, ნანა!

ჩადგნენ კედელში, ორთ იგალობეს კუბრა-გალავანი! ჰოი, ჰოი, ჰოი, ნანა!

ზარს აქუხებდნენ შავხურონი, ზელავდნენ ალიზს... ჰოი, ნანა!

აშენდა ცამდე, გამტკიცდა ფუძე დიდი ზღუდისა... ჰოი, ნანა!

მას აქეთ მეტყველს აღარ იწირავს ჯეგე ილორი... ჰოი, ჰოი, ჰოი, ნანა!

და-ძმა კუბრას აწ შეენაცვლა პირუტყვი ნიკორა! ჰოი, ნანა!

ჰოი, რა დიდი, რა მაღალი კუბრა-გალავანი! ჰოი, ნანა!

და-ძმის თავშეწირვით განწმედილ და ამაღლებული! ჰოი, ჰოი, ჰოი, ნანა!

მითრიდატე ქაბუკზე საოცრად იმოქმედა „კუბრა-გალავნის“ ვალობამაც და ამბავმაც.

„ბოლოსდაბოლოს ყოველ დიდ საქმეს ასეთი თავშეწირვა სჭირდება! ქვეყანა კუბრა-გალავნის თარგზე ჩანს აგებული და ყოველ კედელს, ქეასა და ალიზზე მეტი, ადამიანის ძვალი ახლავს!“ — მაგრამ დიდი ფიჭრის დროსადღა იყო. „ყველამ უნდა მიავნოს თავის კედელს — აი, როგორც და-ძმა კუბრა!“

გალავანში შესვლისთანავე გოჯი და ხამხე ლოცვის სამზადისს შეუდგნენ. მითრიდატემ კი მიმოიხედა. ვალავნის შუაგულში, მუხისა და კედარის შორის მითრა-მისარონის დიდი ქვის ქანდაკება იყო, თავ-სახე და მხრებგამოყვანილი. ტანის ქვა სამსხვერპლოს დიდ ქვათალებში იკარგებოდა. სამსხვერპლოზე დიდი ჯიხვის ისარი, ორკაბა ბოძალი და საყვირი იდო.

ახლოვე საკმაოდ მოზრდილი, თლილ ქვებით პირწმინდად ნაწყობ-ნაშენი ტაძარი იყო. სახურავის ლორფინებს უკვე ხვიფლი და ხავსი მოჰკიდებოდა.

განზე, გალავანთან შექუჭკულოცა და კეთილნაშენი სათავსოებიც ჩანდა. მორჩილები და ილორის მონები აჩქარებულად საქმიანობდნენ. გუნდრუკსა და საკმელს სწვავდნენ. სანთლებს არიგებდნენ. ცეცხლს კანდელით ატარებდნენ.

ცოტნე სახლთუხუცესმა მესაყვირე ვალავნის კოშკზე შეჰგზავნა. ვაეიბედი-აე ზარადფარებული შეჰყვია. მაღალ ვალავნიდან ვადაჰხედა ილორის გარემოს და თვალს არ დაუჭერა. თითქოს აქ, ზედ ვალავნის ფუძეზე მომდგარი ქრელი ზღვა იყო და იგიც ზღვაზე არანაკლებად ღელავდა, შფოთავდა, მოძრაობდა, როგორღაც ერთობლივად სუნთქავდა. თავზე მრავალზმიანი ღრიანცელი ადგა სიმღერა-ვალობისა, ლოცვისა, ქადავობისა, სიმთა ელერისა, ვადაძახილისა. იყო საერთო დიდი ზვირთის ძვრა, კორიანტელა ქავლი. თანაც თავბოლო-მოუბამი ზუნუნნი.

— კოლხეთის ფუტკარი! ერთბაშად ნყარ-უყარი! — აღმოხდა ვაეიბედიას და ილორის ერის სიმრავლისა და უშტი-უშქარობის ალღოსეული ძალა შინავა-

ნად ამოეკიდა. შეთვისტომებულ ადამიანთა ზღვას დახარბებული თვალი ააყოლ-ჩააყოლა. ასავალ-დასავალი მოუზიმა, მაგრამ ზღვარი ვერ დასდო. კრელი ზღვა მწვანე ზღვაში გადადიოდა. იმის იქით კი უკვე ცისფერ ზღვაში... და იქაც მრავალი ნაგები, ხოლო ნაგებს შორის სამქანდარა ხომალდიც ჩანდა.

— ამირანი! — ისევ აღმოხდა ახალ პატრონს.

ახლა მხოლოდ ნისლა იყო საძებარი. მესაყვირემ ილორ-დღესასწაულის დასაწყისი ყველას საყვირის დაქუხებით ამცნო. ერთი, გრძელი, სულმოუბრუნებელი ჩაბერვით მთელი საილორო გააშუშა.

პონტოელმა ვაბუქმა უკვე იცოდა, რომ დღესასწაულის დასაწყისი იყო საერთო, თორემ დასასრული ყველას თავის ნებაზე ჰქონდა. და ხშირად, ზოგთათვის ილორობა ორ კვირასაც გრძელდებოდა. ვინ რა ხასიათზე იყო, ან რამდენი ხანი და მსხვერპლი ჰქონდა შეთქმული ილორისათვის.

სახლთუხუცესმა მესტუმრებზე დაგზავნა, მესაყვირეც ერს გადასძაბა, ჯიხას ყველა მპყრობელი, დიდახაურა, ტომისა თუ გვარის უხუცესი ერთობლივ იხმო — „ილორის წესით... გოჯი მაფა-უფალის სახელით დღესასწაულის წარსამათებლად და დიდი ბჭობის შესაყრელად“.

კიდევ სამასიოდ საპატიო კაცი მოადგა ვალაუნის კარიბჭეს. ცოტნე სახლთუხუცესი ბჭობასაც მკაცრწესიანად მოძღვრობდა.

ყველა სამსხვერპლოს ირგვლივ ჩამოაყენა. პირველი შეყრის ბჭობა მოკლე უნდა ყოფილიყო, ამიტომ კერპის ირგვლივ, თანდათან შემადღებულ არიარეზე ილორის ბჭენი ფეხზე იდგნენ. სულ დაბლა, კალორგვალზე, დიდი ჯიხას პატრონნი და მოყოლილი ამალოსანნი იყვნენ.

აქ იყო წინ წამოდგარი სქვამგურიც. ახლა უნდა ჩაეარდნილიყო მისი წამოწყებული საქმის პირველი სიტყვა. პირ-შეთქმულნიც აქ იყვნენ, მაგრამ მძიმე

მეაბჯრეთა გუნდი სწორედ პირის კრიკას უხშობდა მთქმელთ, თუმცა ქერნებითა და შეთავაზებით უნდა მოწყებულყო საუბარი.

სამსხვერპლოს მალალ ხარისხებზე გოჯი მაფა-მოგვი ავიდა და „მითრას ცეცხლში“ გუნდრუკი ჩაპყარა. სამომსურნელსა და ბოლქვება კვამლში გაეზვიდა. და თითქოს უფრო დაუგრძელდა და გაეშალა თავისი სპეტაკი, ბურბუმელა წვერი. კვამლი ქანდაკებასაც სწვდა და შეაბუნდოვანა, მასაც წვერად აეკრო და ახლა თითქოს ბოლქვებში ორი ქანდაკება იდგა. ერთი სღუმდა, მეორე კი ამეტყველდა:

— ილორის ერო და მრევლო! შეგეწიოთ მისი მადლი და თვალი ნათელი! აი, ჟამი ჩვენი ბჭობისა. და თუ რაიმე გაქვთ კმუნენის მზადი, ჩვენი საერთო... ვთქვათ და ილორის სიბრძნით განვბჭოთ. და ნურც გაქვთ კრძალვა და რიდი, რამეთუ ილორის წინაშე ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ! — დიწჯად წარმოსთქვა მაფა-მოგვმა და მითრას ცეცხლს ახლა წმიდა ზეთი დაასხა და უფრო ააბრიალა.

ბჭეებს შორის ჩურჩულმა გადაირბინა, მაგრამ არავინ არაფერი არ სთქვა.

სქვამგურს სახე დაუგრძელდა, მეჩხერი წვერი აეფხორა.

— სქვამგურ შეხეთლო, ხომ არაფერს ინებებ?! — პირდაპირ მას შეეკითხა გოჯი... მოწვევა იყო თუ გამოწვევა, ეს ველარ შეატყო სქვამგურმა. მანაც ორტოფულად თქმა არჩია.

— თქვენის ნებართვით, მაფავ-უფალო... და ილორის ძალით, მე ბოლოს ვიტყვი, უკეთუ დამჭირდა რაიმეს თქმა!

ეს შეფარული მუქარაც იყო და თავის მომხრეთა გამხნეებაც. მაგრამ გოჯი კოლხელი აქაც წინდახედულად დახვდა. გაუღიმა და დასტური მისცა.

— კეთილი. მაშინ მე თავად ვიტყვი ყველას სათქმელსა და საერთო სადარდელს, ჩვენი საქმისა და სახელის მემკვიდრეს ვარჩევ! კი არ ვეძებ — ვარჩევ! თანამეწვევნითა თქვენითა! ბჭობითა, კერეტითა, პირუთენელობითა და სიბრძნითა! ილორობა ბევრის მთქმე-

ლია! აქ ღმერთები და ილორის ერი ერთად ვართ!

ახლა ყველამ გული მოვილადოთ, დავისვენოთ. ხვალ დილას ნიკორა ხარს, რომელსაც ილორი იზჩევა და თავად მოგვეგვრის, შევწირავთ მითრა-ილორს, მის ნათელში ამოსულ ორ წმიდა ხეს, ყველა ძველსა და ახალ ღმერთს!

მარულას წესისაებრ მსცოვენები დავიწყებთ. ვთხოვთ აჩავენ არ გამოგვრჩეს! მერმე მძიმე აბჯროსნები მოგვეყვებიან! იმის იქით კი — მე ვღებ დიდი მარულას ჭილდოს!

ნამარულეს კვლავ ილორის ბჭეებს მოგიწოდებთ და მთავარიც განვბჭოთ!

მერმე ვანადართ ილორის ერი ჭეგე-ტყეში! ამაღამ მე აქ, ვალავანში ლოცვად დავდგები. ხვალ ყველას გავუღოთ ილორის კარი! ახლა საპატიო ამაღლას ვთხოვ, ვალავნის გარეთ მეფის კარებში მოგასვენებენ. ვისაც სურს, თავის ცოლ-შვილს მიჰხედოს, თუ აქ ჰყავს!

ისე დინჯად და სრულუღრტივნეულად მეტყველებდა გოჯი, რამე ყველამ ნმა გაიკმინდა. სქვამგური კი სულ გაბუსუნდა, გულში მოხვდა მეფის ნათქვამი — „მემკვიდრეს კი არ ვეძებ... ვარჩევო!“ მამასაღამე, ასარჩევად ჰქონია საქმე. ახლა კი იდროვა მეფის დათხოვნით და თავის შვილს მიაკითხა.

ძლივს იპოვნა. ალისტარხოც ძებნაში იყო გართული.

— იპოვნე ნისლას კვალი?

— არსად არ არის! ვარე! ვარე! საოცარი! ჩანს, არ მოსულა ილორს!

— მაგის იმედი გქონდეს! ასე სთქვა, ვარჩევო! ილორთა ბევრის მთქმელიაო, შენც ბევრი უნდა ათქმევინო შენზე! ნისლა კი გამოჩნდებო! ფართული ჭავფი შეამზადე — მაშინვე ისარი უნდა ჰქრათ!

მამა და შვილი კარავში ჩაჯდნენ და ახალი რამ გახვანჯეს. ლაიძგას პირზე ჩამორეკილ ჯოგეში აფრინა ალისტარხოც და მხლებლები. იქ ორი ნიკორა ბელა აღმოჩნდა. ერთი, დიდი და უფრო თვინიერი, უცვც საილორო იყო და ცალკე ჰყავდათ შემორაგველში, მას ამაღამ

„მოიპარავედა“ ილორი. მეორე კი, უფრო მომცრო, მაგრამ თვალწითელა და ბასრად რჩოლია, ჭაჭვით ჰყავდათ ხეზე მიბმული, რომ ილორისას არ სტაკებოდა. მეჯოგეებს კოლხური ვერცხლი ჩაუხჩრილა ალისტარხოც.

ყოფილა შემთხვევა, რომ ნიკორა ბელა თავად მოსულა ილორს, მერმე პატრონიც გამოჩენილა და „ილორის ბრანება“ ერისთვის უთქვამს. ამაზე აგებდა თავის ხერხს სქვამგური.

ალისტარხოც ესეც მოითავა და ისევ საცხენეთს გადახვდა, გაუარ-გამოუარა. უპარავი ცხენები იყო. ფაფრებს ჩრდილ-ბინდის ქავლი გადაჰკრავდათ. საღამოს პირას ყველა ნისლა ცხენად ელანდებოდა, მერმე ერკვეოდა და ძებნას ისევ თავიდან იწყებდა.

ბჭობა ვათავდა თუ არა, ვაფიბეღია და ტარიელი თავის ნისლაქარავნის საძებნელად დაეთხოვნენ მეფეს. მან მაშინვე ხამხე-მოგვი იბმო.

— მოეხმარე. ცხენი შემოაყვანინე ილორ-ვალავანში! კაცმა, სულეირმა რომ ვერ გაიგოს, ილორ-მარულამდე... გამიგე, წელს ბედნიერი ილორთა გვაქვს — „ნისლა ილორი და ილორი ნიკორა!“

ხამხე-მოგვმა ახალგაზრდები შიდა ბზიარის უკან, შრამელში შეიყვანა, იქ ვალავნის ბალავარში შეფარებული კარი აღმოჩნდა. ხამხემ რკინის გასაღებით გააღო და კარგა დიდ მიწურში შეუძღვა. კედელთან დიდი, დაგორებული ქური იდო. ირგვლივ ბნელოდა. შუქის ნატამალი მხოლოდ ღია შრამელის კარიდან სწვდებოდათ.

— მარანია? — იკითხა ჰამხემა.

— მარანია! — ყრულ უპასუხა მოგვმა და ქური სულ ადვილად გადაავორა. იქით რიყის ქვით ამოწყობილი გვირაბი მიდიოდა.

— სიგანეში არ ვეჭვობ! მალალი ცხენია? — შეეკითხა ხამხე.

— ბოლომდე თუ ასეთია, კარგია! — სწრაფად იაზრა და მოზომა ვაფიბეღია.

— ბოლომდე! აქ დასტოვეთ აბჯარ.

მუხარადი... მორჩილთ სამოსს ჩამოგიტანა!

მოგვი რომ გავიდა, ახლა ტარიელმა ათვალღიერ-ჩაათვალღიერა გვირამი.—აი საიდან „შემოაპარებს“ ხოლმე ნიკორა ხარს ილორი ხარიპარია!

ახალგაზრდებმა აბჯარ-ჩაჩქანი შეიხსნეს. თუმცა ვაჟებიდღამ მაინც შეიტოვა ვაჟვის პერანგი და სატევარი. მერვე ხამხეს ჩამოტანილი შავგრძელი სამოგვეურები ჩაიცვეს, წელზე მოუქნელი ტყავის თასმები შეიბეს, თავზეც ღრმადაბალა ჩაჩები დაიხურეს და ხამხეს სანთელს გააყვეს.

გვირამი ტანოვან კაცის სიმაღლისა და საკმაო განისა იყო. სველ ადგილას ახლაც ემჩინოდა ხარის ორჩლოქა კვალი. ალბათ შარშანდელი ილორობის ნაშთი.

მაღე შიგნიდან ურდულგაყრილ კარს მიადგენ. კარს იქით ნიშის ნანგრევები და დაბურული ტყე აღმოჩნდა.

— ურდულს არ გავუყრი. შიგ კი ქურში დააკაუნეთ! — ხამხემ სანთლები დაუტოვა და ლანდივით გაჰქრა.

ახალგაზრდებმა ტყის ბილიკით კუბრა-გალავანს დაუარეს და ილორის ერს შეერივნენ. აბა ასე მოგე-მორჩილებად შემოსილთა მცნობელი ვინ გამოჩნდებოდა ილორის?

უწინარეს ყოვლისა, ზღვას მიაშურეს. გზად დიდი ბუნებრივი ასპარეზი განვლეს, იგი თითქმის ზღვამდე გრძელდებოდა. ანარიასა და ღალიძგას ხერთვისში ახოვანი ფიჭვნარი ჩანდა.

ილორის ერი ღამის სათევად ეწყობოდა. კარეებს ამაგრებდნენ. აქა-იქ ცეცხლსა და ჭიკოკონებს ანთებდნენ. კარდლები და ვეება ქვაბები ცეცხლზე შემოიდგათ. საკლავი ჯერ ფეხზე იყო და ბლოდა.

ქალები და ბავშვები სურებითა, თბიერაკებით და ვოკებით ღელისაყენ მიდიმოდიოდნენ. სამარულე ცხენებს თავს დასტრიალებდნენ და უვლიდნენ პატრონები.

მორჩილნიც აქეთ წავიდნენ. არა, მათი ნისლა აქ არ იქნებოდა. იგი სადმე დამალული ეყოლებოდა მუხაშეარასა და სავლაყეს, მაგრამ სხვათა ცხენებს

ხომ ნახავდნენ. მათ შორის ალისტარხოს ულაყსაც.

აქ წესად ჰქონდათ, სიმსუბუქისათვის ჰბაულებს შესვამდნენ ხოლმე ცხენებზე, თავად პატრონები კი სხვა ცხენით უკან მისდევდნენ და ყოყინით ახალისებდნენ. ამიტომ არც გაჰყვირებდათ, რომ აქ ხანდაზმულებთან ერთად, ჰბაულებიც ბევრნი იყვნენ.

ცხენთა სიმრავლემ და სიკეთემ კი თვალს მოსჭრა ტუბალთ.

— აქ უამრავი ხალხია და ხალხზე მეტი ცხენები ყოფილა!

— სწრაფი მხედრობისათვის ზედმისწრება! დამახსოვრე, შენ დაგვირდება!

— დამვირდება! შეხედე — დახატულები არ არიანი? აქაურ ქალწულებივით ლამაზები და მოქნილები!

— გამჩნევ, ცხენებზე არანაკლებად ქალწულებს ატან თვალს და უყრი კაკალს! გაეხუმრა ტარიელი, მაგრამ მითრიდატეს კაკალ თვალში და გულში მოხვდა.

„ხუთუ ყველა მამჩნევს ამას!“ — სიწითლე, ბედად, საღამოს სიბნელემ დაუფარა. და მაინც მოკისკასე და მოლელუნე ქალწულებს თვალს არიდებდა და ვერც არიდებდა. და, საერთოდ, ამ გულჩათხრობილ ფიქრს ჯერ ვერ შეურიგდა, რომ თავის ყრმა-ჰბაუჯურ საოცნებოში, თითქმის მუდმივ თანამგზავრად გახდა ქალწულთა ტკბილსახუნებელი, სატრფიალო ფიქრთა ჩუჩუნა.

ყოველ სეფასთან, მიწაში ჩარჭობილ გრძელ შუბზე, რაიმე ცხოველის თავის ქალა იყო წამოცმული. ამის მიხედვით სულ ადვილად ირკვეოდა, რა საქონლის მეჯოგე იყო სეფას პატრონი. რომ დაუყვირდნენ, ნახეს, მონადირეთ ირმის თავი და რქები ჰქონდათ წამოყენებული, ან ბუნიეებზე შედროშებული დათვისა თუ აფთრის ტყავები.

ხელოსნებსაც თავისი ნიშნები და აღმები ჰქონდათ. უაღმონიკ ბევრნი იყვნენ, მაგრამ ერთი რამ გაუყვირდათ მოსულ ტუბალებს, მონები სრულიად არ ჩანდნენ ილორში. იყვნენ ღარიბები, ალბათ, უმიწაწყლონი, ამბოკარნი, მაგრამ მონები არა!

ისევ ცხენების სადგომებისაკენ გაუწიათ გულმა. სხვადასხვა თოხუმისა და დაღის იაბოები, ფაშატები, აჭილდები... კეცთა სიმრავლე. უკვე კარგად არჩეულდნენ ტანმსუბუქ და კოპწია აფხაზურებს, უფრო მოსულსა და მუხლმადალ კოლხურებისაგან. ნახეს დაბალო და მკერდფართო სევანური ცხენები, ლაკადური გრძელფედაფარა და მუხლმადარა ფაშატები, ლეჩხუმური საქარავნო ცხენები. ქუთათურ-აზნაურული ბედაურები. — ერთმა მათგანმა მიანიც სულ შეაძრწუნა. უნიშნო ჭურანი იყო და უეცრად ზღვაში დაღუპულ შავ-ქაჯს ჰვავდა.

— ეს ცხენი მომწონს! შავ-ქაჯის სახელობაზე შევიძენე ვითხოვთ!

— შენ გავიწყდება, რომ „მორჩილები“ ვართ და არა ცხენოსნები! აი, ჯორების შეძენა კი შეგვეფერის და, ვგონებ, საჭიროც არის!

უკვე საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ ცხენების სადალალოს ბოლო არ უჩანდა. ნახეს თაკვერული მძიმე ულაყები, ტვირთის ცხენები.

— აი, ესენი კი ივარგებენ მძიმე აზროსნებისათვის!

მოეწონათ გურიანთული ნაწურთნი თოხარიკი ლაფშები და ჯაჭურ-ჩერქეზული ურა ცხენები. ნისლას დაღის ცხენებიც მოერყათ, მაგრამ ნისლას დარი აღარც მათში არ იყო.

ბოლოს თვალს ალისტარხოს მოკვარეს. მარჯაფა ცხენზე იჯდა, ქანცვალეულს უმოწყალოდ ამათრახებდა.

— ნისლას ძებნაში გაუხეტიქია ცხენი!

ცოტა განზე, ჩრდილს შეფარებულ მოსიერ შენიშნეს. იქვე ალისტარხოს სამარულე ცხენი ება.

— ეგ არის! „ოქროს ვარსკვლავი“! ხალხი შემოჰხვეოდა ბედაურს და მის ქებაში იყო. მორჩილებიც მივიდნენ.

— კარგი ყოფილა! — წასჩურჩულა ტარიელმა, — ნისლას პირველი მეტოქე ეგ ჰყავს! შენ ამ მოისართაც ჰხედავ?!?

— ვხედავ, ცხენიც სახიფათოა და კაციც! მაგრამ არა მარულაში, არამედ მარულას მიღმა! წავიდეთ, ახლა ჩვენიც ვნახოთ! უკვე ნისლას მოყვანის დროა!

ანარიანზე საცალფეხო ხიდი ნახეს, მერმე აღარც ზღვა იყო შორს. ხომალდი ხმელეთიდან დაიქველდა ბით ცურავდა. ნაპირზე ნავი დახვდათ. — მუხაშავრა!

მაგრამ მუხაშავრამ ჯერ შორიდან გამოჰხვდა და შორს დაუქირა.

— ვინ ხართ? ვის კითხულობთ? ეს რა სამოგვეთი წამომეფეთა?! — მერმე იცნო და ჯერ იხარხარა. — მოვხუცდითქვენს მოლოდინში! კარგად დამენახეთ! ხომ თქვენ ხართ?

— ჩვენ ვართ, ხომ მშვიდობაა! საველაკე?

— მშვიდობაა. საველაკეს ცოტა უმუხუზა ჭერმა, მაგრამ ახლა ზერა-ქვერად არის! ნისლაც მზადაა!

— სად გადამალეთ, რომ მთელი ქვეყანა ეძებს და ვერ უპოვნია?

— ალისტარხო ფეთიანი! — გაელიმა მუხაშავრას, — ვერც თქვენ იპოვნით — ხომალდზე! ძლივს ავიყვანეთ. ისიც ღამით. მაგის გამო სხვა ცხენებიც კი შევრეკეთ ზოგი ზღვაში, ზოგი ხომალდზე! არა, ახლა კი მარტოა.

მორჩილებმა ბევრი იციენს, მერმე ტანთ გაიხადეს და ხომალდამდე ცურვით გავიდნენ. ნავი შორიახლოს მოჰყვებოდა და მათი „სამოგვეთი“ მოჰქონდა.

— ხომალდზე ჩვესების გარდა არის ვინმე?

— სამოცი მონაა, მეკობრენი ყოფილან. მიჯაჭველნი არიან სახოფეზე. ფიჭრი არ არის!

ხომალდმა ნავი შენიშნა თუ არა, მათკენ გამოსწია. ხოფების სამი წყება მწყობრად გაეკრა ზღვას, ხომალდის მარჯვნივ და მარცხნივ ტალღის თეთრი ქავლი ამრავლა.

მოცურავდა ახალი პატრონი და როგორც ბედაურ ცხენს, ისე ათვალე ერებდა პირველ ხომალდს, მის ქანდარებს, საღუხეს, ცხვირსა და კიჩოს თვალთ უმოწყებდა წყალმყარობასა და მიმობრუნებას.

ახლოს რომ მისწვდნენ, ჯერ გაიგვეს და მერმე შეამჩნიეს კიდევაც — საბრძოლო თავანზე საველაკე გვერდულად

წამომდგარიყო, მოხდენილად და უმცდარად მბრძანებლობდა, ხომალდს უკვლევდა წყალსავალს.

ხომალდზე ასვლისა და ჩაცმისთანავე პორჩილებმა ჭრილობა გაუსინჯეს სავლაცს და, რადგან იარაღს უკვე თავი შეეკრა, ხომალდის პატრონმა, აქვე, ხომალდს, „ამირანის“ მენავეთუხუცესად დაადგინა, თუმცა სავლაცე ჯერ ოცი წლისაც არ იყო. მწედ მუხაშავრა მიუცა. შეხოფეები ილორობის დამთავრებამდე, ისევე მიჯაჭვულები დასტოვა.

სავლაცეს ხმელეთზე ჩამოსვლის ნება დართო, მხოლოდ ცხენზე შეჯდომა აუკრძალა. ნისლასთანაც, ქვედა ქანდაკრზე, ჩავიდა და მთელი თოფრა ჩამიჩი ჩატანა. თამამად მივიდა და მოეფერა.

მიუხედავად მოგვური სამოსისა, ნაჲლამ იცნო მუხლმავარა და მეჩაიჩე პატრონი და ჭიხვინი შექმნა. მაგრამ ზღვის მხრიდან, აბა, რომელი ალისტარხო მოვლოდებოდა ცხენის ჭიხვინს.

ბედაური შესანიშნავადა იყო მოვლული და ნაპატიები. მხოლოდ მოთელკა და მუხლის გამართვა აკლდა.

ახლა მეხოფე მონებს დაუარა და შეჭარდა. გაბურძნული, წვერახურდული, კენთმაგარა, მაგრამ გამზდარად ადამიანები, ნადირებს უფრო ჰგავდნენ. აკი ნადირის ტყავიც ემოსათ. თითო ცხვრის ტყავიც იქვე საგებლად ეგდოთ.

სამივე ქანდარის ორივე ფრთა დაიარა და ხმა კი არსად, არავის არ ამოუღია. ბოლოს შეეკითხა ერთ-ერთს:

— მუნჯები ხომ არა ხართ?

— არა, ლაბარაკი დაგვაიწყა. დუელი გაიხსენეთ! — უბასუხა ერთ-ერთმა და თავი ასწია, — მოგვის მორჩილო, თუ ღმერთები ვისმენენ, ერთი ჩვენსკენაც გამოახედე!

ახალი პატრონი შედგა. ქვეყანაზე მონები რომ ბლომად იყვნენ — ეს კარგად იცოდა პონტოელმა, მაღაროში ამუშავებდნენ, ქვამარლისა და ზღვის მარლის მოსაპოვარში მრავლად სხვაგანაც. ელინთ სამყაროშიაც და პონტოშიაც მონობა იყო სიკეთისა და სიმდიდრე-დოვლათიანობის საფუძველი. რომი

ხომ სულ ამაზე აგებდა თავის მსოფლიო ბატონობას! კოლხეთში ეხვეწებოდნენ ვერ ნახა მონობა და, ამის შესწორებას პირ საქმით და აზრით პირველად შეხვდა „ადამიანობაწართმეულთა“ ადამიანების სამყაროს“ ...მაშ, იქაც ამ დღეში, იქნებ უარესშიაც ყოფილან მონები. მე კი ჩემსავით ბედნიერები მეგონა. და ჩემი გაუბედურებაც იყო საქირო, რომ მათი ბედითობაც დამენახა? — ახლოს მივიდა, ბაასი გაუბა:

— ღმერთები რაღად გჭირია, რა ხოფის მოსმაში მოგცემენ შევლას?

— არა — ჯაჭვის ჩხრიალით უბასუხა მონამ, — მხოლოდ შეგეკითხები. ი ჩვენ ხომალდს რომ „ამირანის“ დაარქვეს და ჩვენ კი ყველა მიჯაჭვულები ვართ, ჩვენ ვართ ამირანები?

— ილორობაც მაკალეთ და მერვე ღმერთებს გამოვახედებ თქვენსკენ!

— ილორობას იყავ ცხენ-ბედნიერი, მორჩილო! — შესძახეს მეხოფეებმა და ჯაჭვები ააჩხრიალეს. შორიდან, ალბათ, ეს ხმაც ცხენების ჭიხვინს ჰგავდა!

მაღე ყარყუმად დაღამდა. მთვარე სწორედ მიმცხრალი იყო. ცხენი უსათუოდ ამაღამ უნდა გაეყვანათ. ხომალდი ლალიძგაში შეაკურეს და შემალღებულ კლდეს ცხვირით მიაყენეს. ნაპირს კაუჭი მოსდეს, გვერდი გადაუწვიენს.

ხმელეთი დაზვერეს. ახლომახლოს არაეინ ჩანდა. შორიდან ილორის ერის ხმა მოისმოდა. ნისლას ფართო სადოღე არტახი გადაუჭირეს, აღვირი ამოსდეს და პატრონი წინ წარუძღვა. ცხენი თავის ქნევით მიჰყვა.

— ტარიელ შენ რაღას იზამ?

— ცხენები გველოდება ტყის პირში. შორიახლოს მაინც მოგყვებით! — წასჩურჩულა მუხაშავრამ.

— აბა, დაწინაურდით! ხომ იცით ნისლას ამბავი!

ცხენმა ნაპირი იგრძნო, ცმუტავდა და ხომალდის ძეღბანს ტორს სცემდა. მაგრამ ახლა პატრონი იბეჭდა მოთმინებას. ჩუმად ასამდე თვლიდა, თან სავლაცეს ესაუბრებოდა.

— ნაილორეც ზღვაში წახვალ, ბე-

ნიერო! ალბათ, შინაც გაივლი! ყველას ნახავ.

ამ „ყველამ“ კინალამ აურია ანგარიში.

— ხვალ ხომალდზე მუხამავრა დასტოვე და, თუ არ გიჭირს, ფეხით გამოდი მარულაზე. ამ ნაპირზეც მოვალთ. შორს არ მოგიხდება წამოსვლა!

ანგარიში ასამდე გაასრულა. შეჯდომა აქვე, ხომალდზევე არჩია.

— აბა, წავედი! — მორჩილმა, გრძელი საშოგურის შავი კალთები ამოიკეცა და მსუბუქად მოახტა ნისლას. ცხენმა თავისუფლება იგრძნო და ნახტომი ხმელეთს აწვდინა. მერმე მყარ ნიადაგზე მუხლი გამართა. მაგრამ „უგზო-უკვლობა“ არ გამოუვიდა თავნებას, ჯაჭვიანი ალვირ-ლაგამი მაგრად ამოედო და ჭერ კისერ-ფაფარი მოუღრიცა, მერმე ლალიძგას კალაპოტში მისცა გეზი. რიყზე ხმაური გაიტანა. მალე ანარიას ღლეუ გადასერა და უფრო გიჟვართარბოლა. ვერასგზით ვერ შეუწელა სელა „მორჩილმა“.

ბოლოს მიხვდა, წინ ცხენების არულს გრძნობდა ნისლა და ვიდრე არ გაუსწრო, ქვა და მიწა ვახეთქა.

ტარიელი და მუხამავრა იყვნენ. ხელეზიდა აუჭნიეს ბნელაში.

ნისლა არც შემდეგ დაემორჩილა მხედრის ხელს. კბილებში გამოიჭირა ლაგამი და ფაშატი ცხენების ჭიხვანს მოჰკრა ყური და იქითკენ გაიწვართა, დორბლმომდგარი და ვახელეზული.

უკვე ილორის ღამის მთევართა ცეცხლები ენთო. ლანდები იქნევედნენ ხელებს. შინაკრავი ძახილი მოსდევდა ნისლას არულს.

ერთიც სცადა მორჩილმა ვახელეზული ცხენის დამორჩილება, თავი მოუგრიხა და ცალი თვალი ხელით დაუბუჭა, მაგრამ უარესი გამოვიდა. ცხენმა გადრიკა სრბოლა, ანთებულ კოცონებს გადაველო, ინახად ჭილონზე მჭდართ ზედ სუფრანზე გადუჯირითა და, რომ არავინ დაეთქერა, ისე თვალი აუშვა და ალვირიც მოუხალავათა ბედაურს. ფაცხა-კარვეშს შორის ველის დაბალი ქიშკარი დაილანდა, მაგრამ ივიც დახშული იყო

ნისლამ ქარივით გადაუქროლა და თრების ჯოგში მოხვდა. ნაპერწკლებივით გაჰფანტა, ქალტის ხერგილიც უკან მიუიტოვა და საცხენეთსა და ილორ-მინდორს მიაშურა. ახლა თითქოს ჭენებას უკლო ბედაურმა, მაგრამ ომახიან ჭიხვისს უმატა.

ძახილი და განგაში უკვე წინ უსწრებდა მხედარ-ბედაურს. საბელაწყვეტილი ფაშატები უკან მოსდევდნენ რიონისა და ტეხურის ქალების რემათა მოთავის გამომწვევ ჭიხვისს. დაფეთებული ცხენოსნები, მწყემსები, მეჯოგეები და სხვანი უკან დასდევდნენ და ერეკბოდნენ დამფრთხალ საქონელს. უეცრად აბორიალებულ ცეცხლის შუქზე აღჭურვილი მხედრები დაინახა მორჩილმა. თავს უვლიდნენ და ყიყინით მოისწრაფვოდნენ.

ფიჭრის დროც აღარ იყო, ჩაჩი უფრო ჩამოიფხატა სახეზე და ცხენს დეზი ჰკრა. ერთი ომახიანად მანაც დასწყვიტა. ყველა გააშეშა. მერმე პირდაპირ დიდ ცეცხლს მიაშურა, ცხენი ზედ გადაახტუნა, თითქოს გზა ხსნილი იყო. მაგრამ არა... შეშინებული ქალწულების მარაქას წააწყდა. ცეკვა აურია და სულ გადარია.

— ქაჯი! ქაჯი! ქაჯი-მორჩილი! — შეიქნა ყვირილი და წიოკობა.

ცეცხლის წინ დიდი შუბი იყო დასობილი, ზედ ცხენის გამხმარი თავის ქალა იყო. „ქაჯმა“ ბედაური ყალყზე შეაყენა, ჰერშივე შემოაბრუნა, იგრძნო, რომ მოჰყვა, გათამამდა, შუბსაც სტაცა ხელი, თავისქალიანად აიტაცა და ნისლას ისე შეჰკადრა ორთავ ქუსლი. ცეცხლზე უკან გადმოახტუნა... და მხედრების ჩამანძილებულ რკალში ჩავარდა. ყველას მშვილდ-ისარი და ქამანდი ჰქონდა ხელში. მეწინავე კარგად იცნო მითრიდატემ — ალისტარხო იყო.

ცხენბედაურის დაჭერა ან დაისგრა სწადდათ. მაგრამ მშვილდ-ისარი და ქამანდი ისიც ცხენზე, უშლიან ერთხანეთს!

ისრის სისწრაფით გამოზომა მანძილი ნისლას მხედარმა და, ვიდრე რკალი მყარად შეიკვროდა, გაუჯიქურა ცხენი

მეწინავეს, მკერდით აძგერა. აბა, დაღლილი სატალანოს ცხენი რას გაუძლებდა, პატრონითურთ განზე გაგორდა, სხვებსაც აებორკა ფეხებში. მერმე დაუმორჩილებელმა მორჩილმა დახარჩენითა უშნოდ ნატყორცნ ქამანდებს თავის-ქალიანი შუბი სიგრძივ აუქნია, აიცილიხა და ცხენს დასჭყვივლა.

არაფერი ისე არ მოქმედებს ბელაურზე, როგორც ომახიანი დაჭყვივლება.

ფრთები აისხა ნისლამ, ილორ-მინდორი გადაყვეთა და ბინდს გაეფარა. მერმე კი მიჰყვა მხედრის ნებას. მანაც დიდი რკალი დაარტყა კუპრა-გალავანს და ტყეში შევიდა. უკან აღარავინ არ მოსდევდა.

ნანგრევებთან ჩამოჭვეითდა. უეცრად ხმა მოესმა.

— ვაჟიბედია ბრძანდებით? — ნანგრევებიდან ხამზე-მოგვი ამოძვრა, — შეგმინდით, ილორ-მინდორზე დიდი დევნაა!

— ფიქრი არ არის! ცხენი იცნეს! სდიონ!

კარი შეადგეს.

— შე აქ დაველოდები! მეორე ტიხარში დაბინ ბაგაზე! სანთელი აუნთე, ბნელში უფუჩმაყუჩად მოგყვება! მლოცველზე არა ნაკლებად! — წასჩურჩულა მოგვემა და გზა დაუთმო.

მორჩილმა ცხენისთავიანი შუბი ხაზხეს გადასცა, სანთელი გვირაბის თავში შემალულ კანდელზე აანთო და გვირაბში ცხენს შეუძღვა.

ნისლამ ერთი გაიწია და მერმე, მართლაც, „მლოცველივით“ მიჰყვა სანთლის შუქს. ქვევრი გაწუწული დახვდათ. მარანი ახლა მოსელს უფრო ჰგავდა. დიდი ნიკორა ბულა ჩაჭვივებდა ბაგაზე. ილორს უკვე „მოეპარა და მოეყვანა“ სამსხვერპლო. მეორე ტიხარში ნისლა დაბა ვაჟიბედიამ და ჩამიჩარეული ქერი დაუყარა გაოფლილს.

შალე ტარიელიც მოვიდა, იგიც არანაკლებ დაფეთებული იყო.

— ირგვლივ დარბიან, დაეძებენ „ილორის ნისლას“ და „ძვალეჭამია მოგვს“. ქალწულები კი ერთხმად გაიძიხიან „ცეცხლიდან გადმომხტარი თავად მითრა-ამისარონი იყოო!“

მობრუნებული „მორჩილები“, გადასახდელ ჩალამებულ კუპრა-გალავანზე რომ გავიდნენ — ილორ-მინდორზე და მის არიარეში, კიდევ ერთო მრავალი

ჩირალი და ჰიაკოკონა. ცხენოსნები წაღმა-უჯღმა დარბოდნენ, დასდევდნენ ნისლა ლანდებს. დიდ ჰიაკოკონებთან კი ქალწულებს მისრა-ფერხული ჩაეხებოთ და კუპრა-გალავანსაც სწვდებოდა მათი ლოცვა-გალობა:

— მითრა და მისარონ, თეთრ-ცხენოსანო, შავ-შუბოსანო, ჰოი!

ცეცხლო და ბრიალავ, წყალო და კრიალავ, კალო და ტრიალავ!

ღმერთების შოშით და... მოგვხიბლე, მოგვხედლე... ჰოი და, მისარონ!

მითრა და მისარონ, თეთრ-ცხენოსანო, შავ-შუბოსანო, ჰოი!

სრულიად დაწყნარებამდე და დაძინებამდე, კიდევ ერთი ამბავი გაიგეს ახალგაზრდებმა. აბიო-იბერი და მახუნჯავ-ტაოელი, თავის მხლებლებით, მოსულან ილორს. მაშინვე ხლებიან გოჭმეფესა და ბედანს.

უკვე სულ გვიან ბედან-კოლბი ეწვია ჰაბუჯს.

— ნუთუ სულ შიშში უნდა ვიყოთ? რა დაათიე ილორ-მინდორს? მთელი კოლბ-ილორი შენზე ლაპარაკობს! შენი ბედი, რომ ვერ გიცნეს. სხული და ქცევა დაგიფუკავდა, მაგრამ ხანდახან ისეთი მოუზომელი საქციელის ჰაბუჯჩარ, შიში გვიტანს! მეფის დაფუკაცება კი სწორედ ზომიერებიდან და გონებიდან უნდა დაიწყოს!

— ბოლოსდაბოლოს, რა დავათიე!? წავუვედი ჩემზე და ჩემ ცხენზე მონადირეებს! ზომალდიც ვნახე, თადარიგიც დავიტოვე. წერილი მზად გაქვს?

— მაქვს. მაგრამ სიტყვას კუპრა-გალავანზე ნუ ამიგდებ!

მითრიდატეს სულ ბავშვურად გაელიშა და ამით ბედანს საყვედურების იარაღი დააყრევინა. საუბარს მაინც თავისი კალამოტი მისცა ვაჟიბედიამ.

— ვაჟივე აბიო-იბერი და მახუნჯავ-დევი მოსულან. გარეთ არიან, თორემ ახლავ ვეახლებოდი!

მეტე არაფერი ჰკითხა. ისწავლა სიტყვის საჭირო დროს ჩაბარეზემა.

— ზვალ ნახავ! ამბავს კი არ მკითხავ, ჩანს, შენ მარულას შედეგი უფრო გა-

ფიქრებს და გაღვლეებს, ვიდრე აბიონებისა და მახუნჯაგის მოციქულობა!

— მასწავლებლო! გავიწყდებათ, რომ თქვენ ჩემთვის არც ვითქვამთ ამ მოციქულობის დედაზრის?

— ჩემი მოწაფე, ვფიქრობ, ისედაც მიხვდებოდა. ამის იმედი კი მაქვს!

— მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისნდელ მარულასაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალოდ ცხენთა ჭენებას!

— მაშინ... გისურვებ მარულაც ისევე დაგემთავრებინოს, ვით იმით მოციქულობა!

— მადლობა მომიხსენებია! ხომალდი კი ნაილორეც უნდა წავიდეს. ყველაფერი მზად შექნება, მწიგნობართუხუცესო!

ბედანმა გაკვირვებით შეხვდა „ილორ-მინდვრის ამრეცს“, რომელიც, თითქოს სხვათა შორის და სავსებით დროულად, მწიგნობართუხუცესობას სთავაზობდა. გარდა ამისა, ეს „მოციქულობის დედაზრის“ უთქმელი თანხმობა და აქედან გამომდინარე „არსიანულის“

დიდი დასტური იყო. ისიც იგრძნო ბედანმა, რომ ამის მეტის და უფრო ვჯერ კვევით თქმა არ სურდა „ამრეცს“.

ხომალდზე გყავს კია მენავეთუხუცესი?

— მყავს, სავლაცე სარფელი!

— მარჯვეა, მაგრამ, მეტად ახალგაზრდა!

— ახალგაზრდობით მეზღვაური მხოლოდ მოიწონება! მწედ — მუხაშავრა მივეცი.

— მეხოფეები? იქ მონები არიან, საიღუმლო საქმეში აბა რას გამოგადგებიან.

— ვათავისუფლებ მარულას შემდეგ, ყველას დავტოვებ ჩემთან!

ახლა კი წარბშეკრულად შეხვდა ბედანმა. „ამრეცი“ ისევ ურევდა, ვგონებ.

— მეკობრეებს?

— არა, მონებს! სიღარიბით გამეკობრებულთ! წილს დავუდებ გამარჯვებაში. ვინც მიღალატებს, ზღვაშივე ძელზე გავსვამ!

— შენი „მარულა“, მართლაც, არ ყოფილა უბრალოდ „ცხენის ჭენება!“

18. ნისლა ილორი და კი ილორისა

დღისაღრიანად კვლავ გააღეს კარიბჭე და მესაყვირემ ისევ მოუწოდა ილორის ბჭეებს, ჩიხათ მპყრობელებს დიდ აზნაურთ, ტომისა და გვარის უხუცესთ, კებრა-გალავანში ილორ-სასწაულის სანახავად. ამჯერად „ყველა საპატიო მანდილოსანს“ და გვარის დედას — უხუცესსაც უხმეს. ილორი ჭალებსაც უშვებდა სამსხვერპლოსთანაც და ტაძარშიაც, რადგან კებრა-გალავანში დაც იყო თვითშეწირული.

ახლა უფრო დიდი „ილორის ერთაგანი“ შემოვიდა გალავანში. ყველა თავისი თვალთ დარწმუნდა, რომ ილორის სამსხვერპლოსთან ნიკორა ბუღახარი იწვა და იკოხნებოდა.

გოჭმა და ხამხემ ილორის მცირე ტაძარში, მერმე ილორის ჭანდაკეების წინაშე ნიკორა ბუღახარს შუბლის თმა სანთლით შეუტრუსეს, რჭებზე დალი და-

ადეს, ილორის ჭაჭვი შეაბეს და გალავნიდან გაიყვანეს.

წესით — ილორის ერის წინაშე უნდა დაკლულიყო ბუღა, სავანგებოდ ამისათვის განკუთვნილ — ილორის ნაჭახითა და დანით... ბაჭს გოჭი მათუფალი ირჩევდა და მთელი ერი უღასტურებდა.

მაგრამ სწორედ აქ მოხდა სრულიად მოულოდნელი ამბავი... მიიყვანეს თუ არა ილორის ბუღა სასაკლაო ჭვასთან, ჯერ გრძლად დააბეს.

გალავნიდან გოჭ-მეფეს ყველა გამოჰყვა. გამოიშალნენ მეაბჯრენიც, მათ შორის ვაეიბედია და ტარიელიც.

ვაეიბედიას ცოტა შემესუბუქებინა აღტურეილობა. მსუბუქე ჭაჭვის პერანგზე მოკლე ტუბალური დაშნა ეკიდა, ბელში დიდი მრგვალობა და ფარი ებყრო, მუხარაღი კი ისევ ზარადღაშვებუ-

ლი ჰქონდა, ისე როგორც სხვებს. ეს გოჭი კოლხელის ბრძანება იყო. არსებითად ვაიბედისა შესაფარავად, მაგრამ ეს საოცრად მოქმედებდა სქვამგურის მომხრეებზე. თუმცა გულშემოყრილმა ალისტარხომ „ღამის ცხენოსნის“ ამბავი რომ უამბო, სულ იმედგადაიწურა სქვამგურმაც და ახლა იმაზე უფრო ფიქრობდა, როგორ აერია და აემღვრია დღესასწაული.

ისევ ალისტარხოს შეპლრინა:

— თავი უნდა ისახელო, თორემ ტყუილია ჩვენი ჩალიჩი! ის ვიდაცაა, თავს არ აჩენს და სახელს იხვევს, ყველა იმაზე ლაპარაკობს! ილორიც იმი-სია და ერის გულიც!

— რა ვქნა, ყველგან ხელი მომეცარა.

— ახლა გაუშვი შენი რჩოლია ნიკორა! მხოლოდ ჯერ არაყში ამოვლებული ქერი აჭამე! შიში მისცეს ყველას, შენ კი ნუ გეშინია. მერმე ივარგე და, თუ გაიწია, დაშნა დაჰკარი! პირველი შენი იყოს. მერმე დანარჩენებში მოგეშველებიან. მძიმე მეაბჭრეები ჰყავს! შენ სახელი გაიკეთე, და ღმათ თუ გააბურთავებს, უყეთსიც არის! მათი შიში დაეკარგება ჩვენს მომხრეებს!

— გავიგე! გაზებდე!

— თავი რომ წაავო, უნდა გაბედო! მერმე მარულაში შეიძლება სხვა უფრო მსუბუქი შეესვათ შენს „ვარსკვლავზე“. ერთიც ჯაჭვიანად გაუშვი რჩოლია ნიკორა. ვითომ აიწყვიტა! აბა, შენი ილორობა ახლავ!

გოჯ-მეფემ ილორის ნიკორა ბუღის შემწირველ ბაბად მახუნჯავ ტაოელ დაასახლა. მაგრამ, ვიდრე მახუნჯავ ხელუბს განიბანდა და ილორის ერის ფსატურს მიიღებდა, უეცარი ყვირილ ფორიაჟი შეიქნა და ილორის ნიკორას არიარზე მეორე ნიკორა გამოჩნდა, ბლუილითა და ბულრაობით მიწა მოთხარა და ჯაჭვათრეულად გამოექანა. ილორის ნიკორაც შემობრუნდა, მაგრამ დაბმულმა ძლივს დაახვედრა რქები. ხეტქების ხმამ მთელ ილორ-მონდორს გადაუარა და ერი ბქესთან მი-აწყვიტა.

ილორის ნიკორას ჯაჭვიც გაწყდა, ასე რომ, მეორე დარტყმას უფრო მედრე გრად დახვდა. ახლა ორბვე „ქარგ“ ფა-ლაენებივით უკან-უკან დადრკნენ და განზე გაროყდნენ. დაფრთხალი ხალხიც დადრკა და ერთ-მეორეზე ყირა გადაიარა. ბულა-ზარები კი ისე შეეხალნენ ურთერთს, რომ ორივემ ჩაიჩოქა და ახლა ჩახრილად და კუდებგაბზეკო-ლად ეჯიჭურებოდნენ ერთმანეთს.

ხალხიც აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ზოგი მირბოდა, ზოგი მორბოდა, მარცხის სუნი დატრიალდა.

— გააშველეთ! — გადასძახა აბჯროსნებს გოჯმა. მაგრამ ამ ორომტრი-ალში, ვიდრე ბრძანებას გაარკვევდნენ, ალისტარხომ ერთი უშველებელი, თვალუჭული ნახტომი გააყეთა და თავის გაშვებულ ბულას ჯაჭვში სწვდა.

აბა რას დაამაგრებდა! ჯერ ფეხებგაფარჩხულად მიჰყვა, მერმე წაბორძიკდა და დაეცა.

— ვაშა, ალისტარხო! არ გაუშვი! — შესძახეს სქვამგურმა და მისმა მომხრეებმა.

იქნებ გავიო ალისტარხომ მამის გამ-ნევება. იქნებ თავად იძალა, ჭიუტობამაც იცის მხნეობა. ზეწამოვარდა, იწივლა დაშნა და ბულას მიუბტა, მაგრამ ილორის ბულა ეძგერა ალისტარხოს ბულას და უკან დადრკია, სისწრაფეში ერთერთის რქა მოხვდა დაშნას, ალისტარხომ დაჰკარგა წონასწორობა და წინ წავიარდა, ახლა იგი, კვლავ შესარკენად, უკან დახეულ ბულებს შორის აღმოჩნდა. ერთი შეხლაც და ყველაფერი გათავდებოდა, მაგრამ აქეთ-იქიდან გადმოხტნენ გახედულები. თუმცა აქ გახედულობაც ვერას უშველიდა. ერთი დღვის ტოლა კაცი, ილორის ბულას სწვდა ჯაჭვის ბოლოში და, მართლაც, დეფურად მოსწია და დააფერხა. ხოლო ჯაჭვის პერანგოსანმა, მრგვალებქყვრიალა ფარი შეახალა რჩოლია ბულას და ალისტარხოს ფეხებში სტაცა ხელი, დაითრია და განზე გულურასავით მოიქნია. თავად კი ისევ ფარს ამოეფარა და შემობრუნებულ ბულას დახვდა.

ჩიოლია ნესტოების ბერკითა და დრუტუნით ბღუოდა. ერთ წამს. ფაროსანს არაყის სუნი მოხვდა მერმე ნაცხის სუნმა დაჰფარა.

წუთით გაშეშდა ყველა. ერთი მიწაზე გღებულნი თითქოს გადარჩა, მაგრამ მეორე!

— აჰა, ნაჯახი, ვაეკაცო! — მახუნჯაგ-დღემა ილორის ნაჯახი ფაროსანს გადაუგდო და თან ღვეურად დაიყვიინა, — შეტი არავინ ჩახვიდეთ! მე ვიცი და მაგანა!

გონზე მოსული ალისტარხო წამოჭდა და გინციფრებული შეპყურებდა ორთა ბრძოლას.

ბულა თავდახრილად მოჰქროდა, მრგვალბჭყვირიალა ფაროსანს ნაჯახს მოემზადებინა და ელოდა. შეხლის წუთში განზე გაუხტა და ფარი შუბლზე ახალა. მარჯვენით კი ნაჯახი ყუთით მოუქნია და რქებსშუა, კეფაში, ნიკორაზე ცოტა ზემოთ, დასცხო და ბულა დააბარბაცა. სული აღარ მოათქმევინა, ფარი რქებზე შეატოვა და ახლა ორივე ხელით მოუქნია ნაჯახის ყუთ.

ბულამ ჩაიმუხლა და დრუნჩით მიწას დაეყრდნო. უკანა ტანით კიდევ ზეზე იყო, რომ ზარადოსანმა ნაჯახი გადაგდო, ახლა მოკლედ დაშნა ამოუსვა ყელზე და ყორყიდან სისხლი თქრიალით დაადინა.

მალე უკანა ფეხებიც ჩაეკეცა ბუღას. ზარადოსანმა დაშნა შეაწმინდა ნიკორას, ნაჯახი აიღო და მახუნჯაგს უკან მიუტანა.

მასაც უკვე დაება და დაებორცა ილორის ნიკორა.

— მოდი, შეილო! შენი იმედი მქონდა. მივაეკაცდები თვალსა და ხელს შუა! — მერმე მძიმე ხელი დაათურად კისერზე გადაუსვა და ნაჯახი გამოართვა.

— მახუნჯაგ ტაოელის შეილი ყოფილა! — ხელად წამოიძახა ვიღაცა. თვალის ხამხამში მთელმა ილორ-მინდორმა ასე იცოდა გმირის სახელი.

გოჯი კოლხელმა კი უფრო ჩაადასტურა უეცარი გაუგებრობა.

— ილორის გმირი გავიზრდია, მა-

ხუნჯაგ-ჩემო! დღეს თქვენზეა მახუნჯაგ-ბლის შეწირვა, ილორის ერთი ჩვენს სკვამგურ შხეთელი და ერთობლივ ყველა მადლობას გწირავსთ მახუნჯაგ და ვაეიბედიავ, ალისტარხო შხეთელი-სა და მრავალ სხვათა გადარჩენისათვის! ჩვენგან თითო-თითო ბედაური მახუნჯაგსა და ვაეიბედიას!

მახუნჯაგმა მოკლედ იროხრობა მადლობა და, ვიდრე გაათავებდა, მისი „შეილი“ უკვე კუპრა-გალავანში წასულიყო, როგრც მახუნჯაგმა ახსნა, „ფრიადისა მორცხეობისა გამო, რომელიც მხოლოდ ამშვენებს ვაეკაცს!“

მახუნჯაგმაც ჯერ ნაჯახი, მერმე დანა იმარჯვა და ილორის ნიკორაც ხელმარდად დაკლა. ორივე ნიკორა ოთხში ამოიღო, გამოფატრა და ნალღელა აქვე მიწაში ჩაფლა. გულ-ღვიძლი და ფაშვი კი ასევე მოლიანად თავ-თავის ტყავში ჩასდო და კუპრა-გალავანში, ქანდაცების წინაშე, სამსხვერპლოზე დასადებად შეგზავნა.

გულ-ღვიძლზე აქვე უნდა ემკობავა ეწინააწარმეტყველა გოჯი-მოგვს.

ნიკორა ბუღების ხორცი კი ხამხე-მოგვის მწეებმა ააჩარქქეს, დასახსრება და საპატიოთ მრავალზე მრავალთ ჩამოტრეგეს. ახლა მათაც დაუეკლეს სამსხვერპლო ზვარაკი.

მოხუცები და წარჩინებულნი კი ისევ კუპრა-გალავანში შეიყარნენ, შეპყვენენ გოჯი-მოგვს და საკურთხეველთან ცეცხლი ავიზგივნეს, გუნდრუკი ამიგეს.

მახუნჯაგმა თავისი ხელით მიიტანა და გაასინჯინა ბუღების გულ-ღვიძლი. თან მეფე-მოგვს წასაჩურჩულა:

— მეორე ბუღის ფაშვი საეკეცა, არაყში ამოვლუბული ქერნაჭამი უნდა იყოს! არაყის სუნი იყნოსა ვაეიბედიავ!

— სუფთაა! სუფთა! — ბუტბუტა ლოცვას, გამყვიან ხმას ამოაყოლებდა ნოლმე მოგვი, — შეგეწითო ილორი! ილოკეთ! უომარია! უომარი წელია! სულ უსისხლოა ღვიძლი!

— მადლი ილორს! მადლი! — ხმას აყოლებდნენ ილორის ბჭენი.

— მოსაგლიანი წელი ჩანს! თან უსე-

ნო, უეპო, ნაყლებ ციებიანი! ამას დამიხედეთ, მოხუცებო, ბჭენო, პელებო სულ არა აქვს ღვიძლს!

— ეგრე ჩანს! ეგრე ჩანს! მადლო ილორს! — ხმას აყოლებდნენ ბჭენი.

— წყალდიდობისა კი არის ნიშანი! უნდა ვიზრუნოთ! — ღვიძლი გადააბრუნა და ფერ-იერი გაუსინჯა.

— მოსავალი? მოსავალი? — შეეკითხნენ ბჭეები.

— მოსავალი! — ახლა მეორე ბუღის ფაშვს წაავლო ხელი და კუჭი ამოაცალა, საცოხნელა გაბალთა და ვადაშაღა... — ქერი! ქერის მოსავალი კეთილი! მეორე ბუღის ნიშანია, ცოდვა რომ კინაღამ დაატრიალა!

სქვამგურს გულზე მოხვდა „ცოდვის დატრიალება“, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, „მეორე ბუღა“ შხეთელების „მორთვეული“ იყო და ამის გარკვევის შემდეგ მათ „უანგარობად უფრო ჩაითვლებოდა ეს შემოწირვა, ვიდრე ვერაგობად“... მართალია, ის აღარ გამოვიდა, რაც სწადდა, მაგრამ ახლა მაინც მოითბოს ხელი! მარულაც კიდევწონ იყო! იქნებ ვიდრე შეიძლებოდეს ხელის ამობრუნება!

თავად ველარაფერი სთქვა და გვაზა-ზეგვს წმარტრულა. გვაზამ კი მოისაზრა და მეფე-მოგვს შეეკითხა:

— ნეტაე საიდან მოიყვანა ილორმა მეორე ბუღა? ან ვისი შემოწირულია და რა განზრახვით? ახალგაზრდა შხეთელი რომ კინაღამ შეიწირა!

— ანგარებაა თუ უანგარობა? უნდა ვიცოდეთ! — არც თუ თავგამოდებით აპყვენენ სქვამგურის მომხრენი... მათ თვალში თამაში თავიდანვე წაგებული იყო.

— მართალია! მართალი? — აპყვენენ ბჭენიც.

ახლა მეფე-მოგვის პასუხზე იყო ყველაფერი. სქვამგურს უკვე „ამოსაბრუნებელი სიტყვა“ ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ „წვერბურბუშელამ“ კვლავ უგანა და ყველა გააჩუმა.

— ილორის ცეცხლი მოგვეცემს პასუხს! თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, ვიცოდეთ!

ახლა კი შეფიქრიანდა სქვამგურ, წინ წამოდგა.

— ხუ მიწყენთ მე, ღმერთების! მას სუხში უმეცარს! იქნებ ჯერ ნიშნებ გვაუწყო ანგარებისა და უანგარობისა! ერთი მართალი კაცი ვთხოვ ბჭეებს!

ყველამ იგრძნო, რომ აქ მაგარი კვანძი შეიკრა და დაიძაბა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მეფე-მოგვმა ღიად გაუღიმა სქვამგურს და თავი დაუქნია.

— ილორის ბჭენო! თქვენს წინაშე გავეჭერი კუჭ-საცოხნელი მეორე ბუღისა. აჰა, სქვამგურმა, მართალმა კაცმა, თავად ამოიღოს ქერი და ილორწმიდა ცეცხლში ჩაჰყაროს! მიიღებს თუ არა ილორი მის სამისნოს!

— თუ მიიღებს, კარგად დაიწყის! — მაინც შეეკითხა სქვამგურ და წინ წამოდგა.

— დიახ, ყველა შევატყობთ! აქ ჩემზე ნაყლები თვალი და ხანი თითქმის აღარავის არ აქვს! ილორის ბჭეთა სიზრძნე საყოველთაოდ ცნობილი!

სქვამგურს ხელი დააბანინეს და შემპრალეზინეს. მან თავად აიღო ორთავ პეშვით გაბალთულ საცოხნელიდან მოუცოხნი ქერი და საყურთხველის ცეცხლში სასოებით ჩაჰყარა.

ჯერ ცოტა აშიშინდა ცეცხლი, მერმე კი მოულოდნელად იფეთქა და შერუქული მარცვალ-ნაცარი თვალებში შეაყარა სქვამგურს.

საყურთხვეელზე ბუღის ბუშტი ამოიზარდა და პაერში გაიფანტა.

— ფერხით ყველა! — მკაცრი ხმით სჭექა გოჯი-მოგვმა. და, როდესაც დარწმუნდა, რომ ბჭეებმა ჩაიჩოქეს, მერმე სქვამგურს მოჰხვდა და წარბები შეჰკრა. ამაყი შხეთელიც ნელ-ნელა ჩადრკა და მუხლებზე ჩადგა. გოჯმა ხელები აღაყრო და აჯა წამოიწყო:

— ილორის ძალაც! შეუენდე ბოროტის მზრახველს ბუღა-ნიორას ანგარებით გამომშვეებს! და ნორც შურისგებასა და ძიებას შთავგაგონებ ბრმა განმზრახველის მიმართ, რამე თუ არ უწყობდა, რას ჩადიოდა და, ალბათ, თავად

მოინანიებს ცოდვას! ილორის ბქენო!
თქვენს დასტურს ვითხოვ!

ახლა ყველა მუხლებზე იდგა, გარდა
გოჯ-მოგვისა, და ზევით, გალავნის
თავანზე ზარადაფარებულ ჭაჭვის პე-
რანგოსანისა.

— დასტური! — ერთხმად, ხმადამ-
ლად აღმოხდა ბქეებს.

— სქვამგურა, აღისტარხოს გადარ-
ჩენისა ორი მოზვერი მოპვეაროს
ილორს, უანგარო შესაწირავად! აღის-
ტარხოს, უკეთუ შიშინანობა დასჩემდა,
მომგვარეთ და ილორის ძალით გამო-
ველოცავ ან იქნებ ბუღა-ნიკორასთან
ხელმოცარულს, დიდ მარულაში ცხენ-
ბედაურმა მისცეს ხერიო? — გოჯმა
ზურგი შეაქცია სქვამგურს და ახლა ყვე-
ლას მიმართა, — კეთილ-ბქეებო, ნა-
შუადღევს, ნალოცვეს — მსცოვანთ
მარულა! ყველას ვთხოვთ, გამოუტლებ-
ლიე! — და მიღულულ სამსხვერპლო
ცაცხლს კვლავ გუნდრუკი და საწვეავი
თავისი ხელით მიუმატა, ააბრიალა!

აურაცხელი საკლავის დაკვლა-შე-
წირვა ჩათავდა, მათ შორის სქვამგე-
რის ორი ახალდათქმული მოზვერებიც
დაიკლა. სუფრები დამწყლობნდა.
ღვინო და არაყი თავშეკაეებულად შე-
ისვა. ვერ მხოლოდ პირი შეუხსნეს
ტაბლესა და სამღვთოებს.

მერმე მსცოვანები გავიდნენ ილორ-
მინდორზე. ეს იყო ილორის დღესას-
წაულის ძველთაგანვე დარჩენილი
მნიშვნელოვანი გარდმონაწესი. ამ მა-
რულაში, უფრო სწორად, ცხენთა სა-
ზეიმო რონიში, მხოლოდ ჭადარანი და
მხოლოდ წვერ-ულვაშინანი გამოდიოდ-
ნენ. ქოსებს, ნაბარსებს, თუ წვერგა-
ცვენილებს არ იღებდა ილორის თეთ-
რი ლაშქარი. ამ თავისებურ მარულაში
გასწრებას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა,
არამედ სიღინჯესა და ერთ ლარში
სელას.

ათასამდე ცხენოსანი ერთ მწკრივში
ჩადგა და მთელი ილორ-მინდორი ასე
ჩასწორებულად ჩაიარა. ყველა თავშიშე-
ველი იყო ლაშქრის სითეთრეს, მხო-
ლოდ მის უკან, მაღლა, კაცკათონის

თოვლის სითეთრე თუ ვადრებოდა...
თითქოს თეთრ ლარად დრო ვიდოდა...
დინჯად, ბრძნულად, ამყავდნენ ლაშქარს
თიანად! ერთ დიდ მინდორში მანძილ-
ზე, ყოველ ბერთა ბერს წელი აეწურა,
შეკრდა ამოებურთა, ასე შეუვალად
ვიდოდა ცხენების მუხლდინჯა არულით
და თითქოს ერთიანი სხეული იყო —
ცხენი და კაცი, ვიდოდა და გალობდა
ილორის თეთრი ლაშქარი.

ილორის ერს ჩვენი კუჩხა-ბედნიერი,
მაღლა ღმერთებს — თავყანი და
სადიდებელ,
ქვეყანას კვლავ ხვავიანი მოსავალი...
მრავლად შეილი, ხვადაგი და
ცხენკეთილი!
ილორის ერს — ჩვენი კუჩხა-
ბედნიერი!

მწკრივის შუაგულში იყვნენ გოჯი
მაფა-უფალი, ცოტნე სახლთუხუცესა,
ბედან-კოლხი, აბიო-იბერი, მახუნჯავ
ტაოელი. გვაზა-მეგრი, გური ასკანელი.
მათ ახლო იყო სქვამგურ მხეთელიც.
არც ერთი, ცოტად თუ ბევრად ცნობი-
ლი და პატივცემული მსცოვანი არ გა-
მორჩა თეთრ ლაშქრის მარულას.

გალავნიდან შეპყურებდა ამ მომხიბ-
ლველ სანახაობას ჭაბუკი სპერელი და
გულგახსნილად ფიქრობდა, რომ —
„კოლხეთში სიბერესაც ჰქონია თავიერ
ზვიადი უმპყნარობა და სილამაზე!“

ილორის „თეთრი ლარი და არული“
კი არ შებრუნდა, ვიდრე არ ჩაათავა
ილორ-მინდორი, არ გაკვალა ანკარა
ანარია, არ გაფონა შმაგი, თუმცა აქ
უკვე შეწყნარებული ღალიძგა და არ
მიადგა სპერის ზღვას. აქაც, ზღვაში
შეკრდა მღე შეაყენეს ცხენები. და თით-
ქოს ახალი, თეთრი ნაპირი გაუჩნდა
სპერ-კოლხეთს. და აქ მუდმივი სი-
ცოცხლე შეხვდა მუდმივი მღელვარებას!

და მაშინ კუპრა-გალავნიდან მზი-
რალს, ზღვაში შეჭრილი ათასი „შე-
ქაჯი“ წარმოუდგა. შეჭარა და ენუგე-
შა კიდევაც. ფიცად ამოუსხლტდა ტუ-

ჩემში. — ნურამც ვაყოფილა ამიერიით პონტო და კოლხეთი! და მათ საერთო სახეცა და სახელიც აქეთ — სპერო!

ილორის თეთრი ლაშქარი კი შემობრუნდა და უკან ასევე „ლარად და სპერის თეთრ ზვირთად“ დაიძრა. ოღონდ ახლა უფრო ჩქარ და ბანგუგუნა ვალობით, საკრავების ქღერით და გაფით მოდიოდნენ. შუაგულში ილორის დიდი დროშაც აფრიალდა და გაიბერა, თითქოს ფრთებიც გაშალა. ვაჟიბედიამ უკვე იცოდა, რომ ეს „ფრთოსანი ცხენის“ სახე დროშა იყო. ასეთი ძველი „ცხენ-დროშა“ ერთი სინოპეს სასახლეშიაც ჰქონდათ შენახული, იგი დიდ კაბადოკიურ დროშად ითვლებოდა. კაბადოკიაც ხომ „ლამაზ ცხენებას ქვეყანა“ იყო!

თეთრი ლარი ვალავანს მოსწვდა, მაგრამ ვიდრე არ გაათავებს ვალობა, გახურებული ცხენები დაიოკეს და არ დაქვეითდნენ. მერმე ერთი მიეახლა. მოხუცები კი ფრთადაშვებულ ცხენ-დროშას ეახლნენ და ემთხვევივნენ. დროშის მპყრობელს, იმავ მსხვერპლს შემწირავს, მახუნჯავ ტაოელს ხელი ჩამოართვეს. მომავალ წელს ილორობას „ისევე შეყრა და მსცოვანთ მარულობა“ ურთიერთს უსურვეს და ილორის ერში გავიდნენ.

ახლა ლხინისა და ნადიმის დრო იყო. მერმე კი დიდი მარულა დაიწყებოდა.

მიძივე აბჯროსნებმა ჭირითითა და შუბების ტყორცინით დათარჯეს დიდი, სამარულო გზა და ასპარეზი. ყოველ მოსაბარუნებში ჯგუფ-ჯგუფად დადგნენ. მსუბუქი მოლაშქრენიც მიიმატეს.

ამან კარგა დიდი დრო წაიღო. კარგა მოზრდილი რკალ-სარბიელი იყო ილორი — სამხრეთ-აღმოსავლეთით ტბა — ბებუსირი, მერმე ჭაობის პირ-პირ, ვიდრე ანარიაშდე, მის დაყოლებით დალიძგამდე. მათ შესართავთან ორივე მდინარის გადავლა და ზღვაში შესვლა. უკან „ლარის მარულის“ გზით პირდაპირ ილორში მოსვლა.

მსცოვანები ნადიმობდნენ. დაქიჩმა ჩებული ყმაწვილკაცები და ვაჟკაცები ა უკვე ლელავდნენ. ცხენებს აშაქრებ-

დნენ, ულოცავდნენ. მოზრდილები ახალგაზრდა ცხენოსნებს არეგებდნენ.

სქვამგურ შხეთელი გოჭამეფეს დუკუ ეთხოვა და ალისტარხო „უქანასკენლად“ გაამხნევა, თან მის ცხენს „მამეველი“ მოსარნი მიუჩინა, ფარული და ეალემა მისცა. „მაწყევარი“ დედაკაცებიცა და „თვალმაჩხი“ ბერაძეებიც შეჰყარა და ყველა, გარდა ალისტარხოსი, „გაანხიბვირა“. მაგრამ მთავარი გასახიბიავი არსად ჩანდა. ნისლა და მისი ქაჯ-მაჯი მოარჩილი კვლავ მიწის პირში ჩაყალბა! ჯერ მეძებრის ყნოსვით იეჭვა — იქნებ ნისლას პატრონი, სწორედ იმ ღამეს გამოჩენილი მახუნჯავის ვაჟი, ნიკორას მომრევი, მისი ალისტარხოს გადამრჩენელი თუ დამლუპველი, ერთი და იგივე პირია? მაგრამ ახლა რომ აღარსად გამოჩნდა, აღარ იცოდა რა ეფიქრა! და, რაც უფრო აგვიანდებოდა გამოჩენა ნისლასა და მის პატრონს, მით უფრო ღელავდა. ჯერ აღარც ალისტარხოს უშვებდა. ხოლო რომ გამოჩნდებოდა „ნისლოსანი წყეული“, ამაში ეჭვი არ ებარებოდა. მაგრამ „ის მართლაც წყეული“ ასეთ წინდახედულობას რომ იჩენდა, ეს სქვამგურს უკვე თავის მარცხად მიიჩნდა.

და აი მოგროვდნენ ცხენოსნები. საყვირმა დაიქუბა კუპრა-ვალავნიდან. ბჭესთან, გარეთ. ხის ჩეროში საკარცხულები დადგეს, მალე დიდი მარულას მსაჯმოწმენი და ჭილდოს დამდებნი გამოვიდნენ აი თავკაცებიც. თავად გოჭამეფე, მახუნჯავ, ცოტენ, სხვა საპატრონიც. ჭილდოც დაიღო — მეფის საბრძოლო ცხენი, თავისი შეამჯრულობითა და განწყობილობით საარაკო ჭილდო. ასეთ რამეს მხოლოდ შვილს თუ აჩუქებს მამა, სამეძვიდრეოდ! თავადაც ამბობს რაღაცას. სქვამგურმა სულ ალესა სმენა და თვალი.

— მე უკვე მოვხუცდი და ჩემი საბრძოლო ცხენი დაე შეგვდეს ღირსეულს, რომელსაც ჩვენი ერთობლივი მტერი — მტრად უჩანს, მკლავიც და გულიც ბრძოლად ერჩის! დეე, ილორში გადაწყვიტოს ბევრი რამ სამომავლო!

სხვადაც, ვისაც რა გემეტებათ და გსურთ, დადეთ ჭილდოდ!

ცოტენ სახლთუხუცესმა კარის ძვირფასი სამოსელი დასდო.

მახუნჯაგმა მიწაში ჩაასო შუბლზე წამოგებული ბუღას თავი, რქებზე ოქროცურვილ ვერცხლით გაწყობილი ყანწები აღმართა.

აბიო-იბერმა დიდი, ბრტყელი, ქაჩაშვარაყიანი დაშნა.

— სარკინულაა, ხალიბურას არ ჩამოუვარდება!

ბედანმა, შორეულმა სტუმარმა, დიდი ეტრატე დასდო. და ამ ეტრატმა ყველაზე უფრო შეაძრწუნა სქვაძგური. ალისტარხომ ხეარიახად არცერთი ანბანი არ იცოდა და, საერთოდ, წიგნზე მწყარალად იყო. ცხადია, გრაგნილი სულ სხვისათვის ჩანდა ნაეარაუდევით. ალბათ, ეს მდიდარი ჭილდოებიც!

— არ დაინდოთ ნისლას ცხენოსანი, — გაგაკეთებთ! — გადაუჩურჩულა თავის მეაბჯრეს და გაგზავნა თავისიანების შესამხნეველად. ვანსაკუთრებით „ცხენის მამველთ და მადევართ“ შეუთვალა.

მაგრამ თითქოს ამის საპასუხოდ, კუპრა-გალავანზე ისევ გადმოდგა მესაყვირე, ჭერ აქუხა, მერმე იძახა:

— არის ბრძანება, ილორის ერო! ცხენზე ვინც იქნება. ის მიიღებს ხელის ძალას! ჭილდოც მისია! არავითარი უკან მადევრები და მამველები! გზა და გზა ყველგან აბჯროსნები და მოლაშქრენი ღვანან! თუ ვინმე დაარღვევს ამ წესს, დაისჯება! მიშველებული ცხენი და მხედარი კი აღარ ჩაითვლება მარულაში! ილორის ერო, არის ბრძანება!

ცხენოსნებში ხელად ცვლილება მოხდა. ყმაწვილკაცები და კუბუკები უმაღ პატრონებმა და ვაჟკაცებმა შესცვალეს.

სქვაძგურმაც კბილები დაადრჭიალა და ალისტარხოს შეუთვალა, რომ ცხენდაცხენ თავად ვამოსულიყო.

მარულას მთავარი მეტოქენი მხალოდ ახლა გამოვიდნენ ასპარეზზე და გალავნელების გარდა, ალბათ, მხოლოდ სქვაძგური იყო. მიმხედარი, რომ ჭე-

რაც არ იყვნენ ყველანი ჩამდგარი სამარულოში!

ორასიოდ ცხენი კი სქვაძგურის ერთს არ ედგა უნავირო, არც უნანგები ჰქონდა. მხოლოდ ერთი თასმა-არტახი, ზოგს ტყავისა, ზოგს ჭვალოსი, ლაგამ-აღვირიცა და მორჩა.

გრძელი საბელი მახუნჯაგმა და ტარიელმა გასჭიმეს. ცხენოსნები საბელს აქეთ მოიტოვეს და შეძლებისდაგვარად ჩაასწორეს, მაგრამ ეს მსცოვანთათვის არ უღლის ლარი როდი იყო. თავიდანვე შეხურებული და ფიცხი ცხენები ტოკავდნენ და ყალყზე დგებოდნენ, ურთიერთს ჰკებენდნენ. ლოდინს სულ ცერ ითმენდნენ. ბოლო წუთებში ალისტარხომაც გამოაჩტუნა ცხენი, დაკომულ თოკზე კოხტად გადაასკუპა და ნებისმიერად მოინდომა ჩაღვომა. მაგრამ მახუნჯაგმა იხმო. ალისტარხომ ვამოხედა და დეკაცოც ცხენზე მგდომი ეგონა.

მახუნჯაგმა ალისტარხო მარჯვენა ფრთის პირველ ცხენად დააყენა. მის ცხენს, ზედმეტად სამკაცრდულიც ჰქონდა, ზედ ოქროს ბალთიანი ვარსკვლავი ეკიდა. ფაფარში ნაირფერადი ბაფთები ჰქონდა ჩაწნული.

ყველაფერი მზად იყო. გალავანზე ისევ გადმოდგა მესაყვირე, დიდ-სამართლო დააქუხა. დაამთავრა თუ არა, მახუნჯაგმა ლარზე ძლივს გამართა უკვე აფორიაქებული ცხენები და ხელი აღმართა.

— აბა, არის კიდევ ვინმე? — ერთიც დასძახა და მეტეს შეჰხედა.

და სწორედ იქიდან, საიდანაც სქვაძგური სრულიად არ მოელოდა, კუპრა-გალავნის კარიბჭიდან, ვიღაცამ ცხენი გამოიყვანა, ხელი ფართო შავ მოსართავში მოსდო და ტანმსუბუქად ზემოაფრინდა.

— დავლახვრონ ღმერთებმა! — ყრულ ჩაიდუღუნდა და დააჭირდა ნისლას მხედარს, თითქოს ტანმსუბუქად ეცვა, მაგრამ ბაცი-ვეფანი მხედრულ ჩოხის ქვეშ, ახალუხად ჭაჭვის პერანგი შეუმჩნია. თავზე ტუბალური შავი ბეწვგრებილი ეხურა, მისი კუ-

ლულები თვალებსა და ცხვირზე ჩამოყუროდა და სახეს თითქმის აღარ უჩვენდა.

— სწრაფად, ბოლოში! მარცხენა ფრთის კიდურად დადექ! — მიამბაბა მახუნჯაგმა და ხმაძალადი თელა იწყო. ოცამდი დაითვალა. ერთიც ჰქიდა თვალის საბელს. ახლა მარჯვენა თავში ალისტარხო იყო, ოქროს ვარსკვლავი ყალზე იდგა, მარცხენა ბოლოში ნისლაც გაუსწორდა საბელს.

მახუნჯაგმა ნიშანი მისცა და საბელი მიწაზე დააგდო ტარიელმაც. ცხენებმა ნახტომი გააყეთეს. სწორი ხაზი ერთბაშად სწორად გაიქცა და ხელად შეტყა და-შემოტყდა.

დიდი მარულა დაიწყო და გაცვალულ გზასა და გეზს გაჰყვა! გზადგზა ყიყინი მისდევდა მარულას. გზაშიაც ხედებოდნენ, მაგრამ „მაშველი“ აღარ უშვებდნენ. მარულაზე ყიყინის აკრძალვა კი თითქმის რომ — ცხენებისთვის ჭიხვინის აკრძალვას უდრიდა!

ახლა კუბრა-გალაენიდან უმზერდა ზოგი და ქვევით მოჭარულ ერს გასძახოდა.

— ალისტარხოს ოქროს ვარსკვლავა მიდის წინ! დაწინაურდა! სხვები ჩვეუფად არიან! ახლა ნისლა ცხენი გამოიყო ჩვეუფს.

— ნისლა ცხენი! ნისლა! ის ქაჯმაგი მორჩილი ხომ არ არის? თითქმის მითქმის წავიდა ილორის ერში.

მალე გალაენის თვალსაწიერსაც მიეფარნენ ცხენოსნები. ახლა დიდ მკითხაობაში ჩავარდა ერი. ვიღრე ნისლა გამოჩნდებოდა ყველა ოქროს ვარსკვლავს მოსარჩლე იყო, მაგრამ შემდეგ ბევრი შეყოყმანდა.

მალე შეაბჯრებმა ორი მოისარი მოიყვანეს შეფესთან.

— ისარი სტყორცნეს ნისლას მხედარს!

— მოარტყეს? — შემფოთდა მეფე.

— მოარტყეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს! ჩანს პერანგი აცვია! ხელში ეკავა ორივე!

— შეაფერხეს კია, ისევ წინ გაუშვა ოქროს ვარსკვლავა!

— რად ესროლეთ?

— ჩვენ არა!

— ორმოში ჩააგდეთ მათ მოსვლა-დე.

მარულამ კი ჯერ ბებესირის ტბას მიადწია, იქაც მთელი გუნდი აბჯროსანთა ელოდათ. ვაეიბედი ფრთხილობდა, ზოგავდა ცხენს და დამხედურთაც ერიდებოდა.

ალექსანდრე ქუთათელი

ბ ე რ ი მ რ ე შ ა რ ი

პოემა

(ეპიზოდები გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებიდან)

მ ი ძ ლ ვ ნ ა

ხარირემივით მიჰქრის მანქანა, —
გრძელი გზა ულის გადასარბენი,
გვერდზე ჩაუდის მტკვარი ანკარა
და დიღმის ველი ქართა სარბევი.

მთის ქიშხე მჯდარი გამოჩნდა ჯვარი,
ჭალარა ჟამის მუნჯი მისანი.
მხიბლავს მშვენივით მწვანე მთის ჯარი,
ნაპირნი მტკეგრისა, არაგვისანი.

მხიბლავს არმასი. აგერ ბაგნეთი,
სვეტიცხოველი, სამთავრო, მცხეთა,
სად მშობელ ხალხის ფესვებს ვაგნებდი
და მის ჭალარა გარდასულ დღეთა.

ძველი სამთავრო შემოვიარე
და ჩუქურთმების ვიხვევ ხვიარებს.
დგას ზედაზენი, ვით მგლოვიარე
ქართლის ცხოვრების მემატრიანე...

გარდასულ ჟამის მომსწრე, მოწამე,
თბილისისაკენ მოღელავს მტკვარი.

უნდა გამილოს ბეჯით მოწაფეს
ჭალარა ქართლის ცხოვრების კარი.

ჭადრის ქოლგები თავზე მახურავს,
რომ არ მდაგავდეს მზე უმოწყალო,
ვნახო ახალი ქართლის მსახურად
თბილისი — შრომის და ცოდნის წყარო.

რომ არ მესმოდეს ხმა დახავსული
და მომართული ძველ ჰანჯრზე სტივრი...
მაინც ხანდახან მზარავს წარსული,
ბედი ქართლისა და მისი ჭირი,

შაჰ-სულთანთაგან წამხდარი ქართლი,
იავარქმნილი, აყრილი ასე,
მერმე რუსეთის მეფეთა მადლით
„სვებედნიერი, პირთამდე სავსე“.

წარსულის ცოდნით არ მიქადნია
და არც ჩაფერფლილს ვფურცლავ
ეტრატებს.

აქ მახლობელი ხანა ხატია
და ერთი კაცის სახე მეტადრე.

კ რ თ ლ თ ვ ი

შეწყდა ტიალ კრწანისში
ბრძოლის გრგვინვა და ეხო,
როს სისხლიან დაისში
საქართველო დაემხო.

წიანან მკერდგადარული
ვაგაკები ფარებით,

ჩამოუწყდათ ქდარუნით
მძლე დროშებზე ზარები.

არწივების აშვებით
ვერვინ დაიკვეხნიდა.
გადაშენდნენ რაშები
უძლეველი ქვეყნისა.

დარჩა ქართლის ნამღვრი
საჭელესო სუფრებით,
შური — ხალხის ამრევი,
მტერი თავისუფლების.

მაგონდება გოდებით
სუსხიანი, შრისხანი,
გულზე ცეცხლის მოდებით,
შეხედითი ის ხანა,

როცა ბევრმა თავადმა
სამშობლო ანაცვალა
ჩინ-ჯილდოს და ავადაც
თვისი ხალხი აწვალა.

ყველაზე უწინარეს
დაძგმო უგნურ ხალხით
წყაროსავით მდინარე
დუდაუნა თავისი.

უხვად ჰყიდდნენ მამულებს,
ზნეს, ადათს და ღირსებას.
მტრის ფერხულში ჩაბმულებს
სსვა რა დაეკისრებათ!?

მაშინ კაცი მშრომელი
მეფის კანონს ჰკიცხავდა,
ხოლო მიწის მფლობელი
და ვაჭარი იცავდა.

ბევრი იყო ტიალი,
ბევრშიც მადლი ქმუდობდა,
ქართლისადმი ტრფიალი,
მტერთან ბრძოლა უნდოდა,

მას ამ ავი დარების
შხამი შეუსერეპია,
ამგვარი ვითარების
და დროების მსხვერპლია,

შეთქმულთ შორის ნამყოფი,
ქართლის ჭირის მეზარე,
სიკვდილამდე დამხოვილ
სამშობლოზე მკენესარე.

ენამჭევრი, ფრთოსანი,
კაცი — ორბედიანი,
გენერალი, მგოსანი —
კრიგოლ ორბედიანი.

თავი პირველი

ქ ე ლ ი ა ნ ი მ ზ ი თ

1. პორტრეტი

რახანია განვიზრახე
დამეხატა ჭაღარა,
გაბადრული მგოსნის სახე,
გაბაშვილის მაგვარად,
ტანმორჩილი, ბრგე და ჯმუნა,
მძლე, გონებამახვილი,
ძირგადგმული ქართლის მუნა,
კუნთმაგარი, ძვალმსხვილი,
რუსთა მეფის სამსახურში
დიდ მწვერვალზე ასული,
სახე ჰქონდა მხნე და კუშტი,
წარბი — შემოგარსული,
ბაკენბარდის თმათა ბუშტი,
ნიკაპი — გაპარსული,
ულვაშები — დამეხებული,
უპე — შემუხებული,

ბაგე — ღვინით დამეხული,
წნებით შეგუბებული,
თითქოს აღსდგნენ გარდასული,
წინაპართა საფლავით,
სპარსთა რჯულით გაბასრული
ანდუყაფარ, ყაფლანი.
ჰქონდა სახე ელვარებით
ორბის თვალი მრისხანე,
გადალაზა მწვერვალეში,
დაანგრია მთის მხარე.
თოფ-ზარბაზნით, სისხლის ღვრებით.
დალისტანი გალია.
თუმც შევნიდა ოქროს ჯვრები
მეფისნაცვალს ძალიან,
ორდენებით დახატული
მკერდიც შემოერკინა, —
მაინც მკვიდრი და ქართული
ეშხი. მადლი ეფინა.

გულზე თითქოს ედო ლოდი.
 ნეტავ რა დააშავა? !
 პეტერბურგი, ნოვგოროდი,
 ვილნა, რიგა, ვარშავა
 საპყრობილედ გადაიქცა
 სახელგანთქმულ ოფიცერს.
 ბევრი მხარე გადაეწვა
 მისგან ფიცხელ ომის ცეცხლს.
 სად არ იყო, რა არ ნახა
 მგოსნის გრძნულ თვალებმა!
 მაინც ქართლში სურდა ახლა
 ყოფნა, გარდაცვალება.
 რა არ ქონდა: ჩინი, ჯილდო,
 თრღუნები, წოდება!
 მაინც თავის თავზედ იდო
 ქართლის ბედზე გოდება.
 თვის გოდება, სივალალოთ
 სხვათაც სწავადა იცოდა.
 ორმაგ ბედის ცეცხლის ალით
 კაცი ნელა იწოდა.
 გულს უკლავდა გარდასული
 საქართველოს დიდება,
 პაპის ტახტი დაკარგული,
 ქირის გადაკიდება.
 ვერ გაექცა ბედის ვალსა
 ისიც საქართველოში.
 ქართლის წარსულს, მომავალსაც
 ჰყვედრის „სადღეგრძელოში“.

2. შაირით თაყვალის ვახიანა

მგოსნის სახეს კრძალვით ვუმზერ.
 დრომ ვერ დაასამარა.
 ერუანთან, შანგეზურზე
 შეჰყრა ლომმა კამარა.
 წინ მიიწევს უძლეველი
 რუსთა დიდი ლაშქარი.
 უკან დარწა ბრძოლის ველი,
 გარბის სპარსი აშარი.
 ლაშქრობაში, როცა ხმალი
 კაცის სისხლმა დაფერა,
 შემოუნთო მგოსანს ალი
 და სიმღერა დაწერა.
 ომის შემდეგ იწყო ღვინი
 ერგენის სიასლოვეს.
 სადღეგრძელს ამბობს ტინით
 და ჯარიც ბანს აყოლებს.

მისგან ქართლის მატყანე
 ახლებურად ვიხილე.
 მთებს გაეხედე დარდიანებს
 ლიხს აქეთ და ლიხს იქეთ...
 მუშარადით, მანდილებით,
 მართლაც გასაკვირველი,
 მთაზე დადგნენ არდილები
 ადრინდელი გმირების...
 დაეინახე საფლავები
 დაფარული კუნელით,
 ფარ-ჩაფხუტი, სამკლავები,
 ძველი საუკუნენი:
 ფარნაოზი, გორგ-ასალი,
 ვახტანგ მეფე, ერეკლე —
 ხმლით რკინისა ხორაანის,
 მტრები რომ გაურეკა.
 დაეინახე მგოსნის თვალით
 უცნურად ხილული,
 წინაპართა გზა და კვალი,
 მათი ბრძოლა გმირული.
 გულდამწვარი მგოსნის გრძნობა,
 მუნდირის ქვეშ მალული.
 დიდ ბუნების ემხით თრობა,
 სამშობლოს სიყვარული...
 დაენანა გარდასული
 მწვდარს ქართლის დიდება,
 პაპის ტახტი დაკარგული,
 ქირის გადაკიდება.
 მიაშურა სვეტიცხოველს
 მომლოცველთა განზრახვით
 და სამღურავს ეტყვის სოფელს,
 პაპის საფლავს ჩასძახის.

3. პაპის საფლავზე

„კახთ ბატონო, დიდო პაპავ,
 ჩემო წინამორბედო,
 ქართლის სიბრძნის გატყდა დაფა,
 გულზე ცეცხლი მომედო.
 საქართველო სულსა ჰდაფავს,
 შველას ითხოვს მშობელი.
 მოახმარე შენი ჯაფა,
 ჭკუა მანათობელი.
 აღარ ელავს შენი ხმალი
 თვალის მჭრელი კაშკაშით,
 მდუმარე და მოუხმარი,
 ჩაგებული ქარქაშში.“

შენი ბედის მოზიარე,
მტერმა რომ ვერ დახია, —
დროშა ზარით მოქლრიალე
შე მიწაში მარხია.
თუმცა კაფე მტრისა ჯარი
ვიწროებში, ვაკეში, —
ბოლოს გატყდა შენი ჯანი,
ნიჭიც, ომში ნაგეში.
ვერ შემუსრე შენებურად
სპარსთა ჯარი კრწანისში.
სახე სისხლით შევბურა
არაგველებს დაისში...

განთიადის ჩაჭრა შუკი
მტერი ისევ გვაწუხებს.
ალარ ისმის ბრძოლის ბუკი,
ზარბაზნებს ვერ ვაქუხებთ.
ბოლოს შედრკა მხენ ქართველთა
დარჩენილი ლაშქარი.
უკუღმართი დღე გათენდა,
ხარობს მტერი აშარი.
არ ენახა მას აგეთი
დაქცეული ქალაქი.
ამოძირკვა ქართლკახეთი,
ჩვენი ტურფა ალაგი.

კახთ ბატონო, დიდო პაპავ,
ჩემო წინამორბედო,
ძველ სიმტკიცის გატყდა დაფა,
გულზე ცეცხლი მომედო.
მეფევე, ერის ხმა აღკვეთე,
გააწბილე მსაჯულიც,
როცა რუსეთს შეაკედლე
ქართლი მრავალტანჯული.
მტრებმა ჭირი არ გაკმარეს,
შშვიდად თავის მიდება.
ჩაესვენა შავ სამარეს
ივერიის დიდება.“ —

ასე ეტყვის პაპის აჩრდილს
გრიგოლ ორბელიანი.
წინაპრის ხმალს ხელში აჩრის
თითქო ბედი ფრთიანი.

4. შთაბრძანების ჩაშლა

შეგვეღლა შეთქმულ პირებს,
ისიც გახდა მათებრი.
ერისთავი გადინირეს

ფიქრში დამენათევი!
ყველა შეთქმულთ ეტანება
დოდაშვილიც გზიანი...
და თავისთავს ედავება
გრიგოლ ორბელიანი:

„ნეტავი მეფე ერეკლემ
რისთვის დაჰყარა ფარ-ხმალი?!
ნუთუ შუე ჩაჭრა ქართლისა,
ესმა სატანის ხარხარი!

იქნებ ეგონა, იხსნიდა
მეფის რუსეთი, ევროპა,
და მყისვე მიანიჭებდნენ
ჩვენს ჭრისტიან ხალხს ერობას!
იქნებ ერეკლეს სჯეროდა
რუსეთის მეფის პირობა, —
ქართლს გამოჰგლეჯდა მუსლიმანთ
და ჩაიდენდა გმირობას!

ვაგლახ მოგტყუვდით, რუს მეფემ
წაგვართვა ტურფა მამული,
ენა, ღირსება, მხედრობა, —
ვართ სხვის უღელში გაბმული...“

5. მოხაზის ლენარლის იპანე აფხაზისა და
აააააი ოფიცისის გრიგოლ ორბელიანი-
ნის პაპაააააა

ი ვ ა ნ ე ა ფ ხ ა ზ ი

ო, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ შიატოვოს
რუსეთმა, გრიგოლ, დღეს საქართველო!
ქართლმა რედული, ძალა სად ჰპოვოს, —
მტერმა არ დასცეს, არ გამოწველოს?!
აწცა რუსეთმა თუ მიგვატოვა, —
გაუხდებით მსხვერპლი ოსმალთა, სპარსთა.
განა იქნება მათზე დანდობა, —
სადღა ვიპოვით ჯარს, სპასალართა!

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ამაო არის ფიქრი ასეთი,
გულის მომგვლეელი შხამი, ლენციოფა,
როს ოსმალეთი და თვით სპარსეთი
გრძნობენ უმეცარ თავის შეცდომას:
საქართველო ხომ მათ აიძულეს,
რომ გაეწოდა რუსთათვის ხელი!

ივანე აფხაზი

ახლა თურქეთიც ძმობას ისურვებს:
გატყეილი აქვს ყიზილბაშს წელი.

გრიგოლ ორბელიანი

მსურს საქართველო განთავისუფლდეს,
კვლავ სახელმწიფო შექმნას თავისი.

ივანე აფხაზი

ჭაბუკო, ჩქარობ, ვერ გრძნობ სირთულეს,
ჯერ არ დამდგარა ქართლში მაისი.
უნდა გავიდეს დიდი დრო, ხანი,
რომ საქართველოს მოხდეს აღდგენა:
ჯერ გაიმართლოს ის ჭრილობანი,
რაც წარსულმა მას მიაყენა.
ჯერ გაიფურჩქნოს მშობელი მხარე,
შექმნას მდიდარი ცხოვრება, ყოფა.
ჯერ სახელმწიფო სუსტია, მდარე,
არ გაგვანია რეღულის წყობა
და თუ რუსეთი ქართლიდან წავა, —
უმაღ გავხდებით ყიზილბაშთ მსხვერპლი.
მაშინ ეგ ჩვენი ამო დავა
თავს წავიყაროთ, ვით ქართლის ფერფლი.

გრიგოლ ორბელიანი

ამ ოცდაათი მწველ წლის შედეგად
არ დაქლებია ხალხი სამშობლოს,
არც მამაცობა, სიმხნე, შეტევა...
უიმედობა დმერთმა გვაშოროს.

ივანე აფხაზი

მგოსანო, შენის მეზუების ძალით
გულს ეფინება ვარდი და ია.
შენში ბობოქრობს გრძნობათა ალი,
ჩქარი ხარ, როგორც ხირიმის ტყვია.
გამოიცვალა თვით აზიამიცი
კაცი, ცხოვრება და მისი ყოფა,
მიდი და ნახე ძველ ყიზილბაშის,
თუნდაც სპარსელის ცხოვრება, წყობა,
მისი თოფხანა, ტყვია, წამალი,
ზარბაზნები და მხნე სპასალარი.
აბა რა არის აქ დასამალი,
რომ ჩვენ არა გვყავს მუდმივი ჯარი!
ქართლის გლეხური თოფი ისეა,

რომ ვერ გაისერი საათში სამჯერ,
სპარსნი — საათში ოთხჯერ ისერიან
და ზარბაზნებით აფრთხობენ ჭაჭებს...

გრიგოლ ორბელიანი

სცნო თვით ერეკლემ უმჯობესობა:
შექმნა მუდმივი, მორიგი ჯარი
და ჩვენ რას გვარგებს აწ უწესობა,
რომ არ გავულოთ რედულ ჯარს კარი!
ქართველს აქებენ ვაჟვაცობითა.
სამშობლო თვისი ბევრჯერ დაიცვა
განუწყვეტელი ფიცხელ ომითა
და ნუთუ ჩვენი სიმხნე დაიწვა?

ივანე აფხაზი

ოცდაათ წელმა გადაირბინა
და გამოიღო ნაყოფი — ღვარძლი,
თავზე გვადგამდა ეკალს გვირგვინად,
თუმც ჩვენც მიგვიძღვის ამში ღვაწლი.
ვიწყეთ დარღვევა, შუღლი, ცილობა
და გაგახარეთ მოსისხლე მტერი.
სადღაა ქართველთ ძველი გმირობა!
ოცდაათ წელში მოიშოთ ერი.
ალარსად არის ჩვენი სალდათი,
რომ შემოვიღოთ რეღულის წყობა.
გადაგვაგიწყდა ძველი ადათი
და თავს დაგვატყდა თანაც ღვთის წყრომა.

გრიგოლ ორბელიანი

ხშირად გვიჩვენებს ჩვენ ისტორია
ერს გაოხრებულს და კვლავ აღდგომილს
არარისაგან ისიც სწორია, —
გემართებს ვუშველოთ მამულს
დავრდომილს.

ბატონო ჩემო, აწ ოსმალოცა
და ყიზილბაშშიც ხედვიან ნათლად,
დიდმა რუსეთმა ქართლი დალოცა
და მტრად, მეზობლად მიადგა მათაც.
არ ინდომებენ ისინი ახლა,
რომ საქართველომ მოსისთვოს კვლად
მფარველობაი ვეროპელთ, რახან
ჩსქენიებენ მაჰმად-ხანს ავად
თურქნი ტყილისის წახდენისათვის,
რაც რუსთ შემოსვლის მიზეზი იყო.
მათ შეარჩვენეს შაჰის ყისმათი,
ახალ მთვარის რომ გაჰხარა დისკო.

ი ვ ა ნ ე ა ფ ხ ა ზ ი

ვივარაუდებ ვე ყოველივე,
მაგრამ ადვილი არა მგონია
რედულის წყობა. თუმც მოველი მე:
ჭარბი დალწვეს თავს აგონიას...
უნდა შევიდნენ ჯარში სალდათად
აზნაურები და თავადებიც
სამაგალითოდ, არა ძალადა
და სამსახურის დათქვან ვადები.
უნდა საკუთარ სარგებელს ჰგომოდნენ,
მსხვერპლს გაიღებდნენ მემამულენი,
საბედნიეროდ ერისთვის ოდენ
და ჯარს შესწირონ განძი, ფულები.

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

არა ჩანს ქართლში ის კაცი სანდო,
რომე ნაწილი თვისი ჭონების
დიდ საზოგადო საქმისთვის დასდოს,
მომავლისათვის შენაწონები.

ი ვ ა ნ ე ა ფ ხ ა ზ ი

ამას იკისრებს განათლებული,
არა რეგენი და უმეცარი.
პატივყარილი, ბედით გვემული
მამულის ტრფობა სწორედ ეგ არი.
ახალგაზრდებო, თქვენ გამართებთ ახლა
ქართლს უმეცრების ჩამოხსნათ გულა.
მტერს შეებრძოლოთ ათასი კაბა,
რედულის რედულით ებრძოლოთ უნდა.

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

სავალალოა თქვენი ცდუნება,
რადგან გდრღნით ქართლის მომავლის
იჭვი.

ნაცნობი არის ქართველთ ბუნება, —
ქართველი კაცი საფსვა ნიჭით.
ქართლის აღდგომის დადგება წამი
და არ ჩავეცმეუთ დიაცის კაბას.

ი ვ ა ნ ე ა ფ ხ ა ზ ი

ქართლის აღდგომას სჭირია ეამი.
ვერვინ მიაღწევს ერთბაშად ამას.
ამიტომ ვამბობ: არა მსურს მალე
საქართველოდან რუსეთის წასვლა.

კარგად შეიგნე, რაც დაგავალე:
დარგე ვაზი და დაიწყე გასხვლა,
სანამ დაისხამს სანატრელ ნაყოფს,
მას რომ მოსავლის ბარაჭით ამკობს.
ასი წელიც კი გაივლის აღარ, —
რუსთა წასვლისაც დადგება წუთი,
მაშინ საფლავით აგდახებთ მალა:
პა მოედანი და აპა ბურთი!

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ასი წლის მერმე ერის აღდგომა?
შემდგომად რუსთა დატყვებისა
განა შერჩება ქართველს ლაღობა!
გახდება ღირსი ერის ქებისა!?

ი ვ ა ნ ე ა ფ ხ ა ზ ი

აღმოცენდება, გრიგოლ, ნაყოფი.
ქართლი იხილავს იმ სასწაულსა,
როცა ექნება სკოლა სამყოფი,
უხმობს ხელოსანთ და თან სწავლულთა.
ჩვენს ხალხს სჭირია ოქრო, ხაზინა,
რადგან ვართ მეტად ღარიბ-ლატაკი,
ვალე ვინ მისცეს, მოახაზიროს,
ან ვის მიართვას ქართლმა პატაკი!
(შეცბა გრიგოლი, შფოთავდა, ძრწოდა,
სტუმრის სიტყვებზე რჩებოდა სახტად,
მაგრამ სტუმარი კვლავ განაგრძობდა
გულისმომგველი სურათის ხატვას).

ი ვ ა ნ ე ა ფ ხ ა ზ ი

ნაკუნ-ნაკუნად ნაქუცმაცევი
დღეს საქართველო დაგლეჯილია.
სწორედ ეგ არის ქვეყნის დამქცევი
და შედუღება ახლა სჭირია.
ერთურთის მტრობით განუწყვეტელი
სისხლი მოძმეთა დაინთხებოდა,
აწ შედუღაბდეს ციხე-კედელი
ერთის მამულის სასახელოდა!
თუ გვსურს შევიქნეთ სულით ძლიერი,
მტერი ვერ გვძლევდეს შემოპარული, —
უნდა ვისწავლოთ იმ მდლიერი
მამულის ტრფობა და სიყვარული.
მაშინლა შევძლებთ მამულის დაცვას,
რომ არის მტრისგან შემოზღუდული.
თავზე ვაყრიდეთ დუშმანებს ნაცარს,
რომ არ შეგვიხსნან კარზე ურდული.

გრიგოლ ორბელიანი

არ ძალმიძს, არა, ერის ღალატი,
შეთქმულნი ნიშნის ესლავ ელიან.
როსლა დადგება ის დღე ნანატრი?
ასი წლის მერმე? საშინელია.

ივანე-აფხაზი

როცა მამულის ვისწავლით ტრფობას
და როს ჭართლიდან გადევნით ავსა,
მაშინ აღსდგება ჭართველი ბრძოლად
და ლეონიდის აღირჩევს გზასა.

თავი მორბო

რუსეთის მის ქვეშ

1. არმიადი

არ იცოდა, რომ იუდამ
შეთქმულთ კრება გაჰყიდა.
სწორი საქმე გაიმრუდა,
გამიზნული ჯანყითა...
დაასმინეს პეტერბურგში,
არმიადი ჩარიცხეს.
არ დატოვეს დიდხანს ზურგში,
დასახვრეტად არ იცნეს.
ვარშავაში, ვილნიუსში
მტრის ჯარს ფიცხლად ეკვეთა,
ასახელა ხმალი რუსის,
მტრებს თავები მოაკვეთა.
მაინც ქართლში დაბრუნება
სურდა გარდახვეწილსა.
გულს იმედით აპურებდა.
მაწყვეარი ბედისა.
აკვნესებდა გარდასული
საქართველოს დიდება.
უცხო ცის ქვეშ გაბასრული
კვლავ კალამს ხელს ჰკიდებდა.
იქ დაწერა „იარალი“
ნევის სანაპიროსთან.
მომავალი გენერალი
ჩრდილოეთში სტიროდა.

2. ბანაკი

ჭალაჭიდან გამოვიდა
ჯარი, არტილერია.
იენისის მზის წყალბოთითა
ცხელა, გზაზე მტვერია.
წინ მიუძღვით ოფიცრები
ათას სალდათს წვერიანს.
დიდ რუსეთის ღვიძლ მენი

ძველ სიმღერას მღერიან.
უკვე ბევრი წელი არი
არ უნახავთ ცოლშვილი,
შავი ჭირით გადამწვარი
სახლი, კერა მოშლილი.

ნოვეოროდთან დედა-ვოლგა
მდორედ მოედინება.
მის ნაპირას ჯარი მოდგა
და იქ დგომა ინება.
ჯარი ველზე დაბანაკდა
და გაშალა კარგები...
ჩანს არყის ტყის ფაფანაკი,
ჯავრის გასაქარვები.

წინ ველია თვალუწვდენი,
ტყის პირი და შინდორი.
განა იყო გაუწვრთნელი
ბატარვა გრიგოლის!
არ იცოდა დაზარება,
ბომბარდირებს გეშავდა.
იგრიალეს ზარბაზნებმა --
ხახა გახსნა ვეშაპმა.

3. დაუპატიჟებელი სტუმარი

კვირას განა ბანაკშია, —
ჭალაქს მიდის სადილად,
ბორგავს, მუდამ ლხინი შია,
ქართველია ნამდვილად!
აჯადოებს ეშხით, გარჯით,
ბანოვანებს, ოფიცრებს.
„დღეს სადილად ჩემთან დარჩით“, —
ამზანაკებს აფიცებს.
ეტლში ჩაჯდა და ჭალაქში
სასყიდლებზე წავიდა.

რა იცოდა თუ განგავში
ატყდებოდა თავიდან!

* * *

მასპინძელი მხიარული
სანოვაგით მოვიდა.
შემოსძახა ღია გულით
ამხანაგებს შორიდან.
სალდათებმა შეიტანეს
ღვინის კასრი, კალათი.
სადილამდე „შეითანეს“
გაუშლიათ ქაღალდი.

გრიგოლს უყვარს მასპინძლობა,
პურის ჭამა ქართული.
პქონდა ლხინი, შაირობა
და სუფრა გამართული,
როს მივიდა კბილის ჭია —
პოლკოვნიკი — ჯანდარში.
მყის გრიგოლმა მიიწვია
მოციქული ჯანდაბის.
ხედავს, რაღაც ქარაოცობს
უშნო, კუშტი სტუმარი
და მასპინძელს აღარ მოსწონს
იმ კაცის ნაუბარი.
სტუმრის სიტყვა მკაცრი იყო,
არა ნალამაზები:

— ბინა უნდა გაგინხრიკოთ
უმაღლესის ბრძანებით!
თქვით, თუ იცნობთ ბატონიშვილთ:
დიმიტრის და ოქროპირს?
დიდად ვწუხვარ, ლხინს რომ გიშლით,
ამბობს მცველი მონობის.

— თქვით, ელიზბარ ერისთავსაც
თუ იცნობთ და საიდან? **ერისთავი
გრიგოლისა**

— ვით არ ვიცნობ ნათესავთა
და მეგობართ... რა გინდათ?
— რილევის „ნალივაიკო“
თქვენა თარგმნეთ ქართულად? —
მყის მგოსანი გაინაბა:
ხედავს, საქმე გართულდა.
ეაშმა განვლო, გვიან არი,
აცივდება ჯანდარში:

— თქვენ დასწერეთ „იარალი“?
— დიას.
— საქმეც მანდ არის!
თქვით, რა გსურდათ გეთქვათ თქვენა?
— რაც შიგ არის ნათქვამი:
შექცევა და ქართველთ ლხენა.
მიკვირს, გითხრათ მართალი... —

პოლკოვნიკმა შეკითხვითა
გული ვერ მოიჭურა:
— იცით, ქართლში ეგვიპტიდან
ფაშამ რა მოიწერა?
— მე რა ვიცი, — გაუკვირდა
ორბელიანს შეკითხვა.
ბეც პოლკოვნიკს აუხირდა:

— რა კითხვები შეგიბზავთ? —
დაუწერეს განაჩენი
პეტერბურგში თიბათვეს,
ხოლო ქართლში დანარჩენი
ტანჯვა ხონჩით მიართვეს.

თავი მესამე

აკლავრის ყაზარმაში

1. პატიმარი

ავლავრის დიდ ყაზარმაში
მოათავსეს, გალალეს.
დაუმსხვრიეს აზარფემა,
„იარალი“ ანანეს.
გასცქეროდა პატიმარი
მტკვარს, ბაღებით მოფენილს,
ამას წინათ ნატიფარი,

მტარელის უარმყოფელი.
დიდ სიონის რეკდა ზარი,
მოფრინავდნენ მტრედები.
ისევ დუმდა განჯის-კარი,
ნარიყალა, ქედები.
კვლავ საღამო იყო წყნარი
და მომგვრელი ნაღველის,
მზე წითელი, როგორც ფარი
სამასი არაგველის.



მოაგონდა მგოსანს ომი,
შავბედითი კრწანისი,
ცხრაშუბაში ქართლის ლომის
მწარე მოთქმა, ხმა მისი,
სად გადაწყდა ქართლის ბედი
ლუნიძის ამარა.
მას შაირით შემოქმედი
იგონებდა ამგვარად.

2. კრწანისის ომი

„ქართლს მოადგა მაჰმად-ხანი, —
დასწავს, გაატყვეს.
ციხის თავზე ზარბაზანი
პყუფს, ლომივით ღრიალებს.
თამარ-მეფის ღამაზმანი —
დროშა ქარში ფრიალებს.
ხანს ჩამწარდა რამაზანი
და იშუშებს იარებს.
მაგრამ ისევ მთა და ველი
მტრის ლაშქარმა დაჰფარა.
გამოვიდა ბარნაველი
დაჰკრა ბუკი, ნაღარა.
სამას გმირმა განჯის კართან
დროშა როდი დაჰხარა.
დაიკვალთა ჩოხის კალთა,
ხმალი გაავარვარა.
წინ ვრევლე, ცხენზე მჯდარი,
მიჰქრის, ომში ავღება.
თუმც მცირეა მისი ჯარი, —
მტერი ვერ უმკლავდება.
თუმც კრწანისი და ხევები
მტრის გვაშებით შავდება, —
ომი მაინც ქართველების
დამარცხებით თავდება.“

მტერმა დასცა განჯის-კარი,
ნარიყალა, ჭალაქი.
კვლავ მიდ-მოდის სისხლის ღვარი,
იწვის ტურფა ალაგი.
მუნჯად წვანან ხმლით და ფარით
ვატყავები ფხიანი,
უკვდავები, განა მკვდარი,
ნანას უმღერს ნიაი“.

3. არაბთა დანაშაული

„არ გვაეციყვდება ასპინძა,
არცა კრწანისის მზე, ველი,

შირავანდედით მოსილი
სამასი მძლე არგველი.
ყველა სამასი დაეცა,
ვით ლეონიდეს მებრძოლნი,
მაგრამ მათ ნათელ თვლებსა
ვერ გვარება ქვემძრომი.
სამასი ბაგე დაღადებს:
„მგზავრო, ქართველებს უამბე,
რომ თვის მამულის დაცვაზე
ვერას ჰპოებენ უამებს...“

4. სამეფოს დასასრული

„ჩანს ვრევლე ცოცხალმკვდარი,
მტერს ჯარს ველარ შეუსევს.
გადასცურა მერნით მტკვარი,
ავ დღეებმა შეუსწრეს.
თუმც სპარსელთა ურდო, ჯარი
ბევრჯერ სისხლით შემოსა,
ბოლოს გატყვდა მისი ჯანი,
მტერი ველარ შემსურსა.
ფიქრს მოეცვა რამ უმძაფრესს,
შუბლზედ აჯდა ღარები.
ამაგი არ დაუფასეს
შემოდნა ჯარები.
შინ აღმოჩნდა მოღალატე
და თბილისი გაჰყიდა.
მტერმა ბევრი მოქალაქე
ჩამოახრჩო, დაჰკიდა.
დაანგრია ნარიყალა,
ქარვასლები, ბაზარი.
დაუბერა ცეცხლს გრიგალმა
და გაჩაღდა ხანძარი.
შინ აღმოჩნდა მტრის მურაზი,
გასცა ციხის კარები.
მიაფრენდა რაშს მუხნარში
მეფე ჯავრით მარები.
უკან დევდა ხმა მუქარის,
ხმა სიონის ზარების.
ახლაც ისმის ცხრაშუბაში
ვახის დანაბარები.
შავი ძაძა ეცვით დღეებს.
მეფე გულგათანგული
ხედაზენის ჭვრეტდა ქედებს,
შეეცოდა მამული.
მოსურვა ერთგულ ყრმებთან
ხევისურეთს და საყვარელ

თელავს ჩასვლა. ეტყვის ღმერთსა:
 „ქართლს ასე რად აწვალე?“ —
 და თუმც მკედარ გულს ცრემლი
 უვსებს.

ხელს უშლიდა მსაჯული, —
 შეაკედლა მაინც რუსეთს
 ქართლი მრავალტანჯული“.

5. ძმობიანობა

კვლავ საღამო იყო წყნარი
 და მომგვრელი ნაღველის,
 მზე წითელი, როგორც ფარი
 სამასი არაგველის.

ყაზარმის წინ დადის ჩუმად
 თოფიანი სალდათი.

ძმობიანობა გაჩნდნენ უმალ
 თარით, ტიკით, კალათით.

დარდიმანდებს შვენიით ჯუბა,
 ჭალაქური ლაზათი.

გუშავს ასვეს ყანწი ჩუმად,
 დაუსველეს ხალათი.

როს გუშავმა ღვიწი შესვა,
 მურწას არ დაეძრახა,

ერთმა თარი დააკვნესა
 და პატიმრებს შესძახა:

— იქონიეთ მოთმინება,
 ბიჭებო, ნუ გეშინით!

მტკვარი ისევ მოდიდდებდა
 ახალ გზით დაგველი.

გაუკვირდა ორბელიანს.
 გაიფიქრა საკანში:

„რა დღეები მომელიან
 და რა გზები სავალნი?“

საპყრობილუ, ძმობიანობა,
 რუსთა ჯარი, დუღევი...

ორ ღმერთისგან რად ვისჯები,
 ვის ვუკმით გუნდრუკი?“

6. ჩივილი

წილად მარგუნეს ამ ყაზარმის შავი საკანი.
 აწ ვარ ტუსადი მოურჩენელ მწარე იარით.
 დიდი ხანია მარტობამ მირწო აკვანი
 და გულს ატყვია მისი დალი და
 ნატყვიარი.

თვითმპყრობელობამ დამიჭირა ნაცად
 ხაფანგით.

იგი მარადეამს პიროვნების სიკვდილს
 იცავდა.
 იგი ვაჭრობდა კაცის სულით ბაზრის
 ყაფანში

და ბრბოს სახელით გმირს უმტვრევდა
 გულის ფიცარსა.

როცა ვიცანი ცბიერება ადამიანის,
 მტარვლის გონება, უნდო გრძნობა და ავი
 საქმე, —

მას უკან გავხდი მე ობოლი, გულდარდიანი
 და აღტაცებით ცრუ სოფელი ველარა ვაქე-

მამინ მტარვალმა სიმათლისთვის წელში
 გამღუნა

და გამიშალა მხამიანი დღენი სუფრებად.
 წყველიმც იყოს, საპყრობილუ ვინაც
 მარგუნა

და აღმიკვეთა სანუკვარი თავისუფლება.

7. პატიმრის სიზმარი

დუმდა ჭალაჭი და ცხრაკლიტული
 დიდი ყაზარმის ხუთი საკანი.

შიგ ოფიცრები თაყაყიდული,
 დამწუხრებული ისხდნენ რა ხანი.

ერთსაც ქართული ეშხი ქმოსავდა,
 ეძნელებოდა ციხის ატანა.

იმის სარკმლიდან ძლივსღა მოსჩანდა
 ცის მიწურული თვალი პატარა.

ის სამშობლოსთვის გულით იღწოდა.
 ერის დიდება იხმარა კალმად.

რას აბრალებდნენ, მან არ იცოდა,
 მაგრამ მტარვალმა იცოდა კარგად.

ერთხელ მოფრინდა უცხო ფრინველი,
 მოინახულა პატიმრის ბინა,

დაჯდა სარკმელზე შვებისმწირველი,
 რომ ტბილ დუღუნით გაედნო რკინა.

მყის წამოიჭრა მამინ მგოსანი, —
 მტრედს დაუყარა ნამცეცი პურის.

მოფრინდებოდა ასე ფრთოსანი,
 რომ განეკურნა პატიმრის წყლული.

ის გარიფრაჯზე და ჟამს მწუხრისა
 ესტუმრებოდა დუღუნით სარკმელს,

კვლავ პატიმარი პურს დაუყრიდა
 და გაიჩინდა საკანში საქმეს.

ერთხელ, როს მტრედმა, ფეხზე შებმული,
 ტუსადს მოპგვარა დისგან წერილი, —

ოხვრა აღმოსდა მყის უნებური,
საკანში ტანჯვით გამოკვერილი.

ცდილობს მაჯაზე გადიჭრას ძარღვი,
დას სისხლის წიგნით წამება ამცნოს.
თვალი აებსნა უძილო ღამით, —
არ გამჭრალიყო ზმანება სათნო...

ღილით შეირყა რკინის კარები.
ტყვემ გაისწორა შიშით ხალათი,
მის წინ, ვით ბედით დანაბარები,
იდგა საზარი სახით ჯალათი:

„რად გაიჩინე შიკრიკად მტრედი?
არ აგმორდება სიკედილი, შლეგო!“ —
უთხრა და მგოსანს დაასხა რეტი
ჯოჯოხეთიდან მოვარდნილ ექვმ.

გვიან მოვიდა გონზე საბრალო,
ღამით გაჰხედა საკმლიდან ჭალაკს,
ძირს ჩანდა შავი კლდე და ნაპრალი,
სადაც ყორანი სჯიჯგნიდა ჭალას.

მტკვარი მიჭროდა ორომტრიალით,
კლდეებს ებრძოდა, შავ საპყრობილეს
და ვიწროებში ეშმა ტიალი
ლემებს ისროდა ხელაპყრობილეს.

8. ზიზნი მიწაილი თავისი ღის უფაიანა და ზინი ვაუღლის მელიტონ ბარათაშვილისაჲში

ეფემია და მელიტონ,
ტატო, ძვირფასო მარადის,
წუხელ მე თქვენგან მივიღე
ისევ ნანატრი ბარათი.

დიდ ბარათაანთ ოჯახი,
შენ ქრისტე ღმერთო აკურთხე,
ხოლო ბილწი და გონჯა კი
ელვით შემუსრე, დამუხტე.

აკოცეთ დედას, ჩვენთან
თქვენ ჩემს მაგივრად, იცოდეთ.
მე დედის ნახვის წყურვილით
სანამდე უნდა ვიწოდე!

ამ ყაზარმიდან გავსცქერი
მეტებს, კლდის თავზე მდუმარეს
იმ ჩვენს სახლს და შენც, დავ
ტკბილო,
ცრემლებს რომ აფრქვევ მდულარეს.

მიცქერენ მუნჯი სარკმელი,
ჩემს დაობლებულ ბინიდან,
იმ ჩვენი ეზოს ჭიმკრამდე
ქურა ამოდ მივიდა,
ზედ ვერ გავივლი, რადგანაც
მელის ციმბირი ტიალი,
მაგრამ მე იქაც წამყვება
ტანჯული ქართლის ტრფიალი.

9. დედის ბარათაშვილისაჲთ თავილი

რა ზეიმი აქვთ ანჩისხატის თავზე
ყორნებსა,
მაშინ როდესაც უნდა ფრენდნენ ორბნი,
არწივნი!
არ ეშვებიან ორბელიანთ ღობე-ყორესა,
მათი ჩხავილი საზარელი ყურში ჩამწივის.
ბედი მდევარი გამომიღვა და ან-მომეშვა,
გარდაიცვალა ღვთის მოშიშე დედა
მშობელი,
ერეკლე მეფის შვილიშვილი, სათნო
ხორეშან,
ვაზი დასხმული სიკეთითა, დაუცხრომელი.

დედას უწმინდესს თავყანს ცვემიდ,
ვითა ღვთაებას.
დავრჩით სამი ძმა, ეფემია აღსაფხე ნიჭით.
არღა მომავლო მუხთალ ბედმა ტანჯვა,
ვაება,
და გზა სავალი მომიფინა აწ ვკალ-ლიჭით.
არ გამიწია ეფემიამ პატიმარს ღობა, —
არ გამიცხადა საყვარელი დედის სიკედილი.
რუსმა მხედარმა მომიტანა სასტიკი ცნობა,
მე რომ დამმეცა, თავს დამამხო ზეცა იმ
ღილით.

რამდენსამე დღეს ტახტზე ვვადე უჭმელ-
უსმელი,
ტანგაუხდელი, თვალუცრემლო,
გაჭვაგებული,

მერცხლის ჭიკჭიკსაც ჩემს სარკმლის წინ
 ალარ ვუსმენდი
 გაოგნებული, გულდამწვარი, გლოვით
 გვეშული.

დღესვე გამიშვეს ყაზარმიდან, თითქო
 მესყიდოს
 დედის სიკვდილით საკუთარი თავისუფლება
 და რომ გლოვისგან ხიფათი რამ არ
 წამეკიდოს, —
 „დამშვიდდი, ძმაო“, — ეფემია კვლავ
 მეუბნება.

ახლად გადახსნილ ჭრილობიდან სისხლი
 აბოლებს,
 მტანჯავს დაკრძალვა ტკბილი დედის ჩემს
 დაუსწრებლად,
 სასაფლაოზე დას გაყვები და ვეამბორე
 მთვარიან ღამით დედის საფლავს უხმოდ,
 უცრემლოდ.

მუნჯად ვიდექი საგოდებელ, ურვის
 ადგილას
 და არაფერზე არ ვფიქრობდი

გონდაშრეტილი,
 თავს მოვიკლავდი იმავე წუთას მე სულ
 ადვილად,
 მიკვირს სიცოცხლეს არ დავუსვი ტყვიით
 წერტილი!

შინ ვბრუნდებოდი მამის სახლში
 დამწუხრებული.
 მე არ მჩვევია ზოგ კაცსავით ენის
 ტარტალი,
 მაგრამ დაეწყველე რუსთა მეფის
 შირონცხებული
 განსჯა, კანონი, მისი სიტყვა და
 სამართალი.
 ისევ მომინდა მე დისწული ჩემი მენახა,
 ტატო — ჭაბუკი, ზნით და ნიჭით
 პირთამდე საყვე,

ჯერ უწვევრული და გამენდო მისთვის
 ერი, ხელახლავ
 ფიჭრი, წუხილი მუხთალ სოფლის ჭირსა
 და ავზე.

10. იველიგაბრუაულის ოცნება

„შინდა დავაგდო ქალაქი,
 აღსაყვე ამოებით,
 მოვძებნო მყუდრო ალაგი
 სოფელში განმარტებით...
 დავტოვე ბაზარ-ყაფანი,
 ცხოვრება საყვე შარითა.
 მეზობლადა მყავს ყაფლანი,
 თვისის კალო და მარნითა.
 მარადჯამს მემახსოვრება
 კოდაში სახლი ახალი,
 სად ვაჩანჩალებ ცხოვრებას
 ჭმუნვით მოკლული, საწყალი.
 მშვედო, საამო, სოფელო,
 მსურს შენს კალთაში მივეგდო,
 მიშველე ცხოველმყოფელო,
 შენ ჩემო დიდო იმედო!“

11. ახალი ზეითი

ამო პატიმრობამ,
 „ნოვგოროდის უგარმა“
 დასცა ბოლოს გმირობა,
 სულის ციხე — უგარმა.
 იმერ-ამერ, კახელი
 გახდა მეფის ერთგული,
 და იღწოდა სახელის
 მოსახვეჭად ბედკრული.
 მაშინ რუსი მეფისკენ
 გაემურა გზა მათი,
 ერთგულება შეჭფიყეს,
 შიატოვეს კამათი.
 გულს ცეცხლი არ ენელათ,
 გახდნენ მიამიტები
 და განიზნა ნელ-ნელა
 ნაშთი ძველი დიდების.

თავი მეოთხე



დ კ ღ ი ს ტ ა ნ ი

1. ღალაშვილი

ინგლისსა და თურქეთს სურდა
კავკასიის დაპყრობა
და ხალხთ შორის, ღამის ქურდმა,
თესა ღვარძლი და მტრობა.
შამილს მისცეს იარაღი,
აამხედრეს რუსეთზე.
გადალახებ იალალი,
მთას ჯაშუშებს უსევდენენ.
ბევრს სტანჯავდა ისევ ქართლის
გარდასული დიდება,
მაგრამ ქრისტეს რჯულის ხათრით
ბრძოლაში თავს იღებდა.
თურქნი რუსეთს როს დაესხნენ,
შამილი გადიბირეს,
შემოეწყენენ ყარსს და მესხეთს,
მისწვდნენ შავი ზღვის პირებს, —
ორბელთანთ ნაშვირი
ლურჯ ტაიჭზე ამხედრდა
და ვით ღომი რამ მშვიერი
თვალთაგან ცეცხლს აფრქვევდა.
რუს მეფის ხმალს უდარაჯა
ქართველ მხედართმთავარმა.
ყველას ახსოვს მისი გარჯა,
ომში ღომის კამარა.
ხმლით ნაიბებს, მურიდებთა
და შამილს მიაშურა.
ჰქონდა მისი მორიდება
განჯას, თემირ-ხან-შურას.
ტრამალი და ბარის ახო
ისმენს ცხენის თქარუნსა.
მისი რისხვა კარგად ახსოვს
მთას, დარბეულ დარუბანდს.
გაიარა დაღისტანი
გაწყობილი ლაშქართ,
თუმც გულს აჩნდა დაღის დარი
ძველი დარდი აშარი.

2. კახეთის ღალაშვილი

შეესივნენ ღვენი კახეთს,
არ მიჰხედეს დაკოდით...
გაუკვირდათ, რა რომ ნახეს
თვალწარმტაცი წალკოტი.
შილდა, გრემი, ენისელი
დასწვეს, სისხლით დასწურეს.
წინ მშვენება ველის ელით —
ალაზანი გასცურეს.
დააყენა ჯარმა ქარი,
მკლავი გაიმამაცა.
პალატები, კოსტად მდგარი,
წინანდალი გაძარცვა.
მიაყენა ხალხს ზიანი,
ბაღში ვაზი გაღარცლა.
ბარბარე ორბელიანი,
ჭავჭავაძე ანაცა
ტყვედ წაასხა ბავშვებითურთ,
გაირეკა ცხვრის ფარა.
ტყვე ქალები მყის შედიდურ
იმამს მთაში მიჰგვარა.
ზაფხულია და შილიფად
დგანან ქალნი, მხეველნი,
აწ შამილის ტყვე შეილისა
სანაცვლონი, მძეველნი.

3. შურიძეობა

ორბელიანს გულზე მოხვდა
ლახვარივით ეს ცნობა.
გადასწყვიტა ღვეთა მოთხრა.
ბრაზი ჰყარა, ღენცოფა.
შუბლი ავად შეიჭმუნა:
მის ბრძანებას უცდიან.
ზარბაზნები დააქუნა
და შამილს შეუტია.
მანამდისინ მოუდრევი
მთის კარიბჭე გააღო,
დასცა ციხე, ბევრი ღვეი
ხოცა, ხიშტზე ააგო.
ამოავსო ღრმა ხევები
დახოცილთა გვამებით,
თითქო შესვა გაბეღებით

მურისგების ჯამები.
 ლექთა ელჩებს ემუქარა, —
 შეჰკრთნენ აღმაცურები.
 ბორკილები გაუყარა,
 დააგლიჯა წვერები.
 ვერ იჯერა მაინც გული,
 ჯავრის განსაქარვები, —
 მიადგა და ტყვეებს ცუდით
 აგდებინა თავები.
 შეუთვალა შამილს მთაში
 მვილზე ქალთა გადაცვლა.
 გამოიხსნა ფულით მაშინ
 ბარბარე და ანაცა.
 შინაურნი ფულსა ჰკრეფენ,
 გაიყიდნენ საწყალნი,
 თუმც სწყალობდა გრიგოლს მეფე
 და თან შეფისნაცვალი...

ისვე თილიმ და ყამყამით
 ლურჯ ტაიჭზე ამხედრდა.
 დღე მტერს ქლუტდა და ღამღამით
 გულისნადებს ამხელდა,
 შინაურთა სწურდა ოდეს
 ქობში მჯდარი დვირეზე:

„დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ,
 მე ლეკები მივლექვე“.

მას კახეთის სისხლი უნდა
 ლექთ კისრიდან აეღო,
 მას შამილთან შეყრა სურდა,
 სურდა ხელში ჩაეგდო.

4. სალათავია, ბახანდალისა და ბურთანაის ალვა

თუმც შამილი გმირი არის,
 ბევრს თავი აქებინა, —
 ის გრიგოლმა, ცხენზე მჯდარი;
 მთიდან მთას არბენინა.
 გადიარა მთა და ბარი,
 შამილს ერტყა ჯებირად.
 შიმოპჟანტა მისი ჯარი,
 სიქა გააგდებინა.
 ტყე გაკაფა, დაიკავა
 სულმთლად სალათავია.
 ციხეები აღიგავა,
 რალა სანახავია!
 სალათავის, ტეხუნცალის
 მურიდები დახოცა.

ინგვლივ იყო მთა, კლდე სალი,
 როგორც შატილს, არხოტსა.

• • •

გრიგოლს შამილი გაექცა,
 ბურთანაისს ჩავიდა,
 დაღისტანი რომ დაეცვა
 დარჩენილი ჯარითა.
 არ დაუდგა კარგი დარი,
 არ იშურვებს ამავსა.
 მოიხმარა დიდი ჯარი
 და ციხე გაამაგრა.
 შემთავლო განიერი
 არხი. გახდა ამაყი
 და მოიხმო მადლიერი
 თვისი ღმერთი — ალაჰი.
 დალაგა თხრილის თავზე
 მთიდან გადამყურენი,
 მიწითა და ქვიშით საესე
 დიდი გოდორ-წყუები,
 რომ ვერავის ამიერთ
 მიეყვნა ზიანი...

ღამით მისვლას და იერიშს
 ბრძანებს ორბელიანი.
 არ ისმოდა არსად ჩქამი,
 ჩადგა ჭარბი ტიალი
 და გაისმა შუალამით
 ზარბაზნების გრიალი.
 ასე იყრის სარდალი ჯავრს:
 მტრის საშველი არ იყო.
 შეუტია და ცისკრის ქამს
 ბურთანაი აიღო.

5. მთათის ბანა

ძველ მეჩეთის ბანზე დაჯდა
 და გაჩხედა დაისსა.
 არ ემჩნია ღამით გარჯა,
 მიერთმეუდა ჩაისა.
 მოაგონდა შაჰ-აბაზი
 ძველ სიონზე დამჯდარი,
 ქალაქი და სრა-დარბაზი,
 რომ გადასწვა ხანძართი.
 მოაგონდა ახლა მთაში
 თვისი მხარე მშობელი.
 თითქოს იდგა სისხლის ტბაში
 დაღისტნის დამპყრობელი...
 მყის ბუკი ჰკრა ჯარისკაცმა,

თან საარი დილისა, —
და გათავდა ფიქრით ჯვარცმა,
ბრძოლაგადახდილისა.

6. ლაშქრობის დასრულება

გუმბეთის მხრიდან გამოჩნდა
ლგკთა ჯარი ურიდი.
შესდგა ხელად და გაოცდა
მხნე სარდალი — მურიდი.
შეეხუთა სული ნაიბს
და დაეცა თავზარი,
რა იხილი ბურთანანის
რუსთა ჯარი ჩამდგარი.
გული დაწვა ცეცხლის აღმა
და ჩაჰკიდა თავია.
დაიკავა რუსის ჯარმა
სულ მთლად სალათავია.
ეს ლაშქრობა ორბელიანს
დაუფასა სარდლობამ.
ჩამოჰკიდა ორდენი და
მოახსენა მადლობა.
მეფემ ბრძანა და მეღერადი
მინიჭეს წოდება:
„გენერალ-ლეიტენანტი“, —
აწ ვინ გაეტოლება!

7. პარობაული

მასში ბუდობდა, ეტყობა,
დიდაცათა სულისკვეთებაც,
როს ნერწყვიანად ეტყოდა
თავის ძალუა ქეთევანს:

„იანარალ-ადუტანტობა
ანაზდეულად მოვიდა“, —
გახარებული ამბობდა
ჯუბაზე წითელ მოვითა.

„არ მიმიძღვის ესოდენი
სამსახური, ჩემმა მზემან,
რამდენიც და რაოდენიც
მიწყალობა ხელმწიფემან“.

* * *

თვალწინ მიდგას ორმაგი
სახით კაცი მზირალი,
კაცი — ტახტის ქომიგი,
ქართლის ჭირით მტირალი.
ქართულ სიტყვას დარაჯობს,
სევედის ზღვაში შესტობა.
თანაც ქეიფს განაგრძობს, —
ქართველია ეტყობა!
არის ჯადომეგრული
თამარ მეფის ზატითა,
ქვეშევრდომი ერთგული
რუსთა მეფის ტახტისა.

თავი მესამე

დაბრუნება და შინ მოსვლა

1. პაპანაძეობა

მაშინ უდაბნოს პაპანაძეებით
თბილისს ხუთავდა გვალვის უემური.
იღვა მახათა, როგორც აქლემი,
შზით გატრუსული და გარჯული.
ჩანს სოღანლუღის და ვაზიანის
ველი უვაზო — მეკადარი სამგორი,
ცხელი ქვეყნების თანაზიარი,
ბევრი ვაების მომსწრე, გამგონი.
მიწა გოდებდა მოწყურვებული:

გველმა შთანთქაო სამი ასული...
ხმებოდა ხეთა ფესვი ქებული
და გამხმარ ხეზე ვაზი ვასული.
მიწა პურადი, წინათ ფხვიერი,
ნაცრად ქცეული, იწოდა მწირი
და იწვა ახლა შიგ მორიელი
და ღრიანკელი — უდაბნოს გზირი.
გვალვა სტანჯავდა თბილისს იარით
და მზე ელვარე ისე ბრწყინავდა,
ვით საკირეში ცეცხლის ტრიალი,
ხელად რომ ადნობს კირქვა — მინასა.

2. უდაბნოს სუნთქვა

ნიწა გოდებდა. მზის ნაღმით გასკდა
 კლდე გოლიათი ძველ ქამისანი.
 რომელ მიწისძვრამ დაზვინა დასტად
 წრე და ფენები ხალი კლდისანი!
 ეს მთა ყოფილი დიდ ზღვის ფსკერია,
 სად გააჩალა კაცმა კერია,
 როცა გამოჩნდა კავკასიონი,
 მისი მწვერვალნი გასაკვირონი...
 მერმე გავიდა ჯამი მრავალი
 და შემოვიდნენ აქ სხვა ტომები,
 შუამდინარის გზებით მავალი,
 გაკაეებულნი ცხარე ომებით.
 შექმნეს ტაძრები და ქალაქები,
 სახელმწიფო და განძთასაფარი,
 დაბა, ქალაქი, უცხოდ ნაგები,
 გარსშემორტყმული ციხის ქამარით...
 და საქართველო გაღაღებული,
 ბრძენი დავითის, ტურფა თამარის,
 კიდიოქადემდე იყო ქებული...
 მაგრამ მტრებს შურდა ჩვენი მთაბარი!
 აქ მაჰმად-ხანი, კაცი უღირსი,
 ჰხოცავდა დიდს და პატარას, ყველას.
 უდაბნოს მკვიდრი — ის საჭურისი
 ჩვენს სამშობლოში ეძებდა შველას,
 როცა იხილა დიდსასურველი
 სამოთხის კარი, გზა და ბოგირი,
 ქართლის ბუნება გასაკვირველი
 და კლდეში ცხელი წყალი გოგირდის.
 ვიცი, მარტოლა არც შაჰ-აბაზი,
 არც მაჰმად-ხანი და თემურ-ლენგი
 იყვნენ მწერველნი ჩვენი ლამაზი
 მშობლიურ მიწის, ხალხის და ნერვის.
 მულანის უნდო უდაბნოს ბული
 ვლიდა თბილისზე ირანიდანა, —
 რომ აქ ჩაექრო სიციცხლე უბვი
 და გულს დაესო ფირალის დანა...
 მაგრამ დაამხო ხალხმა მტარვალნი
 პირსისხლიანი, თმით მავალი
 და შეაჩერა ქართლის კარებთან
 ცხელი უდაბნოს ავი მოქნარება.
 წინ გადაუდგა ბუნებას ხალხი,
 ბაღით შექმოსა დამწვარი მიწა,
 ზღვა შეაგუბა იორის არხით
 და ქართლს ახალი ცხოვრება მისცა.

დედაქალაქო, შენს დიდ მომავალს .

ასრულებული ნატვრა ატყვია!
 შენი ტრფიალის ერთი მონა ვარ,
 შენებრ ვიშუშებ ათას ნატყვიას
 გაქრა მრავალი ჩინვის-ყავნი,
 პირსისხლიანი მტერი-დუშმანი,
 ჩვენი დამქცევი უნდო კანი,
 ვაჟთან ნაწოლი და ნაბუშარი.
 აღსრულდა! მორბის მტკვარი ბუბუნით.
 მთაწმინდის ბაღში უსტვენს ბულებული,
 ყრმა და მოხუციც დამდგარა ფარად,
 რომ ქართლის კერა ღვივოდეს მარად.

3. ღალისტენი

ზარ-ზეიმით შეეგება
 ორბელიანს თბილისი.
 თმა ქალარას შეეღება
 დაღისტანში იმისი.
 მაინც იყო მხნე და ჯმუხა,
 ჯანიანი, ჩასკენილი,
 ძირგადგმული ქართლის მუხა,
 ხორცსავსე და ძვალმსხვილი.
 რუსთა მეფის სამსახურში
 მწვერვალამდე მისული
 ეფემიას იკრავს გულში,
 მოიკითხა დისწული.

* * *

დადგა გვალვა, აღარ ვრილობს.
 თბილისია საკირე.
 აგარაკზე წასვლას გრიგოლ
 ტაბახმელას აპირებს.
 სვამს თავადი ყინულ-თასებს,
 წყველის არემარესა,
 კირითა და მტვერით საცეს
 ცხელ, შეხუთულ ჰაერსა.

4. სტუმრები დაბახმელისა

ტაბახმელას გადაჭურებს
 მთა კოჯრისა ტყიანი.
 და გენერალს ნაბახუსევს
 შუბლს უგრილებს ნიაჯი.
 თუმცა სურდა მშვიდი ჭვრეტა
 ომით დაღლილ დაღისტენელს, —
 აწ სტუმრობა იწყებს მეტად,
 განცხრომა არ აღირსებს.
 ჩამოვიდნენ კოჯორიდან

ტურფა ქალნი ცისანი,
იქაურის მოჭორვითა,
ყველა დიდგვარისანი,
მოდის ქოლგაგადაშლილი
ქალბატონი ვარინკა,
სოსო იასაღამეილი
და ძალღაანთ ზალიკა...
სტუმრებს შვენით ქუდის მოხდა,
მოხუცთ — თეთრი წვერები,
ჭაბუკთ — ხმალი, ჩოხა, კობტად
შეკაზმული ცხენები;
ქალებს — ტბილი საუბარი,
სარო ტანი და სახე,
ეზოს — მწიფე ალუბალი
და მალალი სასახლე.

5. აუჯთან

სასახლის წინ აუზია,
შადრევანი მალლა სცემს.
ბაღი ხეხილს აღუვსია,
ბაეშვებმა რომ გაღარკლეს.
მთვარისა და მზისა დარი,
შავ, ბრიალა თვალებით,
აუზის პირს ჩამომჯდარი
კისკისებენ ქალები.
მოღერილი უჩანთ ყელი,
გამომწერწვის ღირსია.
ბუჭდებიან ნატიფ ხელით
წყალში ნამცეცს ისერიან.
ხმელი პურის იმ ნამცეცებს
თევზნი მარჯვედ იჭურენ.
ქალბატონი თვალს აცეცებს, —
ასეთ ნიჭს რომ იჩენენ.
მას თევზები უყვარს ძლიერ, —
თავის ხელით ჰკვებავდა.
ახალგაზრდა და მშვენიერ
სახეს წყალში ზედავდა.
ასე ჰკლავდა უდარდელად
დროს, განცხრომა ეწადა.
არ ესმოდა მუდარება, —
წყლის სათავეს ჰკეტავდა.

6. სოფლის ბაზირვია

ტაბახმელას მინდორ-ველი
მაშინ უწყლოდ ხმებოდა.
და შიმშილის უნდო ზელი

გლებებს ყელში წვდებოდა.
მიწურებთან იდგა როფი,
უწყლო და ცარიელი.
დუმდა დაბა ჭირში მყოფი
და ცის დასალიერი...
როს ჭენებოდა გვალვის ძალით
ხე, ნათესი, მწვანელი, —
ხალხს შველოდა წყაროს წყალი,
მთიდან გამოყვანილი.
თავდებოდა ხევის პირას
ბაღის ღობე ტყრუშული.
მერმე ჩანდა ის წყალძვირა
დაბა გადატრუსული,
გატრუსული ტაბახმელა,
მიწური და ქოხები,
ხალხი ჩია, ტაბაკვერა,
ჯავრის ამოხებით,
ქალაქელთა უნახავი,
მჭლე, გამზდარი ქალები,
რომ სიბლავდათ სულ ახალი
ხაბარდულა კაბები,
კნეინების ჩისტკოპი,
სამკაული, იერი...
დუმდა დაბა, ჭირში მყოფი,
და ცის დასალიერი.

7. შაღღაზა

დგას ურემი ცაცხვის ძირას
ფარდაგჩარდახიანი.
ჩამოჰკიდეს თავდაყირა
ხეზე თოხლი რქიანი.
ამოიღეს ოთხში. მსუყვე
მოჩანს ხორცი რძიანი.
ააცალეს ცხვარს სასუკე, —
შესწვან მწვადი ცვრიანი.
კურატს, ბიჭი წყალს რომ ასმევს, —
დანა დაკლავს ბოროტი.
მოღში გდია ღვინით სავსე,
გალემილი კოლოტი...
სოფელი კი, ჭირში მყოფი,
დუმს ლატაკი, მშვიერი.
მიწურებთან გდია როფი
უწყლო და ცარიელი,
დუმს სოფელი, ჭირში მყოფი,
სულსა ლაფავს ჯაფაში.
ბატონის ბაღს იცავს თოფით
გოლიათი ჩაფარი.

8. ნადიმი

გრძელი სუფრა გაიშალა
დიდ ცაცხვის ქვეშ მინდორზე.
უმალ იგრძნობ ღვინის ძალას,
ჭამაც რომ არ გინდოდეს.
მოერთშიათ პური, ყველი,
მთალი და ხაშლამა.
გამოიღო ყველამ ხელი,
ღვინომ მადა აშალა.
უსვი არის მასპინძელი:
აშიშინდნენ მწვადები.
მოიტანეს „რქაწითელი“,
ცივ წყაროში ნადები.

„გაუმარჯვე ღმერთო, ბატონს“, —
ამბობს დინჯი თამადა.

თქვეს: „იცოცხლე!“ — ტურფა ნატო

ბულბულს გაეკამათა.

„ქალბატონი ქოლგინი
ღმერთო, შენ აღღერძელე
იძახოდა ჩოხიანი,

ქალს რომ უკდა გვერდზე
უღიმოდა მშვენიერი
ქალბატონი ვარინკა.
ტოლუმბაშმა ბედნიერი
ჯამი ჩამოარიგა.

თქვეს სიმღერა მოკისკასე
და გამართეს ფერხული.

წამოიწყეს დოლის ხმაზე
ფალანობა გლეხური.

სოფელი კი, ჭირში მყოფი,
ჩაფლულია ჯაფამი.

ბატონის ბაღს იცავს თოფით
გოლიათი ჩაფარი.

თავი მუშაობა

მშეპირის შიკრები

1. ელისაბედ ორბელიანი

ელისაბედ ორბელიანს
გრიგოლისთვის, ჩაკოცნით,
მოეწერა: „მოგელიან,
საქმეა მოსალოცი...“
ელისაბედ იყო ცოლი
რუსის — მთავარმართებლის,
მშვენიერთა ცალი, ტოლი,
ქალი დიდი ქართველის,
ჩვენი მგოსნის ნათესავი,
მისი მოსიყვარულე,
ეშხით საესე მთავრესავით,
ცხრაწყაროს რომ დაჰყურებს.

2. მთრად კაპის საფლაგზე, როცა ბორ-
ჯოგს ბაიშეხაპრა

მიჰქრის ეტლი, მიიჩქარის
და ეგუნები ქლარუნებს.
მგზავრს მიჰყვება გვერდით მტკვარი,
მტკვარი შეებას არგუნებს.
აჰა ჯვარის მონასტერი,
მცხეთა, სვეტიცხოველი.
მოეგება მგოსანს ბერი,

დეკანოზი ქსოვრელი.

გამოაღო ტაძრის კარი,

დრო-გამისგან შეჭმული.

ჰა მაცხოვრის ხატი, ჯვარი

შუქსვეტად დაშვებული.

გენერალი, საფლავთ შორის,

პაპის საფლავს დაჰყურებს.

ზედ წარწერას უცქერს გლოვით
და ცხარე ცრემლს აჰყურებს:

„ჭართლს, შენებრ გმირი სარდალი

იშვიათად თუ ჰყოლია.

პრუსიის მეფე ფრიდრიხიც

გაქებდა, გამიგონია.

კავკასიაში შეთნისა

ზღვათაებრ გერტყენე ურდონი,

მაგრამ ხმაღდახმაღ იბრძოდი,

რომ გაგველიტა უღვთონი.

შენ ხეცსურითა შეიდიოთა,

შინაყმით შევიცულითა

მტრის ჯარს ევეთე მრავალჯერ

მცირედის ჩინებულითა.

თავი სიკვდილმდე გასწირე,

ქსოცე ხანი და ყაენი,
 მით გახდი ქართველებისთვის
 ასწილად სათაყვანები.
 სამშობლო ხატად გეხვეწა,
 სანამ გმირი არ გათავდი
 და მის დიდებას ომებში
 სისხლის წვეთებით ხატავდი.“

8. ცრამლავი

გადმოყურებს ზედახენი
 ზვეში დევთა ნამუხლარს.
 მგზავრს ფიჭრი წყავს შემაზრხენი,
 წინამძღვრიანთ ცხრამუხა.
 უკან დარჩა მცხეთა, ისევე
 მტკვარი შემოფეხება.
 იისფერმა ნისლმა მყისვე
 ქართლის მთები შეღება.
 მოაგონდა მგოსანს ომი,
 შავბუდითი კრწანისი,
 ცხრამუხაში ქართლის ლომის
 მწარე მოთქმა, ხმა მისი,
 სად გადაწყდა ქართლის ბედი
 სოლომონთან კამათით
 და ატირდა შემოქმედი,
 ნაშიერი ამათი.

4. ზორისციხე

ეტლის ზარი სტირის მგონი,
 ისეთ გლოვით ეღარუნებს!
 უცხო მგზავრი ტირიფონის
 ველს კაემნით გაყურებს:
 ჰა, გამოჩნდა უფლისციხე,
 კლდეკარის სახურავი,
 გორისციხე — მალა ცისკენ
 კიდობანი მცურავი.
 უზარმაზარ გემის დარი,
 კლდეთა ქიმით შეკრული,
 ქარიშხალთან ნაომარი,
 ნავთსადგურში შესული.
 არის ციხე, მუნჯად მდგარი,
 ცისკენ თავაღებული,
 ქართლის ძველი, მტკიცე ფარი,
 ოდითგანვე ქებული.
 იმის ფართო გალავანით
 შედიოდა მრავალი

შორეული ქარავანი,
 შავი ზღვისკენ მავალი,
 ცის თაღებში უდგას თავი
 ციხეს გზაჯვარედინით.
 გარს ეხვია უთვალავი
 თემურ, ჯელალ-ედ-ინი...
 გარს ეხვია ტომშრავალი
 მტრის ურდო და ლაშქარი.
 მაინც წამდა მომავალი
 და ქართლის შშის კამკაში.

მიჭქრის მტკვარი და ღიასვი,
 ეტლის ზარი ეღარუნებს.
 გული ვერ სძლებს გალიაში,
 ქართლის მოსიყვარულე.

5. ბაშისკართან

ლიხის მთიდან მოჭქრის ქარი,
 უჩინარი ძალის მცველი.
 გაიარა ტაშისკარი,
 ქვიშხეთი და ქართლის ველი.
 უღელტეხილს კარი მოხსნა,
 ღვართჭაფებით მოსდევს მტკვარი,
 უდგრომელი ძალა მოსავს
 თვალისათვის უჩინარი.
 აშარ ქართი აშრიალდა
 ვერხვისა და არყის კაბა,
 ზეამალა მწვანე კალთა,
 მერმე შეხვდა მთაში დაბა...
 გორში არხვეს ალვა საროს,
 ტოტებაყრილ ვერხვებს, იფნებს,
 ხან ჭანდრებზე აბეზარობს,
 ხან ფრთებს ტაშით შემოიქნევს.
 იჩქარაიან აღმოსავლეთს
 ღრუბლები და ხეხილები,
 ტოტებს ტოტი წამოავლეს,
 ჰხიბლავთ მთათა გრეხილები.
 აცახცახდა ცაცხვი, ვერხვი,
 წიწვიანი მწვანე ჯაგი
 და დაადგა ქარმა ფეხი
 მთას მაგარი და მაჯაგი.
 გაიარა ქართლის ველი,
 უკან დარჩა ციხე გორის,
 ველი ბრძოლით განაჭვლი,
 სააკაძის დიდი ომით.

* * *

მიქტრის ეტლი, მტკვრისა პირას
ცხენის ტორი თქარუნებს.

გულსაკლავად, რაღაც მწირად
ზანზალაკი ეღარუნებს.

ორბელიანს მტკვრის ტალღების
რბენა აღარ სწყინდება.

კაცი, ომში ნალადები,
მოგონებით ინთება.

ტაშისკართან აგონდება

სააკაძე გიორგი:

„ვერ გასცურეს მონღოლებმა

მტკვარი ათას იორღით“...
ქამი იყო მოწეული

მზის სავახშმოდ ჩასვლისა

და ცა კრთოდა ძოწეული,

როგორც სისხლი კაცისა.

6. არ იცოდა

გენერლის გულშიც წარსულზე

ცეცხლი, ხანძარი ღვიოდა,

ახლა მომავლის სასურველ

ცხოვრებას რომ არ ჩიოდა.

განა იცოდა ნამდვილად

თუ რად ჩსაოდა ყორანი,

თვის საგოდებელ ადგილად

რომ აიჩემა ბორანი!

ან გასული წლის ჩაღები

რად ჩანდნენ ჩამპალ ღერითა

და არ ხარობდნენ ჭაღები

ძველისძველ ოროველითა!

თუ რისთვის იხსდნენ ყვავები

ქართლში ბოროტი თვალებით

და გაქრა დანახვავები

კალო თუ ოქროს თაველი? რად

რად გადაშენდა ტიალი

ულაყი დასაურვები

და მილოლავენ ჭრიალით

გლეხის დაშლილი ურმები;

ან რად სძინავდა საღათა

4. „მნათობი“, № 7

ძილითა მთა-ბარს დანისლულს

და კობტა ბიჭი ლაღადა

არ აკითხავდა დანიშნულს?!

7. მეფისნაცვალე ბარიატინსკი

გადაღლილი ომით მთაში,
თვის სარდლობის თანხმობით,

ისვენებდა ბორჯომ-ბაღში

დალისტანის დამხობი.

მან შამილი დაამარცხა

და აიღო გუნები.

ცხარე ომში მსაყ დაცხა,

იყო გალახულივით.

დაუხოცა ვეფხვეს ლეკვები —

ვაჭვაცები ურიდი,

წამოასხეს ტყვე ლეკვები,

ნაიბები, მურიდი

და მიგვარეს მხედართმთავარს

დალისტანის იმამი.

არ დაუწყო იმამს დავა,

აიფარა ნიღაბი.

გარუჯოდა ბრძოლის ალით

შამილს სახე და ჯუბა.

დაუტოვა რუსმა ხმალი,

თეთრი ჩოხაც აჩუქა.

8. სასიხარულო ამაზამი

მიეგება სიყვარულით

გრიგოლს ელისაბედი.

ბარიატინსკიმ სიხარულით

უთხრა სიტყვა აგეთი:

„ჩემო გრიგოლ, შენი ნახვა

დიდ ხელმწიფემ ისურვა“ —

გმირს პირჯვარი გადასახა,

მეფის კართან მისულმა.

გაეხარდა ორბელიანს

ის მოწვევა მეფისა:

„პეტერბურგში მომელთან,

მეფის ნახვა მეღირსა!“

ქალაქი ნეკეზი


1. პეტროპოლისი

სად ქუანტობები არა შრებიან,
 ნისლში არა ჩანს მზე გასაკვირი,
 ზღვაში გემები ვეღარ შედიან
 და საწელკავე ბლავის საყვირი,
 სად უკუქმევულს ქარიშხლით ნევას
 აწვება ტალღით ზღვა ბობოქარი,
 სადაც მდინარე ვერ უძლებს წნევას,
 მოარბევს ქალაქს მორევთა ზარით, —
 იქ გოლიათი გაჩნდა ქალაქი
 და ხუროთაგან ხარბად იზარდა,
 თითქოს არ იყო სხვაგან ალაგი
 აღსასრულებლად პეტრეს მიზანთა!
 მკაცრი და მწყობრი რბიან სახლები,
 სრა-სასახლეთა სვეტი მარმარი.
 ეს გვეგმიანი ქუჩა, არხები
 მატიაწეზე მეტი რამ არი.
 განძი, დოვლათი დიდთა თავადთა
 უკვდავყო თვისი წარმტაცი ხელით,
 ზამთრის სასახლევ ლაღად აღმართა
 შთაგონებულმა კაცმა — რასტრელიმ.
 დიდი ბატონი ბატონთა მოდგმის
 იყო რუსთ მეფე და მისი ძეცა,
 მხატვარმა ასეთ ქებით და ზოტბით
 რომ გააღმერთა და გამოძერწა.
 აქ ფალკონეტმა, დიდროს მიხედვით,
 გმირად დასახა პეტრე პირველი,
 არ ასვენებდა მეფეს ზღვის ხედი, —
 გზა ვეროპისკენ შვების მწირველი.
 ცხენზე ზის იგი, როგორც ველოდი,
 თვალების გუგა ნალვერდალს უგავს...
 ფინეთის კლდეთა ვნახე მე ლოდი,
 ზედ გაფრენილი მხედარის უკან
 მიიკლაკნება ზანტად მდინარე,
 როგორც მხედარის მერნის ფლტკეებით
 თავგაროფილი გველი მძვინვარე.
 ჭიხვინებს ვაჟა მაგარ ბოჭვენით.
 თვითმპყრობელობა წამით ზარსა ცეცხლს
 დაღრწინლ ხაზით წვანან ლომები.
 ლომებს კი მეფე არ აზარმაცებს
 და სისხლისმღვრელი დგება ომები.
 მაგრამ ომებზე უფრო სასტიკი
 იყო შენება პიტერ-კრონშტადტის,

რადგან ქალაქი, მსგავსი ანტიკის,
 ფუძითაც მუშის ძეგლებიდან აღის.
 აგერ გამოჩნდა ცივი იერით
 არაკრევეის ციხე, ყაზარმა,
 პეტრეს ქალაქი დიდ-შშვენეირი,
 ხოლო კაცის წილ, მხოლოდ მაზარა..
 ბნელი ძაღვების მახსოვს დარაზმვა,
 ხალხი მლიქვნელი, მიეთ-მოეთი,
 როს ბენკენდორფმა — მეფის ნაგაზმა
 სტანჯა, აწამა დიდი პოეტი.
 აქ, სადაც ბაღში დგას პეტერგოფი
 და შადრევნების ცვივა ღვართქაფი, —
 ათასი კაცოც განა ვეყოფით,
 რომ გადავშალოთ ხსოვნის მარქაფი!?
 აქ გადაუტყდა პუშკინს ქამანია,
 აქ მოეჩვენა მეფე დანტესად
 და დაუმიზნა გულში დამბაჩა
 მეფეს — მონობის ხალხში დამთესსა.
 ხალხს აღშფოთებდა უნდო დუელი,
 უფუდეებოდა ფიჭის მარცვალი:
 „დიდო მგოსანო, ალბათ თუ ელი,
 შენი დამბაჩის ნახო ნაცვალი!“
 აღსრულდა! — ვთქვი და გამეგმობრა
 ზღვაზე კრონშტადტი — ციხე, კუნძული.
 ზანტად ტორტმანებს პორტში „ავრორა“,
 დიდ ზარბაზნებით მთლად დახუნძლული.
 ამ ზარბაზნებმა ამცნეს მსოფლიოს
 ახალი ხანის აწ დამკვიდრება
 და დედამიწა მთლად რომ მოლით, —
 ყველგან გაეცემა მისი დიდება.

2. შამილის გოცეაბა

როს შამილმა იარაღით
 შეუტია რუსეთსა,
 გადალახა იალალი
 და ურდოებს უსევდა, —
 რუსთა მეფემ მოლაღატე
 ის დუშმანი შეიპყრო.
 ტყვეს სამშობლო მონატრა,
 სადაც მისი მზე იყო.
 ტყვე პეტერბურგს ეტლით ვლიდა,
 გზა კი, გზა არ გათავდა!
 გაუკვირდა მგზავრს: რა ციდა



მხარეს თურმე მართავდა!
გააოცეს ზღვა ველებმა,
შიშით გული ეწოდა
და მყის მიხვდა, რა ვება
სახელმწიფოს ებრძოდა!
მიდიოდა მოწყენილი,
ბარჯითა და ამალით.
არ გათავდა მოფენილი
ახალ თოვლით ტრამალი.
გადმოფრინდნენ უხარები
ყვავ-ყორნები ჩხავილით,
თითქოს იყვნენ მწყუხარენი,
მატირალნი შამილის.
და შეზარდა ტყვეს ყოველი
რასაც ახლა ხედავდა,
კუშტად იჯდა მთის მპყრობელი,
სიტყვის თქმას ვერ ბედავდა.

3. ალღუმი

პეტერბურგში აღლუმი,
„ურა“, ჯარის ბლავილი.
ჯარს გუნები აუღია,
შეუპყრია შამილი.
სასახლის წინ არ უვლია
ამდენ ზღვა ჯარს არც როდის.
შუშუნები აღუნთიათ,
ნეტავ ქალაქს რა მოსდის!
გრიალებენ შამხანები,
ზარბაზნებიც ვერანი.
ციდან ცვივა მამხალები, —
ციცნათელა ფერადი.
ნევის ფართო სანაპირო
დროშების ტყემ დაფარა,
დაღამებას არ აპირებს:
ჩირალდნების ამრა
დარჩენილა ჩრდილოეთის
ნისლიანი ქალაქი,
სახელგანთქმულ რუს პოეტის
საყვარელი ალაგი.
ყველგან ხალხის ხმაურია,

ყველგან თვალის სვირი.
პეტერბურგში აღლუმი
და ზღაპრული ზეიმი.

4. ნაღიმი

ბარიატინსკის, ორბელიანს —
მთის, დალისტნის დამპყრობელთ,
ჩამოჰკიდეს ორდენი და
იმათ ქებას ამბობენ.
შესვეს ღვინო აზარფეშით,
კახურს რა შეაზარებთ!
ნადიშია სასახლეში,
ოქროს ჭერი ზანზარებს.
ეშინია გრიგოლს: „ეგრე
მუსიკით და „ურათი“
ლამის სულმთლად ჩამოენგრეს.
მეფის დარბაზს გუმბათი!“
ხელმწიფემ და დედოფალმა
იწყეს მისი მინდობა.
ყველა ნაცნობ-მეგობარმა
გმირის ნახვა ინდობა.
ქმონდათ მთავრებს, თავად ქალებს,
მისი ნახვის წადილი
და ერთმანეთს არ აცალეს,
გაუმართეს სადილი,
რომ ენახათ სასახლეში
ორბის ტროლა თვალები.
აჩრებდნენ ჩვილებს ხელში
დასალოცად ქალები.
პეტერბურგში იდგა ნისლი,
ხალხის ტანჯვა, კატორღა.
გაახარა ფესვი მისი
რუსმა იმპერატორმა.
დიდ პატივით შეხვდა გრიგოლს,
გული გამოუდარა.
ლამის ქალი გაურიგოს, —
მეტი რაღა უნდა რა!
მხედარს თვალი აუხვია,
აცეკვა უზუნდარა.
საჩუქრებით დაუხია
ძველი ჭმუნვის სუდარა.

თავი მარჯვ

სტუმარ-მასპინძელი

1. შაჰილიც დაჩაი
გარეთ თოვდა და ქარბუქში
ატყდა ყვავის ჩხავილი,

როს ეწვია პეტერბურგში
ორბელიანს შამილი.
ჩოხით, ჩალმით, თავდახრილი

ზის ყოფილი იმამი,
 მთის არწივი ფრთადაყრილი,
 ჭადარა და მგმინავი,
 თავის თავში ჩაკეტილი,
 მწიგნობარი ფხიზელი,
 კაცი ბრძენი და კეთილი,
 დინჯი, დარბაისელი.

ხალოცავად მოვარა
 სურდა მეჭა-მედინა...
 მწველი ფიჭვი მოვარა,
 მისგან გული ეტკინა...
 დიდად სძაგდა ტყვეს ყოველი,
 რასაც ახლა ხედავდა.

ჩუმად იჯდა მთის მპყრობელი,
 ღიმილსაც ვერ ბედავდა.
 პეტერბურგის ბინადარი
 აწ არაფერს ეტრფოდა.
 მოაგონდა წინანდალი,
 ორბელიანს ეტყოდა:

„დიდად გწუხვარ, ბედის ძალით,,
 ვერა ვნახე აქამდე
 ნათესავნი — თქვენი ქალნი,
 ვერ ვისრულებ საწადელს,
 რომ, თავადო, მათ წინამე
 ბოდიში მომეხადა.

ჩანს ტყვექალებს ჩემს ბინაზე
 გაჭირვება მესვდა.

მაგრამ კაცი თუ ცხოვრობდა
 სადმე ასეთ განცხრომით
 არ ვიცოდი,“ — თქვა გოროზად,
 დინჯად, მშვიდად, დაწყობით.

შამილის თქმულს მაყისვე თარგმნის
 თარჯიმანი გრომოვი,
 ვადმომცემი სიტყვის თარგის
 და ამწონი გრამობით.

მოაგონდა წინანდალი,
 შუბლი შეჰკრა ქართველმა,
 რადგან შამილს წინანდელი,
 ძველი სისხლი მართებდა.

მოაგონდა ტყვედ წასხმული
 ვედენოში ქალები / —
 ანა, შილიფად ჩაემული
 და ბარბარე ბალღებით.

შუნჯად ისხდნენ ძველი მტრები
 აწ ბირისპირ შეყრილნი,
 ერთი — საესე მეფის ჯვრებით,
 მეორე კი — ტყვექმნილი.

2. ვულახილი საზაბარი

ხელი ხმაღზე უქმად ედო
 რუს ხელმწიფის დუშმანსა.
 ორბელიანს მაინც ენდო,
 გული გადაუშალა:

„გუნიბის ციხის დაცემა
 თვით ლეკების ბრალია.
 სულ ღალატმა და გაყვამ
 ჩემი ძალა დალია.

მიღალატეს შეფიცულთა,
 მათაც, ვინც მე გაგზარდე,
 ყველამ გამცა, შემიძულა,
 მეც ყველანი დამზარდნენ.

მათ ჩამაგდეს განსაცდელში
 და ამიკლეს სრულებით,
 ახლა მხედავთ ამ სასჯელში
 ტყვეს, შთავარდნილს უნებლივ.

ბარიატინსკიმ მიფუქქეშა
 სამოწყალოდ ეს ჩოხა
 ასე ბრძანა იმ ქვეშევრ
 ბედმა, ჭირი მეცონხა.“ —

უამბობდა მწუხარებით
 ორბელიანს შამილი.
 და მოესმა უხარები
 ყვაგ-ყორნების ჩხავილი.

მასპინძელი ეტყვის:
 „ასე,
 როგორც თქვენ, მთის მმართველი,
 სულთანის და შაჰის კარზე
 გატანჯულა ქართველი.“ —
 დაყოვნებას ტყვე არ ლამობს,
 აზრის უმალ აღმქმელი.

არ მიჰხედა ლეკმა გრომოვს,
 ქართველს უთხრა სათქმელი:
 — „რას მოიგებს ქართლი ნეტავ
 მთის, დაღისტნის დამზობით?
 თუმც მთა ახლა ქართლს ვერ კეტავს:
 გახდა რუსთა სამყოფი...
 კავკასიის ხალხთა ბურჯი
 და ციხე მეწინავე
 დაღისტანი იყო... გურჯი
 მის წახდენას ინანებს!

ურუს მეფემ, (ვიშით ამბობს),
 ქართლს რა შვება არგუნა!“ —
 ტყვე თარჯიმანს თვალთ აპობს,
 როგორც კაცა თავუნას:

„ურუს მეფეს უხმეთ მწედა,

მცველად მტრების მახისგან,
 მან კი იწყო ქართლის წმენდა
 თვით ქართველი ხალხისგან“... —
 გენერალი შეიშმუშნა
 და თარჯიმანს გაჰხედა,
 ჯაშუშობის ერთგულ მუშას,
 მარჯვედ დამგებს მახეთა.
 შეეზარა მისი შავი,
 თავვისარა თვალეები,
 რადგან იცის მისი ავი
 საქმის, გზის ნაკვალები.
 შეიშმუშნა გენერალი,
 მეფის ტახტის ერთგული.
 თუმც სტანჯავდა „იარალი“
 და სამშობლო ბედკრული, —
 შამილს მაინც მოახსენა,
 ჩაუმარცვლა სულმთლად მას:
 „როდის იყო, მოახსენა
 ქართლი შაჰმა, სულთანმა!?
 არ მიხედვს ულმობელმან
 ქართველ ხალხის ვარამსა.
 მაჰმად-ხანის უნდო ხელმა,
 წყვეულმა და მზარავმა,
 ცეცხლ-მახვილით დასცა ქართლი,
 ათასი წლის სამეფო,
 რომ მტრებს მისი მიწა ადლით
 ერთმანეთში გაეყოთ.
 თქვენც — ლეკებმა ქართლს უყველეთ
 და საომრად აღწევდით.
 ციხით ჯარი ჩაუყენეთ,
 ხალხს სამსალას ასმევდით.
 ბოლოს ქართლის ტირმა შობა
 ჩვენი მეფის წადილი,
 რომ რუსეთთან მეგობრობა
 დაეჭირა ნამდვილი“.
 „მეც წავხდი, შენც წაგახდინე,
 აბა ეს რა წესია!“ —

ფიქრობს ლეკი და სალდინე
 ეჭვები დაესია...
 კუსტად ისხდნენ ძველი მტრები,
 არ სჭიროდათ ვეჭილი,
 ერთი იყო სავესე ჯვრებით,
 მეორე კი — ტყვექმნილი.
 დიდად სძაგდა ტყვეს ყოველი,
 რასაც ახლა ხედავდა.
 ჩუმად იჯდა მთის მპყრობელი,
 სიტყვის თქმას ვერ ბედავდა.

8. იმანი და მისი ხმალი

...და შეეცოდა მგოსანს იმამი
 და მისი ხმალი გადატეხილი,
 მთა იისფერი, როგორც სიზმარი
 და დაღისტანი მთლად დამეხილი:
 „ვინ გამოაწრთო ქალაქ დამასკოს
 უცხო ფოლადი ხორასანისა,
 რომ გაიურებს გულზე დაასოს
 დღისით მზის შუქი, ღამით — ალისა!
 იქნების იყო ოდესღაც იგი
 მამშვენებელი დიდი ჰალიფის,
 მაგრამ მოვიდა, ქამთა ყალიბით,
 მისი სამშობლოს დაცემის რიგიც.
 ყოფილ იმამის წმინდა ის ხმალი
 მეფეს არგუნა ახლა განგებამ.
 ვიცი ფოლადი იგი რისხვარი
 ჩარჩის დუქანში დაიქანებამ.“ —
 ასე ფიქრობდა. მას მწუსარებით
 მიშტერებოდა ისევ შამილი
 და შემოესამათ გაუბარები
 ყვავთა, ყორანთა ავი ჩხავილი.
 შეკრთნენ, დადუმდნენ ის ძველი მტრები,
 ცივ პეტერბურგში ბედით შეყრილნი,
 ერთი — აღსავეს რომ იყო ჯვრებით,
 მეორე — მეფის მონა, ტყვექმნილი.

თავი მცხრბ

ინაჲ სამშობლოში

1. საამირობელება

საკვირველი იყო მართლა
 ამ კაცის გაორება:
 მეფემ ტახტი მიაბადლა,

ბედმა — ამოება.
 გაორებას მოაცილებ, —
 ვერ გაიგებ რაც არი:
 შეთქმულების მონაწილე,

მერმე — მეფისნაცვლი.
 იყო მეფის ტახტის მცველი,
 ქვეშევრდომი ერთგული.
 თანაც ერის გამო ძველი
 შავი ფიჭრით გვეშული.
 ერთგულება მეფისადმი
 მისი გემახსოვრება.
 თან იცოდა: „არის სადმე
 სიმწარითა ცხოვრება“.

3. პატივპატივითა და მათაჲთა

ქეიფსა და ლხინში ჰკლავდა
 ქართლის დარდს, გაჭირვებას,
 თუმც გოდებას უფრო ჰგავდა
 მისი განაპირება.
 გულით შურდა უბატონო,
 უბრალოთა ცხოვრება.
 აღონებდა უმათობა,
 ქვეყნის ამოება.
 შეიყვარა ძველ მეტეხზე,
 მტკერის პირს ლხინი, „არალი“,
 ლოპიანა ის მეთევზე,
 მისი ვერცხლის ჭამარი.
 თვის მუნდირზე უფრო მეტად
 მისი ჩოხის ჩაჭები,
 ჭიანური — ლხინის დედა,
 ლექსში ბევრჯერ ნაჭები,
 ცხვირსახოცი ძოწვეული,
 დარდიმანდთა ლაშათი,
 ორთაჭალის ბროწვეული,
 ხილით საესე კალათი.
 შეიყვარა დარდიანი
 მუხამბაში, მაჯამა,
 ძველებური, მადიანი,
 ქალაქური სმა-ჭამა.

3. პატივი ახალგაზრდას

ორბელიანს ორთაჭალის
 ბაღში ლხინი უყვარდა.
 გამოსცალა ორთაგ ჯამი
 და თავი გაუყვარა
 ყოჯა ბულბულს, ლოპიანას,
 თქმულს მეთევზე ჩაუჭად,
 ლოქო, მურწა, გობიანა
 მგოსანს წინ რომ დაუდგა.
 ბაღს ამშვენებს ყოში, ჯამი,

აზარფემა, ყვავილი.
 თვალს უამებს თავადს წამით
 მოთალი და მწვანილი.
 ზის თავადი დარდიმანდი,
 რა ჰქნას; ლხინი თუკი სწამს?
 შეექცევა დიდის მადით
 მოშიშინე სუკის მწვადს.
 აგაცრემლებს, თუ ხარ ნაზი,
 ლხინის პაპა-თამადა,
 დიპლიპიტო, მუხამბაში,
 თარის კვენესა ძალადა.
 ტოლს არ უგდებს ლექსთა თქმაში,
 მუხამბაში ამულებს
 და შაირის ცისფერ ზღვაში
 ის მზესავით აშუქებს:
 „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
 თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ“.
 მთლად ცრემლებად იღვრებიან
 ბაღში ყარაჩოხელნი.
 რიგრიგობით იმღერიან
 გულის ამოთხებით.

4. მუხამბაში

ყოჯა ბულბულ:

სიჭაბუკე მალე ქრება,
 მოდის ავი სიბერე.
 სანამ სული გამეყრება,
 ბულბულივით ვიმღერებ.
 ვინ ყოფილა ბედნიერი
 ამა სოფლად, ვინ არი?
 რკინასაც ჭამს დრო და ეამი,
 მისი მჯობნი ვინ არი?

ალავერდა:

გადავიდნენ დიდნი კაცნი
 და ქვეყნებიც ძლიერნი.
 ეამი ჯიჯარს ამოგაცლის
 ჯოჯოხეთის მიერი.
 გმირს და ლაჩარს რომ არ არჩევს
 ბედისწერა, რად არი?
 მაინც ლხინის, ტრფობის ფარჩებს
 რომ ვიხურავთ, რად არი?

ბეჟანა მკერვალი:

თუმც სიბერეს გულით ვდარდობ
 ავ სიკვდილის მძევალი, —

მაინც გეტრფი, გულის ვარდო,
 მე — ბეჟანა მკერვალი.
 ფრთაშესხმული აწ წამღვილად
 სამოთხეში მივდივარ.
 არ მცალიან: დღეს სადილად
 სალომესთან მივდივარ.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი:

ყველა გმირი, მისი საქმეც
 განქრა მქლერი ეჟენად.
 შენ რაც იყავ, ის ხარ... გაქებ
 ამიტომაც, ბეჟანა!
 საათნავა ვინ გაჰკილოს,
 მისი ტოლი ვინ იყოს?
 ხან კი კინტოს მომწონს კილო,
 შახტი, ბეჟან, ხანეიკო!

ბ ე ჟ ა ნ ა:

შაგბტე, განა ჯამბაზი ვარ,
 ან ფეხმარდი კანჯარი?
 მხოო, ტრფობით მაღალი ვარ,
 თუმც მკლავ სხივთა ხანჯალით.
 მწვავ, გულს მისობ ცეცხლის უთოს,
 საჩივრად სად ვირბინო,
 მარგალიტის, ოქროს ყუთო,
 ჩემ მაკრატლის გვირგვინო?!

ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი:

თუმც არა მაქვს მიწა-წყალი,
 სახლი, დუქნის დარაბა,
 და ვერ ვუძლებ მე საწყალი
 ქვეყნის დავიდარაბას, —
 ვარდო, ერთი გადმომხედე,
 მზისკენ თავი ავიღო.
 მაწანწალამ და მოხეტემ
 მეფის კვერთხი ავიღო!

ლ ო პ ი ა ნ ა:

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლებს, ვინ არის?
 ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის?
 მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
 ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ლ ო პ ი ა ნ ა ს
 მ ა გ ი ვ რ ა დ:

ორთაქალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
 დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!

ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
 აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!
 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ.
 თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ.
 რტო აღვისა, შენი წელი მგონია,
 მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია.
 ვე თვალეები, ცაში ელვა მგონია.
 ვარდის სუნთქვა, შენი სუნთქვა მგონია.
 როს მეღირსოს, ვთქვა: „გეთაყვა,
 ჩემი ხარ!“

ჩ ა მ ჩ ი მ ე ლ ქ ო:

გენაცვალოს ჩამჩი მელქო
 ვარაყიან თქმაშია.
 შენი ლექსი მუდამ მექოს,
 გამაგრეოლოს ტანშია.
 საამურო მუსამბაზო,
 რა ტკბილი რამ ხმა ხარო,
 მომხიბვლელო, მუდამ ნაზო,
 თარის კვნესის ხმა ხარო.

ლ ო პ ი ა ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს:

მუშის ჩაგვრის ხარ მგომოვლი
 და მეთევეზეთ ძმაკაცი,
 ხელოსნისა და მშრომელის
 მეგობარი, ძმაკაცი.
 მუსამბაზში ჩვენს მაჯამებს
 ჯადოსნურად აზავებ.
 ერთ სათქმელად შეეჯამებ,
 რაც რომ გვითქვამს ლაზათებს.

* * *

ასე ილხენს და ერთობა
 გრიგოლ ორბელიანი.
 დიდკაცობა არ ეტყობა, —
 არის ენამზიანი.
 განა შეხვდა ალაღბედად
 ბაღში, მტკვრის პირს ჩარხთანა
 ლოპიანას, ალავერდას,
 ყოჯას, მელქოს, ვართანას!
 ქეიფსა და ლხინში ჰკლავდა
 ქართლის დარდს, გაჭირვებას
 და გოდებას უფრო ჰგავდა
 მისი განაპირება.
 თუმცა მგოსნის მუხამბაზი,
 სპარსთა ჰანგი, იგავი,
 ვით სცენაზე ყალბი ვაზი,
 კაცის ყალბი ნიღაბი,
 აბეზარი ბუზანკალა,

სულ ბზუილით გართული,
წრიალა და აგანგალა,
თაფლით შემოკვართული, —
მან შესცვალა თავანკარა

ჭეშმარიტი ქართულით.
საკამბაზოდ არ ვცალა:
დარჩა დღენახევარი,
მაგრამ აღარ გაეცალა
მგოსანს ბედი მღვეარი.



თავი მათი

მგოსანი — მუხინსკი

1. ორკაცხელს შუა

ორ ცეცხლს შუა მარჩიელი
ორმაგ ღრმს გამოვბა.
მეფის ტახტის მადლიერი, —
ჩივის ამაოებას.
იყო მეფის მოადგილე,
მისი ტახტის დამცველი,
შეთქმულების მონაწილეც,
„ნალიგაიკოს“ მთარგმნელი,
ქართლის ბედით გულდამწვარი,
„იარალის“ დამწერი,
მეფის ომით გამაძლარი,
დაღისტანის დამწველი,
მუხამბაზთა მალობარი,
ლხინში ცრემლს რომ მალავდა,
ლოპიანას მეგობარი,
ყარაოღელთ თამადა,
დიდ ბუნების ეშხით მთვრალი,
ხარ-ირემი მყვირალი,
„დაძინებულ ბედით“ მკვდარი,
მუშის ტანჯვით მტირალი:
„სჩანს არ იცი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწართა ცხოვრება“.

2. ამაოება

ავსილიყო მოედანი
ამბოხებულ ხალხითა.
აოცებდა ამოდენა
კრება ყველას ნახვითა.
ღარიბმა და დაჩაგრულმა
შეუკუროთხა მთავრობას:
„სრომით, ტანჯვით გაძაგრულსა
როდის ან ვინ წყალობდა?“
მოედანზე დგას ამბოხი
და ნამდვილი განგაში.

ხმალს ეღვარეს და გაპოხილს
არ სურს იდოს ქარქაშში.
ათათას კაცის ღონე,
ჯანყი ვერვინ ჩაფუშა.
გამოსულა მეფურგონე,
ხელოსანი და მუშა.
კინტო, ყასბის და სირაჯის
ახალუხი პრიალეს.
პაპქრის დროშის გარიჭრაქიც
შოდის, არ იგვიანებს.
ყველას მოაჭვს აღშფოთება
ახალ გადასახადით
და სასახლეს არ შორდება
მუქარის ხმა ნაქადნი.
ხალხი მოდის გარეუბნით,
ყიქინით და მუქარით.
დილით მოჰკლეს ბაშ-ბეუქი,
ხმა გაისმა მქუხარი.
თვითონ პოლიციებისტერმა
ხალხი ვედარ გაფანტა.
გუბერნატორს, მეფის მტერმა
გადაუვლო ქამანდა.
მაშინ ხალხთან თვით წავიდა
გრიგოლ ორბელიანი.
არა მარტო თვის კალმითა
იყო სიტყვაშვიანი.
ამდროული გენერალი
საფრთხეს როდი გაურბის.
ხალხს აშშვიდებს ერევანის
მოედანზე საუბრით:
— დამშვიდდით, გონს მოდით, შეიღებო!
კანონი ყველასთვის ერთია.
ამის წინ ვინაც კი თვითნებობს,
მას დასჯის ხელმწიფის კვერთხია.
მისმინეთ, მეცა ვარ ქართველი.
ჯანყი ვით გაბედეთ: ხელი ხართ?

ვარ მეფისნაცვალი, მმართველი,
და თქვენებრ მეც ვიხდი ცხენის ხარჯს.
— შე დალოცვილო, შენი საქმე სულ სხვა
რამ არი:

შენ ცხენს ინახავ და ჩვენა კი ცხენი
გვინახავს.

აი, ჩვენ შორის განსხვავება, მართლაც
მაგარი!

შეერთა მოხუცი. ეკითხება:

— მითხარ, ვინა ხარ?

— მენა? ვერა მცნობ განა ქოთიას?

მე შენი ცხენი დამიკოლია.

— შენა ქოთია? შენთან ჩარხთანა
მიქვიფნია. რა დრომ გასტანა!

— შენ უკვე გახდი მეფისნაცვალი,
მე კი კვლავ დავრჩი მუშა საწყალი.

გახსოვს ავლაბრის ყაზარმა,
როს გეცვა რუხი მაზარა?

მაშინ ჭაბუკი იყავი.

მე ახლაც იგი დარდი მაქვს,
როს შემოგძახე პატიმარს,
თვითვე ჭაბუკმა იგავით:

„იქონიეთ მოთმინება,

ბიჭებო, ნუ გეშინით.

მტკვარი ისევ მოდიდდება

ახალ გზით დაგეშილი!“

ახლა ამ ზღვა ხალხს შეხედე,

ზურგი გიჭკია ამ ჯერად.

ურიდე მასთან შესვედრებს,

შენი სიტყვები არ ჯერა.

— დაიცა, რად გსურს მაწვალო.

დღეს რა ხარ?

— მე? ხელოსანი.

მშვიდობით, მეფისნაცვალო!

— დღეს ხომ მეცა ვარ მგოსანი?

— ქართველი კაცი გვეგონე,

მშრომელი ხალხის მოკეთე.

რისთვის გინდოდა ეს ღონე,

თუ პირში ვნა მოკეტე?

დენერალის ჯუბა გმოსავს,

არავინა გყავს ბადალი,

აღარ მოგწონს ახლა მგოსანს

ხალხის გულისთქმა მართალი?

თუნდ ჩემი თავი გაახმო,

რაც ვითხრა, კარგად გახსოვდეს:

ხალხი მეფის ტახტს დაამზობს,
რა გინდა ბევრი დაყოვნდეს

— დააყენე ენა, თორემ
თბილისი შორს დაგრჩება.

ასე როგორ დავაღორეს,

რომ არ ძალგდის გარჩევა,

სად მრუდია, სად მართალი,

დაგიწყია ტარტალი?!...

* * *

ქარი ცივი და სისხამი

ქროდა, განა გაჩერდა

და გენერლის მოსახსამის

წითელ სარჩულს აჩენდა.

8. მოგონება

ახსოვს მგოსანს პატიმრობა

და ავლაბრის ყაზარმა,

როცა ამზობს აპირებდა,

სძულდა მეფის მაზარა.

როს უცქერდა ჭაბუკ თვალით

მტკვარს, ბალებით მოფენილს,

გულით იყო მზავრულ ძალის

მტერი, უარყოფელი.

როს სიონის რეკდა ზარი,

მოფრინავდნენ მტრედები.

როცა დუმდა განჯის-კარი,

ნარიყალა, ქედები,

როს საღამო იყო წყნარი

და მომგვრელი ნაღველის.

მზე — წითელი, როგორც ფერი

სამასი არაგველის.

როცა ჭვრეტდა მალა მთაში

ოჭროყანას მიფენილს, —

ყაზარმის წინ დადგნენ მაშინ

თარით მოქვიფნი.

აუხვია ერთმა თვალთ

ციხის გუშავს — ყაზახსა,

თითქოს იყო ღვინით მთვრალი

და პატიმრებს გასძახა:

„იქონიეთ მოთმინება,

ბიჭებო, ნუ გეშინით.

მტკვარი ისევ მოდიდდება

ახალ გზით დაგეშილი!“ —

რა იცოდა მჭედელ სიკომ,

ხელოსანმა ქოთიამ,

რომ შეთქმულთა ფიჭრი იყო
 არა გლეხის კოდი,
 მიწა, კავი და სანთელი,
 ხალხის ტირი, შფოთები,
 კალატოზთა გასათლელი
 სვეტები და ლოდები, —
 არამედ სხვა ფიჭრი, ნება:
 ქართლის ტახტის აღდგენა,
 მტარვალის წინ შეთქმულთ კრებამ
 ერთხმად რომ დაამტერა?!
 მოაგონდა ის ძახილი,

ხელოსანი ქოთია
 და წავიდა თავდახრილი,
 გულში ისევ შფოთთა.
 მოაგონდა ძმა-ბიჭები,
 ტანჯვა და საპყრობილე.
 „ბედო, ასე რად ვისჯები,
 ტირის რად დამამშობილე!“ —
 ქარი ცივი და სისხამი
 ქროდა, განა გაჩერდა
 და გენერლის მოსასხამის
 წითელ სარჩულს აჩენდა.

თავი მითითება

ბედი მღვწარი

1. ბათანიაშო

ორბელიანს ორთაჭალის
 ბაღში ღვინი უყვარდა.
 გამოსცალა ორთავე ჯამი
 და თავი გაუყადრა
 ყოჯა ბულბულს, ლობიანას,
 თქმულს მეთევზე ჩაუქად,
 ლოქო, მურწა გობიანა,
 მგოსანს წინ რომ დაუდგა.
 შეზარბოშდა, აღაუღაჟდა
 ღვინით შეფისნაცვალი.
 მაინც მგოსნის დალი აჯდა,
 მაინც იყო საწყალი.
 როს ყვავილებს ველებოდა
 პებელა თავს დაელურით, —
 მგოსანს ცრემლი ერეოდა,
 სწავდა გრძობა ალური.
 სწავდა სახე თამარისა,
 საესე წმინდა მშვენიებით,
 სახე თლილი მარმარისა,
 სახიერი ჩვენიებით.
 არ ენახა ამის მსგავსი
 წმინდა სახე წინადა.
 ქვას, შემოსილს მწვანე ხავსით,
 ბეთანიას სძინავდა.
 წინ, კედელზე დახატული
 ჩანდა სახე თამარის,
 შუქის სვეტად ამართული,
 დამორგუნველი სამარის.
 მარად სურდა მისი ცქერა
 მგოსანს თვალაპყრობილი, —

არ ენახა ქართლის კერა
 მტრისაგან ჩაჭრობილი.
 „ვაპ, რაც წახდა, თუ ვერ აღსდგა“, —
 იძახოდა, ამბობდა.
 მაინც დარჩა მგოსანს აღთქმა
 დიდ მომავლის ამბობრად:
 „სხვა საქართველო სად არის,
 რომელი კუთხე ქვეყნისა?
 ერი გულადი, პურადი,
 მებრძოლი შავი ბედისა?
 შავთა ღრთთ ვერა შესცვალეს
 მის გული ანდამატისა,
 მხნე, მხიარული, მოყვარე
 თავის სამშობლო მზარისა“...
 სწავდა ქართლის „სულთათანა“,
 აღსასრული მარადის,
 ტანჯვით გულში რომ ატარა
 ცივ სამარის კარამდის.

2. მაიბაზია

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
 დაემხო ჩემი ქვეყანა,
 გულს მიკლავს ამაოება,
 საფლავს ჩავდივარ სიმწარით“...

3. კაპარა

ოთხმოცი წლის პებერას
 დაჰფარფატებს პებელა,
 როგორც მისი ვედრება,
 ლოცვას რომ შეედრება:

4. მადრიბა

„ციც და მნათობის მცნობელი
გული ჩავიდა საგულეს,
როცა ვიხილე მშობელი
საშობლო მოჭინახულე.
ქართლო, მიმიღე მეგობრად,
საწუთრომ სად არ მატარა!
შენი ერთი ხე მეყოფა
და მისი ჩრდილი პატარა.
პატარა ჩრდილი მეყოფა,
მცირე ხის სამი ფიცარი,
რადგან ამ ქვეყნის ლენცოფა
და მისი ჭირი ვიყანი.
ქართლო მიმიღე მეგობრად,
შენი ვარ, შენად მიყანი!“

5. ლოცვა ბაბახილასა შინა თქველი

„დუმს ნაღვლიანი საღამო,
დუმს მთები შენავერცხლები,
დუმს ზეცა დაუსაბამო,
აღარ ევიან მერცხლები.
ავი ბუდისგან გვემული,
უშნოდ, უჯიშოდ, სამურად,
მზისაგან დაბრმავებული,
დავლურს უვლიდა ღამურა.
ჩუ, ერემია ქებითინებს,
სტირის რამაში რახილ.
ბედო, ნუ გამოგვიტირებ,
ერს აშორებდე მახვილს!
ბედო, ზეძალით ნაშობო,
ნუ აზრობ ხეთა ფოთოლს,
თავს ნუ დაგვამზობ საშობლოს,
ვით ბაბილონის გოდოლს,
გზა გაგვიწალდე აღზევანს,
უგნური ნუღარ ყბედობს.
აზრის და ენის აღრევას
ნუღარ შეგვასწრებ ბედო!“

ბადილოვი

I

კვლავ გაესცქერი აღტაცებით
თრიალეთის მადლოებს.
ნატრული ვარ მისი ფიჭრი
კალმით გამოვსახო,
გადავლახო მწვანე მთები —

სამადლო და უძო,
სად ხმატკბილი და საამო
კვლავ ბულბული ფუძობს.
წყნეთის მკვიდრი, მობინადრე
ვინახულო მინდა,
მასთან ერთად მოვიარო
ადგილები წმინდა.
ხვეში ობლად შეყუყული
ენახო ბეთანია,
მივაბნოთ თამარის ხატს
თვალეუქუნა ია.
თამარ-ქალის — ქვეყნის თვალის
ტრფობა, ხოტბა, ქება
თქვა რუსთველმა, ქართველ ხალხის
გულში რომ არ ქრება.
არ ვივიწყებთ მის ტკბილ ქართულს,
ჯადოქრულს და მზიანს,
არც ბერ პაპას — ორბელიანს,
ბედდამწვარს და სვიანს,
ზინც თამარის წმინდა სახე,
საშობლოზე დარდი
თან წაიღო სამარეში,
ვით დამტკნარი ვარდი.
მაგონდება ქართლის ბედით
გულდამწვარი, მკვდარი,
უკვდავ გრძნობის გამომთქმელი
ტატო, მისი ქნარი.
ნორჩ ვაზივით შემოვიგრტყამ
მისი გრძნობის სვიარს.
ვით ხეცსურთა ხატობაზე
მინდია და მზია,
სამადლოდან მთაწმინდაზე
ფეხშიშველი ვიარ:
მინდა ვაჟას დავაყარო
ლილილო და ღვია.
დიდ ილიამ და აკაკიმ
ავგიზილეს თვალი,
რათა ერის სამსახურში
მოგვეხადა ვალი.
ყვავილებით ვალამაზებ
მათ დიდებულ საფლავს.
მსურს ჩავსძახო სამარეში,
განუქარეო ზაფრა.
ვუთხრა მგოსნებს, ბრძენ წინაპრებს.
გმირებს კაპარჭიანს,
რომ ვერ დახრა ქართლის ფესვი
ყრუ სამარის ტიამ.

არ მომკვდარა საქართველო,
გახდა ლაღზე ლაღი,
დაამშვენა თავისუფალ
ხალხთა ძმობის ბაღი.
წარმტაცია საქართველო,
ვაგლახ, რომ ვერ ნახავთ!
მის ტრფიალში ამ სტრიქონებს
გულმოდგინედ ვწარსავ.

II

შემოვიარე დედაქალაქი
ლურჯი მანქანით, განა იორღით
და ვერ ვიცანი ძველი ალაგი
ვაგლახ, ვერ ხედავ გრიგოლ, გიორგი!
არ ჰქუხს კრწანისში აწ წარბაზანი,
მიწამ შეჭამა შაპის შაშხანა.
არ ჩანს მეჩეთი, თათრის ბაზარი
და მირზოვეის ტყავის ქარხანა.
მეტეხის ძირას არ ჰყვივს მოლა,
აბობღებული მეჩეთის თავზე.
ქურის მაყალი აღარა ბოლავს
და მიკიტანი არ უხმობს თარსებს.
დედაქალაქის გათავდა ძრწოლა,
ტომადრეული ცხოვრება მრუში.
არ ჩანს ანგალი, პამპულა კოლა,
ელამი კინტო — აზიის ბუში.
აქ ახალ ხიდზე არ გარბის ვირი,
ჩანს მანქანების ზღვა ქარავანი,
ახალ ცხოვრებამ მომართა სტვირი,
წაშალა ძველის ავან-ჩავანი.

ჩამოანგრია მეფის ყაზარმა,
მეტეხის ციხე — მაშვრალთა მტერი.
ახალ ცხოვრებამ უწარმაწარმა
საქართველოსაც უცვალა ფერი.
მხიბლავს ქალაქი ლამაზი მეტად —
ვარდ-ყვავილებით სავსე კალათი,
ნარიყალასთან დგას ქართლის დედა,
ხმლით რომ აკეუწოს მტერი, ჯალათი,
ხოლო ჩაიკრას გულში მოყვარე
და მიაწოდოს სავსე ფილა. —
სტუმარს უხსნიდა ჩემი მოგვარე,
ცხოვრებამ რომ ვერ გაატიალა.
აბანობთან გამლილა ბაღი,
ბაღში გაისმის ტკბილი ქართული.
დამკვიდრებულა ცხოვრება ლაღი
და ემატება სართულს სართული.
მხიბლავს საბრალო არაბი აბო,
ნიშთან სანთელი მეც ამინთია.
ჩემს აღსარებას შაირით ვამზობ,
ძმებისთვის ბევრჯერ რომ გამინდვია:
გადაშენება ქართველთა გვარის
მტრის მოჩმახული ყალბი მითია.
შფოთავს, გრიადებს კლდეკართან
მტკვარი,

მისი ტალღები მარად მიდიან.
ვერ შეაჩერებს მდინარეს სალი
კლდის ვიწროები, ეამი ვერანი.
მეტეხის კლდეზე დგას გორგასალი
და კვლავ ჭიხვინებს მისი მერანი.

სურთქა

ანტიგონე

მოქმედი პირნი:

კრეონი — მეფე თებესი

ვერიდიკე — მისი ცოლი

ჰემონი — მათი ვაჟი

ანტიგონე |
ისმენე | ოიდიპოს მეფის ასულნი

ტირესი — ბრმა მისანი

მაცნე

დარაჯი

თებეს უხუცესთა ხორო

კორიფე

სასახლის მცველნი, მსახურნი და მხვეალნი.

პროლოგი

ანტიგონე:

ნუთუ ვერ ხედავ, საყვარელო დაო ისმენე,
რომ თავის რისხვას, ცოდვათათვის ოიდიპოსის,
სანამ ჩვენ ვცოცხლობთ, არ მოგვაკლებს უფალი ზევსი...
აბა, რა წუხილს იტყვის ენა, რა ავბედობას,
აუგს და ვაგლახს, თუ დამცრობას ჩვენი ღირსების,
რაც ჩვენ შემზარველ თბლობაში არ განგვეცადოს?!
თქვი, ახლა კიდევ რას ამბობენ? მეფე კრეონმა,
კანონი რაღაც დაუდგინა მთელ ქალაქსაო...
იქნებ არც გითხრეს... არ გვიმხელენ იმ საძაგლობას,
რასაც ფარულად ჩვენს ძვირფას ძმას განუშაადებენ.

ისმენე:

ოჰ, არა, დაო ანტიგონე, ჯერ არაფერიც
არა მსმენია საკეთილო თუ საწუხარი,
საბედისწერო იმ დღის მერმე, რაც ძმანი ჩვენნი,
ერთად დაეცნენ განგმირულნი ერთურთის ხელით.
მხოლოდ გავიგე, რომ თებედან არგოსელთ ჯარი
განდევნეს წუსეულ, სხვა კი, დაო, რა უნდა იყოს,
რაც მოხდა, მასზე საშინელი ან საწუხარი!



ანტიგონე:

ვიცი, ვერაფერს შეიტყობდი. მეც სასახლიდან იმიტომ გიხმე, რათა გამცნო ეს საიდუმლო.

ისმენე:

მიანც რა მოხდა? დაო, რაღაც შენ ისე გზარავს.

ანტიგონე:

დიხაც მზარავს. გამიგონე, მეფე კრუნმა ჩვენს ორ ძმათაგან — ერთილა სცნო დაკრძალვის ღირსად, ხოლო მეორეს ეს პატივი აჰყარა სრულად. წესთამებრ მიწას მიაბარა მან ეთეოკლე, არ დაუკლია ზარ-ზეიმი შესაფერისი, და ამით ღირს ქმნა, იყოს იგი მკვიდრი ქადესის... მაშინ, როდესაც გვამი ბედკრულ პოლინიკესი, აგრე ბედითად დაღუბულის, ნაბრძანები აქვს, — არა თუ ვინმემ დაიტყოს, ანუ დაკრძალოს, არამედ უნდა ღია ცისქვეშ ეგდოს საბრალთ ზედ მისეული ყვაე-ყორნების სანუკვარ დავლად. როგორც ამბობენ, ჩვენც გვიბრძანებს სათნო კრეონი, დიხს, შენც და მეც, მორჩილ ვექმნეთ მის მეფურ ნებას. მალე აქ თვითონ მობრძანდება, რომ უფრო ნათლად, ვინც ეს არ ვიცით, ყოველივე გვაუწყოს, რადგან თავის ბრძანებას დიდ ამბად თელის, ხოლო თუ ვინმე ურჩობას გასწევს, ხალხის თვალწინ ჩაიჭოლება. აქ გამოჩნდება, დაო, შენი დიდსულოვნება, ვინც ხარ — უღირსი თუ ღირსეულთ შთამომავალი...

ისმენე:

საბრალთ დაო, მე რა ძალმიძს, ავად თუ კარგად, რით დაგეზმარო?

ანტიგონე:

* მსურს ვიცოდე, იქნები ჩემთან?

ისმენე:

თქვი, რა საჭმისთვის... ჯერ გავიგო, რა განიზრახე...

ანტიგონე:

დამეზმარები? მსურს მივხედო პოლინიკეს გვამს.

ისმენე:

დამარხვას ფიქრობ? რაც საჭევუნოდ აკრძალა მეფემ...

ანტიგონე:

მაშ უარს ამბობ? კარგი. ჩვენს ვალს მარტოც მოვიხდი.

ის მ ე ნ ე:

მეფის ბრძანების წინააღმდეგ? გაგიჟდი განა!

ან ტ ი გ ო ნ ე:

მე რაც შეკუთენის, ვერ წამართმევს უზენაესიც. |

ის მ ე ნ ე:

ვაიმე, დაო... გაიხსენე, მამამ ბედკრულმა,
 როცა თვითონვე ცხადპყო თავის შეტრდებანი
 და ორივე თვალი თავის ხელით აღმოიკვეთა,
 რარიგ ჯანდევნილ-განკიცხულმა დალია სული...
 მამის დედამაც, მასთან ცოლიც რომ იყო მისი,
 თოკზე სიცოცხლე დაასრულა რა სამარცხვინოდ.
 მესამეც — ძმებმა ეთეოკლემ და პოლინიკემ.
 რგოთრ განგმირეს იმ ავბედით დღეს ერთმანეთი
 და ერთიანი განუმზადეს ერთმანეთს ხვედრი.
 ესლა იფიქრე, ჩვენ, უმწუოდ, ობლად შთენილნი
 რარიგ უღირსად, უპატიოდ დავიღუპებით,
 თუ ქვეყნის კანონს და ხელმწიფის ნებას გადავალთ.
 ისიც გახსოვდეს, რომ ჩვენ გავზნდით დედაკაცებად
 და რადგან ქალი კაცს ღონით ვერ შეეწონება,
 უთუოდ გვმართებს მორჩილება ჩვენზედ ძლიერთა,
 დაგვკვეთ მათ წადილს, თუნდ ამაზედ უფრო შემზარველს.
 მაგრამ თუ ვინმე ძალას მატანს სხვაგვარ მოვიქვე,
 ჰადესის ღმერთებს ვთხოვ შეწვენას... მე უზენაესთ
 ძალას ვმორჩილებ. ამათა ზრახვა ყოველი,
 რომლის ხორცშესხმაც ჩვენს ძალღონეს აღემატება.

ან ტ ი გ ო ნ ე:

არ გაიძულებ. ამ საქმისა თუნდ იყო მწადე,
 ვეღარ მამებ და შევლასაც არ ვსაჭიროებ.
 დე, შენთვის იყავ... მე კი ჩემს ძმას ერთიც დაემარხავ.
 და თუ დამსჯიან, სიკვდილს ჩავთვლი დიდ ნეტარებად.)
 მას მე ვუყვარდი და მსურს ვიყო ძვირფასის გვერდით,
 უცოდველობით ბრალეული... და რადგან ჰადესს
 მომიწევს სულთა სამსახური უფრო ხანიერ,
 ვიდრე აქ მყოფთა, იქ დავრჩები სამარადისოდ.
 შენ კი აქ იყავ, საღვთო წესთა უარმყოფელი.

ის მ ე ნ ე:

უკვდავთა წესებს არ უარვყოფ, მაგრამ ვერც მოკვდავთ
 ნებას გადავალ.



ანტიგონე:

ღმერთების წინ იმართლე თავი...
წავალ, ძმას მიწა დავაყარო...

ისმენე:

ვაი ბედგრულო!
ო, როგორ ვშიშობ!

ანტიგონე:

ჩემთვის ნუ კრთი, შენთვის იზრუნე.

ისმენე:

ოღონდ უფრთხილდი, არსად დაცდეს ეს საიდუმლო...
მეც დაედუმებდი...

ანტიგონე:

განაცხადე, აუწყე ყველას.
ამით თავს ნაკლებ შემადკლებ, ვიდრე დუმილით.

ისმენე:

ზრახვავა სისხლის გამყინველი, შენ კი ცეცხლს გინთვბ.

ანტიგონე:

მიტომ, რომ ვიღწვი ღირსეულთა პატივსაცემად.

ისმენე:

ეხ, ამათა, შეუძლებელს ესწრაფვი, დაო.

ანტიგონე:

იმას ხომ შეეძლებ, კეთილ სწრაფვას რომ შევეწირო?

ისმენე:

მაგრამ ამათ თავდადება ვის რად სჭირდება!

ანტიგონე:

კმარა, დაჩუმიდი! ამგვარ სიტყვით თავს შემაზიხლებ...
და მართებულად გამოიწვევ მკვდრის სიძულვილსაც.
წადი, დამტოვე. დაე, ჩემმა უგუნურებამ
შემიმსუბუქოს სატანჯველი. ყოველთ უმეტეს
შემზარველია, თუ მოკვდავი კვდება უღირსად.

ისმენე:

რადგან არ იშლი, წადი, დაო. გოფი ხარ, მაგრამ,
გიფიც ჩემი ხარ, კვლავ სისხლ-ხორცი და საყვარელი,
(მიდის)



ხორთ:

სტროფი ა.

მზეო, მზეო, ჯერ ასეთი ელგარებით
 არ სწვევიხარ შვიდგარიან ქალაქ თებეს.
 როგორც იქნა დირკეს მჩქეფარ წყალთა ზედა,
 აღმობრწყინდი, ო, დღის თვალთ ოქროვანო!
 შენ გაჰფანტე ტანს იარაღ-აღკაშმული,
 ჯარი იგი თეთრფარიან არგოსელთა,
 ჩვენს მიწაზე შურიტა და მტრობით აღძრულთ,
 დასაპყრობად რომ მოუძღვა პოლინიკე.

ანტისტროფი ა.

გრძელ შუბებით გარს მოგვადგა ყოველ მსრიდან,
 შვიდგარიან თებეს აღგვის მოწადინე,
 და გაბრუნდა, ჩვენი სისხლით ვიდრე ხახას
 აღივსებდა და ჰეფესტოს ცეცხლს მისცემდა
 ციხე-კოშკებს, რადგან ზურგით შემოესმა
 ხმა არესის, მჭეპარობით შემზარველი.
 დაუმძიმდა მას ვეშაპთან ბრძოლა მაშინ...
 ზევსს მალალსა სძაგს ზვიადნი, და რომ ნახა,
 თებეს მომდგარ სპათა შმაგი მდინარება,
 იმ თავხედებს სტყორცნა მეხი სწორედ იმ დროს,
 როცა მიჯნას მიწვენილნი განემზადნენ,
 ჩვენს კოშკთაგან გადუძახნათ გამარჯვება.

სტროფი ბ.

ცოტა ხნის წინ ვისაც ეპყრა ჩირაღდანი,
 ვინც ბახუსის შეგონებით აღგზნებული,
 ბოროტეულ გრიგალივით მძვინვარებდა,
 ძირს ზღართანით დაცემულმა შესძრა მიწა.
 აქ რომ იგი ქვე დაემხო, ყოვლისშემძლე
 ომის ღმერთმა სხვებსაც უზღა ხვედრი თვისი,
 შვიდსავე კართან ქალაქისა სწორი-სწორად,
 სარდალს შვიდსა დახვდა შვიდი სპასალარი,
 სადაც დავლად ზევსს ბოროტის უკუმჭამველს
 დაუტოვეს მათ სპილენძის საჭურველნი
 და გაიქცნენ... მხოლოდ დარჩნენ ორად ორნი,
 შვილნი ერთი დედამამისა ბრძოლის ველზე,
 ბარი-ბარად ერთ სიკვდილს რომ ეზიარნენ,
 მახვილებით ერთმანეთის გამგმირველნი.

ანტისტროფი ბ.

ეხლა, როცა ეტლებიან ქალაქ თებეს,
 თავს ღიმილით დასცქერს ნიკე დიდებული,
 დაე, ხალხნო, ბრძოლა ესე სისხლის მღვრველი
 დაივიწყეთ და ღმერთების ტაძრებისკენ



გავეშუროთ ცეკვითა და სიმღერებით.
 დე, ბახუსი წინ გვიძლოდეს მოლხინარი
 და მხიარულ როკვით თებე აზანზაროს.
 მაგრამ აი კრფონი, ძე მენეოკის,
 ღმერთთა მიერ აქ მომხდარი ამბის შემდეგ,
 მყვსეულად ჩვენს ქალაქს რომ უხელმწიფა,
 ჩვენსკენ მოდის... ნეტავ რა აქვს მეფეს ზრახვად,
 სათითოდ აქ რომ გვიხმო მაცნეს პირით
 და შეკრება ბრძანა თებეს უხუცესთა?

კ რ ე თ ი: (შემოდის)

მოქალაქენო! თუმც ღმერთებმა სამეფო ჩვენი
 შეაზანზარეს, კვლავ მომადლეს თებეს მშვიდობა.
 მაცნენი მრავლად დაფავზავენ და ჩემთან გიხმეთ,
 მხოლოდ რჩეულნი, ლაიოსის ერთგულნი ყმანო!
 ვიცი, რაოდენ პატივს სცემდით მის ტახტსა მაღალს,
 აგრევე ქალაქის აღმადგენელ ოიდიპოსსაც,
 და როცა იგი დაიღუპა, იმის შვილებსაც,
 თქვენ მსახურებდით იმავე გრძნობით შეერთგულენი.
 ხოლო, როდესაც ნებით სასტიკ ბედისწერისა,
 ერთად დაეცნენ იგი ვაჭნი ოიდიპოსის,
 ერთ და იმავე დროს განგმირულნი ერთურთის ხელით,
 როგორც დაღუპულთ ნათესავმა უახლოესმა,
 ჩემად დავიპყარ თებეს ტახტი და ხელმწიფება.
 მაგრამ ძნელია ჩასწვდე კაცის სულსა და ზრახვას,
 თუ იგი თვითონ ხელმწიფების მაღალ ტახტიდან
 სიბრძნით, სჯულდებით თვის ბუნებას არ გამოაჩენს.
 მეფე, რომელიც ბრძენთა რჩევას არა თუ ისმენს,
 არამედ თითქოს ყოვლისადმი ყრუა, მღუმარი,
 აწ და მარადის უღირსია ხელმწიფობისა.
 არარა არის იგი მეფე, ვისაც მოყვასნი
 მიუჩნევია სამშობლოზე უპირატესად.
 ხოლო მე, ზევსმა დე იცოდეს ყოვლის მხილველმა,
 არ დავდუმდები თუ შევიცნობ, რომ ჩემს ქვეშევრდომთ,
 ნაცვლად მშვიდობის, ელის ტირი და განსაცდელი.
 არც არასოდეს მოსისხლე მტერს მშობელი ქვეყნის
 არ ვუმეგობრებ, რადგან მჯერა, რომ სამშობლოა
 ყოველი მისი მოქალაქის საყრდენი მტკიცე
 და თუ ხომალდი სწორი გეზით წარიმართება,
 მაშინ ქეშმარიტ მეგობრებსაც ვიშოვით მრავლად.
 ამგვარ წესებით ჩემი ქვეყნის მსურს განდიდება.
 ესლა კი დროა, იმ ორ გაუზე ოიდიპოსის,
 ბრძანება ესე განგიცხადოთ თებეს მცხოვრებნი:
 გმირ ეთეოკლეს, ვინც თებესთვის თავგანწირული
 მტერს შეერკინა უმჯობესად სხვათა ყოველთა
 და განიგმირა, ღირსეული დაუდეთ პატივი,
 დავმარხეთ იგი დიდგვართვანთ შესაფერისად.



ხოლო ძმა მისი, ვლადიმერ პოლინიკეზე,
 ვინც განდევნილი შემოიქცა მხოლოდ იმ ზრახვით,
 რათა დაემხო თვის პაპათა სამკვიდრებულა,
 ფერფლად ექცია თებეს ღმერთნი და ძმათა თვისთა
 სისხლით გულდამტკბარს, ტყვე მონებად წაესხა ხალხი,
 მისმინეთ ყველამ, ვბრძანებ, არვინ არ დაიტიროს...
 თებეს მიწაში ნუმც ყოფილა დამარხვის ღირსი.
 დე უპატიოდ ვგდოს ველზე გვამი შიშველი,
 ყვაგ-ყორნებისა და ძაღლების თავშესაქცევად.
 ესაა ჩვენი განზინება... დაიმახსოვრეთ,
 რომ ყოველ გამცემს საზღაურად ეს მიეგების,
 ხოლო თებესთვის სიკეთის მქნელთ დიდ პატივს
 დავდებთ,
 ეს სულ ერთია, ცოცხალია იგი თუ მკვდარი.

ხორო:

დე ვგრე იყოს, როგორც ბრძანე, მენუოკის ძე!
 რადგან სჯულდება შენს ხელთაა, შენ როგორც მეფეს,
 ძალგითს, რაც გნებავს დაუდგინო მტერსა თუ მოყვასს-
 და ეს კანონი მიუყენო ცოცხალს თუ მკვდარსა.

კრეონი:

მას ამ ბრძანების აღსრულებას ადევნეთ თვალი.

ხორო:

ეს ჩვენზე უმცროსთ დაავალეთ.

კრეონი:

ამის მსურველნი
 ბევრნი არიან. მცველნი უკვე გვამს დარაჯობენ.

ხორო:

სხვას რას გვიბრძანებ?

კრეონი:

არ დაინდოთ ბრძანების ურჩინი.

ხორო:

ვინ ბრძივი არის, რომ ტყუილად გასწიროს თავი!

კრეონი:

დიახ, ურჩს ელის მოკვდინება, მაგრამ ხანდახან
 ზოგს ანგარება გონს უბნელებს და ღუპავს კიდევ.

დარაჯი: (შემოდის)

ჩემო მეფეო, ვერ ვიცრუებ, თითქოს და აქეთ
 სულმოუთქმელად, სიხარულით მოვისწრაფვოდი.
 რამდენჯერ ფიქრმა შემაყოფნა გზად მომავალი,



რამდენჯერ მწადდა ისევ უკან მივქცეულიყავ!
 რადგან ერთთავად, თითქოს ვიღაც ჩამწურჩულემა:
 — კოი საბრალოვ, შენსავ სიკვდილს რად ესწრაფვო?
 ხანაც მეტყოდა: — ამ უწყებით მეფე კრეონთან
 სხვამ თუ მიგასწრო, ვერ აიცილენ სასტიკ სასჯელსო.
 ამგვარად ვბჭობდი და ვიდოდი ფეხათრეული,
 ხოლო აგეთ სვლით უმოკლესი გზაც გაგრძელდებო.
 ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე გეახლო, მეფე,
 და სწორი გითხრა, თუმც საამოს ვერრას გაუწყებ,
 აქ მხოლოდ ერთი მაიმედებს, რაც თვით განგებით
 არ მიწერია, ისეთი რამ არც გადამხდებო.

კ რ ე ო ნ ი:

მიინც რა მოხდა? თქვი, ესოდენ რამ შეგაშფოთო...

დ ა რ ა ჯ ი:

ჯერ, ხელმწიფეო, ჩემზე გეტყვი, მე უბრალო ვარ...
 თვალის ვერ მოვკარ ბოროტმოქმედს და, რა თქმა უნდა,
 აქ ჩემი დასჯა იქნებოდა უმართებულო.

კ რ ე ო ნ ი:

ისე შორიდან იწყებ სათქმელს, თან ისე ფრთხილად,
 ვფიქრობ გვაუწყებ რაღაც ახალს და გასაოცარს.

დ ა რ ა ჯ ი:

მაგრამ მოამბეს თავგზას უბნევს საქმე საზარი.

კ რ ე ო ნ ი:

ბოლოს და ბოლოს, თქვი რაც მოხდა და გაეთრიე!

დ ა რ ა ჯ ი:

ქლავ, მეფეო, ცოტა ხნის წინ იმ ვაჟის გვამი,
 ვიღაც უჩინარს დაუკრძალავს ადათისამებრ,
 ზედ მშრალი ქვიშა მოუყრია და გაპარულა.

კ რ ე ო ნ ი:

* ბრიყვო, რას ამბობ? ძე კაცოსა ვინ გაბედავდა?

დ ა რ ა ჯ ი:

აბა რა ვიცეი. ვერსად ვნახეთ ვერც ბარის კვალი
 და ვერც წერაქვის მონათხარი... იქ მიწის პირი
 მშრალია, სწორი, ურმის თვლებით დაუღარავი.
 არ დარჩენია ამის მოქმედს ნიშანი რამე.
 რა-ეს ამბავი დღის პირველმა დარაჯმა გვამცნო,
 ყველას გვეუფლა გაოცება სასოწარმკვეთი.
 გვამი არ ჩანდა, თუმც დაფლულიც არ იყო ღრმადა,
 ფხვიერი ქვიშით დაეფარა სახსნელად სულის.
 ბევრი ვეძიეთ, მაგრამ კვალი მხეცის თუ ძაღლის,
 არც მიწას აჩნდა და არც ცხედარს არავითარი.



მერმე მივდექით ერთმანეთსა უხამს გინებით,
 დარაჯი დარაჯს სდებდა ბრალსა და ცოტა გვიკლდა
 საჩხუბრად ხელის გამოღებას... მაშინ ჩვენს შორის,
 ვინ ჩადგებოდა გამწვევლებლად, როცა თვითვეულს
 და ყველას ერთად ერთ საქმეში გვიძლოდა ბრალი?...
 თუმცაღა ერთხმად ვუარყოფდით ჩვენს შეცოდებას
 და მზად ვიყავით დაგვეფიცა ცა — მიწის ღმერთნი,
 ცეცხლში გაგვევლო, ხელთ აგველო რკინა მსურვალი,
 დასამტკიცებლად, რომ მჭნელი თუ ჩამგონებელი
 ამა საქმისა არც გვინახავს და არცა ვუწყით.
 ბოლოს, როდესაც ეს ყოველი ვცანით ამოად,
 ჩვენთაგან ერთმა წამოიწყო და ჩვენც ვუსმენდით
 შიშით მიწამდე დადრკვილნი, არც გვქონდა ღონე
 შესიტყვებისა, არცა რამით იმედოვნების.
 იგი გვიჩვენდა, რომ ეს გვეთქვა შენთვის გულახდით,
 თავით ბოლომდე, არაფერი არ დაგვემალა.
 ამ აზრმა სძლია და პა, მეფევე, შენს წინ ვარ ეხლა.
 რადგან წილად მხვდა ბედუკუღმართს ეს მწარე ხვედრი,
 ჩემი სურვილის წინააღმდეგ, შენს შემაშფოთრად.
 ეს, ვის აამებს ცუდი ამბის მაუწყებელი!

ხორთ:

მეფევე, ერთს ვფიქრობ, ეს ღმერთების საქმეა ალბათ.

კრეონი:

ჩემად მოხუცო, აბდაუბდით არ განმარისხო!
 ჩანს უგნურებას შეუპყრისხარ, სიბერის სნებას,
 თორემ ვინ გიჭი წარმოიდგენს, რომ მაღალ ღმერთებს
 შეაღონებდათ ბედი გამცემ პოლინიკესი?...
 და ისე, როგორც ეს შეშენის კეთილის მოქმედს,
 მას დამარხავდნენ, ნიშნად დიდი პატივისცემის,
 ვინც აქ მოსულა, რომ ცეცხლისთვის მიეცა უღვთოდ
 მათი ტაძარი ძვირფას საწირ-განძეულობით,
 და თებე, მათი სამფარველო სისხლით მოერწყა?...
 ან როდის იყო, ბოროტმოქმედს სწყალობდნენ
 ღმერთნი?!

არა, არასდროს! ის კი ვიცი, ჩემი ბრძანების
 გაცემისთანვე ზოგ-ზოგები დრტივინავდნენ მალულ,
 უკმაყოფილოდ თავს იქნევდნენ, ჩანს ეუცხოვათ
 თავის დადრეკა ჩემს წინ, როგორც მეფის წინ მართებთ.
 ცხადია, იმით მოისყიდეს ეს დარაჯები
 და აი რა ქმნეს... კარგად ვიცნობ ბუნებას კაცთა:
 ოო, მათთვის ვერცხლზე მავნებელი არა არის რა!
 იგი ქალაქებს აღგვის ფუძე-ბალავრიანად,
 თავის სახლიდან განაძევებს კაცს ანგარება,
 უმანკო სულსაც რომ აღავსებს ბიწიერებით,
 ყოვლად სარცხიენელ ვნებათა და აზრთა აღმძვრელი



და წამმართველი გზით სამინელ ბოროტებისა.
 მაგრამ ვინც ეს ქმნა, ანგარებით ვინც მოსყიდულა,
 ადრე თუ გვიან მას მიეზღვის შესაფერისად...
 და თუ ჯერ ძალმიძს მაღალ ზევისის პატივისცემა,
 დაიმახსოვრეთ, ფიცით ვამბობ ზელმწიფე თქვენი:
 თუ მკვდრის დამმარხველს არ იპოვნით დაუხანებლივ
 და მე არ მომგვრით, არ გაკმარებთ სიკვდილს მარტოდენ.
 ცოცხლად დაგკიდებთ, ვიდრე მართალს არ აღმოიკვებით.
 მაშინ გაიგებთ, ვერცხლი ვის ხელს გამოურთმევა...
 რომ სიგიჟეა ყველაფერში ეძებდე სარფას,
 რადგან სარგებლით ყველაფერი არ იყიდება:
 ხოლო საძრახველ გზით ნაშოვარ სიმდიდრეს ყოველს
 მოსდევს ზარალი, თვით სიკვდილზე უსაზარლესი.

დ ა რ ა ჯ ი:

მეფევ, გაგბრუნდე თუ კვლავ გნებავთ ვილაპარაკო?

კ რ ე ო ნ ი:

ნუთუ ვერ ხედავ, მზარავს შენი ხმის გაგონებაც...

დ ა რ ა ჯ ი:

შენს ყურთასმენას ზარავს იგი თუ გულსაც მეფევ?

კ რ ე ო ნ ი:

შენ რა საქმე გაქვს, თუ სად ბუდობს ტკივილი ჩემი?

დ ა რ ა ჯ ი:

ბოროტმოქმედი გულსა ზარავს, მე — ყურთასმენას.

კ რ ე ო ნ ი:

ყბედი ყოფილხარ.

დ ა რ ა ჯ ი:

სხვა არა მაქვს დანაშაული.

კ რ ე ო ნ ი:

გაქვს, ვერცხლში სულის გამყიდველო....

დ ა რ ა ჯ ი:

პოი, რაოდენ,

სამინელია, თუ მსაჯული ურჯულოდ მსჯელობს!

კ რ ე ო ნ ი:

ეხლა მსაჯულზე მოჰყვა ლაქლაქს... გვამის დამმარხველს

თუ არ შეიპყრობთ და არ მომგვრით დაუყოვნებლივ,

მაშინ გაიგებთ რა ფასიც აქვს ბილწ ანგარებას.

დ ა რ ა ჯ ი:

ნეტავი მართლა ვიპოვნიდე. ვპოვებ თუ არა,

ამას ჩემივე ბედისწერა გადასწყვეტს ალბათ.

რადგან დღეს თავი მთელი შემრჩა, რაც არ მჯეროდა,



აქ ფეხის დამდგმელს ველარ მნახავთ ამიერიდან.
გადარჩენისთვის უკვდავ ღმერთებს ჩემი მადლობა.
(მიღის)

ხორო:

სტროფი ა.

თუმცა ბევრზე ბევრი არის
ცა და მიწის საოცრება,
ძე კაცისა ქმნილებაა
სასწაულზეც საოცარი.
აღქაფებულ ტალღებს შორის
გზას მიიკვლევს ჟამსა ღელვის,
ხოლო გეას, უკვდავ ღმერთქალს,
ცხენზე მობმულ გუთნის პირით,
გვემს და ჯიჯუნის წლიდან წლამდე.

ანტისტროფი ა.

იგი ნაქსოვ თოკის ბადით,
ცაში იჭერს ფიჭრებივით
მსუბუქ ფრინველთ, ზღვაში-თევზებს,
ულრან ტყეში-ჟოგს ნადირთა...
ხოლო მერმე განძვინებულ
ცხენებს, მოსილს სქელი ჯაგრით,
თუ მთის კუროს გაუხედნავს,
ულელს ადგამს გამჭრიახი.

სტროფი ბ.

თვით ისწავლა მეტყველება,
აზროვნება ჭარზე სწრაფი
და საქვეყნო ადათ-წესი...
ყინვის გამჭოლ ისრებისგან,
თუ წამლგაკვ დელგმისაგან,
თავს რომ იცავს საზრიანი.
ო, მძლავრია ყოვლის მიმართ,
თვით უმძიმეს სნებათაგან
განკურნების შემძლებელი.
მაგრამ სიკვდილს, მხოლოდ
სიკვდილს,
ვერ გაეჭვა ვერასოდეს.

ანტისტროფი ბ.

თუმც ბრძენია იგი მეტად,
თავის ნიჭს და ხელოვნებას
ხან წარმართავს საკეთილოდ,
ხან ბოროტის სამეუფოდ.
ამქვეყნიურს ქმნის სამართალს
და ღმერთების იცავს კანონს.
მაგრამ მეფეც ყოვლის შემძლე,



თუ გზას გააყვია ბორბლებს,
დაე ნურვინ ნუ იქნება
მისი აზრის, სწრაფვის, გრძნობის
ან თუ კერის მოზიარე...

კ თ რ ი ფ ე:

პოი, ღმერთნო. ცხადია თუ მეჩვენება!
შფოთს და ღელავს ვერღა იტყვს გული ჩემი.
თვალნო, რად არ მიბრმავდებით... ნათლად ვხედავ,
ჩვენსკენ მოპყავთ თვით ქალწული ანტიგონე.
ოპ, ასულო შავდღიანო!

პოი, ბედკრულ ოიდიპოს მეფის შვილო!
ღღეს აგეთი რა შევემთხვა? ნუთუ შენ ხარ
ვინც გასთელე ჩვენი მეფის განჩინება,
და შევიბყრეს ეამს სიგიჟის ჩადენისა?

და რ ა ჯ ი:

აი, მოგვარეთ დამნაშავეც, ეს იყო თურმე.
მკვდრის დამარხვისას შევიბყარით. სად არის მეფე?

ხ თ რ თ:

აგერ თვითონაც... სასახლიდან დროულად მოდის.

კ რ ე თ ნ ი:

რატომ დროულად, თქვით, რა მოხდა?

და რ ა ჯ ი:

ჩემო მეფეო!

სჯობს თავი ფიცით არ შეიკრას მოკვდავმა, რადგან
ბოლოს ნაფიქრი აბათილებს ნააზრევს წინათ.

აქ შენმა რისხვამ წელან ისე დამცა თავზარი
რომ ფიცით დავთქვი, არც გამეველო ამ არე-მარეს.

მაგრამ იმდენად აღიტაცებს კაცს სიხარული,
რამდენად იგი უცხოა და ანაზღვეული.

ჰოდა გაგტყუე ჩემი ფიცი და კვლავ გვახელ...

მოგგვარე ესეც, არ გვიყრია წილი ამ ჯერად,
რადგან ეს ჩემი დავლა გახლავთ, ჩემგან პყრობილი.

გთხოვ ჩაიბარო, შენს ხელთაა აწ დამნაშავე.

დაე დასაჯე, როგორც გნებავს, მე კი გამიშვი...

ჩემმა სიმართლემ დამხსნა სასჯელს უმართებულოს.

კ რ ე თ ნ ი:

მოგვიყვანია. მაგრამ როგორ, სად დააკავე?

და რ ა ჯ ი:

მაშინ, როდესაც გვამს მარხავდა, ხომ მოგახსენეთ.

კ რ ე თ ნ ი:

გესმის რას ამბობ? მაინც ამას რით დამტკიცებ?



და რ ა ჯ ი:

სწორედ ეს ვნახე, წინააღმდეგ შენი ბრძანების,
წესს უარულებდა... უფრო ნათლად როგორღა გითხრა?

კ რ ე ო ნ ი:

აბა კიდევ თქვი, სად წააწყდი, როგორ შეიპყარ?

და რ ა ჯ ი:

გეტყვი როგორაც, — როცა მივედ კვლავ სადარაჯოდ,

ზარდაცემული შენი რისხვის საშინელებით,
გვამს გადაგვავეთ ზედ მოყრილი ქვიშა ფხვიერი
და რომ დაეტოვეთ იგი შიშელად, ხრწნაშვებწული,
იქვე დაფხედით მაღალ ბორცვზე ქარისკენ ზურგით,
რათა ხრწნის სუნი არ გეცემოდა. ვისხედით ჩუმად.
სიტყვით ერთმანეთს ვამხნევებდით, ხოლო თუ ვინმე
წამით ჩათვლემდა, მუკლუგუნით კვლავ ვაფხიზლებდით.

დრო მიდიოდა მშვიდად, წყნარად, ვიდრე ციმცამით
შუა ლაგვარდზე არ აცურდა მზე სხივოსანი
და სიცხის ბული არ ჩამოწვა. შერმე უეცრად,
წყრომად ზეცისა ამოვარდა გრიგალი მძაფრი,
ქვიშა პაერში აიტაცა, ხეებს ფოთოლნი
შემოაფლითა, გადასილა მტვრით მინდორ-ველი
და ყველაფერი დააბნელა. ჩვენც ღმერთთა რისხვას
თვალდახუჭულნი ძლივს ვუძლებდით. დასასრულ, როცა
გრიგალი დაცხრა, ამ ქალს ვწუდავთ, სასომიხდილი-
გმინავდა მწარედ იმ ბედდამწვარ ფრინველის მსგავსად,
ჩვილი ბარტყები ბუდეში რომ აღარ დაუხვდა.

მოსთქვამდა იგი, პირს იხოკდა განცეცხლებული,
განშიშელებული პოლინიკეს გვამის მზილველი,
ამ საქმის ჩამდენთ წყველა-კრულვას რომ უგზავნიდა.
შემდეგ გვამს პეშვით მშრალი ქვიშა მიმოაფრქვია
და წებისამებრ, ზე აწეულ სპილენძის სურით
სამგზის აპკურა სასოებით განსაწმენდელი.

რა ეს ვიხილეთ, ჩვენც მიეცვივდით და შევიპყართ,
მაგრამ ოდნავაც არ შემეკრთალა... ვუყვირით, ბრალს
უღებთ

მასზე, რაც ვნახეთ, რომ წინათაც აგრე იქმოდა,
და მაინც სდუმდა, არაფერსაც არ უარპყოფდა.
თუმც ეს ყოველი მახარებდა, თან სევდას მგვრიდა:
სამოთენოა თავდაღწევა განსაცდელთაგან,
და საწუხარი შენს ნაცნობთა ჭირში ჩაგდება...
თუმცა ამ ქალის მწარე ხვედრი არც ისე მტანჯავს,
რადგან აქ ჩემთვის ხსნაა ამის უბედურება.

კ რ ე ო ნ ი:

პეი, შენ, მიწას რომ ჩასცქერი, აქ შემომხედე!
თქვი ვგრე იყო, თუ უარპყოფ?



ანტიგონე:

ჰო, ვერე იყო...

რატომ ქუარავყოფ!

კრეონი: (დარაჯს)

შენ კი წადი საითაც გინდა,

ესოდენ შიშიე ბრალდებისგან განთავისუფლებ.

(ანტიგონეს) თქვი, ოღონდ ბევრს კი არ მოედო, შენ ხომ იცოდი

ბრძანება ჩვენი?

ანტიგონე:

ჰო, ვიცოდი... ეგ ხომ საჯაროდ

გვეუწყა ყველას...

კრეონი:

იცოდი და მაინც გაბედე!

ანტიგონე:

მაგრამ, მეფეო, ეს ბრძანება არც ზევსსა მაღალს და არც ქვესკნელის დიდ ღმერთებთან მცხოვრებ სამართალს

არ მოუცია მოკვდავთათვის ქმედობის წესად.

არც ის ვიცოდი დღემდე, თითქოს ბრძანება შენი იყო იმდენად ძალოვანი, რომ მოკვდავს ყოველს მიეცემოდა მით უფლება ხელეყო ღმერთთა ადათ-წესები, მყარნი, თუმცა დაუწერელნი.

არა, ისინი არ შექმნილან არც დღეს, არც გუშინ,

არამედ ჯამთა წიაღიდან მომდინარებენ.

ვერც მე შევიძელ დამერღვია ეს ადათ-წესი,

მოკვდავთა შიშით და უკვდავთა განსარისხებლად.

ბავშვმაც ვიცოდი, რომ მოკვდეები ადრე თუ გვიან,

და ეს მოხდება, რომც არ იყოს ბრძანება შენი...

ხოლო სიცოცხლის მოსწრაფება წყალობად მიჩანს.

მისთვის, ვინც ჩემებრ უსასრულოდ გაწამებულა,

რალა თქმა უნდა, მოკვდინება შვებაა მხოლოდ.

შიტომ ოღნავაც არ მაღონებს ხვედრი ავითი.

დიახ, რომ შვილი ჩემს მშობელთა არ დამემარხა,

ეს ჩემს სიკვდილზე უფრო მეტად შემაღონებდა...

და თუ შენ მაინც ქცევას ჩემსას თვლი უგნურებად,

მე გიპასუხებ, უგნურებას უგნური მწამებ.

ხორო:

მეფევე, ცხადია ეს სიკერპე მამისგან მოსდგამს,

ამაყი გახლავთ, ჭირსა შიგან განუდრეკელი.

კრეონი:

დაე იცოდეთ, რომ ყველაზე თავადებული,

ყველაზე უმაღ დადრეკს თავსა. რკინაც მაგარი,



ცეცხლში განვლილი და წრთობისგან განმტკიცებული, ერთი შემოკვრით იღეწება ნამუსრევებად. ულაცნი შმაგნი, მომცრო ლაგმით პირაძაგრულნი, ყველას გინახავთ, ბოლოს რარივ შოშმინდებიან. უნც სხვას მორჩილებს, არ შეშენის მას ქედმაღლობა. ისიც ჰყოფნიდა ამ თავგასულს დანაშაულად, აგრე უტიფრად რომ გადვიდა ბრძანებას ჩემსას... ეს რომ ასე ჰქმნა, ზედ დაურთო სხვა შეცოდებაც, — ამ უტიფრობით თავმომწონე დაგვეცინის კიდეც. მაშინ მე ვიყო დედაკაცი, ეგ კიდევე მამრი, თუ დაუსჯელად შევარჩინო ეს თავხედობა. მერე რა ვუყოთ, რომ ჩემი დის შვილია იგი, ჩემს სახლში ზევსის მოსავთაგან უახლოესი... ვერც თვითონ და ვერც და მავისი ჯეროვან სასჯელს ვერ აიცდენენ, რა თქმა უნდა, აქ ბრალეული იქნება იგიც... სასახლეში წუთის წინ ვნახე, მღელვარებისგან ბორჩნეული, გონ-ამღვრეული... რადგან სხვათაგან მიკვლევაზე სული ბოროტი, თავის ბნელ საქმეს მღელვარებით თვითონვე ამხელს. ო, რა ზიზღსა მგვრის, როცა ლამობს ბოროტის მქმნელი, ლთვის ნაბოროტალს სათნოების მისცეს იერი.

ანტიკონე:

ბარემ უბრძანე მომაკვდინონ... სხვა რაღა გნებავს?

კრეონი:

სხვა არაფერი. მოვიოხებ გულს მხოლოდ ამით.

ანტიკონე:

მამ რაღას უცდი? შენს ნათქვამში სიტყვაც არ არის, მოსაწონს ჰგავდეს... ვერც სხვა ჰპოვებს ამას ვერასდროს. აგრევე არ მოგწონს, მეფეც, ჩემი ნამოქმედარიც.

თუმც საქმე უფრო სასახელო, ვიდრე საკუთარ ძმის დამარხვაა, მე ამ ცის ქვეშ არ მგეულება. რომ მართალი ვარ, აქ ესენიც გეტყოდნენ ალბათ, რომ შიშით ენა არ დაბმოდეთ, მხოლოდ მტარვალებს ძალუძთ ისა სთქვან და აკეთონ, რაც თვითონ ნებავთ.

კრეონი:

კადმოსეულთ შორის აგრე მხოლოდ შენ ფიქრობ ერთი.

ანტიკონე:

აგრევე ფიქრობენ ეს მოსუცნიც და შიშით სდუმან.

კრეონი:

ვაი სირცხვილო, ხედავ? არვინ არ გემოწმება.

ანტიკონე:

ძმას პატივი სცე, სასირცხვილო არ არის ვგონებ.



კ რ ე ო ნ ი:

მაგრამ ხომ ისიც, მან რომ მოჰკლა, ძმა იყო შენი?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

ღიას, ძმა იყო, ჩემს მშობელთა შთამომავალი.

კ რ ე ო ნ ი:

პატივისცემით უღირსისა ღირსეულს ამცრობ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

მიცვალებულის სული - ამას არ დაგიმოწმებს.

კ რ ე ო ნ ი:

კეთილს და ბოროტს ხომ თანაბრად არ მიეგება!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

განა უჯიშო მონა ვინმე — მე ძმა დაგკარგე.

კ რ ე ო ნ ი:

ეს მშობელ ქალაქს გვიოხრებდა, მან კი დაგვიხსნა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

მაგრამ პადესის კანონის წინ ერთია ყველა.

კ რ ე ო ნ ი:

როგორ თუ ერთი, სათნოს ბილწი ვინ გაუტოლა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

ჯერ არვინ უწყის, რა ითვლება იქ სათნოებად.

კ რ ე ო ნ ი:

სიკვდილის მერმე ვერ იქცევა მოყვასად მტერი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

მე მისთვის გაგზნდი, რომ მიყვარდეს და არა მძულდეს.

კ რ ე ო ნ ი:

მამ ჩადი ქვესკნელს, მკედრებს პადესში ესიყვარულე,
სანამ ცოცხალ ვარ, ვერ დავისვამ ღიაცს მბრძანებლად.

ხ ო რ ო:

აი ისმენეც, სასახლის ბჭიდან
მოდის საყვარელ დაზე მგლოვარი.
იმის ვარდისფრად აღეწილ სახეს
ურვა-კაეშნის ღრუბელი ჰფარავს.
ღაწვნი სველი აქვს ცრემლის წვიმითა.

(შემოდის ისმენე)

კ რ ე ო ნ ი. (ისმენეს)

ჩემს სახლში ზაკვით შემომძვრალი იქედნევე კრულო!
სისხლის გამშრობო! იმთავითვე რად ვერ შევიცან,
რომ ჩემთვის გზრდიდით ორ დამღუპველ უბედურებას.
გატყდი, შენც იმის დამარხვაში ხომ გიღვეს წილი...
თუ შემომფიცავ, რომ ამ საქმის არა იცი არა...

ი ს მ ე ნ ე:

დამნაშავე ვარ, ანტიგონეც თუ ალიარებს.
ჩვენ ორივენი ერთნაირად ვართ ბრალეულნი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

ოჰ, არა, სტყუის, სიცრუეა, მას ბრალი არ აქვს...
შენ არ ისურვე შემწევნოდი, მეც მოგიშორე.

ი ს მ ე ნ ე:

რომ გბედავ, რარიგ იტანჯები, საბრალო დაო,
მზადა ვარ შენთან განსაცდელის ზღვა გადავცურო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

ეს როგორც მოხდა, დაე ჰკითხეთ ჰადესის ღმერთებს...
ცარიელ სიტყვით სიყვარული არ დამტკიცდება.

ი ს მ ე ნ ე:

უღირსად ნუ მთელი შენთან მოვეკვდე და ძმის წინაშეც
პირნათლად ვიყო...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

თავს ტყუილად ცილს რატომ სწამებ?
შენ არ მოკვდები, საკმაოა აქ ერთი მსხვერპლიც.

ი ს მ ე ნ ე:

მერმე, ძვირფასო, რამ მაცოცხლოს უშენოდ, მარტო...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

ვგ კრეონს ჰკითხე, შენ ზრუნავდი მის საამებლად.

ი ს მ ე ნ ე:

აგრე მსუსხავად რად დამცინი...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

შენ? სულაც არა.

| სიმწრით ვიცინი.

ი ს მ ე ნ ე:

თქვი რა ძალმიძს, რით გამოგიხსნა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე:

შენ შენი თავა გამოიხსენ, არ შემშურდება.

ი ს მ ე ნ ე:

ნუთუ მეც შენთან არ ვიქნები... ვაი ჩემს თავსა!



ანტიგონე:

შენ სააკაო აირჩიე, მე კი სულეთი.

ი ს მ ე ნ ე:

რასაც ვფიქრობდი, სიწრფოებით გითხარი, დაო.

ანტიგონე:

შენ სხვას ამბობდი, მე სხვას...

ი ს მ ე ნ ე:

მაგრამ ერთი გვაქვს ბრაღი.

ანტიგონე:

ნუ გეშინია, შენ იცოცხლებ, მე კი, მე მოვკვდი
დიდიხანია, ის ღა ძალშიძს მკვდრებს ვემსახურო.

კ რ ე ო ნ ი:

ამათ შეხედეთ, ერთი ჩვენს წინ შეირყა, ვგონებ,
ხოლო მეორე, გიყი იყო დაბადებიდან.

ი ს მ ე ნ ე:

ნუ გიკვირს, მეფევე, მოკვდავს სიბრძნე თანდაყოლილი
ცუდბედობისას სტოვებს ხოლმე...

კ რ ე ო ნ ი:

დიახ, როგორც შენ,
რადგან ბოროტმა მოგაქცია ბოროტეულად.

ი ს მ ე ნ ე:

უმისოდ მართო რამ მაცოცხლოს...

კ რ ე ო ნ ი:

უკვე მართო ხარ,
მასზე აღარც ღირს ლაპარაკი...

ი ს მ ე ნ ე:

მაშ შენი ვაჟის
სწყოლეს მოჰკლავ?

კ რ ე ო ნ ი:

სხვაც ბევრია მიწა სათვისი.

ი ს მ ე ნ ე:

სხვას, მისთვის ვერ შესაფერისს თუ ვერსად კპოვებ?

კ რ ე ო ნ ი:

არა, უღირს ქალს ჩემს ვაჟიშვილს ვერ შევრთავ ცოლად.

ანტიგონე:

ოჰ, როგორ გამცრობს მამაშენი, ძვირფასო ჰემონ!



კ რ ე ო ნ ი:

შენცა და შენი ქორწინებაც ზიზღსა მგერის მხოლოდ.

ი ს მ ე ნ ე:

არა, არ მჯერა, შეილს საცოლეს ვინ დაუღუპავს?...

კ რ ე ო ნ ი:

ამ ქორწინებას სამუდამოდ ჩაშლის კადესი.

ხ ო რ ო:

მაშ მისი დასჯა საბოლოოდ გადაწყდა, მეფევე?

კ რ ე ო ნ ი:

ჩემს და თქვენს მიერ. ჰე, მსახურნო, აქ რაღას დგახართ? ეხლაც წაიყვათ და ქალთათვის განკუთვნილ სენაკს გამომამწყვდიეთ საიმიდოდ: კარგად უცქირეთ... თორემ გატყვევას ესწრაფვიან უმამაცესნიც, რა წამს პადესის შეიგრძნობენ მოახლოებას.

ხ ო რ ო:

ს ტ რ ო ფ ი ა.

ნეტარ არიან, ვინც უტანჯველად განლიეს ესე წუთასოფელი...
თორემ თუ ვინმეს განუწყურენ ღმერთნი და შეურყიეს ბედგეთილობა,
არ მოეშვება მის სახლს ვაება
მოდგმიდან მოდგმის ამოწყვეტამდე.
ასე თრაკიის მძვინვარ ქართაგან ზღვის კიდი-კიდე მიმოგლგისას,
უკუნ ფსკერიდან ამოაქვთ ტალღებს შავ-ბნელი შლამი, ვითარ წყვდიადი...
და გუგუნებენ კლდენი ციცაბნი მოხეთქებისას ბობოქარ წყალთა.

ანტისტროფი ა.

ვხედავ, ზედიზედ ლაბდაკიდების სახლს თავს ატყდება რისხვა საზარი, და ვერ დაიხსნა ძველ ცოდვათაგან შთამომავლობამ აწ გარდასულნი... ჩანს, რომელიღაც ღმერთი პირქუში ღუპავს და არ ჩანს არსით საშველი. დღესაც ძლივს მოსწვდა რიჟრაჟის სხივი უკანასკნელ ნერგს თიდიპოსის, რომ სისხლისფერმა ქვიშამ ქვესკნელის, ღმერთებისაგან დაძრულმა, იგი, უნდა წალკოს სამარადისოდ. სპობს ავბედითი შეუპოვრობა და შფოთვა სულის გზაბნეულის.



სტროფი ა.

ზევსო, ვერ განდრეკს შენს მეუფებას, —
 ვერც აღზევება ზვიად მოკვდავთა,
 ვერც ძილი ყოვლის მომდუნებელი,
 ვერც ჭამთა სრბოლა დაუსრულებლიე.
 მკვიდრობ ოლიმპოს ნათელ საეანეს,
 უკუნისამდე უბერებელი,
 ხოლო მიწაზე ერთი კანონი
 იყო, არის და იქნება მარად, —
 რომ უდრტიენველად მოკვდავთ სიცოცხლეს
 არ გაუვლია და ვერც გაივლის.

ანტისტროფი ბ.

იმედი ძნელად მისანდობელი
 ერთს ესახება თუმც ნეტარებად,
 ბევრისთვის არის მხოლოდ ცდუნება,
 მარტოდუნ ნატერა მიუწვდომელის...
 ზოგმა არ უწყის საითკენ მიდის,
 ვიდრე ბრმად ცეცხლში არ შეაბიჯებს.
 ბრძენი გვასწავლის, ვისი გონებაც
 ღმერთს განუწირავს დასაღუპავად,
 სიკეთედ უჩანს მას ბოროტება
 და სულ მცირე ხანს თუ იზეიმებს.

კორიფე:

აგერ ქემონიც, შენს შვილთა შორის
 ძე უმრწემესი, მოდის მწუხარი, —
 დასატირებლად საცოლის ხვედრის
 და ქორწინების აწ დამარხულის.

კრეონი:

მისნებზე უმალ შვილის გუმანს აღმოვიკითხავ.
 აქ მოდი, შვილო, თქვი, შენს მამას ხომ არ შემოსწყერ,
 რომ შენს საცოლეს დავსდე მსჯავრი უცილობელი?
 ეს ხომ არ მოშლის ჩვენს უტკბილეს მამა-შვილობას?

ქემონი:

ოჰ, არა, მამა, შენი სიბრძნის მოიმედე ვარ,
 შენს რჩევას მივდევი, მანათობელს სიკეთის ლამპრად.
 არ არის ჩემთვის ქორწინება არავეითარი,
 უფრო ძვირფასი შენს გონივრულ მეუფებაზე.

კრეონი:

აი ვე მომწონს, ჩემო შვილო, გულს შთაიბეჭდე —
 მამის ნების წინ უნდა დასთმოს შვილმა ყოველი.
 იმიტომ ვნატრობთ, შინ გამგონი შვილები გვყავდნენ.
 ავის და კარგის გამომრჩენი, რომ მამებრით
 მტერს სამტრო უზღონ და მოყვარეს დახვდნენ
 მოყვრულად.



ხოლო იმ მამებს, ვინც უმაკნის შვილებსა ზრდიან,
ერთილა ეთქმისთ, რომ წარმოშვეს შთამომავალნი
თავის წუხილად და მოსისხლე მტრის გასახარად.
რალაც წამიერ გატაცებას, დიაცის სურვილს,
არ მიუტანო მსხვერპლად შენი გონიერება.
დიამახსოვრე, თუ უღირს ქალს დაისევამ ცოლად,
გამოცივდება სახლი შენი უსიყვარულოდ.
ავ ცოლზე დიდი ბოროტება არაფერია,
და შენც იმ ქალსა, ვით საძულველს განეშორები.
დაე ქვესკნელი საქორწინო სარეცლად ჰქონდეს.
რადგან აგეთი ამდენ ხალხში ეგ არის მხოლოდ
და ურჩობისთვის ჯეროვანიც დაედო მსჯავრი,
ვერ გაეტენ სიტყვას, თქმულს ერთხელვე ამ ხალხის წინა.
იგი მოკვდება... თვით მფარველი ნათესაობის,
ზევისიც ვერ იხსნის. მოყვასთ შორის შფოთს თუ ვერ აღკვევთ, —
სხვა რაღას იზამს, თავს აიშვებს სამეფო მთელი.
ვინც მიუდგომლად სწორს სამართალს განუჩენს მოყვასს,
ქვეყნის საქმეშიც პირნათელი იქნება მარად.
მაგრამ კანონებს ვინც გათელავს ამპარტაუნებით,
ანდა ეცდება მოაქციოს თავის ნებისად
ქვეყნის მუფე, ჩემგან ქებას ვერ ეღირსება.
მის ყოველ სიტყვას — ვინც ხელმწიფედ თვითონ სცნო ხალხმა —
ემონოთ უნდა მართებულს თუ უმართებულს.
იგი, რომელიც მეფის ნებას მორჩილებს მტკიცედ,
მწამს რომ იქნება მტკიცე თავის მეფობის დროსაც,
მტრის მოსიყვარისას ქვეყნის კედლად აღიმართება,
ერთგულ ჭომაგად მებრძოლებთან თანამდგომელი.
შფოთიანობა, — აი სნება უსაზარლესი,
იგი ქალაქებს ანადგურებს აღმრევი ხალხთა,
არღვევს ოჯახებს; ანცალკეევებს მხარდამხარ მებრძოლთ
და უკუაქცევს. მორჩილება; ჰა, ერთად-ერთი
სხნა და იმედი, ხალხის, ქვეყნის განმტკიცებელი.
ამიტომ გემართებს ადათ-წესნი დავიცვათ წმინდად
და არ დაფუშვათ დამარცხება დედრისგან მამრის.
თუ მარცხი გველის, დე დაგვამსოს მართლა ვაჟეკცმა,
ოღონდ არ გენახონ დიაცისგან დამარცხებული.

ხორთ:

გამგადასულნი თუ ჯერ გონსაც არ გადაესულვართ,
რასაც შენ ზრძანებ, გონიერულად გვიჩანს, მეფეო.

ქემონი:

მისმინე, მამავ, მოკვდავთ სიბრძნეს გვეყვალობენ ღმერთნი,
რაც ამქვეყნიურს მადლს ყოველსა აღემატებინს.
არ კი აფიქრო გედავები, ვერც იმას გკადრებ.
რომ შენი სიტყვა უმართლოა, მაგრამ მესხ გარდა,
სომ შესაძლოა იყვნენ სხვებიც, სწორად განმსჯელნი...

და, რა თქმა უნდა, მე შევიტყობ შენზე უადრეს, —
 თუ ვინ რას ფიქრობს, როგორ მსჯელობს, გაქებს თუ გლანძღავს
 შიშის ზარსა სცემს უბრალო ხალხს შენს თვალთა მზერაც, **განაძირობისა**
 რისთვისაც შენს წინ ვერა უთქვამთ, თუ არ საამო.
 მე კი ჩრდილში ვარ და იქიდან თვალნათლივ ვხედავ,
 დღეს თებე რარიგ შეაძრწუნა ამ ქალის სვედრმა.
 ყველაზე უფრო მზარავია ვგზომ უცოდველ
 კმედობისათვის დაიღუპო ესდენ უღირსად.
 დვიძლი ძმა ომში დაღუპული, ძაღლთა და ფრინველთ
 რომ არ დაუგდო საჯიჯგენელად, მან განა ამით
 ოქროს გვირგვინი და ხოტბა არ დაიმსახურა?!
 ასეთი არის ყრუ ჩურჩული და მითქმა-მოთქმა.
 ჩემთვის კი უფრო სანეტარო და სასურველი
 არა არის, რა, ვიდრე შენი ბედკეთილობა.
 შვილთათვის მზეობს ღირსეული მამის დიდება,
 ხოლო მამისთვის ძეთა მისთა აღმატებანი.
 კარგად დაფიქრდი, თავს ჯიუტად ნუ დაირწმუნებ,
 რომ ბჭობა შენი, სიტყვა მხოლოდ შენს მიერ თქმული
 არის მართალი, სხვათა აზრი კი არაფერი.
 ვისაც ღრმად სჯურა, რომ ბრძენია იგი მარტოდენ,
 სხვათა უმეტეს ნიჭით სავსე და ოქროპირი,
 ბოლოს შეიცნობს, რომ ყოფილა არარა მხოლოდ.
 აროდეს მოკვდავს, რაგინდ ბრძენიც არ იყოს იგი,
 არ დაეძრახვის კვლავ ისწავლოს სიბრძნე სხვათაგან.
 თვითონაც უწყვი, რტოთა თვისთა გადასარჩენად,
 ზამთრის გრივალში ხენი მიწას განერთხმებთან,
 ხოლო უდრეკნი ითხრებიან ძირ-ფესვიანად.
 ზღვაში მენავეც, დაფხრეწამდე დაჭიმულ აფრას
 თუ დროზე დაბლა არ დაუშვებს ეამსა ჭარიშხლის,
 გადუბრუნდება პირქვე ნავი და დაინთქმება.
 მამ დაცბრი, მეფეც, და შეცვალე ეს განაჩენი,
 თუ მე ჯერ ყმაწვილს ჭკუის რამე დამეჯერება.
 უმჯობესია, თვითონ ვიყოთ ბუნებით ბრძენნი
 და თუ არა ვართ, თუ ჩვენს მიმართ ძუნწობს განგება,
 გვმართებს მივდიოთ გონიერთა გონიერულ რჩევას.

ხორო:

მეფეც, თქვენ ორნივე კარგად ამბობთ და რამდენადაც
 ეს ბრძნულად მსჯელობს, იმდენადვე შენც შეისმინე.

კრეონი:

ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ ხელმწიფეს ესდენ უმწიფარ
 ყმაწვილისაგან კვადრება ჭკუის სწავლება?



პ ე მ ო ნ ი:

თუმც ჭაბუკი ვარ, უსამართლოს არაფერს გირჩევ.
აქ ფასი დაედოთ არა ასაკს, არამედ საქმეს.

კ რ ე ო ნ ი:

თქვი, რა საქმეა მეფის ურჩთა გამოსარჩლება?

პ ე მ ო ნ ი:

მე უკეთურის შეწყალება არ მითხოვია.

კ რ ე ო ნ ი:

თუ მისი სული შეუბყრია უკეთურებას?

პ ე მ ო ნ ი:

ეს ხალხსა ჭკითხე, სხვას ამბობენ თებეს მცხოვრებნი.

კ რ ე ო ნ ი:

როგორ, მე, მეფემ, ხალხის სიტყვას მივდიო განა!

პ ე მ ო ნ ი:

აღბათ ვერც ამჩნევ, რა უმწეო ბაეშვივით მსჯელობ.

კ რ ე ო ნ ი:

მაშ სხვათა ჭკუით უნდა ემართო სამეფო ჩემი?

პ ე მ ო ნ ი:

იქ, სადაც მხოლოდ ერთი მეფობს, არც სამეფოა.

კ რ ე ო ნ ი:

განა მის მეფეს არ ეკუთვნის სამეფო მთელი?

პ ე მ ო ნ ი:

შენ ერთი მართო უდაბნოში იმეფებ ბრძნულად.

კ რ ე ო ნ ი:

ჰო, რა თქმა უნდა, დედაკაცზე ზრუნავს ჭაბუკი.

პ ე მ ო ნ ი:

დიახ, თუ შენ ხარ დედაკაცი, მე შენზე ვზრუნავ.

კ რ ე ო ნ ი:

ო, არამზადავ! ეს რა მკადრე შენს შემქმნელ მამას?!

პ ე მ ო ნ ი:

არრას გკადრებდი, მაგრამ როცა სამართალს ხელჰყოფ...

კ რ ე ო ნ ი:

იმით ხომ არა, რომ ჩემს მეფურ უფლებებს ვიცავ?

პ ე მ ო ნ ი:

ამნაირ დაცვით თუ ღმერთების კანონებს პქელავ.

კ რ ე ო ნ ი:

უღირსო მონავ, დედაკაცის ფეხქვეშ განრხთმულ!

პ ე მ ო ნ ი:

მაგრამ ვერ იტყვი, რომ სასირცხო საქმისთვის ვიღწვი.

კ რ ე ო ნ ი:

მაინც ყოველი შენი სიტყვა მასზეა მხოლოდ.

პ ე მ ო ნ ი:

არა, შენზედაც, ჩემზეც, თებეს მფარველ ღმერთებზეც.

კ რ ე ო ნ ი:

გმარა, იმ ქალის ცოცხლად შერთვას ვერ ეღირსები.

პ ე მ ო ნ ი:

მოკვლას უპირებ? მაგრამ იმ ქალს სხვაც თან მიძყვება.

კ რ ე ო ნ ი:

არ ხედავთ, ხალხნო, მემუქრება კიდევ თავხედი!

პ ე მ ო ნ ი:

თუ უსამართლო მსჯავრის გმობა მუქარად ითქმის...

კ რ ე ო ნ ი:

მაგ შენს სულელურ აბდა-უბდას დაგისვამ ძვირად

პ ე მ ო ნ ი:

ეპ, ჩემი მამა რომ არ იყო, გიქს გიწოდებდი.

კ რ ე ო ნ ი:

შართლა? კეთილი. აი ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს,
მძიმე იქნება საზღაური ჩემი გინების.

პეი, მსახურნო! აქ შოიფვით გველა წყვეული.

და საქმროს თვალწინ მოაკვდინეთ...

პ ე მ ო ნ ი:

არა, ნუ ფიქრობ,

ამას დავესწრო. არ მოკვდება იგი ჩემს თვალწინ.

აჰა, მიედივარ. ველარ მნახავ აწ ვერასოდეს.

სხვები დაისწარ მოწმედ შენი დამთხვეულობის.

ხ ო რ ო:

ხედავ, მეფუო, როგორ გარბის განცეცხლებული?

აგეთ ასაკში საშიშია სასოწარკვეთა.



კ რ ე ო ნ ი:

გზა ხსნილი ჰქონდეს... იმ ქალების ბედს ვერვინ შესცვლის

ხ ო რ ო:

ნუთუ ორთავეს მოკვდინება ბრძანე, მეფეო!

კ რ ე ო ნ ი:

არა, იმ ერთსა ბრალი არ აქვს, შენ მართალი ხარ.

ხ ო რ ო:

მაგრამ მეორეს, რა სიკვდილით უპირებ დასჯას?

კ რ ე ო ნ ი:

ვიწრო ბილიკით მიიყვანენ ადგილს უდაბურს
და ცოცხლულად ჩააგდებენ აკლდამას ბნელსა.
საკვებსაც მცირეს დაუდებენ, რომ მკრეხელობა
არ გამოვიდეს, რითაც ცოდვას ავაცდენ თებეს.
დაე იქ ჰადესს შევედროს, ვინც ღმერთებს შორის
სხვაზე მეტად სწამს, მან დაიხსნას დაღუპვისაგან,
და თუ არ იხსნის, მაშინ მაინც ხომ დარწმუნდება,
რა ამოაა სასოებდე ქვესკნელის უფალს.

ხ ო რ ო:

სტროფი ა.

ო, ეროს, ღმერთო ომსა შიგან ძლევამოსილო!
ო, ეროს, ღმერთო, ყოველ არსება დამამხობელი!
ვინც ღამეს ათევ ნაზ ღაწვებზე ტურფა ქალწულის,
ზღვას გადასცურავ და შეაღწევ მხეცთა სამყოფელს...
შენ ვერ გაგაქცა ჯერ ვერაფერ ვერც უკვდავთაგან,
და ვერც დღემოკლე კაცთა მოდგმიდან...
ვისაც შეიპყრობ გონს მიხდი ყველას.

ანტიპროფი ა.

შენ ის ღმერთი ხარ, ვინც მრავალგზის გულნი მართალნი,
ბოროტისაგან მიაქციე კაცთ დამღუბველად.
ნათესავთ შორის ჩამოაგდე დღეს შუღლი ესე,
და მაინც სასძლოს წამწამებს ქვეშ კრთის ცეცხლი წმინდა.
რომ ეზიარა ნება-სურვილს უზენაესის,
კანონს ღმერთ-ქალის...

ყოვლისშემძლე აფროდიტესი.

კ ო რ ი ფ ე:

ებ, როგორ შევძლო მოთმინებით თავშეკავება,
რომ თვალთა ჩემთა არ გადმოსკდეს ცრემლი მდულდარი!
აჰა, იწყება აღსრულება გარდაუვალის...
აჰა, პირიშუე ანტიგონე მიჰყავთ პყრობილი
საყოველთაო, სამარადო განსასვენებელს.



ანტიგონე:

თებუს მცხოვრებნო, ქე, მშვიდობით...
 მივეყვები ჩემს გზას უკანასკნელს...
 უკანასკნელად ვუცქერ ზეცას,
 აქ ვერღა ვნახავთ, რადგან ჰადესს
 მიუყავარ ყოვლის დამძინებელს,
 ცოცხლად ნაპირზე აჭერონის...
 ვისაც ჰიმენე არ მსმენია,
 შეპირთავს ცოლად აჭერონი.

ხორო:

მაგრამ სულეთის ბნელ სავანეს
 მიხვალ დიდების შარავანდიო,
 არც უკურნებელ სენით ძლეულ
 არც განბასრული მახვილითა...
 შენ პირველი ხარ მოკვდავთაგან,
 ვინც თავის ფეხით შეხვალ ჰადესს.

ანტიგონე:

მსმენია, როგორ დაღუპულა
 სიპილოს მწვერვალს ფრიგიელი,
 სტუმარი იგი აგზედათი,
 ასული თვითონ ტანტალესი...
 ამბობენ, მძლავრად მოჭდობია
 ირგვლივ სალი კლდე სუროსავით
 და ასე პერობილს დღით თუ ღამით
 აწვიმს და აოთვს უსვენებლივ.
 თურმე იმ კლდეზე, მის თვალთაგან
 ცრემლია წყაროდ მომჩქეფარი...
 აგრევე გამწირა მეც განგებამ.

ხორო:

მაგრამ ღმერთ-ჭალი იყო იგი,
 ასული ღმერთთა, ჩვენ კი ვინ ვართ?
 მოკვდავნი, მოკვდავთ ნაშიერნი...
 მიტომ გადაიდებთ ჰადესის მგზავრს,
 სიციცხლითაც და სიკვდილითაც,
 მაღალ ღმერთებს რომ დაედარე.

ანტიგონე:

ღამცინით? აბა რად დამცინით,
 ჯერ კიდევ სულდგმულს და საჩინოს...
 პოი, სამშობლოს დიდო ღმერთნო!
 პოი, ქალაქო, პოი, თებუს
 საბელოვანო მამაკაცნო!
 ო, დირკეს წყაროვ, თებუს ქალავ,
 ეტლთა განთქმულო ასპარეზო!
 დღეს მოპასუხედ გიხმობთ ყველას:



მარტვით, რომელი წეს-ადათით,
უზარზეიმოდ, დაუტირლად,
უნდა ჩავიდებ ბნელ სამარეს?
ვაი, ბედკრულთ თავო ჩემო!
არც ცოცხლებში ვარ, არც მკვდრებს შორის,
საზღვარზე სულეთ-სამზესოსი.

ხორო:

შენ გასაოცარ გულოვნებით
გვკეთე დიკეს მუუფებას
და ზედ შეემსხვერ, შვილო ჩემო.
სჩანს, მამის ცოდვა მოგდევს წყველად.

ანტიგონე:

ო, ნუ მაგონებთ ჩემს დიდ ტკივილს,
მშობელთა შხარავ შეცოდებას,
ვაებას მთელი ჩვენი გვარის,
საქვეყნოდ განთქმულ ლაბდაკიდთა.
ო, ბედკრულ დედის საქორწინო
საწოლო ცოდვით აღსაესეთ,
სად შვილთან დედის შეუღლებამ
წარმოშვა ეგზომ ავბედითი...
მკვდართა საგანეს მივალ ესლა,
უკორწინებლად, ღვთივ წყველი.
ო, ძმოს ჩემო უბედურო,
უსანოდ სულეთს გარდასულთ,
მკვდარმა ცოცხალი წარმიტაცე.

ხორო:

მკვდართათვის წესის შესრულება საქმეა სათნო,
მაგრამ ურჩობა უზენაესთ ბრძანებისადმი
არ შეიძლება, ამით ხელყოფ თვით უზენაესს...
ეჰ, შენ დაგღუბა შენივ სულის შეუპოვრობამ.

ანტიგონე:

ჩემს წილხვდომილ გზაზე მივდივარ,
მოთქმა-შარით რომ არ მომდევნ
მეგობარნი, არც ნათესავნი...
ოჰ, ვერასდროს ვერღა ვინილაგ,
სულეთიდან დღის თვალს ოქროვანს,
ჩემს მწარე სვედრს არვინ დასტირებს,
ოსვრაც არვის არ აღმოხდება.

კრეონი:

ნუთუ არ იცით, თუ მსჯავრდებულს მიეცი ნება
არ დაასრულებს სიკვდილის წინ გმინვა-გოდებას.
აბა, აკლდამას თალოვანსა შეაგდეთ ესლაგ.
დასტოვეთ მარტო, შესაფერად ჩემი ბრძანების.

უფლებას ვაძლევ, გინდ იცოცხლოს სანამდეც სურდეს,
გინდ წამსვე მოკვდეს... მის წინაშე ჩვენ უბრალო ვართ.
ერთი ცხაღია, საამქვეყნო არღაა იგი.



ანტიგონე:

პოი, აკლდნამე, განკუთვნილო ჩემს სანთიობოდ!
უფსკრულო, სულთა საპყრობილვე ბნელთაღოვანო!..
მანდ ბევრნი მყვანან ჩემიანნი, ვინც პერსეფონემ
უდროოდ მკვდარნი მიითვალა, რომელთა შორის
შეუალ ყველაზე ავბედითი უკანასკნელად,
თუმც მოირასგან ჯერ სიცოცხლე არ მომსწრაფვია.
ერთიღა დამრჩა სასოებად, რომ სიყვარულით
მიმიღებს მამა, რომ ვიჭნები მე სასურველი
შენთვისაც, დედავ, და შენთვისაც, ძვირფასო ძმაო...
მიცვალებულნი ჩემი ხელით განმიბანისართ,
მერმე შეგმოსეთ და გაპკურეთ განსაწმენდელი...
და აა, შენთვის როგორ მსჯიან, ოპ, პოლინიკვე!
თუმც ბრძენთა აზრით, მკვდარზე ზრუნვა საქმეასათნო.
რომ ვყოფილიყავ შენი დედა, ან ცოლი შენი,
ველზე მენახე დაგდებული ყვაავ-ყორნის კერძად,
თებეს კანონთა წინააღმდეგ არ დაგმარსავდი.
მე ხომ შემეძლო სხვას შევრთვოდი და წარმომეშვა
ძე ახალ ქმრისგან... მაგრამ ესღა, როცა ჰადესის
უკუნ სიბნელეს მიეფარენ მშობელნი ჩემნი,
ჩემთვის ღვიძლი ძმა აღარასდროს წარმოიშობის...
მიტომაც საღვთო წესისამებრ დაგმარხე, ძმაო,
მაგრამ კრეონი ამას მითვლის დიდ შეცოდებად
და მამა, პყრობილი დასასჯელად უკვე მივყავართ,
არმცოდნე ქმრისა, არც დედობის, უჭორწინებლად,
ულხინებელი, უშვილ-ძიროდ გადვიდე უნდა.
ო, ესღა რარივ საბრალო ვარ, რა უნუგეშო...
ცოცხალი მკვდართა ყრუ სამყოფელს მივემართები.
განა რომელი ღმერთის კანონს გადავედ ურჩი,
ან და რომელ ღმერთს სასოებით აღვუპყრო თვალნი
და ეთხოვო დამხსნას ამ განსაცდელს საბედისწეროს,
როცა ღვთის გმობად ჩამეთვალა ღვთისმოსაფობა?!
ჩემს აგრე დასჯას მართებულად თუ სცნობენ ღმერთნი,
შთამაგონებენ, რომ შევცოდე, მეც უდრტყინველად,
მოვკვდები, მაგრამ თუ სცდებიან უზენაესნი,
ღე ამგვარივე თავს დაატყდეთ მათ სატანჯველი.

ხორო:

ხედავთ მის სულში რა მძვინვარე გრიგალი ბორკავს!..
ან რა დააცხრობს!..



კ რ ე თ ი:

მხოლოდ დასჯა. მაშ რაღას დგახართ?..
უფრთხილდით, ბოლოს არ ინანოთ აქ დაყოვნება!

ანტიგონე:

ო, ამ სიტყვებში სიკვდილს ჩემსას რა ახლოს ვხედავ!

კ რ ე თ ი:

ვერ განუგეშებ, რომ ეს მსჯავრი არ შესრულდება. (მიდის)

ანტიგონე:

ჰოი ქალაქო სამეუფოე და სახლო ჩემო!
ჰოი თქვენ, ღმერთნო წინაპართა, სამშობლოს მიწავ!..
აი მივდივარ... მეც მივეყვები ჩემს უნებლიედ...
და სად მივდივარ?.. შემომხედეთ, თებეს მმართველნო,
მე, უკანასკნელ შთამომავალს თქვენი მბრძანებლის, —
რა ტანჯავს ვიტან, ვისგან, რისთვის?.. მხოლოდ იმიტომ,
რომ სათნოების ვიყავ მსახური. (ანტიგონე გაჰყავთ)

ესაიას პოეზია

ხ ო რ ო:

სტროფი ა.

აგრეე ეწამა ტურფა დანაეც,
სამშეოს ნაცვლად რომ მისცუნ ბინად
სკიერი, სპილენძით შემოსალტული,
სამარეც — ტახტად... ო, შვილო, შვილო.
თუმც იგი იყო დიდგვაროვანი
და ჰყავდა შვილი თვით ზევისისაგან,
მოვლენილისგან ოქროსფერ წვიმად...
შენს ბედისწერას ვერ გადაგარჩენს
ვერცა სიმდიდრე, ვერც ომის ღმერთი,
ვერც ციხე-კოშკი ძნელ მისადგომი
და ვერც ხომალდი წყალ-შეუვალი.

ანტისტროფი ა.

აგრეე დაოკდა გულმზვარობარი,
ედონელთ მეფე, ძე დრიანტესი,
ვინც დიონისემ თავხედობისთვის
გამოამწყვდია ქვის შავ-ბნელ მღვიმეს.
აქ დაცხრა მისი ველური სული
და შეიგონა, რაოდენ დიდი
უგნურებაა შეურაცხყოფელ
ენის ტარტალით ღმერთს დასცინოდე,
საკურთხევის ცეცხლს უქრობდე წმინდას
და მეფლეიტე მუშებს უფრთხოობდე.

სტროფი ბ.

ორი ზღვის შუა, ცისფერ კლდეებთან,
სადაც ატრაკიელთ ბოსფორის მზარეს
სალშიდესია, პირქუში მარად,
თვითონ არესმა იხილა თურმე,
იქ ფინეიდებს ცოლმა ფინეესის
რა სისასტიკით დასთხარა თვალნი,
წიგ დანის ნაცვლად მაქო რომ ჩასცა...
და შუქ-ჩამქრალი თვალთა უბენი,
ზე აპყრობილნი, მაღალ ღმერთთაგან —
იხსოვდნენ შევლას და შურისგებას.

ანტისტროფი ბ.

ღონემიხდილნი, სვეუბედურნი,
სტიროდნენ თავის საშინელ ბედზე,
დედის აგბედით ქორწინებაზე...
თუმც დედა იყო უძველეს გვარის,
თვით ზრესთეესის შთამომავალი,
ასული ფებსმარდ ბორეასისა
და მამისეულ გრიგალთა ქროლვამ,
აღზარდა იგი შორეულ მღვიმეს...
ოჰ, შვილო ჩემო, ღმერთების პირმშოს,
მასაც კი მისწვდა რაშზე უმაღლეს,
რისხვა ხანდაზმულ მოირებისა.

ტ ი რ ე ს ი: (შემოჰყავს მიგზურ ბიჭუნას)

ჩვენო მეფეო, აქ ერთი გზით მოესულვართ ორნი,
ამის თვალებით მოვდიოდით, რადგან შუქჩამქრალთ,
ბნელში მიგზურის თვალთა შუქი დაგვაბოგინებს.

კ რ ე ო ნ ი:

მოდით ტირესი, რას მაუწყებ ახალს, მოხუცო?

ტ ი რ ე ს ი:

გაუწყებ, ოღონდ გულისყური მომაყარ, მეფე.

კ რ ე ო ნ ი:

თქვით, სიტყვას შენსას გულისყურით ვუსმენდი მუდამ.

ტ ი რ ე ს ი:

მიტომაც ვგრე ღირსეულად მართავდი თებეს.

კ რ ე ო ნ ი:

მეც ვაღიარებ, ბევრ განსაცდელს კეთილად დამხსენ.

ტ ი რ ე ს ი:

ესლაც უფრთხილდი, დანის წვერზე დგახარ, მეფეო!



კ რ ე თ ი:

მაგას რად ამბობ? შენმა სიტყვამ შემძრა მოხუცო.

ტ ი რ ე ს ი:

როცა გაუწყებ, შენც მიხვდები განგების ნიშნებს. ჩვეულ ადგილზე სამკითხაოდ სამისნოს ვიჯექ, სად ყოველგვარი ფრინველი მყავს... და შემომესმა ხმა უცნაური, განძვინების კრიახი უცებ. დაფაყურადე და შეეციან ფრთების ფართქუნზე ფრინველნი ფრინველთ გამშაგებით დაძვრებულნი, რა დაუნდობლად ებრძოდნენ და გლეჯდნენ კლანჭებით. შევშინდი, წამსვე საკურთხეველის კოცონს მივმართე და ჩემს ხელთაგან არ მიიღეს მსხვერპლი ღმერთებმა... ჯერ საღვთო ცეცხლი ძლივს გაჩაღდა... მერმე ცვარ-ცვარად ქონი ნაკვერცხლებს ბარკლებიდან რომ დაეღვენთა, ატყდა შუშხუნი, ადგა ხრჩოლი და ცეცხლი წმინდა, განცოფებული სულ მხეფებით იფურთხებოდა... ბოლოს ნაცარში აღდაკრული ძელებიდა დარჩა. ასე მაუწყა ამ ბიჭუნამ, ეს არის ჩემი გზისმჩვენებელი, როგორც მე ვარ თქვენი მეგზური. შენმა ბრძანებამ შეაძრწუნა ქალაქი, მეფეც, ძალთა და ფრინველთ წაუბილწავთ საკურთხეველნი, ოიდიპოსის იმ უბედურ შეილს რომ ძიძგნიან. არღა ისმენენ ჩვენს ვედრებას ღმერთნი მფარველნი, არც მსხვერპლს იღებენ, არც წმინდა ცეცხლს საკურთხეველიდან. ჩიტნიც, სიკეთის მაუწყებლად მოჭიკჭიკენი, მოკლულის სისხლით გამაძღარნი სდუმან ერთთავად. კარგად დაფიქრდი, შვილო ჩემო... ასწონ-დასწონე. კაცი მოკვდავი სად ყოფილა შეუცდომელი... მაგრამ ცდომილი თუ შეიცილობს შეცდომას თვისას და სათნო ქცევით განაქარწყლებს ამ შეცოდებას, იგი უგნურად არღა ითქმის, არც უბედურად. სისულელეა ჯიბრზე დგომა ამპარტავნული. გიჯობს, მეფეო, მკვდარს დაუთმო, დაცემულს ნუ სცემ რა გმირობაა ხელმეორედ მკვდრის მოკვდინება? შენს სასავეთოდ ვლამპარაკობ... შეც გამახარებ და შენც გაამებს, კეთილ რჩევას თუ დამიჯერებ.

კ რ ე თ ი:

ყველა ისარი ჩემსკენ მოჭრის... ჰაი, მოხუცო! ყველას სამიზნო მე ვარ ეზლა, მისნობის ჟამსაც ჩემზე მკითხაობთ... სოლო სისხლით ნათესავთაგან დიდინანია რაც გაცემულ-განყიდული ვარ. ჰო და ივაჭრეთ, მოანაგრეთ სინდეთის ოქრო, ხვეჭეთ ელექტროც სარდესისა რამდენიც გნებავთ...



დასამარხავად მაინც მის გვამს ვერ გამოძალავთ. თუნდ იგი საღვთო არწივებმაც ისურვონ საზრდოდ და ნაფლუტებად აიტანონ თვით ზვესის ტახტთან, არ მემინიან მე ამნაირ მკრეხელობისაც და მას დამარხვას ვერ ვადირსებ... ვიცი რომ მოკვდავთ არ მიუწვდებათ ხელი უკვდავთ წასაბილწველად... ფრთხილად ტირისი! ბრძენთა შორის ყოვლად რჩეულნიც იღუპებიან მსიღებულნი, სული ანგარი რაგინდ მიმზიდველ სათნოებას არ შეაფარონ.

ტირესი:

ვაი, ეს რა თქვა... ნუთუ ჩემი აქ არვის გესმით!

კრეონი:

რა სიბრძნეს გვეტყვი, რაც საქვეყნოდ არ გაგვეგონოს?

ტირესი:

თქვი, რამდენად სჯობს სხვა სიკეთეს გონიერება?

კრეონი:

კაცს რამდენადაც უგონობა ხდის უბედურად.

ტირესი:

სწორედ ამ სნებას შეუპყრისხარ მენეოკის-ძევ.

კრეონი:

რაც არ უნდა თქვა, უხამსობას ვერ ვკადრებ მისანს.

ტირესი:

უკვე შემკადრე, ნათელხილვას სიცრუედ მითვლი.

კრეონი:

რადგან ჩაგიქრო ანგარებამ სინათლევ სულის.

ტირესი:

განთქმულ არაან ანგარებით ქვეყნის მტარვალნი.

•კრეონი:

ჩანს დაგავიწყდა, რომ მბრძანებლის წინაშე დგახარ.

ტირესი:

მახსოვს, რამდენჯერ ჩემი რჩევით დაიხსენ თებე.

კრეონი:

ვიცი, ბრძენი ხარ, თუმც ბოროტი მოყვასთა მიმართ.

ტირესი:

რად მაიძულებ ვთქვა, რაც გულში მაქვს დაფარულად?

კ რ ე თ ი:

თქვი, ოღონდ ნათქვამს ანგარების არა ეცხოს რა.

ტ ი რ ე ს ი:

კეთილი... მაგრამ თუ სათქმელი შენზეა მხოლოდ?

კ რ ე თ ი:

რაც არ უნდა თქვა, ჩემს განაჩენს არ შეეცვლი მიანიც.

ტ ი რ ე ს ი:

მაშ ჩემი სიტყვა დაიხსომე, მზე სწრაფმაგალი
 ვერც კი მოასწრებს ცაზე ერთხელ შემობრუნებას,
 რომ შენს ღვიძლთაგან ერთს გაიღებ მკედრების წილ მკედრად,
 მის საზღაურად, ვინც ზემყოფი ქვესკნელ შთაგზავნე,
 ჰყავ შსახლობელად შავეთისა სული ცოცხალი,
 ხოლო ვინც ქვესკნელს უნდა იყოს, მას უპატიოდ,
 გინებულს, მიწადაუყრელად სამშენოს სტოვებ.
 ამის უფლება არც შენა გაქვს, არც თვთონ ღმერთებს.
 მომავდინებელ მკრეხელობას სჩადიხარ, შეფევე-
 აცოდე, შურის საძიებლად რომ გდარაჯობენ
 ერთინები ქვესკნელის და ზესკნელის ღმერთთა...
 თავს დაგატეხენ ივეთსავე უბედურებას,
 როგორიც თვითონ სხვებს დამართე უმართებულოდ.
 კარგად განსაჯე, ანგარებით ხომ არას ვამბობ?
 მალე, სულ მალე შენს სასახლეს შეაზანზარებს
 ქალთა და კაცთა ზარ-ზეიმი უსაზარლესი...
 შენზე ყოველმხრივ აღდგებიან სამტროდ ქალაქნი,
 რომელთ შვილებსაც სამღვთო წესის შემსრულებლებად
 შენ მიუსიე ძაღლნი, მხეცნი თუ ყვავ-ყორანნი,
 მძორის სიმყრალით რომ წაბილწეს საკურთხეველნი.
 პა, დავასრულე რაც მინდოდა მეთქვა, მეფეო;
 ნურაცხყოფით შენგან ესდენ განძვინებულმა,
 ვითარ ჩუბინმა, აუცდენლად გტყორცნე ისარი,
 და მწვევე ტკივილს სად წაუსვალ, თუ გულში დაგტყერ?
 უკვე დრო არას შინ წავიდეთ, გამიძებ, შეილო.
 ამან კი უცად ყმაწვილებზე იყაროს ჯავრი.
 ეუსურგოთ მისვდეს, სად სჯობია თავშეკავება
 და უფრო მეტად ბრძენი იყოს, ვიდრეა ესლა.
 (მიდის)

ხ ო რ ი:

მეფეე, მისანმა ეს რა გვითხრა, რა შემზარველი
 დასტოვა სიტყვა გარდაუვალ ავბედობისა!
 ამ ხნის მოყვრილვარ, თმა სიბერით გამთეთრებია
 და ჯერ არ მახსოვს მისი სიტყვა არ ამხდარიყოს.

კ რ ე თ ი:

მეც ეგ მამფოთებს... თუმც დათმობა ძნელია მეტად,
 უფრო ძნელია შეეჭიდო შენს ბედისწერას.

ხორთ:

იქნებ ჩვენს თათბირს საჭიროებ მენეჯის-ძვე.

კრეოთნი:

როგორ მოვიქცე? თქვენ მიჩნით და აღვასრულებ.

ხორთ:

წარვედ, მეფეო, ტყვეს განუღე აკლდამის კარი,
 დამარხე გვამიც უპატროდ ველს დაგდებული.

კრეოთნი:

მაშ, შენის აზრით, უნდა დავთმო?

ხორთ:

იჩქარე, მეფეო,

ცოდვილთა მიმართ არ აყოენებს რისხვა ღმერთების.

კრეოთნი:

ეპ. სად მაქვს ღონე შევებიდო გარდუვალობას.
 გული არ შეება, მაგრამ მაინც ვცვლი ჩემს ბრძანებას.

ხორთ:

ამ საქმეს თვითონ გააკეთებ, სხვას არვის ანდო.

კრეოთნი:

კარგი, მივდივარ. ჰე, მსახურნო, ყველა, ვინც აქ ხართ
 და ვინც არა ხართ, ჩემთან ჩქარა, ჰო, აქეთ, აქეთ!
 თან წამოიღეთ წერაქვებიც და გამალებით
 აი იმ ადგილს მიაშურეთ, აქედან რომ ჩანს.
 მე კი, ხელმწიფე, თავის სიტყვის უარმყოფელი,
 ტყვეს ჩემგან პყრობილს ჩემივე ხელით განვუღებ კარსა.
 ცხადზე ცხადია, ყველას გემართებს თვით სიკვდილამდე
 აღვასრულებდეთ მარადიულ კანონებს ღმერთთა.

(მიდის.)

ხორთ:

სტროფი ა.

ო, დიდებაჲ კადმოსიანთ ასულის,
 ნაშიერო მიძიმედ შგრგვინავ ჴევისისა,
 ვინც ოდითგან იტალიას მფარველობ
 და როშელიც ელევსინელ დემეტრას
 ყოვლის შემკრებ ველ-მინდერებზე შეუფებ...
 ჰოი ბახუს, ღმერთო სახელ-მრავალო!
 ჰოი ბახუს, თებეს, პაქელ ჭალწულთა
 სახელგანთქმულ დედაქალაქს მცხოვრებო...
 სად ისმენეს ნაპირთან აღმოცენდა,
 გველეშაპის თესლი იგი ბოროტი.

ანტიტროფი ა.

შენ გზედავენ, სადაც ორმწვერვალოვან
 მთაზე მნათობს ჩირაღდანი გიზგიზა,
 კასტალიის ჩუხჩუხებენ ჩანჩქერნი
 და ცეკვავენ კორიკელი ნიმფება.
 მაგრამ ზოგჯერ სუროთი და ვენახით
 გადამურულ ნისეს ფერდობებიდან,
 ღვთაებრივი სიმღერების თანხლებით,
 ესტუმრები შენს საყვარელ თებესაც.

ტროფი ბ.

შენ ხომ თებეს, სხვა ქალაქთა უმეტეს,
 შენს განმეხილ დედასავით პატივს დებ.
 ეხლა თებე მძვინვარე სენს მოუცავს...
 მამ დაეწვი მწვერვალიდან პარნასას,
 ზღვააც გამოვლევ მშფოთვარ-ალქაფებული,
 მოვედ თებეს, განმწმენდ-განმკურნებელს.

ანტიტროფი ბ.

ჰოი, ღამის ღრუბათა მეუფევე!
 მბრძანებელი მოკაშკაშე ვარსკვლავთა!
 თვითონ ზეცის ძეო უსაყვარელსო!
 მოვედ ჩვენთან ფიადების ამალით,
 ვინც მთელ ღამეს ცეკვით და სიმღერებით
 ვადიდებენ შენ, უფალო იაკს.

მ ა ც ნ ე: (შემოდის)

ისმინეთ, მკვადრნო კადმოსისა და ამფიონის!
 მოკვდავთ ცხოვრებას, ვიდრე იგი არ დასრულდება,
 ჩვენგან არ ეთქმის არც აუგი და არც დიდება,
 რადგან დღეს ბედი თუ გვამალღებს, ხვალ იგივე ბედი
 თანაბრად ამხოზს ბედნიერსაც და უბედურსაც...
 ხოლო წინასწარ გარდაუვალს ვერვინ შეიცნობს.
 აი კრეონიც, ვისი ბედიც იყო საშურველ,
 მოხუელ მტრისგან ვინც განწმინდა მიწა კადმოსის
 და გვეხელმწიფა ჩვენ უფლებით სწორუპოვარი,
 მეფობდა მორჭმით, შვილმრავალი, სვებედნიერი...
 ასე ერთბაშად დაიღუბა... თუ ნეტარება
 წარუღო კაცსა, მას ცოცხალი არ ეწოდების.
 თუნდ შენა იყოს მთელი ჭვეწნის ავლა-დიდება,
 გქონდეს ცხოვრება მოსაჩვენრად დიდხელმწიფური,
 ამა ყოველში შე არ მივცემ კვამლის მკრთალ ჩრდილსაც,
 სიცოცხლეს შენსას თუ არ აღხენს ბედკეთილობაც.

ხორთ:

კვლავ ჩვენს მეფესთან რა წუხილის ამბავი მოგაქვს?



მ ა ც ნ ე:

სიკვდილის, ხოლო ამ სიკვდილში ცოცხლებს აქვთ ბრალი.

ხ ო რ ო:

მგელელი ვინ არის, ან ვინ მოჰკლეს?

მ ა ც ნ ე:

ვინ და ჰემონი.

უცხო ხელს როდი განუგმირავს...

ხ ო რ ო:

მაშ მამამ მოჰკლა?

მ ა ც ნ ე:

თავი მოიკლა მამის ჭკვევით განრისხებულმა.

ხ ო რ ო:

პოა მისანო, შენი სიტყვა რა სწორად ახდა!

მ ა ც ნ ე:

ეს ასე იყო... ხოლო ეხლა სხვა ზრუნვა გვმართებს.

ხ ო რ ო:

აგერ საბრალო ვერიდიკეც, მეუღლე მეფის,
მოემართება შეილის ამბით შეძრწუნებული...
თუ ეს არც იცის და შემთხვევით გამოვლო აქვთ.

ე ვ რ ი დ ი კ ე:

თებეს მცხოვრებნო, თქვით რა მოხდა, თქვენს ხმაზე
მოვედ,

თუმც სასახლიდან გამოსული პალადას ტაძრად
ნიეიჩქართლი სალოცავად, თქვენ მოგაშურეთ.
როცა კარმჭის ურდულს ვწევდი, თითქოს ჩემს ხმენას
რადაც ხმა მოსწვდა ჩვენი სახლის უბედურების...
შიშმა შეშარა, დაეზარბაცდი და აღარ მახსოვს...
მხვეალთ მკლავებზე დავეხვენი თურმე უგონოდ.
მამცნეთ რა მოხდა, თავს დაგვატყდა რა აგბედობა?
აი,მე გისმენთ, ჩვეული ვარ ჭირს და ვაებას.

მ ა ც ნ ე:

თბ, გეტყვი, ჩვენო ქალბატონო, რაც თვალთ ვნახე,
ყველაფერს გეტყვი, ან სიმართლე რად დაგიმალო...
ეხლა ნუგეშიც თვალთმაქცობა იქნება მხოლოდ.
იანაც, სიცრუე ბოლოს მაინც ხომ გამოჩნდება...
მეგზურად ვასლდი შენს მეუღლეს, სად ბორცვებს მიღმა,
ჟერ კიდევ ეგდო ტიალ ველზე მტაცებელთაგან



ნაჯიჯგნი გვამი ბედუკუღმართ პოლინიკესი.
ჩვენც შევევედრეთ პლუტონსა და გზისპირას

ქალ-ღმერთს,

ნაცვლად რისხვისა, მოწყალემა მოედო ჩვენზე...
მერმე განვბანეთ ნაკურთხი წყლით ნაგლეჯნი ნემტის
და მწვანე რტოთა სარეცელზე განლაგებული
დავწვიეთ, ფერფლზედაც მშობელ მიწის ბორცვი

აღმართეთ

და მივაშურეთ ანტიგონეს სახლს საქორწინოს,
სად ქვის ტახტია და ჰადესის საბრძანებელი...
უცებ ჩვენთაგანს ერთს მოესმა რაღაც ყრუ გმინვა,
ქალწულის შავბნელ სამყოფიდან აღმოშავალი...
ამის საამბოდ კრეონისკენ გაქანდა იგი,
მეფეც აკლდამას მიეახლა და გულდამწველი
მითქმის გამგონემ შემზარავად ამოიბღავლა:
ოჰ, თავო ჩემო უბედურო, რა ნათლად ვხედავ,
ჩემივ დაღუპვის უბედითეს გზით მივდივარო...
თითქოს ეს ჩემი ვაჟის ხმას ჰგავს უსაყვარლესის,
გასწით მსახურნო, მსწრაფლ აკლდამას შემოურბინეთ,
ერთგან ხვრელს ჰპოვებთ ჩანაქცევარს, კარგად

ჩახედეთ,

ქემონის ხმაა, თუ ცდუნებით მტანჯავენ ღმერთნი?
ჩვენც ბრძანებაზე მეფის ასე გაოგნებულის,
მყის ხვრელი ვპოვეთ, ჩავაკვირდით აკლდამის

ბინდ-ბუნდს

და გავარჩიეთ, დაკიდული სჯლის წვრალ თოკზე
ქალწულის ტანი ქანაობდა, ხოლო ქემონი
გულში იკრავდა ქალწულის გვამს, გულამოსკვნილი
რომ დასტიროდა უძვირფასეს საცოლის სიკვდილს,
მამის სიგიჟეს და ავბედათ თავის სიყვარულს.
რა ეს იბილა, ადგილს მოსწყდა კრეონი წამსვე,
სამარხს ჩაეშვა და ხმამალლა შესძახა ქემონს:
თქვი აქ რა გინდა, რას ჩადიხარ, ჰოი ბედკრულო,
განა რა ელდამ წარიტაცა გონება შენი,
გამოდი, შეილო, შენი მამა გვედრებო.

მაშინ ქემონმა მზარავ მზერით შეხედა მამას,
მერმე უსიტყვოდ, ორღესული იძრო მახვილი,
მავრამ მოქნევა გაუცუდდა, რადგან აქ მეფემ
უკან დახვეით იხსნა თავი... ხოლო ქემონმა,
თავის მეგრდისკენ მიიბრუნა მახვილის ბასრი
და მიძიე დარტყმით სანახევროდ გულს შეიმსჭვალა...
შემდეგ კვლავ ქალწულს შემოჰხვია უღონოდ მკლავნი
და სულწდომისას, უკანასკნელ სისხლის ჩანჩქერით
ყარმიზის ფერად შეუღება დაწვნი ფერმკრთალნი.
ებლა იქ გვამი განისვენებს გვამს ჩახვეული,
ჰადესში რომ სცნეს საიდუმლო ქორწინებისა.
აი ამბავი, ცხადმყოფელი, რომ უგნურება
არის მოკვდავთა შეცოდება უბოროტესი.



ხორო:

ეს რაღას ნიშნავს, რად შებრუნდა შინ დედოფალი?
სიტყვაც არ დაცდა არც წუხილის, არც გაოგნების

მაცნე:

ვგ მეც მაგჭეუებს, თანაც ვფიქრობ, რომ დედოფალი
საქვეყნოდ ტირილს უკადრისობს და განგვერიდა.
აღბათ დარბაზში მოთქვამს ზარსა მხვევლებთან ერთად,
ჯერ ცნობაზეა, ცუდს არაფერს არ დაიმართებს.

ხორო:

აბა რა ვაცი, ერთი კია, გულს ჩახვეული
დარდით დუმილი, გლოვის ზარზე შემზარველია.

მაცნე:

ეხლავ გავიგებ, ჩვენს დედოფალს რა ჰქონდა ზრახვად,
არ დაიმაღვის მგზნებარ გულის იდუმალემა.
დროა სასახლეს მივასუროთ... შენ მართალს ამბობ,
ყრუ სიჩუმეში არის რაღაც სააგებდითო...

ხორო:

აგერ თვით მეფეც... მოდის, ნელა გვიახლოვდება...
მოაქვს თავისი შეცოდების საბუთიც მძიმე...
თუ შეიძლება ასე ითქვას, მეფეს მკლავებზე
გადაწვენილი მოაქვს თავის უბედურება.

კრეონი:

(შემოდის და შემოაქვს მკლავებზე გადაწვენილი
ჰემონი)

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-ო...

ცოდვანო სულის შემზარველნო...
სიკვდილის ძილით დამნისვლელნო...
შემხედეთ, მკვლელებ და მოკლულებ,
ერთი მოდგმის ვართ, მამა-შვილნი...
ჰოი სიკერპვე დამღუპველო!
ჰოი შენ, შვილო, ჯერ ყმაწვილო...
უდროოდ მკვდარო სიტაბუკვე...
ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-ო...
თავი მოიკალ? არა, შვილო...
შენ მოგკლა ჩემმა უგნურებამ.

ხორო:

ვაგლახ! რა გვიან სცან სიმართლე.

კრეონი:

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-ო...

ესლადა ჩავწვდი ჩემს ვაებას...
ო, თავს დამატყდა რომელიდაც



ღვთის რისხვა, ყოველთ უმძიმესი,
და მწუხარების გზით წამართა.
ო, ლხენავ ჩემო განფრთხობილო!
ო, კაცთა მოდგმის აგებდობავ!

მ ა ც ნ ე:

ჩემო ხელმწიფვე, ამ საშინელ უბედურებას
ზედ დაემატა სხვაც, ახალი, მიხვალ და ნახავ...
ერთი ხელთა გყავს, მეორე კი შინ გელოდება.

კ რ ე ო ნ ი:

ამის უარესს რასღა ვნახავ?

მ ა ც ნ ე:

მეუღლე თქვენი
გარდაიცვალა. ეს წუთია, რაც გულმა დედის
ჭრილობათაგან სისხლდაცლაშმა შესწყვიტა ძგერა.

კ რ ე ო ნ ი:

ო-ო-ო-ო-ო-ო...

ჭადესის შავო უფსკრულეთო,
რად მძირავ ვგრე უსასრულოდ...
მაცნევ, უღვეველ ვაებათა,
სხვას რასღა მეტყვი უსაზარლეს?!
ერთხელ მკვდარს კიდევ რითღა მომკლავ?...
თქვი, ეხღა რა ვქნა, ჩემო შვილო?

ო-ო-ო-ო-ო-ო...

სიკვდილი კვალში მოსდევს სიკვდილს...
შვილს მიჰყვა ცოლიც საყვარელი.

ხ ო რ ო:

აქედანაც ჩანს, თუ გახედავ, გამოაქვთ უკვე.

კ რ ე ო ნ ი:

ო-ო-ო-ო-ო-ო...

ვხედავ მეორე ჩემ თავზარსაც...
წუთის წინ შვილი ხელთ მესვენა,
ეხღა მეუღლის გვამს შევცქერი...
ო, დედა-შვილო უბედურო!

მ ა ც ნ ე:

ბასრი მახვილით განგმირულმა საკურთხეველის წინ
მიღულა თვალნი დაბინდულნი, ჯერ მეგარევისი,
ადრე დაღუპულ ძის სიკვდილის დამტირებულმა...
მერმე კემონზეც ღვარა ცრემლი, ხოლო დასასრულ,
შენ გწყვეღა მეფევ, ევ არისო შვილების მკვლელი.

კ რ ე ო ნ ი:

ო-ო-ო-ო-ო-ო...

შიშით მატრეოლებს, რად არავინ

ორღესულ ხანჯლით არ გამგმირავთ?!

ოპ, ესლა რარიგ საბრალო ვარ,
წუხილის ელდით დაზაფრული.

მ ა ც ნ ე:

შვილთა დაღუპვას სულთმობრძავეი შენ გაბრალებდა.

კ რ ე ო ნ ი:

მითხარი, თავი რით მოიკლა?

მ ა ც ნ ე:

ქემონის ხვედრის შემტყობელმა,
მახვილით გული განიგმირა.

კ რ ე ო ნ ი:

ვაი ჩემ თავსა! მე ვარ მკვლეელი.
ჩემს იქით ბრალი სხვას ვის დაედო?
მე, შე გიმსხვერპლეთ საბრალონო...
სიმართლეს ვამბობ... ქე, მსახურნო!
აქედან შორეთს გადამკარგეთ...
მე არაეინ და არარა ვარ.

კ ო რ ი ფ ე:

თუ ვაებაში სიმართლეა, შენ მართალს ამბობ.
ხოლო სულ ტანჯვას, სჯობს წამების გზა უმოკლესი.

კ რ ე ო ნ ი:

მოვედ, მეჩვენე, ხვედრო ჩემო,
ამ ცისქვეშ ყოველთ უმჯობესო!
შენ, დღეო ჩემი აღსასრულის,
უკანასკნელო მზის ნათებაგ...
რომ ვერდა ვნახო კვლავ რიჭრაგი.

კ ო რ ი ფ ე:

ეგ სხვა საქმეა, ხოლო ესლა განსვენებულთა
მიხედვა გემართებს... წარმართავენ მომავალს ღმერთნი

* კ რ ე ო ნ ი:

ერთ ლოცვაშია ნატვრა ჩემი...

კ ო რ ი ფ ე:

ნურას ინატრებ... ამაოა... რადგან მოკვდავნი
ვერ დაახწევენ თავს განკუთვნილ უბედურებას.

კ რ ე ო ნ ი:

შორს გადამკარგეთ მე უგნური...
ჩემს უნებლიედ მოგკალ, შვილო...
და შენც, ძვირფასო ცოლო ჩემო...
არასლა ვუმზირო აწ ბედკრულმა,

თუ მთლად წარმტაცა, რაც მეზადა,
რისხვით მსახვრალმა ბედისწერამ...

ხორთ:

სიბრძნე მადლს ყოველს აღემატების.
ჩვენც მას მივდივით, რომ ქედმაღლობით
არ განვარისხით ღმერთნი მაღალნი...
თორემ გულზეიადს დაამხოვს თვისი
გულზეიადობა... თუმც სიბერის ფაშს,
ბევრის განმცდელი გონს მოეგება.

თარგმანი ძველი ბერძნულიდან

დავით ბანიძლასა



მ ქ რ მ ს ვ ა რ დ ი

ცხოველმყოფელი საყმისი

ერთხელ ზოლამ თავის მეგობრებს ლაპარაკში უთხრა, მწერალს წარმოსახვა სრულებითაც არა სჭირდება. მწერლის მუშაობა მხოლოდ ზუსტ დაკვირვებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. მე ასე ვმუშაობო.

იქ მოპასიანიც იყო. მან პითხა: — მაშ რით აგზნათ, რომ თქვენ უზარმაზარ რომანებს ერთი რომელიმე საგაზეთო შენიშვნის საფუძველზე წერთ და თანაც თვეობით შინიდან ვართ არ გამოდისართ?

ზოლას ხმა არ ამოუღია. მოპასიანიმ ქუდი აიღო და წაეიდა. ადვილი შესაძლებელია, ვინმეს ეფიქრა, რომ მან თავისი წასვლით შეურაცხყო იქ მყოფნი. მაგრამ მოპასიანი ამის შიში არა ჰქონდა. არავის, თავით ზოლასაც, არ აბატიებდა იგი წარმოსახვის უარყოფას.

მოპასიანს, როგორც ყოველ მწერალს, ძვირად უღირდა წარმოსახვა—შემოქმედებითი აზრის თვანჯარა წყარო, პოეზიისა და პროზის ოქროს მიწა.

ის იყო ზელოვნების ცხოველმყოფელი სამყაროს და, როგორც ლათინური უბნის ატაცებული პოეტები ამბობდნენ, მოპასიანის „მარადეული მზე და ღმერთი“.

მაგრამ წარმოსახვის თვალსაზრისით მზე მხოლოდ მაშინ ბღღერიალბს, როცა მიწას დასცქერის. ის სიცარიელეში ვერ ანთია, უშალ ქრება.

რა, არის წარმოსახვა? უველაზე ადვილი იქნებოდა ჩვენც ასე გვაპასუხნა, როგორც გაიდათ იძლეოდა პასუხს ამგვარ სახიზინო კითხვებზე. ის გვეთა თვლით უტყვროდა ზოლმე თანამოსაუბრეს და ეკითხებოდა:

— ჩემი ჩაჭერა გინდა? ვერ მოგართვი სულ ერთია, არ ვერცე.

რათა ზოგიერთი ცნება თვითონ ჩვენთვის გახდეს მერტაკლებად ნათელი, უმჯობესია ისეთნაირად გავერყვეთ ამ ცნებებში, როგორც ბავშვს ვფარავყვეთ ხოლმე.

ბავშვები ზნირად გვეკითხებიან: ეს რა არე ვაგარძელება. აბ. „მნათობი“ № 6.

ისო, ეს რატომაო, ეს რისთვისაო. ისინი ვერ ისვენებენ, სანამ უველა კითხვაზე ცოტაოდენ მოსათმენად მიაწვ არ გვაპასუხებინებენ.

ვთქვათ, სიტყვაზე, შეგვხვდა ვინმე პატარა თანამოსაუბრე, რომელსაც შეუძლია წარმოთქვას სიტყვა „წარმოსახვა“, მაშინ საუბარი ალბათ თავისებურად „ბავშვურ“ კალამოტში ჩაეარდება.

— ეს წარმოსახვა რაღაა?—იკითხავს პატარა.

და თუ ჩვენ სიტყვა „ზელოვნების მზეზე“ ჩამოვადგეთ ან ზელოვნების „წმიდათა წმიდა რამ“ დავარკვეთ წარმოსახვას, ამ პეიტრობას აჯობებს სულაც თავი დავანეთო ლაპარაკს. ბავშვებს სიცხადე უყვართ. ამიტომ იძულეული ვიქნებით ჩვენს საგულეებელ თანამოსაუბრეს ვუბასუხოთ, რომ წარმოსახვა ადამიანის ბუნების თვისებაა.

— როგორი თვისება?

— ადამიანი ამ თვისების წყალობით ცხოვრების გზაზე დავროვილ დაკვირვებებს, აზრებსა და გრძნობებს იყენებს და სინამდვილის გვერდით ქმნის „მოგონილ ცხოვრებას“, მოგონილ ადამიანებსა და ამბებს (რასაკვირფელია, ცოტა რთულად ნათქვამი გამოვიდოდა, უფრო ადვილგასაგებად უნდა აგზნათ).

— ეს რისთვის არის საჭირო?—შეგვეკითხება თანამოსაუბრე. ნამდვილი ცხოვრება ზომ არსებობს. სხვა ცხოვრებას რაოდენ უნდა მოგონება?

— იმისათვის უნდა, რომ ნამდვილი ცხოვრება დიდი და რთულია, ადამიანი ვერასოდეს ვერ ახერხებს ცხოვრების ერთიანად და მთელი მრავალფეროვნებით გაგებას. თანაც ბევრი რამ არც შეუძლია ნახოს და განიცადოს. მაგალითად, ადამიანი არ ძალუქს სამაინ წლით უკან გადაინაცვლოს და ვახდეს გალიღვის მოწაფე, იყოს 1814 წელს პარიზის აღების მონაწილე ან მოსკოვში მყოფი ზელით შეგვის აკროპოლის მარშალიოს სვეტებს. ან რომის ქუჩებში ხეტიალისა ვგოვოს შეხვდეს და საუბარი ვაუბას, ან კონვენტის სტოლმას დაესწროს და მარატის სიტყვა მოისმინოს, ანდა

ვარსკვლავებით მოქცეულ წყნარ ოკეანეს უც-
ქროს გეგმანიდან. ოკეანის ცქერა თუნდაც
იპიტომ არ ძალუძს, რომ ამ ადამიანს თავის
სიცოცხლეში ზღვაეც არ უნახავს. ადამიანი კი
სურს ყველაფერა იცოდეს, ნახოს და მოისმინოს,
ყველაფერი განიცადოს, და იმ წარმო-
სახვე ანიჭებს ადამიანს იმას, რაც სინამდვი-
ლეს ყვერ არ მიუნიჭებია, ან ვერც მიანიჭებს.
წარმოსახვე აესებს ადამიანს ცხოვრების სი-
ცარიელეს.

შერე, ჩასაყვირელო, დაგავიწყდებათ თქვე-
ნი თანამოსაზრე და ისეთ რამეებს იტყვიით,
რასაც ის ვერ გივებს.

ვის შეუძლია გააულოს მკვეთრი ზღვარი წა-
ჩინოსახვესა და აზრს შორის? ამნითი ზღვარი
არ არსებობს.

წარმოსახვე შექმნა მიზიდულობის კანონი,
ზინთი ნეტონისა, ატომულის დამოსს სა-
შუალება, ტრისტანისა და იზოლდის სევდიანი
რომანი, საამირბარო ნაკებობა ლენინგრადში.
ლევიტანის „ოჭრის შემოდგომა“, „მარსელი-
ოსა“, რადიო, ელექტრომუქა, უფლისწულ
პამლტრ, ფარდობითობის თეორია და ფილმი
„ნუში“.

თუ არა წარმოსახვე, უნაყოფო იქნებოდა
ადამიანის აზრი, ისე რაგორც უნაყოფოა სი-
ნამდვილეს მოწყვეტილი წარმოსახვა.

ფრანგები იტყვიან: დიდი აზრი გულიდან
მოვლია მგონი, უფრო სწორი იქნებოდა გვე-
თქვა, რომ დიდ აზრებს ადამიანის მთელი არ-
სება წარმოშობს. ველი, წარმოსახვა და გო-
ნება თითქმის გარემო-ნიადგია, სადაც ის
გაფაოლილი ხე ხარობს, კელტურას რომ უე-
ძახიოთ.

მაგრამ არის ერთი რამ, რაც ჩვენს ძალემ
წარმოსახვისასაც არ შეუძლია წარმოიდგინოს.
ეს არის წარმოსახვის გაქრობა და, მამსადავმე,
გაქრობა ყველაფრისა, რაც მან სასიცოცხლოდ
აღჭრა. თუ წარმოსახვა გაქრა, ადამიანიც აღარ
იქნება ადამიანი.

წარმოსახვა ბუნებისაგან ბოძებული დიდი
მელოა, ადამიანის არსებაში ჩაქსოვილი.

რგორც უკვე ვთქვე, თუ სინამდვილე არა,
წარმოსახვას საცოცხლეც არ უჭირია. ის სი-
ნამდვილით საზრდოობს. მეორე მხრივ, წარ-
მოსახვა ძალიან ზნორად გარკვეულ ვადლენას
ახლენს ცხოვრებაზე, ჩვენს საქმეებსა და აზ-
რებზე, ადამიანებთან ჩვენ ურთიერთ და-
მოყოლებულებზე.

ამის თაობაზე კარვად თქვა ბისარევემა. ადამი-
ანს ნათლად და დასრულებულ სურათად
რომ, არ შეეძლოს მომავლის წარმოადგენაო,
ამბობდა ბისარევე, ადამიანმა ოცნება რომ არ
იკოდესო, მაშინ ის აღარც იზრომებდა ამ მო-
მავლისათვის, აღარც შეეუფრად იბრძოლებ-
და და აღარც თავს ვასწირავდაო.

ფიქრებს ავიშლის შორი გზის მტვერი,
ნაოფნი ვინდაც ყიბის დანაზე
და შეიკვლება ქვეყანას ფერი,
კვლე გვახსენებს სხვა სილაშიენს.

ეს ბლოკმა თქვა. ხოლო მეორე პოეტი ამ-
ბობს:

ყოველ გუბეში სუნია ოკეანის.
ყოველ ქვაში კი უღამნი სუნთქავს.

ზნორად სწორედ ოღნავი რომ მტვერა ან
ქვაა, წარმოსახვას ფრთებს რომ გააშლევე-
ნებს ხოლმე. ამასთან დაჯემარებნით ერთი
ძველი ესპანელი იდალო გვახსენდა.

შესაძლოა, წინათ ბედნიერიც იყო, მაგრამ
ამ დროისათვის, როცა ჩვენს მოთხრობაში აღ-
წერილი ამბავი მოხდა, იდალო უკვე ძალზე
ხელმოკლედ ცხოვრობდა თავის მამულში, კის-
ტილამში. მამთან—პატარა მიწის ნაველით, ცი-
ხესიმაგრის საყანივით გულხახურულ ქვეს საბ-
ლიანად,—წინაპართაგან მემკვიდრეობით ერგო.
იდალო მარტოხელი კაცი იყო. ბებერი ძი-
ძის გარდა, დამლაპარაკებელი არა ჰყავდა. ძი-
ძის კი ლაპარაკის თავიე აღარა ჰქონდა, აღარც
არაფერი ახსოვდა. ვაი იმ საქმეს, ის რომ
აეუთებდა.

იდალო მთელი დღეობით გადაკვეთილ სა-
ვარძელში იჯდა საკმელთან და წიგნებს კით-
ხულობდა. სიჩუმეს მხოლოდ ის არღვედა
ხოლმე, რომ წიგნის უთაში ჩამჭარა წიგნის
ტყაუნი გაქრობდა.

ზოგჯერ სარკმელშიც იციკებოდა იდალო.
გარეთ უკათ ვამხარია, რყინასავით შავი ხე
იღვა და ცისკიდურს ხროკვი ზეგანი შექფე-
ნოდა. ესპანეთის ეს მხარე უღამნოსავით უსა-
ხური იყო, მაგრამ იდალო შეეჩედა იჭარო-
ბას.

ის უკვე ახალგაზრდა აღარ იყო, რომ გუდა-
ნაზადი აეკრა, მიეტოვებნა სახლკარი და
ხანგრძლივად ემოგზაურა. ან სად უნდა ევლო,
როცა მთელ სამეფოში არც ნათესავი ჰყავდა,
არც მოკეთე.

ცოტა ვინმემ თუ იცოდა წარსული ცხოვ-
რება იდალოსი. ამბობდნენ, ცოლიც მყოლია
და ერთი ლამაზი ქალიშვილიც, მაგრამ ორივე-
ნი ერთსა და იმავე წელსა და თვეს დახო-
ციაო. დარდით გულმოკლული აუტრემ შინი-
დან გარეთ არ გამოვლიდა.

ერთხელ იდალოსს სახლს გაფხოვილ ტო-
რამში გახვეული სახეგარუჭული კაცი შიადგა.
სახედარი ეზოში შავ ხეზე შიაბა და კარს კაცუ-
ნი აუენა... საღამოთი, გაჩაღებულ კერა-თან
ვახშად რომ დასხდნენ, სტუმარმა თავისი თავ-
გადასავალი უამბო იდალოსს. მეტად სახეფა-
თი ნათსონობა შეხედროდა დასავლეთში, სადაც
ვინმე იტალიელი კოლუმბუსს სიტყვებით მოხიბ-
ულ მეფეს ზომილდები გაეკზავნა. ლეოსმყო-

ბელი რომ არ შემწეოდა, უნებელი ვერ დაე-
ბრუნდებოდით, ამბობდა სტუმარს.

ოკეანეში დიდხანს ველოთ, გზად ზღვის ქა-
ლები—სიბრძნეები ასდევნებოდნენ. სირინო-
ზებს შიშველ ტანზე გაძელი თმა სამოსივით
ჭქონათ შემოხვეული, ხომალზე აგვიყვანეთ,
ცოტა გავავიბეთო, — ხმაში თურმე მუდარა ეტ-
ყობოდათ ზღვის ქალებს.

კაპიტანს ებრძანებინა ყური არ ათხოვოთ,
ხმა არ გასცეთო. მატროსებს ჩოჩქოლი დაეწყათ,
სიყვარულს დანატრებულთ აღერას საღერღე-
ლი აშლოდათ.

მთელ ამ ამბავს ამოი ჩანყი მოჰყოლია. სამი
თავიცი ქანდარზე ჩამოხტარყივით.

მეგრე ბალახით დამფარულ ერთ უცნაურ
ზღვას მისდგომიან, ბალახში ილაგ-ილაგ კარგა
მოსზრდილ ღურჯ ყვავილებს ამოეყოთ თავი. მა-
შინ თურმე წირვა ვადიხადეს და ზღვას მინამ
უტრიალეს გარშემო, სანამ ცისკიდურთან ახა-
ლი მიწა არ გამოჩნდა — უცნობი და საოცრად
თვალწამრტავი. იმ მიწის ნაპირებიდან მონაპირე
ქარს ტყვეების შვრიალის ხმა და მცენარეთა და-
მათრობელი სურნელი მოეტანა.

კაპიტანი ზოგურაზე შემდგარა, დანა უშიშე-
ლია, ცისკენ აღუმართავს და მახვილს პირზე
ერთბაშად ოქროს ცეცხლი ანთებულა — ნიშანი
იმისა, რომ ის მიწა ელდორადო იყო, თვალმარ-
გალიტით, ოქროთი და ვერცხლით მდიდარი ქვე-
ყანა.

იდალგო ხმაგაყმენილი უსმენდა სტუმარს.
წაშლისას იმ კაცმა ელდორადოდან ჩამოტა-
ნილი პარისდერი ზღვის ნიყარა ამოიღო ტყავის
აბვიდან და იდალგოს უფეშქავა—კარგი ადამი-
ანი ყოფილბარ, სტუმარი გყვარებიაო. იდალგოს
მცირე ძღვენზე უარი არ უთქვამს, გამოართვა,
მგზავრი თავის გზას გულგა. იმ ღამით ღამის
ცა ჩამოიქცა, ქუხილმა გაყარა არე-მარე, ელ-
ვამ დასერა იჭაურბა.

ნიყარა იდალგოს საწოლთან იდო მავიდაზე.
შუალამისას გამოეღვიმა იდალგოს და დაინა-
ხა, მაგრამ რა დაინახა: ნიყარა ციურთი ცეცხლით
გაციხროვებულყო. შეგნით ჯადოსნური ქვე-
ყნის ხილვაშგაიღვა და ჩაქრა. იდალგომ ვარ-
დისდერი შექს, ჭაფსა და ღრუბლებს მოჰკრა
თვალ.

მალე კვლავ იქვეა, გაივლა და იდალგომ ახ-
ლა უფრო მკაფიოდ დაინახა ნიყარაში ჩატეუ-
ლი ქვეყანა, რომლის ციკაბო ნაპირებიდან
ზღვაში ციმკობით ჩადიოდა აჭაფებულ წყალი.
აღბათ მდინარეებიაო, იფიქრა იდალგომ. მან
თითქოს სიოც იგონა იმ მდინარეებისა. სახე
მაღად დაუსველა.

სიზმრისა თუ გამოიყვით, გაივლო გულში
იდალგომ და წამოიღვა. საგარძელი მავიდამთან
მიდგა, ნიყარის პარდაპირ დაჭდა, თავი დახარა
და უცნაურად გულატრეებული ჩაიკეტრა ნი-

ყარას, იქნებ ერთხელ კიდევ დაინახო ის სიზ-
რული ქვეყანაო, მაგრამ ცა აღარ ელაგდა.

იდალგომ იფიქრა, სანთელს ატანთიქო. მაგრამ
თან შეეზინდა, სანთლის მქვეშ შექვე ქმანდ არ
დავრწმუნდე, რომ თვალმა მომატყუა, და ნიყა-
რამი არავითარი ქვეყანა არ არსო.

გათენებამდე საეაჩლიდან არ ამდგარა. დი-
ლით უკვე ჩვეულებრივი ნიყარა იდო მავიდაზე.
შიგნით ოღნავ შესამჩნევი მონაცრისდრო ცი-
ტოდა ჩანდა, იდუმალი ქვეყანა ერთ ღამეში თი-
თქოს ცხრა მთას იქით გადაკარგულყო.

იდალგო იმ დღესვე წავიდა მადრადში და მე-
ფის წინაშე მუხლი მოაყარა. კაცს ეგონებოდა,
შეწყალეხას სიხოსო, ისე შევედრება—ნება
დამართე ჩემი ხარჯით აღკვერთო ხომალდი და
უცნობი ქვეყნის საქმეებლად დასავლეთს მი-
ვაშუროთ.

მეფე გულმომწყალები კაცი იყო და დასტური
მისცა. იდალგო რომ წავიდა, მან თავის დახ-
ლოებულ პირთ უთხრა:

— ნამდვილად გვიდა ეგ იდალგო! ამა, ერთი
საციოდავი ხომალდით რას გახდება? გარნა ღმე-
რთი ჭვარავს გადაარულდაო. ვინ იცის, იქნებ
მართლაც შემოგვიმტკიცოს ახალი მიწები.

იდალგომ რამდენიმე თვე იარა დასავლეთის
მხარეს, მარტო წაქლა სვამდა, ნახევარზე მშო-
ერი იყო. მღელვარებისაგან ურთიანად გამოიფი-
ტა. შიშობდა, ვაი თუ ვერ მავიღწიო იმ უცნობ
ქვეყანას, ანდა ზღაპრული კი არა, სულაც
ხრთოკი მიწა დამხედესო.

ღონიმიხილი დღენიდაგ ევედრებოდა
ლეთისშობებლს, ვინაიცდელს ამარადე, იმედი
არ ვამიჭეროთო.

ხმაგან გამოჩორყნილი ღეთისშობელი ხომ-
ლდის ქიმზე ეყოდა, ნელ-ნელა ქანობდა და
გაღმოკარკულული ცისდერი თვალებით ვასკე-
როდა წყლის დასალიერს. გახუნებულ მოოქ-
როვდლ თმასა და მოწვეულზე მხევენდ დასცი-
ციმიხდნენ.

— გავიძიებ, ღეთისშობებლო! — ულოცავდა
იდალგო.—არ შეიძლება ის ქვეყანა არ არსე-
ბობდეს, სულ თვალწინ მიდგას ცხადშიც და სი-
ზმარშიც.

ერთხელ სიღამითი მატროსებმა წყალში ხის
ტოტს დაიპირეს. ეტყობა, უკვე ახლოს იყო
მიწა.

ტოტს სირიქლემას ფრთისნაირი დიდი ფო-
ლები ესხა და ხალსის მომგვრელი, მოტეპო
სუნე ქქონდა.

იმ ღამეს ხომალდზე არავის არა სძინებია.

და აი, ბოლოს, ინათა თუ არა, ზღვის ერთ-
კიდენდ მერორემდე ვადამალა მითათ ნიორდერი
ველდებით მოციადე ქვეყანა. მთებიდან კამკამა
მდინარეები მხელით ცვიოდნენ ოკეანეში. მწე-
ნედ ჩადედებულ ტყეებს თავს გუნდ-გუნდად
დასტრიალებდნენ აბოკირებული ჩიტები.

ნიავს ყვავილისა და ნაყოფის ნეტარი სუნე

მოქონდა ნაპირიდან. იქ ალბათ სიყვდილი არც იქნებოა, ფტკობდა იდაღო.

მზე რომ ამოვიდა, ჩანჩქერთა ნაშინშლით გარემოცულ ქვეყანას ყველანაირი ფერი მოეფინა, რანაირსაც კი მზის შუქი გვიძღვის, როცა სხივი წახნავოვან ბროლის ქურქელში ვადეტუდება ხოლმე.

ქვეყანი კი არა, სარტყელი იყო აღმასისა, ცისა და სინათლის უმანკო ქალღმერთს რომ დარჩენილა ზღვის პირას.

იდაღო მუხლებზე დაცა, გაიწოდა აკანკალებული ხელები იდემალი მიწისკენ და აბუტბუტდა:

— მადლსა გწირავ, განგების ძალავი სიბერის ეპაშ შენ დამაყენე, ამ გზაზე და სული ჩემი ქურთხეული ქვეყნის ხილვით ადავსე. შენ რომ არა, აქაურობას ვერც მოვაგნებდი და თვალი ხაიოვის ცქერით დამეშრატებოდა. ამ სვიან მიწას ჩემი ქალიშვილის ფლორენსიას სახელა მინდა ვრქვას.

ნაპირიდან უთვალავი პატარა ცისარტყელი მიმწრაფოდა ხომალდისაკენ. იდაღომ თვალი ვერ გაუწოდა, თავბრუ დაეხვა. ეს ცისარტყელები მზეს დაენთო ჩანჩქერთა ქაღმში, მაგრამ ხომალდისაკენ ისინი კი არ მიიწრაფოდნენ, თეთთან ხომალდი მიიწვედა იქით.

აფრებს საზეიმო გუგუნა გაქქონდათ და ფრიალუნდნენ სადღესასწაულოდ აღმართული დროშებში.

იდაღო თბილ ნესტიან გემბანზე პარქვე დემბო და დადუმდა. მოკვდა. ვერ გაუძლო ნაკოდამა ერთადერთ დიდ სიხარულს, ცხოვრებაში იმ დროით რომ არგუნა ბედმა.

როგორც ამბობენ, ასე აღმოუჩენიათ შემდგომ ფლორიად წოდებული ქვეყანა.

ამ მოთხრობას, მგონი, არც უნდა განმარტება. მაგრამ მინც საქაროა აღენიშნოთ ზოგერთი ძირითადი კვანძი, რათა სავსებით ნათელი გახდეს ის აზრი, რომ ცხოვრებით შობილი წარმოაბება თავის მხრივ წარმართავს ხანდახან თვით ცხოვრებასაც.

იდაღოს წარმოსახვას გაფხოილ ტოლმამო გახვედრმა სახეგარუფტლმა კაცმა უხატა. იმ წუთიდან წარმოსახვა დაეუფლა მოხუც იდაღოს და მან მხოლოდ იმბიტომ დაინახა ნიგარაში უჩვეულო ქვეყანა.

წარმოსახვის ერთ-ერთი სავლესხმო თეძება ის არის, რომ ადამიანს სწამს, სკერა მისი. თუ არა ეს რწმენა, წარმოსახვა დაეშვანებოდა ტვინის ბუცეტას, უაზრო საბავშვო კალეიდოსკოსს.

სწორედ ამ რწმენის ძალა, ადამიანს რომ აბუტლებს ცხოვრებაში ეძებოს გონების თვით წარმოდგენილი, ძველ ესპანელ იდაღოსაეით აბყვეს წარმოსახვის ძახლს და, ბილოს, ნამდვილად შეაბას ხორცი წარმოსახულს.

მაგრამ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე ძლიერ წარმოსახვა დაკავშირებულია ჩველავნებასთან, მწერლობასთან, პოეზიასთან.

წარმოსახვა მესხიერებაზე დაფუძნებული, ხოლო მესხიერება—სინამდვილის მოვლენებზე. მესხიერების მარავი არ წარმოადგენს რაიმე ქაოსურს, არის ერთი კანონი—ასოციაციათა კანონი, ანუ, როგორც ლომონოსოვი ეძახდა „თანაწარმოსახვის კანონი“ („Закон совоинражения“), რომელიც მოგონებებს მსგავსების ან სიახლოვის მიხედვით ანაწილებს დროსა და სივრცეში — სხვანაირად რომ ეთქვათ, განაზოვადებს — და უწყვეტ თანმიმდევრულ მწკრივად ალაგებს. ასოციაციათა ეს მწკრივი გზის მარვენებელი ძაფი წარმოსახვისა.

ასოციაციათა სიუხვე მწერლის შინაგანი სამყაროს სიმდიდრეზე მეტყველებს. ამ სიმდიდრის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი აზრი და თემა ხელა სიცოცხლის წირს იძენს.

ქვეყნად ბეგბი ძალზე გავრეებული მინერალური წყაროა. საემარისადა აბგარ წყაროში ჩივდოთ, ეთქვათ, პატარა ტოტი, რომ ცოტა ხანში თეთრად შეიფიფქოს და ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებად ვადაიქცეს. თითქმის იყივე მოსდის ადამიანის აზრსაც, ჩაბირულს ჩვენი მესხიერების წყაროში, ასოციაციათა გავრეებული გარემოში. აზრი ხელოვნების ნაწარმოები ხდება.

შეიძლება ასოციაციის ნებისმიერი მავალით მოვიყენოთ. ამასთანავე უნდა ვგახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენების ასოციაციები დაკავშირებულია ჩვენსავე ცხოვრებასთან, ბიოგრაფიასთან, მოგონებებთან. ამიტომ ერთი კაცის ასოციაციები შესაძლებელია სრულიად უცხო იყოს მეორესათვის. ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირ ასოციაციას იწვევს. მწერლის საქება ვადაცდს ან, როგორც იტყვიან, მიიტანს თავის ასოციაციები შვითხველადე და აღუძრას იმგვარივე ასოციაციები.

ასოციაციის მეტად უბრალო მავალით მოკვავს ლომონოსოვს თავის „რიტორიკაში“. ასოციაცია, ლომონოსოვის სიტყვით „სულიერი მალაი, კაცისა—უცვე წარმოდგენილ საგანთან ერთად წარმოადგენის სხვა ნივთიერ, რალაციით იმ საგანთან დაკავშირებულნი, მავალითად; რაქამს წარმოვლდენთ ხომალდს, ვონების თვალთ ვხვადეთ ზღვასაც, სადაც ხომალდი ცურავს, ზღვასთან ერთად წარმოსახება ქარიშხალი, ქარიშხალთან ერთად — ტალღები, ტალღებთან ერთად — ახეთებული ნაპირები, ნაპირებთან ერთად—ქეხები და ასე შემდეგ“.

ეს თუ შეიძლება ითქვას „საქრესტომათიო“ ასოციაციაა. ხშირად ასოციაციები ბევრად უფრო რთულია.

თი, მავალითად, ერთი მრავალთავან. სახლი, სადაც ახლა ამ წიგნსა ვწერ, დიუ-

ნებზე დგას რიგის უფროს ნაპირზე. გვერდითა ოთახში თავის ლეკებს ხმაპალა კიბულობა ნატყვილი პოეტი—მხიარული კაცია ის წითელ ნაჭროვ სვიტრის ატარებს. ასეთივე სვიტერი კარგა ხნის წინათ, ვერ კიდევ ომის დროს მინახავს რეცისორ ეიზენშტეინის ტანზე. ეიზენშტეინს აღმა-ატაში შეჭვდი ქუჩაში, ახლად ნაყიდი წიგნები, ცოტა არ იყოს, უნდაურად შეირჩეული ერთად შეეკრა და იღლიაში ამოეჩარა. სულ ოთხი წიგნი იყო: „ფრანგულების თავშეშენი სახელმძღვანელო“, შუა საუკუნეების ისტორიის ქრესტომთია, ალკებრის სახელმძღვანელო და ნოვიკოვ-პარბოის „უცხიანა“.

— რეცისორმა ყველაფერი უნდა იცოდეს, — თქვა ეიზენშტეინმა. — და ყველაფერს მხედველობითი გამოსახულება უნდა მოუქმენოს.

ალკებრულ ფორმულებსაც-მუთქი, ვკიოხე.

— უსათუოდ! — მიპასუხა ეიზენშტეინმა.

პოეტი ელადამერ ლოგოვსკოი იმხანად დიდ პოემას წერდა. პოემის ერთი თავი, რომელსაც „ალმა-ატა-სიზმარების ქალაქი“ ერქვა, მთლიანად ეიზენშტეინზე იყო დაწერილი. პოეტმა აღწერა მექსიკურის ნიღბები, ეიზენშტეინის ოთახში რომ ცვიდა. ეიზენშტეინს ისინი ცენტრალური ამერიკიდან ქონდა ჩამოტანილი.

საერთოდ ამერიკის დაპყრობის მთელი ისტორია — ადამიანის ფლიდობის ისტორიაა. სხვა სახელს ვერ დაარქმევ. ისტორიული რომანისათვის ზედგამოჭრილი სათაურია: „ფლიდობა“. სათაური ამ შემთხვევაში სილის გაწენსათვის ედერს.

ო, რა ძნელია, რაიმეს რომ დამერ და არ იცო, რა დაარქვას!

სათაურის მოფიქრებას გამსაყურებელი ნიჭი უნდა. არიან ადამიანები, რომლებიც კარგად წერენ, მაგრამ თავიანთ ნაწერებს სახელს ვერ არქმევენ. პირიქითაც ზდება. ისევე როგორც არიან ადამიანები, რომლებმაც კარგი მოყვლა იციან, მაგრამ ცუდად წერენ. ისინი უბრალოდ ენის ქაივლს ვერ იჩერებენ. საჭიროა ძლიერი ნიჭი, ისეთი, როგორც ვოკისის ქქონდა, რათა ერთი და იგივე ამბავი სტარტის მოჰყვე, ხოლო მერე ცოცხლად და სულ სხვანაირად დამერი, ვიდრე ჰყვებოდის. გოკამ მართლაც დიდებული მოყვლა იცოდა. ამბავს ოსასნაირ წერდობამს ჩაურთავდა, პირდაღებულს გასმინებდა. ერთი და იგივე რამ ამჯერ რომ ეამბნა, ასერევე ახალ-ახალ კუთხეს მოუქმენდა. მისი ყოველი ზეპირი მოხსრობა, არსებითად, ნამდვილი შემოქმედება იყო. ამიტომ ვერ იტანდა გოკი უმარაილო და ასოცირკოტა ხალხში ყოფნას. მოიწყენდა ხოლმე, როცა ექვიანად უსმენდენ — მართალს ვეუბნება თუ არაო. შეტბო მოიქმენდა, დაღუშდებოდა, საზრუო ეტყობოდა, რის თქმაც სურდა: „მოსაყენია ამ ქვეყნად თქვენთან ერთად ყოფნა, ამხანაგებო!“

ნამდვილი ამბის კარგ მოახრობსათვის მოყო-

ლის ნიჭით მწერალითავე ბევრი ყოფილა დაწილდებული. მთავალითად, მარე ტვენი. წერდობან სიმართლეს გამოდევნებულმა გერბმა კრტიკოსმა მარე ტვენი ტყუილად დაპირა. მარე ტვენს ვულზე ციცილი მოიღო. „აბა, თქვენ არ გრჯით, ვიცრუე თუ არა, — უთხრა მან კრტიკოსს, — როცა ტყუილის უნიჭოდ თქმის თავიც არა ვაქვით და არც იცით, როგორ უნდა იცრუოთ? ისე თანამად ლაპარაკობ, თითქოს დიდი გამოცდილი იყოთ ამ საქმეში“.

მახარეს, ილფი მომიყვა, მარე ტვენის სამშობლოში რომ ვიყავი, ერთ პატარა ქალაქში ტომ სოფრისა და პეკლები ფინის ძეგლი ენახო. ფინს თურმე მეცდარი კატა ედლი უქირავს. მართლაც, რატომ არ უნდა დაეუღდათ ძეგლები ლიტერატურულ გმირებს? მთავალითად, დონ-კიხოტს ან ვულვიერს, პეკლე კორჩაინს, ტატანა ლარინას, ტრანს ბუღბას, პეკრ ბეზუხოვს, ჩეხოვისს სამ დას, ლერმონტოვის მაქსიმ მაქსიმოვისა და ბელას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი — ასოციაციათა მწერიცა, რომლის ვაზრდა უსასრულოდ შეიძლება. თუ ამ მწერივის თავსა და ბოლოს — წითელ სვიტრისა და ბელას ძეგლს — ერთმანეთს მივაყოლები, მაშინ ასოციაციათა წელანდელი სრულიად ბუნებრივი დენა ბოდავდ მოგვეჩვენება.

ასოციაციებზე ამდენს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ისინი მკიდროდ არიან გადაბმულნი შემოქმედებასთან.

წარმოსახვის ირგვლივ ამ ვრცელი საუბრიდან ცხადია მხოლოდ ერთი რამ — წარმოსახვის ჩაურეგლად არ შეიქმნება არც ნამდვილი პროზა და არც პოეზია.

მგონი, ყველაზე უკეთ ბესტსეივე-მარლინიკი თქვა წარმოსახვაზე:

„ქალის წინამორბედი რაიმე ქეშმარიტის, ამალღებულისა და პოეტურის შექმნისა: საკმარისია მხოლოდ გენის სხივმა შეაღწიოს ამ უკუნში. ერთმანეთის მოქიშე, მანამდე თანაბარი ძალის ნამცეცხე სულ ჩიადგამენ საყვარულისა და პარმონის წყალობით. ერთი რომელიმე უფრო ძლიერი ნამცეცხის ირგვლივ მოყვრის თვის, მწყობრად შეერწყმან ერთმანეთს, ბრჭყვიალა კრისტალუბად დალაგებან, მთებად აღიმართებიან, ზღვად ალვილეულებიან, და სიცოცხლის ძალა თავისი ვეება იეროგლიფებით მოხატავს ახალი საწყაროს შეტბს“.

ლამდება, და მძიმე-მძიმედ იღვიძებს ძალი სულსა, — ვერ სახელი რომ არი ჰქვია. მინც რა დავარქვა ამ ძალას? წარმოსახვა, ფინარინი, შთავნება? სულიერი აღმავრენა თუ სიმშვიდე? სიხარული თუ ნადველი? ვინ უწყის!

ლამფის ვაქრობ, და ლამე ნულიელ ნათღება.

სიბნელე თოვლის ანარქლი შექით იქლინებოდა. ზღვის ყურე ყინულს დაუფარავს. ის ყინული უზარმაზარ დაბინდულ სარკესავით აცოავებს ღამებს.

თვალი კარგად არჩევს ბალტიური ფიქვების ჩაშავებულ წვეროკინებს. შორს მატარებლები ჩაიჭრებოდნენ ხოლმე. და კვლავ მღვმარება ის-იადგურებს, ისეთი მღვმარება, რომ ვარჯიდან, მგონი, წიწყის ოდნავი ჩქამივ მესმის. ხანდახან რაღაცას ყურედ გააქვს. ტაყა-ტყევი და ზედ-დატანებზე ვარსკვლავები კრთიან. იქნება სულაც რთვილი ცვივა ვარსკვლავებიდან და სწორედ ის წკრიალებს ყინავში.

შინ მარტო ვარ. იქვე გვერდით ზღვაა. დოუნების ვადღამა კარგა მოზრდილი ჰაობები და დანალი ტყეებია. ახლო-მახლო ადამიანიშვილი არა ჩანს. მაგრამ საქმარისია ლამა ავანთო, მიუფქვე მავიდან და რაზეც ვინდა დავიწყო წერა, რომ მარტობის გრძნობა უშალ მომეშვას. მარტო აღარა ვარ. ამ ბატარა ოთახიდან შემოძლია ეკლამარავო უთვალვე ადამიანს, მთელ სამყაროს. ადამიანებს შემაძლია მოუფხობრო ათასნარი ამბავი, ვაცირო და დავინაღვლანო, ჩავაფიქრო და ვახვარისხო; აღუძრა სიყვარული და სიბრაღული, ხელო ჩავკიდო და ვაუძღლდე ცხოვრების გზაზე. ეს ცხოვრება შექმნილია აქ, ამ ოთხ კედელშია, მაგრამ ვართ, ქვეყნიერებისაყენ მიიწევს.

წივალთ, ყველანი ხელახელჩაიკედებული ვივლით განთიადის შესახვედრად. განთიადი კი უსათლო და დიდება. აღმოსავლეთით მან ოდნავ უკვე შეარბია ღამის ბნელი ფარად, მტრეღლის-ფრად შეარბიარავა შორეული ცის კაბადონი.

ჭერ კარგად არც ვიცი, რას დავწერ. აზრი ცოცხლობს ჩემში, როგორც თრთოლვა, როგორც სურვილი— სხვებსაც ვარგუნე ყოველივე ჩემს არც ახლა ჩემს განებებს, ჩემს გულს მთელ ჩემს სარებებს ავსებ. ობრი ცოცხლობს, მაგრამ ჭერ კიდევ არ ვიცი, რას იხამს, თავს როგორ გამომსახატვინებს. ის კი ვიცი, ვისთვისაც დავწერ. მთელ ქვეყანას უნდა გეკლამარავო. მწელია, ათთქმის შეუძლებელია ამ ცნების—მთელი ქვეყნის თვალთ წარმოადგენა.

კაცი მუდამ ერთ ვილაცხვე ფიქრობ, თუნდაც პატარა თვალუყუენა ვაგოზზე. ის ვაგო ოდესღაც მინდორ-მინდორ მობრბოდა ხოლმე ჩემკენ, ჩამაფრინდებოდა გვლავში და სიბილისსაგან სუნთქვამყურელი მეტყუოდა:

— ჩამდენი ხანი აქ გელოთ. ყვეალების თაივლური შექვიონე და ცხრაჯერ სეპირად ვიქვი ეფეგნი ონგვისის“ მგორე თაი. შინ ყველანი თქვენ გელოდებიან, წამილით, სუყველას უამბეთ, რაც ტბაზე შეგეშობხათ, თქვენებურად მოიგონეთ ჩამე. ანდა რა მოგონება უნდა, ისედაც ღამაზია აქურობა, ასკილი მეორედ აუფივდა! რა კარგია, რა კარგია!

ან იქნებ იმ ქალისათვის ვწერ, ვისი ცხოვრებაც მრავალი წლის ტვირთით, სიბარულითა და

სინაზით ისე მავრად დაკავშირებია ჩემსას, რომ ახლა აღარაფერი არ ვაგმინებს.

ან იქნებ მეგობრისათვის ვწერ, ჩემი ხანის კაცს ისინი თანდათან ხელიდან ეცლებოხან!

ბოლოს და ბოლოს ყველასთვის ვწერ, ვინც ჩემი ნაწერის წაეთხვას ისტრეებს.

დაწერთთ კი—არ ვიცი, რაზე დავწერ. ალბათ იმიტომ არ ვიცი, რაკი ძალზე ბევრი მინდა ვთქვა და აზრთაგან ჯერ ჯერ შემბარჩვეია სწორედ ის ერთი აზრი, დანარჩენებს ანდამატებო რომ მიიზიდავს და მწყობრად განალავებს აზრობის საზღვრებში.

ამ მღვმარებობას ყველა კარგად იცნობს, ვინც წერს.

„მოტეგები,—ამბობდა ტურგენევი,—ტუვილად როდო ლამარაკობენ შთავონებაზე. რასაკვირველია, მუხა ოლიშპოს მთადან არ ეწვევთ ხოლმე და შხამზარეული სიმღვრები არ მოაქვს, მაგრამ ბოეტებს ხან ვამსაკუთრებულ განწყობილება აქვთ, რაც ძალიან ჰგავს შთავონებას. ფეტის ის ლექსა, რომელიცაც ესოფენ დასციუნეს და სადაც მგოსანი ამბობს, თავად არ ვიცი, რას ეიმღვრებ, მაგრამ „სიმღვრას თვალი შეეპარაო“, კარგად ვადმოსცემს ამ განწყობილებას. არის წუთი, როცა კაცს სურვილი მოგვივა წერისა, — ჯერ კიდევ არ იცი, სახელდობრ რას დავწერ, მაგრამ გრძნობ, რომ უნდა დავწერო. სწორედ ამ განწყობილებას ეძახიან მგოსნები „ღვთის მოახლოება“. ამგვარ წუთებშია მხატვრის ერთადერთი სიტუბოდა. ასე რომ არ აყოს, კალამს ხელს არაყენ არ მოკიდებდა. მეტი, როცა თავისი ოდვილი უნდა მიუწინო ყველაფერს, რაც თავში გიტრიალებს, როცა ჭაღალზე ვადაგაქვჯ ყოველივე—უკვე ტანჯვა იწყება.“

შუალამისას უტერად საყვირის გაბმული ხმა მესმის. მგონი, გემაა. აქ რა უნდა, საიდან ვაინდა ამ ყინულის სამეფოში?

გუშინ ჩივის ვაზუთე წერდა, ყურეში ღვინინგარადიდან ყინულმჭრელი შემოვიდაო. ალბათ იმის ხმაა.

უცხადედა ერთ-ერთი ყინულმჭრელის შტურმანის ნაამბობი მახსენდება—ფინეთის ყურეს რომ ვადეოილით, ყინულზე დამზარალი მინდვრის ყეავილების კონა დავინახეო. ზედ თურზე თოვლი ქქონია წაყრილი. ნეტავი ვის უნდა დაკარგოდა აქ, ყინულთვან უდამნობი? ალბათ რომელიმე გემიდან თუ ჩამოუფარდათ, პირველ თხელ ყინულს როცა მიაშობდა.

სახე იშვა და გაურკვეველი ძალით მეწევა ჭერ ისევ ბუნდოვანი ზღაპრისაყენ.

საჭიროა ამოვიცნო დამზარალი ყეავილების საიდუმლოება. ამოცნობაში ყველანი მონაწილეობენ. ვინც ის ყეავილები ნახა, ყველას თავისი მოსაზრება აქვს ამ ამბავთან დაკავშირებით.

მეც მაქვს ჩემი მოსაზრება, თუმცა ყეავილები თვალითაც არ მინახავს. ვინ იცის, იქნება სულაც ის ყეავილებია, პატარა ვაგომ მინდვრად

რომ დამოკრთა? თუ ასეა, ყინულზე რა უნდოდა ამ თაივლს? ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ზღაპარში, რომელსაც ვერც დრო აფერხებს და ვერც სიერცე.

აქვე ჩნდება აზრი განსაკუთრებულ, წმინდა ქალურ დამოკიდებულებაზე ყვავილების მიმართ, რაც ჩვენი, კაცური დამოკიდებულებისაგან განსხვავდება, ჩვენთვის ყვავილი მარტო სამკურნალო, ქალებისათვის — ცოცხალი არსებაა, იმ ქვეყნის სტუმარია, რომელსაც ჩვენ, წლებგამოვლილი და საქმით გართული ადამიანები, მხოლოდ გაყვრილ ვამჩნევთ და მოწყალე თვალთ უგუდებულვყოფთ.

დასანანია, რომ ასე სწრაფად მოიწვეს განთადი. დღის შემქნელი გაფანტოს ეს აზრები და ჭასაკილოც კი ვახადოს დარბაისელი ხალხს თვალში.

შხის შეუქი მოხედება თუ არა, ბევრი ზღაპარი ხელად იქუმება და თავის ნაჭუჭში იმალება, როგორც ლოკიანა.

ღამის დილიანი

მაგრამ ზღაპარი უკვე გაჩნდა. რა ვუყოთ, რომ ცოტა ბინდი ახლავს. როცა ზღაპარი, მოთხრობა თუ ლექსი დაიჭრის, შეჩერება თითქმის შეუძლებელია. სულ ერთია — ვინაა ცოცხალი არსება მოვიყვავს და ვინდ ვანცხადებულ აზრი შევიჩერებთ. ის თითქმის თავისთავად იხამს ხორცს ჩვენს ცნობიერებაში.

ბოლოს, დადგება ეამი და ზღაპარი სუფთა ქალადთან დაგვამს, დამწერო, გეტყვის. ზღაპრის წერა ხშირად ისევე მწელია, როგორც ბალახის ნახი სუნის სიტყვით გაღმაცობა. ზღაპრის თითქმის სუნთქვაშეკრული წერა — გეშინია, ყვავილის ფქვილი რომ ადევს, სული არ მოგაზედროო. თანაც სწრაფად წერ, რადგან შეუჩრდილია თუ ცალკეული სურათი — ყველაფერი მკვეთრად და ლღად ერთის. დაგვიანება არ შეიძლება, არ უნდა ჩამოჩნე წარმოსახვის სრბოლას.

ზღაპარი დასრულდა. და მინდა მადლიერების გრძნობით ჩუბაქვრდე იმ გათავებულ თვლებს, სადაც მუდმივად ცხოვრობს ზღაპარი.

გადაწყვეტილი მქონდა ცალკე თავი დამწერა, თუ რა ძალა იქვს წარმოსახვას და რა გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. მაგრამ მერე ისევ პოეტ ანდერსენზე მოთხრობის დამწერა ვაჩიე. ედვიტობ, მოთხრობა უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს წარმოსახვაზე, ვიდრე ზოგადი ლაპარაკი ამ თემაზე.

ქარი ჰქროდა. მაგრამ მზე რომ გამოანათებდა ზოლზე, ხავსმოღებულ კედლებიდან ვარდისფერი მარშარილონ გამოხედვდა და ქალაქი დათნაირად გამოისიღებოდა ფანჯრისაგან, თითქმის ძველი ვენეციელი ოსტატის კანალებტოს დაბატული სურათითა.

მართლაც რომ მშვენიერი ქალაქი იყო. ცოტა ნაღვლიანი. მაგრამ დადგა ვენეციიდან წასვლის ეამი. წინ სხვა ქალაქები იციდიდნენ.

ამიტომ ანდერსენს ვინსკეუთარებულ სინანული არ უგრძენია, როცა სასტუმროს მსახური სალაშოთი ვერონაში მიმავალი დილიენის ბილეთზე ვაგზავნა.

მსახური ზედგამტვრილი იყო იმ სასტუმროსათვის — წელსგარა, მუდამ შექვიფიანებულ, ხელმარულ, სახით კი შუბლგახსნილი და მიამიტო კაცი ჩინდა. ანდერსენს ოთახი ერთხელაც არ მიუღებებია, ქვის იატაკისათვის ცოცხი არ გამოუსტამს.

წითელ ხავერდის სალაფარდებს ოქროსფრად ეხვია ჩრჩილი. ხელში იმ ვაზარულ ქაშაშურის ტაშტში უნდა დაგებანათ. ტაშტი მერდისავს

ძველ და ბუბუკიან ვენეციურ სასტუმროში მელანს ტუელიად მოითხოვდით. რაც არა ჰქონდათ, რას მოგიტანდნენ. ან რათ უნდოდათ იმ მელანი. მდგმურისათვის ბევრი რომ ეანჯარიშათ? ამის უშეღონოდაც კარგად ახერხებდნენ.

თუმცა, ჭრისტიან ანდერსენი სასტუმროში რომ დაბინავდა, ცოტადენი მელანი კიდევ იყო კალის სამეღწეში. ახალმა მდგმურმა ზღაპრის წერა დაიწყო. მაგრამ ზღაპარი ყოველ წუთს თვალდათვალ ფერს კარგავდა, რადგან ანდერსენმა რამდენჯერმე წყლით გაახავა მელანი. გაქალოებული მელნით, აბა, რას დაწერდა, დაბოლოება ვერ მოასწრო — ზღაპრის მზიარული დასასრული სამეღწის ძირში დარჩა.

ანდერსენს ჩაეცინა. მეორე ზღაპრის სამეღწის ძირში დარჩენილ ამბავს დავაბქმევო, გაიფიქრა.

შან გულით შეიყვარა ვენეცია და „ჰენობამეპარულ ლოტოსს“ ეძახდა.

ზღვას შემოდგომის ჩამოდანლებული ღრუბლები დასტრიალებდნენ. არტეში დამყავებული წყალი ჩაფურხობდა. გახავარიდინებზე ცივი

მობანავე ქალბთი იყო მოხატული. გატეხილ ზეთის სანათურის სანაცვლოდ მავიდამე ვერცხლის თოქმა შინდალი იდგა. შივ ჭონის სანთლის ნამწვი ჩარჩენილიყო. ის შინდალი უკანსქენელად ალბათ ტიციანის დროს გაეწმინდათ.

პირველი სართულიდან, სადაც იაფი სასადილო იყო, შემწვარი ცხვრის ხორცისა და ნივრის სუნი ამოდიოდა. იქ მთელი დღეობით განაძი ვაქონდათ ახალგაზრდა ქალებს, რომლებსაც ვადამბელი ზონრებით ტანზე უხეიროდ შემოკერაილი გახეხილი ხვეურდის კორსაყები ეცვათ.

მტრისას, იმ ქალებმა ხანდახან ჩხუბი რომ იყოდნენ, სულ თმით უნდა კითხია ერთმანეთი. როცა დადგებოდნენ ქალებს დიანახვდა, ანდერსენი დადგებოდა ხოლმე და გატაკებული უცქეროდა მოჩხუბართა გაწევილ ნაწინაებს, ბრაზისაგან წამონთებულ სახეებსა და შურისკვების წუთრებით ანთებულ თვალებს.

უკლახე სასიერო სანახავი მიიწვ მრთხანებით მოვგარალი ცრემლი იყო, გააფთრებულ ქალებს აღმასის წვეთებივით რომ ჩამოსადიოდათ ლოყებზე.

როგორც კი ანდერსენს დაინახაენდნენ, მოჩხუბარნი ხელად წყნარდებოდნენ. ცოტა არ იყოს. ირცხვენდნენ, თვალს ვერ უსწორებდნენ ამ ვამზდარ და თხელცხვირთა კლეგანტურ დიდკაცს, ჩამოსულ თინახანად რომ მიჩნდათ, თუმცა კი „სინთორ პოეტს“ ეძახდნენ მოწიწებით. როგორც ისინი ფიქრობდნენ, ანდერსენი უცნაური პოეტი იყო, ძარღვევში სისხლი არ ტრქეფდა, გატარაზე არ ამღერებდა ვულგარ დამპყრობ პარკაროლებს და არც ქალებს იყვარებდა რიგრიგობით. დილილიოდან მან მხოლოდ ერთხელ ამოიძრო პლისტერი ვარდი და ისიც უჭრქლის მრეცხაე გონჯ გოგოს არქმა, იხევიით რომ იყო დაფეხილი.

მსახური ბილეთზე წავიდა თუ არა, ანდერსენი ფანჯარას მივარდა, ფარდა გასწია და დაინახა, როგორ სტვენასტკენით მიყვიალობდა მსახური არხის ვასწვრთვ. იქვე ერთი ლოყებდამეღოცა ქალს კიბორჩხალა გამოეტანა ვასაყიდად. მსახური შედღალბებდა, ძეძუში წაატანა ხელი და კარგი თხლმანვი მიიღო.

მეურ ეუბიანი ბიდიდან კარგა ხანს აფრთხა არხში—ბამინქთან ატივტრევებულ კვარცხის ცარიილ ნახევიარ ნიქუქს უმხინებდა, ცდილობდა როგორმე შივ მოეხვედრებინა.

ბოლოს მართლაც მოახვედრა და ჩაიძრა ნიქუქი. რაჟი ერთი საქმეს მორჩია, ახალი ხომ უნდა გამოეჩინა—მსახური ახლა პატარა ბიქს მიუქდა გვერდით, იქვე რომ თევზაობდა, და ტივტრევის ჩაამეტრდა—ბარემ ვნახო ანექს ჩა თევზი ამოკვებიათ.

— ღმერთო შენ მიშველე!—სასოწარკვეთით წამოძახა ანდერსენმა.—ნუთუ დღეს ვერ უნდა წავიდო მგ ბრიაყვის ვადამიდე?

ველარ მოთბინა, ფანჯარის ხელი ჰკრა და

სულ ზრიალი დაწყებინა მინებს. მსახურმა ახლა კი ივადრა თვის აწიკა. ანდერსენმა ორივე ხელი აღაყვრა და შემტები დაწახედა.

მსახურმა პატარა ბიქს ჭედრ მოაშეღებდა, შინ არულად დიუქნია ანდერსენს, მეგრ კვლავ ბიქს ჩამოაფხატა, წამოხტა და უმალ თვალს მიეფარა.

ანდერსენს ვაეცინა. ოდნევე აღარ იყო ვაბრაზებულნი. მოგზაურობის ეინი დღითი დღე უღვივებოდა ანაირო სისაცილო ამბებითაც კი. მოგზაურობა ყოველთვის ათასგვარ მოულოდნელ რამე ჰპირდებოდა. მართლაც, არასოდეს არ იცის კაცმა, როდის შემოგანათებს ცბიერი ქალური მზერა, როდის მოჰკრთავ თვალს უცნობი ქალაკის კომექსი და როდის დაირწყვიან ცისიდურთა მთიმე ხომალდების ანქები, რა ლექსი მოვიდა თიმე, ალბებში ჰქეპაქუხილი რომ მოგისწრებს, და ვისი ხმა გაგავიგნებს, როგორც ზანზალაკი, გუფდრჩქენელი სივჯარულს სიმეტრას.

მსახურმა დილიეთი ბილეთი მოიტანა, მაგრამ ხერად არ დაუბრუნებია. ანდერსენმა ქეჩოში წაველო ხელი და თავბიანად ვააბრძანა დერეფანში, იქ ცოტა კიეირშიც წაუთაქა ხუმრობით. მსახური კონტრუშითა და სულ სიმღერ-სიმღერით დაეშვა დანქარეულ კიბეზე.

დილიეანი ვენეციიდან რომ ვავიდა, ცოტა წამოწინწკლა. ჰობიან ვაკვზე ბინდი ჩამოწკა.

მედილიეზე აჯაღანდა, უსათუოდ ეშმაკის მოგონილია ვენეციიდან ვერონაში დამით სიარულოთ.

მგზავრებს ხმა არ ვაუციათ, მედილიეზე ვაწეშედა, ბრახინად ვადააფურთხა ვევერდზე ვამგზავრები ვააფრთხილა, თუნუქში ნამწვი რომ ანთია, მაგის მეტი სანთლის იმედი ნუ ვეკნებათო.

მგზავრებმა არც ახლა მიექციეს ყურადღება, მაშინ მედილიეზემ ექვა ვამოთქვა, რომ ისინი სრულ სრულზე არ იყვენენ და დასძინა, ვერონა სორთა, სადაც წესიერ ხალხს არ ედგომილეთა.

მგზავრებმა იცოდნენ, რომ მედილიეზე მართლს არ ამბობდა, მაგრამ სიტყვა არ ვაუტრინაუვებიათ.

დილიეანში სულ სამი მგზავრა იყო—ანდერსენი, ერთი ხნიერი მორტუშხული მღვდელი და მუქ ლაბადაში ვახევეული ბანოვანი. ანდერსენს ხან ახალგაზრდად ეჩვენებოდა ის ქალი, ხან ხნიერად, ერთი-ორჯერ ისიც კი იფიქრა—რა ლამაზიაო, მაგრამ ხანდახან ძალზე უშნო ზანდა. უველიფერი იმ ნამწვის ბრალი იყო, ფარანაში რომ ენთო—ყოველთვის სულ სხედასხვანაირ შუქსა ჰფენდა ბანოვანს.

— ხომ არ ჩაეჭროთ?—იციოთხა ანდერსენმა.—ახლა მიიწვ არ ვვიინდა. ეინ იცია, რა დროს დაეკვირდებო.

— აი ახრთი ამას ჰქვია. ვგრეთი რომ იტალიელს არასოდეს არ მოუფა თეშვი—წამოძახა მღვდელმა.

— ეითომ რატომ?

— იტალიელებს წინასწარ რაიმეს განვეტრე-ტა არ ეტრებებათ. ისინი გონს მხოლოდ მაშინ მოდიან, როცა წამხდარ საქმეს უკვე აღარა ეშ-ველებარა.

— თქვენი უწმინდესობა რა, ამ თავქარიან ერს არ ეკუთვნის? —კითხა ანდერსენმა.

— მე ავსტრიელი ვარ! — ბრაზიანად თქვა მღვდელმა.

ლამარაი შეწყდა. ანდერსენმა სანთლის ნამწვს სული შეუბერა და ჩააქრო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ბანოვანმა თქვა:

— იტალიის ამ მხარეში ღამით უშუქოდ სკოტს მოგზაურობდა.

— თვლების ხმაერს მაინც ვერსად წაფეალოთ, — სიტყვა გაუტრიახავა მღვდელმა და დამძინა: — ცუდი როდია, როცა მოგზაურ ქალებს თან ვინმე ნათესავი ახლავთ. რა იცი, რა ხდება — გამცილებელია საქმარო.

— ჩემი გამცილებელი ვეერდიოთ მიზის, — თქვა ქალმა და ცბიერად გააცინა.

იგი ანდერსენზე ლამაზაკონა. ანდერსენმა ქული მოთხადა და ამ სიტყვებისათვის მადლობა მოახსენა ქალბატონს.

როგორც კი სანთლის ნამწვი ჩაქრა, ათასწაი-რი სუნი და ხმა მომძლავრდა, ათთქოს მოქიშ-ვის ჩაქრობას უცდიდნენ და გაიხარესო. იმატა ფლოკეტების თქარათქარმა, მკაფიოდ მოასმა ხრეშზე მიმავალი თვლების ხრქიალი, ტუსორე-ბის კრიალი და წვიმამაც ღონიერად აუყენა რა-კარუკი დილიენის სახურავს. ფანჯრებს ჭანაო ბალახისა და ქაობის სუნი მოაწყდა.

— სკავირველი ამბავია! — ჩაილაპარაკა ანდერ-სენმა იტალიაში აღბათ ნარინჯის სუნი გამაბ-რუებს-მეთქი, ვფიქრობდი, ნამდვილად კი ჩრდილოეთის სუნი მეცნაურა.

— მალე ყველაფერი შეიცვლება, — თქვა ბა-ნოვანმა. — უკვე ქალზე ავდივართ. იქ უფრო თბილი პაერია.

ცხენები წელი ნაბიჯით მიდიოდნენ. დილიენი მართლაც აღმართ-აღმართ მიიწედა.

მაგრამ ღამეს შუქის ნიშან-წყალი მაინც არ დასტკობია. პირიქით, გზის ორივე მხარეს ჩამწყ-რივებული ბებერი თიელების ტოტემქვეშ უკუნს დაქსადგურებინა და ოდნავ გასაგონად ფოთლე-ბა და წვიმის წვეთებს ენურჩელებოდა.

ანდერსენმა ფანჯარა ჩამოსწია და დილი-ენამი უცაბედად თელის ტოტმა შეიხედა. ან-დერსენი ტოტს წასწავა, რამდენიმე ფოთოლი მოაწყვეტა სამხსოვროდ.

როგორც ბევრს სჩვევია ქვეყნად, ანდერსენ-იც ათასგვარ რამე-რუმეს აგროვებდა მგზავ-რობაში. მაგრამ ყოველ ამ წვერილმან რამე-რუ-მის ერთი თვისება ჰქონდა — გარდასულს უშალ თვალწინ აღუდგენდა. ზუსტად იმ გუნე-ბაზე დაიყენებდა, როგორ გუნებაზეც სწორედ მაშინ იყო ზოლმე, როცა გზად მოზიარის რაიმე ნატებს, თელის ფოთოლს ან სახედრის პატარა ნაღს პოულობდა.

„ღამეა, ღამე!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა ან-დერსენმა. ამ ღამის უკუნი აბლა მზის შუქს ერჩივნა. სიბნელე ათთქოს ფიქრის საღვრელს უშლიდა, თანაც ყველაფერზე მშვიდად ფიქ-რობდა. როცა ფიქრი მობეზრდებოდა, სიბნელის წყალობით ნიორ-ნაირ ამბებს იგონებდა. ყველა ამ ამბის მთავარი გმირი თვითონ იყო — გონების თვალთ ღამებ და მხიარულ კამბედალ წარმოდ-გენილი. იგი ირგვლივ უხედად აფრქვევდა იმ მათრობელა სიტყვებს, ზეილი გულია კრიტი-კონებს „პოეზიის ყუაილენს“ რომ ეძახიან.

ნამდვილად კი ანდერსენი ძალზე შეუხედავი, მორცხვი აუღაყუდა კაცი იყო და კარგადაც იცოდა თავისი თავის ამბავი. ხელუბსა და ფე-ხებს ისე ამოძრავებდა, როგორც მავთულზე ჩამობმული სათამაშო კაცუნა. ამგვარ კაცუნებს ანდერსენის სამშობლოში „ხამმელმანებს“ ემა-ხდნენ ბავშვები.

მა, ამნაირი გარეგნობის კაცს ქალების ყუ-რადღების რა იმედი უნდა ჰქონოდა? მაგრამ გული მაინც წყენით ევსებოდა, როცა ახალგა-ზრდა ქალები, როგორც ფანჩის ბოძს, ისე ჩა-უვლიდნენ ხოლმე.

თარგმანი გარამ გომეაზვილისა

□ ბარბრელება იქნება □

კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის გამოცემის გამო

ეს იყო ათეული წლის წინათ. კ. გამსახურდიამ მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე იდგა და სიტყვას ამბობდა. მან სიტყვა ასე დაიწყო:

ბარემ ორმოცდაათი წელია, რაც ამ ტრიბუნიდან გამოვდივარ და მიიწვევს ყოველი გამოსვლის წინ შიში და მღელვარება მიპყრობს; სიტყვა გასროლილ ტყვიას ჰგავს. რაკი ითქვას, უკან ვერ დაიბრუნებ. ამიტომ ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობა საჭიროა, როცა ამ ტრიბუნიდან სიტყვას ვამბობთ ხოლმე. ამასაც ვიტყვით: ყოველი ხმაურობა ამ ქვეყანაზე აღრე თუ გვიან გამოძახილს პოულობს, მით უფრო ადამიანის სიტყვა. მეც ამ იმედით ვწერდი და წარმოვთქვამდი ამ ტრიბუნიდან სიტყვებს...

და, აი, ჩვენს წინ, მაგიადაც დევს კ. გამსახურდიას რვატომეული. ერთხელ ბოლომდე გადავიკითხე, როგორც ერთ-ერთმა რედაქტორმა, ახლა კვლავ მთელი კვირაა ვსინჯავ და ვფურცლავ ამ რვა-

ტომეულს, ვეძებ და ვიწერ ჩემთვის საჭირო სათანადო ადგილებს, პასაჟებს, სურათებს... რა ნაირნაირობაა ლიტერატურის ემანაციისა და დარგებისა. რომანები და ნოველები, ეტიუდები და სურათები, ლექსები და თარგმანები, ესეები და წერილები, ნარკვევები და პორტრეტები... ყველაფერი ეს დაღ შესწავლასა და დიდ დაკვირვებას მოითხოვს.

ახლა, როცა ჩვენს ხელთ არის კონსტანტინე გამსახურდიას ეს რვატომეული, ჩვენ უკვე შეგვიძლია გარკვეული ადგილი მოვუძებნოთ მის ავტორს ჩვენს მრავალსაუკუნოვან მწერლობაში, შორიდან შევხედოთ იმ ბიოკებსა და რთულ ზიგზაგებს, რომლითაც შემოვიდა ის ქართულ ლიტერატურაში, ამავე დროს ის კვალიც კარგად დავინახოთ, რაც მან დრამა ხელად შემოაგვლია ქართული მწერლობის ოქროყანას. ამჟამად ასეთი პრეტენზია აღარ გვაქვს. ჩვენი სურვილია მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებები გავუზიაროთ ამ ტომების მაღლიერ მკითხველებს.

და ისევ ვფურცლავთ კ. გამსახურდიას ამ რვატომეულს. გვაოცებს მწერლის ნაყოფიერი შემოქმედება. მეორედ, მესამედ ვკითხულობთ ერთხელ წაკითხულს და ჩვენ მარტო დიდი ოსტატის განსაცვიფრებელ ნაყოფიერებას კი არ ვგრძნობთ, არამედ მოხიბლული ვართ მხატვრული ხერხების და სტილის გასათვარი ორიგინალ-

დამთავრდა ჩვენი დროის გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა რვატომეულის ბეჭდვა. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ რადიომაშველებობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატულ გალავნათა რედაქციამ ა/წ მარტს შიამოუ გადაცემა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა და მეცნიერებმა. ვებძლავთ მათ გამოსვლებს, რასაც ჩვენი მხრივ ვურთავთ მწერლისა და კრიტიკოსის სერგი კვიციანი წერილს.

ყველა მასალა იბეჭდება უცვლელად.
რედაქცია

ლობით და თავისებურებით. რვატომეულის დაწერას კი არა, უბრალოდ გადაწერასაც კი რამდენი დროა და ენერგია, რამდენი თეთრად გათენებული ლამები დასჭირდებოდა! „დიახ, ძნელია ნამდვილი შემოქმედება“.

კ. გამსახურდიას კი კვლავიერად ნამდვილი შემოქმედია, დიდი ოსტატი ქართული სიტყვისა. ამ მხრივ ჩვენ ერთგვარ ანალოგიას ვპოულობთ კ. გამსახურდიასა და გალაკტიონ ტაბიძეს შორის — უახლესი ქართული მწერლობის ფუძემდებელსა და მამას შორის.

რასაკვირველია, როცა ვამბობთ კ. ტაბიძე ახალი ქართული ლექსის მამააო, ჩვენ კარგად გვახსოვს გ. ტაბიძის ძაობის დიდი წვლილი უახლესი ქართული ლექსის შექმნაში, მაგრამ ისტორიამ მეთაურობა ამ ახალი სკოლისა, უახლესი ლექსის ფუძემდებლის როლი სწორედ გ. ტაბიძეს მიანიჭა.

გ. ტაბიძე მეოცე საუკუნის ქართული ლექსის მართო ფუძემდებელი როდია, იგი მეტრიც არის უახლესი ქართული ლექსისა, ისევე, როგორც რუსთაველია მეტრი ძველი ქართული ლექსისა, ან აკაკი წერეთელი — ახალი ქართული ლექსისა.

მთელი შვიდი საუკუნის მანძილზე რუსთაველის ლექსით ვზომავდით ჩვენ პოეზიის ყოველ ახალ მონაპოვარს. რუსთაველს ჰბაძავდნენ, რუსთაველის ზომით წერდნენ და რუსთაველის გზას მიყვებოდნენ ქართველი პოეტები. და აი, გამოჩნდა აკაკი წერეთელი! აკაკის გვერდით მოღვაწეობდნენ და თავიანთ ბრწყინვალე ლექსებს აქვეყნებდნენ დიდი ილია და დიდი ევა, მაგრამ მე-19 საუკუნის ქართული ლექსის მეტრი მაინც აკაკი გახლდათ. რუსთაველის შემდეგ აკაკის ჰბაძავდნენ ლექსის თქმაში, ლექსის წერაში, აკაკის გზასა და კვალს მიჰყვებოდნენ. ასე იყო ეს მთელს მე-19 საუკუნის ათიან წლებში. შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა.

გ. ტაბიძემ ისეთი დიდი განახლება შეიტანა ქართულ ლექსში, ისეთი განსაკვირვებელი ელვარება და ქაღალდის ნური ძალა მიანიჭა ქართულ სიტყვას, ისე ააწყო ქართული ლექსი ახალ ხანზე; რომ ის გახდა მეთაურიცა და მეტროც უახლესი ქართული ლექსისა. თუ ქართულ პროზაში ქართული ლექსის ანალოგიას მოვძებნიდით, მაშინ უთუოდ კ. გამსახურდიას შემოქმედებას მივადგებოდით.

მე-20 საუკუნის ქართულ პროზაა ამშვენებს; ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის, ლ. ქიქელიძის, შ. დადიანის ბრწყინვალე სახელები. მაგრამ ჩვენი აზრით, უახლესი პროზის დიდი განმარტებელი და ნოვატორი უთუოდ კ. გამსახურდიასა. აი ის პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ვიღებთ ჩვენი კ. გამსახურდიას ამ რვატომეულის წაკითხვით.

მხატვრული სიტყვის სახელმძღვანელო ოსტატი კ. გამსახურდიას ქართული შემოქმედებითი გზა განვლო და ეს თანაბრად შეეხება მის იდეურსა და მხატვრულ სამყაროს. ამავე დროს მუდამ საინტერესო და ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში მოქცეული შემოქმედი კაცის ბიოგრაფიით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ძნელია, პირუთვნელი ვიყოთ კ. გამსახურდიას შემოქმედების შეფასების დროს. აქ საქმეს ის ართულებს, რომ ყველა ჩვენთაგანს მასთან პირადი ურთიერთობა და დამოკიდებულება გვექონია მთელს იმ ლიტერატურულ ბრძოლებში, რომელიც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე ყოფილა ჩვენში. და ვინც არ უნდა უოფილიყო მართალი ამ ბრძოლაში, იმ დიდ ვნებასა და შემოქმედებითს უნდა, რომელიც თან ახლდა ამ განვლილ გზას, ძნელია ასცდე ცდუნებას სუბიექტური შთაბეჭდილებებისა. ამიტომ, მე ვიტყვოდი, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა კ. გამსახურდიას შემოქმედების გარშემო დავა და აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ თუ ჩვენ ოდნავ მაინც ობიექტური ვიქნებით და გვი-

ყოფა გამბედაობა ჩვენს პირად შთაბეჭდილებებზე მალა დაღვდეთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ კ. გამსახურდიადიდი ოქრომჭედელია ქართული სიტყვისა.

დღეს, უკვე აღარ არის ორი აზრი იმის თაობაზე, რომ გ. ტაბიძე ფუძემდებელია და მამა უახლესი ქართული ლექსისა, რომ ის დიდი ქართველი პოეტია, რომ მან თავისი დიდი წინაპრების, უკვდავი კლასიკოსების გვერდით დაიმკვიდრა უკვდავი ადგილი. დღეს თუ არა, სულ მალე დადგება ის დრო, როდესაც ასეთივე ეპითეტებით შევამოკობთ კ. გამსახურდიას შემოქმედებას.

კ. გამსახურდიამ ქართულ პროზაში მოიტანა დიდი განახლება, გაკვალა ახალი გზები, ახალ ხმაზე ააწყო მთელი ინსტრუმენტი ქართული პროზისა, თავისებური მხატვრული ხერხებით გაამდიდრა და წინ წასწია მდიდარი კლასიკური ქართული პროზა, ნოვატორობისა და ძიების გზით გაითქვა სახელი. ახალი ნოვატორული პროზის მეტაურია ის ჩვენს მწერლობაში, ჩვენ ხსუნ ვუსვამთ ახალს, ნოვატორულს, „დიონისეს ღმირისა“, „მთვარის მოტაცებისა“ და „დიდოსტატის მარჯვენისა“ ავტორს სხვა სახელს ვერ დავარქმევდით.

კ. გამსახურდიამ გ. ტაბიძის მსგავსად ახალ ბილიკებს ეძებდა ქართულ მწერლობაში და მოსძებნა კიდევ; მან საოვე დაუდო, გზა გაუკაფა, ახალი კარი შემოაღო ქართულ პროზაში და რაც გ. ტაბიძემ ვააკეთა ქართულ პროზაში, იგივე მისია შეასრულა ქართულ პროზაში კ. გამსახურდიამ, ხოლო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ვაბედულება მას იმ-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში დიდი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის გვირგვინს ადგამს.

არავის ქართულ პროზაში ისეთი დიდი მასშტაბი არ მიუნიჭებია ქართველი კაცის ხასიათისათვის, როგორც ეს კ. გამსახურდიამ მიანიჭა. კ. გამსახურდიას რომანებისა და ნოველების მოქმედი

გმირები პარიზის ყაეხანებსა თუ ოქსფორდის უნივერსიტეტში, მიუნიჩენისა თუ ვატიკანის მუზეუმებში, ევროპის დიდ ქალაქებსა, მის სასტუმროებსა და სალონებში, როგორც ტოლნი და სწორნი ისე ეკამათებიან თანამედროვე პოლიტიკოსებს, ვაწრთენილ ევროპულ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ისინი თავიანთი ინტელექტით, მათთვის მიკუთვნებული მოღვაწეობის ფართო მასშტაბით არაფრით ჩამორჩებიან თავიანთ ევროპულ მოკამათებებს. კ. გამსახურდიამ წამალავიწრო ეროვნული მიჯნები, ფეოდალური კარჩაეტილობანი და ფართო ასპარეზი გადაუშალა ქართველი კაცის მოქმედებასა და სარბიელს.

მე-19 საუკუნეში ევროპა რუსული მწერლობის გზით შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში, მე-20 საუკუნეში კი ქართული მწერლობის დიდი ჯგუფი უშუალოდ გაეცნო და ეზიარა კლასიკურ და ევროპულ მწერლობას. ისინი აქ მარტო არჩეულ სპეციალობას როლი სწავლობდნენ, არამედ აქვე ევროპის ძველსა და ახალ კულტურას ეცნობოდნენ. ესენი იყვნენ: ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიქელი, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე, პ. იაშვილი — მწერლობაში, ი. ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი — მხატვრობაში. (ასევე ჩვენ შეგვეძლო მეცნიერთა სახელებიც ჩამოგვეთვალა); ისინი უშუალოდ ეზიარნენ ევროპის მეცნიერებს, მწერლობისა და ხელოვნების პირველ წყაროებს და მისი სიკეთეცა და სიმრუდეც თავისებურად გადმოიტანეს და შეუხამეს ქართულ ნიადაგს. მათს შემოქმედებაში დიდაც ძლიერად იგრძნობოდა დეკადენტობის ის შხამი, რომელიც მაშინ მთელს ევროპაში იყო მოდებული: „დეკადენტობა ეს იყო ავადმყოფობა არა მარტო ჩემი, მთელი ჩემი და ჩემზე უფროსი თაობებისა, ვინც ამ სენს საბოლოოდ თავი ვერ დააღწია, იგი შერჩა მოკლე ლექსებსა და კურდღლის კულის სიგრძის ნოველებს,

რადგან სიმბოლოზში საერთოდ უარყოფს ეპიკას — წერს კ. გამსახურდია. ჩვენ ამ შენიშვნას იმასაც დაემატებდით, რომ, რასაკვირველია, ყველას არ შეხებია დეკადენტობის შხამი. დიდი პროზაიკოსი მ. ჯავახიშვილი ბოლომდის ერთგული დარჩა ტრადიციული რეალიზმისა და არც არასოდეს მიჰკარებია მის სულს მოდერნიზმის შხამი. რასაკვირველია ამასვე ვერ ვიტყვით კ. გამსახურდიასზე, მაგრამ კ. გამსახურდიამ სწორედ მოდერნიზმის დაძლევა და ახალი გზების ძიებით მოიპოვა სრულიად თავისებური, მე ვიტყვოდი, დიდი ოსტატის სახელი.

გენეტყურად კ. გამსახურდიას სტილი ევროპული მოდერნიზტული პროზადან გამომდინარეობდა, სიმბოლოზისა და იმპრესიონიზმის ნიშნები მთელი სისრულით არის აღბეჭდილი მის ადრინდელ ნოველებში, ნოვატორული სტილის ძიება კი ბოლომდის შერჩა მის შემოქმედებას. კ. გამსახურდია სამართლიანად შენიშნავს:

„ჩვენ, ყველას, ვისაც ოქტომბრის რევოლუციამდე მოგვიხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, უცილოდ დაგვაჩნია ერთგვარი დიდი დეკადენტობისა... მე ჩემი ბუნებითა და მწერლური ტემპერამენტის მიხედვით არასოდეს ვყოფილვარ დეკადენტი. პირიქით, მოგზაურობისა და განსწავლის პერიოდის შემდეგ მე შეუფარველად ვებრძოდი დეკადენტური ტრადიციების გამოვლინებას ქართულ მწერლობაში.“
ნათელი თავისი შემოქმედებითი ძიების გზაზე კ. გამსახურდიამ პოეტურ სიტყვას დაუთმო უმთავრესი ყურადღება „რადგანაც თბრობა, გაგონილი ან სხვის შიერ ნათბრობი სიუჟეტების მოყოლა და ჩაწერა ყოველ საშუალო ინტელიგენტსაც შეუძლია, ყველას, ვისაც თბრობისა და წერის სადერდელი აქვს“.

კ. გამსახურდიასათვის სტილის თავისებურება იმდენად სიუჟეტის გამოგონებაზე ყურადღების გადატანა არ არის, რამდენად ყურადღების გამახვი-

ლება ხატვაზე, სურათოვნებაზე. გამსახურდია, უპირველეს ყოვლისა, რიტმული, პოეტური, მუსიკალური რიტმის ოსტატია. ხასიათების გამოსახვა, ბუნების პეიზაჟების, საგნებისა და მოვლენების აღწერა ყოველთვის პოეტურ სიტყვას ეფუძნება. ამიტომაც მწერალი სიტყვიერი მასალის შერჩევას უდიდეს დროს და ენერგიას ანდომებს. აქ სიტყვა იმდენად ზედვას არ ეყრდნობა რამდენადც მუსიკალობას, სმენას. მე-20 საუკუნის ქართულ პროზაში არავის მოუხერხებია ისე ოსტატურად გაერთიანებინოს ხედვა და სმენა, როგორც ეს გამსახურდიამ შეძლო. ცნობილია, რომ კლასიკურ პროზაში მეტწილად ზედვას, დაკვირვებას და ამის მიხედვით სიუჟეტების მოთხრობას ჰქონდა მიკუთვნებული პრიორიტეტი. მე-20 საუკუნის პროზამ თავისებური კორექტივები შეიტანა ამ პრინციპებში. სიმბოლიზტურმა და იმპრესიონისტურმა პროზამ უმთავრესი ყურადღება გადაიტანა სმენაზე, მუსიკალობაზე. პროზაში უხვად შემოიჭრა და გაბატონდა პოეზიისა და ლირიკული, პოეტური პროზის ხერხები. დიდი სოციალური და პოლიტიკური ვნებების გამოხატვას, რომ უარყოფდნენ, ყველა ქვეყნის დეკადენტები უმთავრეს ყურადღებას ადამიანის საკუთარ „მე“-ს გამოხატვას უთმობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ კ. გამსახურდია განერიდა დეკადენტობის ამ უკიდურესობას. იგრეთვან შენიშნავს: „მე იმ ხანებში ახალ მოთხრობების თემებს ვეძებდი. თქვენ ბედნიერი გგონიათ მწერალი? მუდამ დამკვირვებლის როლშია, მთხრობელივით უთვალთვალებს ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს და ყველაზე მეტად თავის თავს. ამა რა შენიშნოს, რა დაიმახსოვროს. მწერალს არ შეუძლია თავდავიწყება თვით უაღრესი ტკობისა და ექსტაზის გამს. საყვარლის სარეკელზე, ხნელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში, ყველაგან, ყოველთვის აკვირდება იგი სამყაროს და თავის თავს“ („ქოსა ვახუ“). აქ უთუოდ კ.

გამსახურდია რეალიზმის ტრადიციუ-
ბისაყენ იხედება. მაგრამ „ქოსა ვახუ“,
„ტაბუ“ და სხვა ადრინდელი ნოველე-
ბი უკიდურესი სექტიციზმით არის
დავალიანებული, რაც დეკადენტობის
წინაშე გაღებული ხარკი იყო. ადრინ-
დელი ნოველების მთავარი მოქმედი
გმირები რევოლუციის გრივალში წაქ-
ცეული ადამიანები იყვნენ. ამ ნაეცა-
რების, ნათავადარების, ავი ზნით შეგუ-
რობილი დეგენერატების სიმეხინჯესა და
ცოდვითსავსე ადამიანების თავდადასა-
ვალს კ. გამსახურდია დიდი თანაგრძნო-
ბით და სიყვარულით ზატავდა. რასაკვირ-
ველია, მას ზმირად არც ერთგვარი კრი-
ტიკული დამოკიდებულება აქლდა ამ
გმირებისადმი, მაგრამ ღრმა სიყვარუ-
ლით თანაუგრძნობდა ამ ხელმოცარულ,
ბედით უბედურ ყოფილ ადამიანთა ვა-
მოსახვას. ამ გზაზე გაჩნდა მისი პირ-
ველი რომანი — სიჭაბუკის ეამს დაწე-
რილი „დიონისეს ღიმილი“. თუ ეს
რომანი თავისებური კომპოზიციით,
სტილით საფუძველს უდებდა გამსა-
ხურდიას პროზას, მეორე მხრივ ეს
იყო ემიგრანტ კონსტანტინე საგარსა-
ნიძის — ამ ხელმოცარული ზედმეტი
ადამიანის უკიდურესი სექტიციზმისა
და ტრაგედიის, რომანტიზირებული
გამოსახვა. რასაკვირველია, ჩვენ არ
კაქნებით მართალი, თუ გამსახურდიას
წველა იმ ცოდვას ავკიდებთ რასაც სა-
კარსამიძე, ფეოდალური საქართვე-
ლოს ეს უკანასკნელი მოპიკანი ატა-
რებს თავის სულში. მაგრამ კონსტანტი-
ნე გამსახურდიასა და კონსტანტინე სა-
გარსანიძის შორის ერთგვარ ნათესაო-
ბას უთუოდ პოულობთ. კ. გამსახურ-
დია 1925 წელს გამოცემულ „დიონი-
სეს ღიმილის“ ბიბლიოტიკეობაში
თხოვნით მიმართავდა მკითხველს „კო-
ნსტანტინე საგარსანიძის ცოდვებს მე-
ნე ამკიდებთ, მე ჩემი საკუთარიც მე-
ყოფათ“. მაგრამ ესეც ზომ მისი სიტყ-
ვებია: „რასაკვირველია, მწამს ერთნა-
ირი იდენტეობა მწერალსა და გმი-
რებს შორის. მწამს, რომ შექსპირის,
„ძვალი ძვალთავანია და ხორცი ხორცი-

თავანი“ არა მარტო ჰამლეტი, არამედ
შაილოვიც. დიახ, შაილოვიცის ადრე-
მიანის ხორცილ მოვამრე. შაილოვიცისა

კ. გამსახურდიამ დიდი იდეური და
მხატვრული ევოლუცია განიცადა „დი-
ონისეს ღიმილიდან“ ვიდრე „მთვარის
მოტაცებამდე“ ან „ეპოზის ყვავილობამ-
დის“ და მაინც ამ სამ რომანს მარტო
თანამედროვეობის თემა კი არ აერთი-
ანებს, არამედ მათ შორის უშუალო
იდეურ-მხატვრული ძაფიც არის გაბ-
მული. „დიონისეს ღიმილის“ პერსონა-
ეები, ეს სპარსეთის ელჩი მირზა ხანი
იქნება, მისი მეუღლე ხანუმა ჯენითი
თუ ჯერმანიის სამხედრო ატამეები და
გადამდგარი გენერლები, ფრანგი ბურ-
ეუები თუ ქართველი თავადები, რევო-
ლუციური საქართველო თუ ბურჟუა-
ზიული პარიზი, ყველაფერი ეს ხელმო-
ცარული, ზედმეტი ადამიანის კონსტან-
ტინე საგარსანიძის თვალთ არის დანა-
ხული და წარმოდგენილი.

ძველის დანგრევისა და ახლის გამარჯ-
ვების მიჯნაზე ყოველთვის ჩნდებოდა
ზედმეტი ადამიანი, და ადამიანის პრობ-
ლემა ლიტერატურაში. ასეთი გმირი
გაჩნდა ჩვენში ოქტომბრის რევოლუ-
ციის შემდეგაც. ძველისა და ახლის მი-
ჯნაზე დაბადებულ ამ ზედმეტ ადამი-
ანებს რევოლუციამ გამოაცალა ნიდავი.
მძაფრმა კლასობრივმა ქარიშხალმა და-
უნჯრია ბუდეები. ამიტომაც უფრო
მწვავე იყო მათი შებრძოლება ახალთან
და მათი პირადი ტრაგედია.

კონსტანტინე საგარსანიძე ხედავს,
რომ ევროპაში გაქცეული ქართველი
აზნაური კამიტალისტურ სამყაროში
ვერ პოულობს სულის სიმშვიდეს, სამ-
შობლოდან უცხოეთში გადახვეწილი
არგვეთის მთავრის უკანასკნელი მოპი-
კანი იგრძნობს, რომ სხვა გზა არ არის,
თუ არა ისევე უკან, სამშობლოში დაბ-
რუნება. მაგრამ უკან დაბრუნებული
სამშობლოში თავს ისევე ემიგრანტად
გრძნობს. თავადაზნაურული კლასის
ფსიქოლოგია, მისი იდეალები და ფიზი-
კური არსებობა რევოლუციურ საქართ-
ველოსთან ჭიდილში დამსხვრეულა. ამ

ნიადაგზე აღმოხდება სასტიკი კენესა კონსტანტინე საეარსამიძეს: „მე ჩემი ცხოვრების შუა გზაზე შემომალაშა“.

თანამედროვეობის თემატიკაზე დაწერილი სამ განსხვავებულ რომანს — „დიონისოს ღიმილს“, „მთვარის მოტაცებას“ და „ვანის ყვავილობას“ ახასიათებს სამი სხვადასხვანაირი გადაწყვეტა იდეური პოზიციისა. ამ ნაწარმოებთა ანალიზით ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ევოლუცია. თუ „დიონისოს ღიმილში“ მოდერნისტული სკოლების გავლენა ძლიერი იყო და თვით პოზიციაც მწერლისა საბჭოთა რევოლუციასთან დამოკიდებულებაში ასევე მკლარად არის წარმოდგენილი, მწერალმა სცადა გადაეხედა ამ მხატვრული პოზიციისათვის რომან „მთვარის მოტაცებაში“. ამ ნაწარმოებით უფრო ახლო მივიდა კ. გამსახურდია თანამედროვეობასთან, მძაფრად გამოსახა გარდასული კლასებისა და მათი სულიერი გადმონაშთების მთელი არსი და მას დაუბრისებია ახალი სამყარო, ამ ახალი სამყაროსათვის თავდადებულ ადამიანთა სახეები. მწერალმა სცადა მკვეთრად დაებრისპირებინა ურთიერთისათვის ორი ეპოქა, ორი სხვადასხვა სოციალური ყოფის ადამიანები, — მიმავალი თავდაზნაურული საქართველოს სულიერი ინტერესების გამომსახველი ადამიანები და ახალი სოციალისტური ყოფის მღელვარე სურათები. ამ მძაფრ კლასობრივ დაპირისპირებაში კ. გამსახურდიამ გვიჩვენა გარდუვალი დაღუპვა, მსხვერველი ძველი ცხოვრებისა და კლასებისა, და მიანიც „მთვარის მოტაცებაში“ ავტორმა ერთგვარი თანავრძობა და სიყვარული არ დააკლო კ. საეარსამიძის მოკბილეს — თარაშ ემხვარს.

ძველისა და ახლის ბრძოლა „ვანის ყვავილობაში“ ავტორმა უფრო სხვა პლანიითა და სხვა მასშტაბით გამოსახა. აქ მწერალმა მთელი გულწრფელობით უმღერა ახალ საქართველოს, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ახალი სოცია-

ლისტური ყოფის დამკვიდრებას. თუ ერთგვარად შეუპირისპირებდნენ „ვანის ყვავილობასა“ და „მთვარის მოტაცებაში“ წარმოდგენილ გმირებს, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება იდეური ევოლუცია. არზაყან ზვამბაიას საქმეთა და პოზიციების გამომხატველად და დამკველად წარმოდგენილი გოდერძი ელანიძე „ვანის ყვავილობაში“ ხორცშესხმული განსახიერებაა ახალი საბჭოთა საქართველოს მოწინავე მშრომელი ადამიანის ხასიათისა. საკოლმეურნეო ცხოვრების მეთაური, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სამამულო ომის ფრონტზე საარაგო მამაცობისა და გმირობის გამომჩენი, უზადო პატრიოტული თავგანწირვით გამოსახული გოდერძი საბჭოთა საქართველოს პირშოა. „მთვარის მოტაცებაში“ გამოხატული კოლმეურნე ქალის — ძაბულის სახე „ვანის ყვავილობაში“ უფრო მხატვრულად ხორცშესხმულმა გმირმა ქალბებმა შეცვალეს. ჩვენ ნუნუ უჯირაულსა და სუსკია მინდელს ვგულისხმობთ. ბოლოს, რომანის მთავარი გმირის პროფესორ ვახტანგ კორინთელის სახით ავტორმა მოგვცა საბჭოთა საქართველოსთან დაკავშირებული დიდი სპეციალისტის, უანგარო პატრიოტის, საბჭოთა ავრონომის საინტერესოდ გამოკვეთილი სახე. თავისი ბიოგრაფიით და წარსულით კონსტანტინე საეარსამიძისა და თარაშ ემხვარის გზაგავლილი ეს გმირი სრულიად თავისუფალია თავდაზნაურული ფსიქოლოგიისა და იმ მერყეობისა და სკეპტიციზმისაგან, რაც ასე უხვად მოაფრქვია კ. გამსახურდიამ კონსტანტინე საეარსამიძისა და თარაშ ემხვარის სახეს.

ყველაფერი ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ კ. გამსახურდია თანამედროვე საბჭოთა საქართველოს თავისებური და მღელვარე შემართანეა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ახალ საქართველოს დიდებული ჰიმნი უმღერა თავისი უკვდავი გმირების ვაჟკაცური და გმირული საქციელითა და მოქმედებით.

როგორც ცნობილია, კ. გამსახურდიას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიულ წარსულს. ისტორიული თემატიკა ერთხანს ჩვენს მწერლობაში საერთორო თემად იყო აღიარებული. რატომღაც ისტორიულ თემატიკას თანამედროვეობას უპირისპირებდნენ. ეს უთუოდ შეცდომა იყო; უცილობელია, რომ თანამედროვე მწერალი თანამედროვეობის მხატვარი უნდა იყოს, უპირველესად ყოვლისა, თავის ეპოქის მღელვარე კითხვებით უნდა ცხოვრობდეს და სუნთქავდეს, მაგრამ საკითხთა ამ წრეში შედის ისტორიის სწორად წაკითხვაც, თანამედროვეობის თვალთ ვაშუქება წარსულის რთული ლაბირინთებისა. ამავე დროს ისტორია არც ვალამაზებს და, მით უმეტეს, დამახინჯებს იოთქენს. თანამედროვეთაგან ზშირად გადაჭარბებულად ხობტას ეპოქისას, ან სუბიექტურად განგებ დამახინჯებს ისტორია გზადაგზა ასწორებს. წარსულის ასეთი კორექტივები მუდამ მშავალ თაობათა საქმეა. დიდი ილია სამართლიანად წერს „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიული ცხოვრებით. ბევრი მავარი და ბევრიც უვარგი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად... რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის მარტო ისტორია, და თუ იგი დაგვიფწყეთ, მაშინ დაგვიფწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვიც, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი... აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლება, გამომხნეგება, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გარკვევა სიზნელისაგან“. და ბოლოს იგივე ილიას ეკუთვნის ეს სიტყვებიც: „მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა, მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ

უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყრობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

წარსულის უარყოფა და ნილიზმში მომაცდინებელია, მაგრამ ასევე დამლუბველია წარსულის იდეალიზაცია და ფეტიშიზმი. ამის თაობაზე თვითონ კ. გამსახურდია კარგად ამბობს: „არა, წარსული უნდა დაძლეული იქნას, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. ჩვენ თუ საქართველოსათვის მომავლის მიცემა შეგვიძლია, ჩვენ მისი წარსული უნდა დავძლიოთ. რადგან წარსული მუდამ ცოდვილი სოდომია, რომლისკენ კისრის მოღრეჯას ზშირად გაქვევება მოჰყვება“. და შემდეგ: „ის თაობა, რომელიც გმირების აკლდამების ჩრდილს ეფარება, ღირსი არ არის არსებობისა“. ეს არსებითად მართებული თვალსაზრისია და ამ თვალსაზრისს კ. გამსახურდია მეტნაკლებად იცავს თავის ცნობილ რომანებში „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენასა“ და „დავით აღმაშენებელში“.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ კ. გამსახურდიას შემოქმედების გვირგვინად მიგვაჩნია. ეს ერთი ამოსუნთქეთი დაწერილი პოემაა, პოემა-ჰიმნი ერთიან საქართველოზე.

მწერლობა, ხელოვნება დიდი და მძიმე მარტვილობაა. და, როგორც მწერალი სამართლიანად შენიშნავს, ეს მარტვილობა და თავშეწირვა ამშვენებს ყოველ დიდ ხელოვანს. ეს თვალსაზრისი კ. გამსახურდიამ გასაოცარი სიცხადით გამოამქდაგნა „დიდოსტატის მარჯვენაში“. მართლაც, კონსტანტინე არსაკიძის საქმე და მოღვაწეობა ხელოვნებისათვის გარკვეული მარტვილობაა, ამ მარტვილობის ჯილდოდ ფეოდალურმა საქართველომ მას ხელის მოკვეთა არგუნა. ხალხში გავრცელებული თქმულება „ხეკორძულას წყალი მისვავს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგია“ — ტრაგიზმამდე არის აყვანილი თვით ამ რომანში.

ყოველი დიდი საქმე თავშეწირვას

მოითხოვს. ასეთი თავშეწირვა დიხაც მართებდათ საქართველოს მეთაურებს და აი, კ. გამსახურდიამ ერთიანი საქართველოსათვის თავდადებული და ჩვენს ისტორიაში სწორუპოვარი ვაჟკაცის — დავით აღმაშენებლის ცხოვრებაც დაგვიხატა, როგორც დიდი და მძიმე მარტვილობა საქართველოსათვის.

დავით აღმაშენებელმა მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობა და გმირული სიცოცხლე საქართველოს ზეარაკად მიუტანა. საქართველოს აღდგენასა და გაერთიანებას მოანდომა მან ყველაფერი და კიდევ მიაღწია ერისა და ქვეყნის საწადელს. ამ აზრის დამტკიცებას ემორჩილება ამ რომანში ყველაფერი...

ჩვენს ისტორიას გმირულსა და ვაჟკაცურს, ამავე დროს ტრაგიკულს, მთელი სიმწვავით განიხილეს კ. გამსახურდიამ. ამიტომ მისი გმირების გამოსაძერწად მოხმობილი ფერები და საღებავები ტრაგიკული ინტონაციების შემცველია. ტრაგიკული ინტონაციების მხატვარია კ. გამსახურდია: და ეს ტრაგიკული კილო შეაქვს მას თავის გმირების ხასიათების გამოხატავში. ამიტომ მუდამ რთული და ტრაგიკულია პერსონაჟების მიერ არჩეული ცხოვრების გზაც. საერთოდ, ეს ტრაგიკული კილო კ. გამსახურდიას სტილის დამახასიათებელია. მწერალი თვით სიყვარულის დახატავშიაც კი ტრაგიკულ ფერებსა და საღებავებს იყენებს. თამარის, თარაშ ემხვარის და აბზაყანის ცილობას, სამთა მიჯნურთა ურთიერთობას, ასევე გიორგი ბირველისა, კონსტანტინე არსაკიძისა და შორენას სამიჯნურო ქსელს თავიდან ბოლომდე თან გასდევს ტრაგიკული კილო. სიყვარულის დახატავში, ამ მუდამ ძველისა და ახლის გამოძერწვაში, კ. გამსახურდია არაფერს აღამიანურს არ ერიდება, ოღონდ ამ გზაზე ხშირად შემოეპარება ხოლმე პორნოგრაფია, მოჭარბებული სექსუალობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს კ. გამსახურდია „დიონისეს დიმილში“. და მაინც ჩვენ ვფიქრობთ

რომ კ. გამსახურდიამ შექმნა დაუეწიყარი ხასიათები ქართველი ქალებისათმარი, შორენა, ძაბული, ლამარია, სუსკია.. მაგრამ თამარი და შორენა მაინც ორი განსხვავებული და განსაკუთრებული სახეა. ძველი ქართული ფრესკებიდან ამომიფრულ სახეებს გვანან ისინი, ვითარცა ტყუპები. რამდენად მოჭარბებულია მათში სინაზე და სათნოება, ტრფობანარევი ტკობა და ნამდვილი სიყვარული, ხორცშესხმული სქესის ფარული ჰვრება და სინანული, იმდენად ტრაგიკულია მათი ბედი.

კ. გამსახურდიამ ასევე დიდი მასშტაბითა და მაღალი ინტელექტით გამოხატა ქართველი მამაკაცის ხასიათი, სულერთია ევთანხმებით თუ არა მას ამ ხასიათების იდეურ პოზიციაში. კონსტანტინე სავარსამიძის, თარაშ ემხვარის, ვახტანგ კორინთელის, ფარსმან სპარსის ხასიათები და პორტრეტები გამოძერწილია დიდი მასშტაბით, მრავალწახანგოვანი პლანითა და დიდი ინტელექტით.

გასაოცარ ძალას, ვიზიონერულ ძალას იჩენს, კონსტანტინე გამსახურდია უარყოფითი ტიპებისა თუ პორტრეტების დახატვაში. ეს იქნება ლანდალ ქვეული თავადი ნოშრევან ფარჯანიანი, იქნება გაკორტებული აზნაური გვანჯი აფაქიძე, გამოჩერჩეტებული ხუცესი ბაბუა ტარიელი, ლენჩი ლუკაია თუ პატრიარქალური ქორა მახეში. ყველა ესენი გასაოცარი ფერწერითი ოსტატობით არიან გამოხატულნი. და მწერლობა ხოი ბოლოსდაბოლოს, ხასიათების ხატვაა, ამავე დროს კ. გამსახურდია უდიდეს სიზუსტეს იჩენს სიტყვების ხმარებაში. აქ ყოველი სიტყვა ხატია და ხატოვანი სიტყვებით მოქსოვილი ხასიათიც ერთბაშად საცნაური ხდება.

ერთი მთავარი შთაბეჭდილება, რომელიც ამ რვატომეულის წაკითხვიდან წარმოადგება, ისიც არის, რომ აქ ყოველი რომანისა და მოთხრობის, ყოველი სიტყვისა და ფრაზის იქით მწერლის დიდ ტკივილებს ეხედავთ, დიდი ტკივილით გამოსახა მან ყოველი პერ-

სონაეი თავის რომანსა და ნოველაში. ამ ტკივილების სათავე ყოველთვის ეროვნული ნიადაგია, დიდ საკაცობრიო ტკივილებსაც ეროვნული საფენელი აქვს მოქმენილი,

დიდი და მგზნებარე ეროვნული მოღვაწე დგას ამ რეპორაჟის უკან. ნახევარსაუკუნის მანძილზე არ ყოფილა საკითხი, რომელსაც არ ეხმარებოდეს ეს რეპორაჟი, როგორც დიდი ოსტატის ხელით შექმნილი და გამოძრწილი.

რასაკვირველია, რეპორაჟის ავტორს ჩვენ ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდით და არც ვეთანხმებით, არ მოგვწონდა და არც მოგვწონს მისი გადაჭარბებული სექსუალიზმი, მწერალი ხშირად ტენდენციურია ჩვენი წარსულისა და თანამედროვე მოღვაწეთა შეფასებაში. მაგრამ ამჟამად ჩვენ საკითხთა ამ წრეს არ ვეხებით. ჩვენ საუბარი იმ შთაბეჭდილებებზე გვქონდა, რომელსაც დიდი ოსტატის ქმნილებათა ეს რეპორაჟი გვანიჭებს.

კ. გამსახურდიას ენობრივი პოზიციაც დავას იწვევდა და იწვევს. ამავე დროს, მიხ. ჯაფარიშვილის გარდა, არც ერთ ქართველ მწერალს იმდენი

არ უბრძოლია და არ უწერია ქართული ენის სიწმინდისათვის, ვიდრე კ. გამსახურდიას. მხოლოდ ისრატა შეეხება მის თეორიულ პოზიციას, მე მგონია, იგი მართალია, როცა წერს: „ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართული ბუნების სიღარბისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სიღბო; მეოცე საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეცეს ილიას ქართულის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურულის ენობრივი ელემენტების სულის სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“. ჩვენ ამ საკითხებზე დავას წერტილს აქ დავუსვამდით.

კ. გამსახურდია ერთგან შენიშნავს: „ყოველივე გადაჭარბების გარეშე ვამბობ: „დღევანდელი ქართული ლიტერატურა, რომელიც გნებავთ იმ პატარა ევროპულ ერს დაამშვენებდა“, თუ ეს ასეა, ამაში დიდი წვლილი თვით კ. გამსახურდიას მიუძღვის. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ ისეთივე პატრიოტიზმს უნდა ვიჩენდეთ თანამედროვე ქართული მწერლობის მიმართ, რაგვარსაც ვიჩენდით და ვიჩენთ უკვდავი კლასიკური მწერლობისადმი.“

პეივი ზარაიშვილი

• • •

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანდება ქართული საქმის ერთერთი დიდი შოამაგე; იგი ბრძანდება ქართული ეროვნული მხატვრული ლიტერატურის ერთერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. ამიტომ ჩემთვის, რომელიც აბერ მესხეთე ათეული წელია რაც ვმუშაობ მეცნიერების უბანზე, გამსახურდიასად სპაიამოვნო და საპატიოა შეეჩერდე ამ დიდი აღმაშენისა და მოღვაწის შემოქმედებაზე.

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ

უნდა არსებობდეს მტკიცე შემოქმედებითი კავშირი მეცნიერებისა და ხელოვნების, კერძოდ მხატვრული ლიტერატურის შორის. დღეს შეუძლებელია მწერალი არ იდგეს მეცნიერულა ძიების სათანადო დონეზე და, პირიქით, ჩვენს პერიოდში არ შეიძლება მეცნიერება იყოს სქოლასტური; დღეს მეცნიერებამ კარგად უნდა იცოდეს ზალხის სოციალური განწყობილება, კარგად უნდა იცნობდეს ერის სულაერ განცდებს,

ერის ღრმა ფსიქოლოგიურ დუდილს, მის სიზარულსა და ურვას.

უბეველად სწორია დებულება, რომ სიპართლე ჭეშმარიტებაზე მალა დვას. პატრიოტული სიამაყის გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ კონსტანტინე გამსახურდია არის შეუდარებელი მაგალათი მწერლისა, რომელიც დუდაბით მჭიდროდ აკავშირებს მეცნიერებასა და ხელოვნებას; რომელიც მთელი თავისი არსებით ემსახურება ქართული, ეროვნული კულტურის მეტად ფაქიზ, წმიდა და მაღალ საქმეს.

კონსტანტინე გამსახურდიამ მხატვრულა ლიტერატურა აიყვანა ზუსტი მეცნიერების მაღალ დონეზე და, პირიქით, ზუსტი ისტორიოგრაფიული დარგი გაამდიდრა მხატვრული შემოქმედებითი განცდების მზიური შექით.

კონსტანტინე გამსახურდია თავას ნაწარმოებებში ეხება ადამიანის სულიერი სამყაროს მეტად რთულ პრობლემებს. ამით იგი გვევლინება, როგორც დიდი ფსიქოლოგი, რომლის დაკვირვებებიც ამდიდრებს ფსიქოლოგიურა მეცნიერების სხვადასხვა უბნებს. უფრო მეტიც, კონსტანტინე გამსახურდიას ნა-

წარმოებებში გაშლილია დროისა და სივრცის ცნებებთან დაკავშირებულნი რიგი ფსიქოლოგიურა პრობლემები, იგი ეხება ადამიანის არსებობის მიზანსა და დანიშნულებას. იგი ეხება მთელ რიგ პერსონოლოგიურ პრობლემებს და გამოკვეთილად გვიჩვენებს თუ რას უნდა ემსახურებოდეს და რით უნდა ცოცხლობდეს ადამიანის პიროვნება.

ქართველი ერის უმდიდრესი წარსულის შესახებ ისტორიული რომანების ისეთი სიმადლითა და შინაარსით წერა, როგორც ამას ახერხებს კონსტანტინე გამსახურდია, უტყუარად გვიდასტურებს, რომ ამ რომანების ავტორა არის ადვსილი დიდი სიბრძნით; რომ მასში მკერს ეროვნული ცეცხლით გაღვივებული ქართული გული და მის ძარღვებში ჩქეფს უკვდავი ტრადიციებით გაქლენთილა ქართული სისხლი.

მე მინდა ბატონ კონსტანტინეს ვუსურვო კიდევ დიდხანს, დიდხანს იაროს ქართულ მიწაზე, მე მინდა მას ვუსურვო ახალი შემოქმედებითი განცდები და გამარჯვებანი ქართველი ერის სადიდებლად.

ნა კალანდში

„და ამა ეს უკანასკნელი ომიც გადავიხადე“, — ამბობს თავისი რჩეული თხზულებების მეოთხე ტომის დსასრულს ჩვენი პატივცემული მწერალი კონსტანტინე გამსახურდია... მაგრამ... მანვე შესანიშნავად იცის, რომ „ხელოვნება... დიდი და მძიმე მარტვილობაა“. რომ „პროფესია ხელოვანისა“ ყოველდღიური ომია სისხლისმღვრელი და საბედისწერო, რომ... „პროფესია ხელოვანისა“ ტანჯვაა უცოდველის, ერთგულის და მართალის იობისა, კეთილი და ბოროტი ძალების ცდის ობიექტი რომ გამხდარა და „არცა დავმშვიდდი, არცა

დავდუმენ და არცა განვისვენეო“, რომ ამბობს. კონსტანტინე გამსახურდია ვერ დამშვიდდება, ვერ დადუმდება და ვერ განისვენებს, რამეთუ „სადა განსუენებაი არს, მუნ არს მტერისა იგი საყოფელი, სადა შეუებაი და განცხრომაი არს, მუნ ნაყოფი სულისაი არა ყუავის“ და რომ... „არა მოიგების გვირგვინი თვინიერ ტანჯვისა“. ამიტომაც გვეუბნება იგი — „არსთ გამრიგემ თუ დამაცალო“ და გვაცნობს თავისი მომავალი შემოქმედებითი მუშაობის გეგმებს, ჩანაფიქრს გვიზიარებს.

ვულოცავ ბ-ნ კონსტანტინეს თავის

რჩეულ თხზულებათა რვატომეულის გასრულებას, ვესურვებ მას ხანგრძლივ, მრავალკამიერ სიცოცხლეს და მრავალი დიდი ომის მოგებას. კონსტანტინე გამსახურდია კვლავ უსასთუმლო შემოძარია, მუზარადიანი და თორნ-

ვაუხდელი ქართული სიტყვის ფრონტზე! დიდხანს, დიდხანს ინმადღეს მძსი იმედიანი, ვაჟკაცური ხმა ჩვენს ხელოვნების მაღალ ტაძარში... დე, ნუ იქნება ეს მისი უკანასკნელი ომი, „ნუ მოაკლდება იგი“ ზეთი სანთელსა მისსა!“

ნიკო კახიკვიციანი

შენხვედრა ბარიშრაშზე

კონსტანტინე გამსახურდიასთან ძველი გამოცდილი მეგობრობა მაკავშირებს.

ამ ორმოცდასამიოდე წლის წინათ, სამუშაოდან შინსკენ მიმავალმა იმ დღეს გამოსული მისი რომანი შევიძინე.

სალამოს გადავშალე იგი, თვალს შევაველებ-მეთქი, ვიფიქრე, და წიგნი როდესაც დავხურე, ფანჯრიდან რაყრაყი თავს დამდგომოდა. დაძინებით ვეღარ დავიძინებდი. რომანი და რომანის გმირები თავს მეხვეოდნენ, ზოგს ვეჭმობებოდი, ზოგს სხვათაშორის ვეხმაურებოდი.

კარში გამოვედი, გავიხედ-გამოვიხედე და რუსთაველის პროსპექტისაკენ დაეუყვე. ვისაც სურს თბილისის სურნელება იგრძნოს, იგი გარიყრაყისას უნდა ვაუყვეს რუსთაველის პროსპექტს, გავიდეს ბარათაშვილის ხილზე და გახედოს მტკვარს, მეტეხს, სიონს, კრწანისს — სისხლით მორწყულს.

მივდიოდი ნელა, ვტკბებოდი ჩვენი ქალაქის სიყვარულითა და ვებაასებოდი წიგნში შეხვედრილ ადამიანებს.

ქუჩაში არავინ ჩანდა. სწორედ ის დრო იყო, როდესაც დილის ძილი ჯერ კიდევ ტკბილია.

მივდიოდი და ბარათაშვილის ხილამდე ვერ ჩავდწიე.

მოპირდაპირე მხრიდან, მუხრანიანთ ნასახლართან, იქ, სადაც დღეს ეგრეთწოდებული კავშირგაბმულობის სახელია, წელგამართული ვაჟკაცის სილუეტი მოაბიჯებს დინჯად.

— ვეყო, ამ დილის სისხამზე რამ აგაყენა?

— თქვენ, ბატონო კონსტანტინე.

— ?!

უკამბე, პირზე ღიმილმა გადაჰქრა, შევატყვევ ესიამოვნა.

— მეც ვერ დავიძინე. წიგნმა არ მომასვენა. ხომ იცი, წიგნი სახლიდან წასულ შვილს ჰგავს. გაფიქრებს როგორი ნამუსის ქუდით ივლის.

გამიყარა მკლავში ზელი და ავეკეთ აღმა. გვიან შევნიშნეთ ლაპარაკში გართულებმა, რომ ხალხი ირეთადა უკვე, ქალაქს გაედღობა.

ხომ ბევრჯერ შეხვედრივარ კონსტანტინეს, ბევრი გვიკამათია, ავიც გვითქვამს და კარგიც, მაგრამ იმ დილის შეხვედრა მაინც ყველაზე მკაფიოდ მახსოვს, მახსოვს იმიტომაც, რომ ეს იყო პირველი გულახდილი ლაპარაკი.

კონსტანტინეს გმირებში ის მიყვარს, რომ ისინი მოუსვენარი და დაუღდეგარნი არიან. ყოველთვის მოქმედებენ, გახარებენ, გაწუხებენ. ხომ არიან მწერლები, რომელთა ნაწერს წაიკითხავ და მერე მშვიდად დადებ მათ წიგნს, არც შენ აწუხებ მათ და არც ისინი გაწუხებენ. კონსტანტინეს გმირები კი ვაჟკაცურად დადიან არამც თუ ჩვენს მიწა-წყალზე, არამედ მსოფლიოში და, აი, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ მინდა ვუთხრა კონსტანტინეს პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც იმ დილით მკითხა.

მისი გმირები ვაჟკაცურად დაიარე-

ბიან ხალხში, ნამუსის ქუდი პატიოსნად ხურავთ და უტარებიათ.

კონსტანტინეს გიორგი მეფე, დავითი ყოველთვის იბრძვიან, იღწვიან. მათი ფიქრი ქვეყანაა, საშობლოა, მისთვის არიან თავგანწირულნი. გრძნობ, რომ ამ გმირთა მოღვაწეობაზე კიდევ ბევრი დაიწერება, დაიწერება კონსტანტინეს მიერვე. შეიძლება ზოგს რამეში წაეკამათო, მაგრამ იმაში მაინც ხარ დარწმუნებული, რომ მან ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა.

ხანდახან ინატრებ კიდევ, ნეტავი იყო ჭაბუკი, ჩაიცვა აბჯარი, შეისხა იარაღი და აპყვე ნიანიას საქართველოს საზღვრების გასამაგრებლად.

ძველი საუკუნეების შემდეგ, შუშანიკისა, ნესტან-დარეჯანისა, თინათინისა და ასმათის შემდეგ, ქართველი ქალის პორტრეტი არ ჩანდა, სანამ ილია ქაე-ჭავაძემ არ მოგვცა ოთარაანთ ქვრივი, რომლის თაღზე კაბის კალთებზე იზრდებოდა ჩვენი ქვეყნის მრავალი გიორგი.

და, აი, კონსტანტინემ კვლავ გააცოცხლა ქართველი ქალი, კდემამოსილებების დედისიმედი და ხმელამოწვდილი შორენა. აი, ასეთი ქალები იყვნენ, ვინც ზრდიდნენ ქვეყნის ერთგულ შეილებს, ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთ. კდემამოსილება და მებრძოლი სული ორივე ქართველი ქალის თვისება იყო. ჩვენმა ავტორმა ეს თვისებანი ორ ქალს შორის გაანაწილა, იქნებ იმიტომ, რომ ეს ორივე დიდი, თვისება და ნიჭი

უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა, უფრო კარგად დაენახებინა, რამაც ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიტანა. განა შორენას კდემამოსილება აკლია? მაგრამ როდესაც საჭირო იყო, ხმალი აიღო, ბრძოლად გაიჭრა. ხალხს სწამდა თავისი ქალუბი, უმღერდა მათ:

თამარსა ვაშლოვანელსა,
ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
იმის სამარის კარსაო.

აყვავებული ვაშლი საბატარძლოდ გამოზადებულ დიაცს ჰგავს, მსხმოიარე კი— ცხრაშვილ დახვეულს. მინდა ერთი საყვედური კი ვთქვა, სწორედ ცხრაშვილის, ცხრამძის დედა ჯერ სათანადოდ არ დაუხატავთ.

ღირსი კია ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა გამომჩნდეს ჩვენს მწერლობაში. და რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ითქვას, რომ ქართველი ქალის კდემამოსილება გაძლიერებული იყო ჩვენი ვაჟკაცის მსოფლმხედველობითაც. მოიგონეთ არსაკიძის სიმღერა, შტკერისა და ჭოროხის გადაღახვას რომ ლამობს თუ აუგათ მოიტყვევა სატრფო მისი.

სხვამ სხვა სთქვას.

მე მიყვარს და მახარებს ის, რომ კონსტანტინემ შესანიშნავი ვაჟკაცებით და ქალებით გაამდიდრა ჩვენი ქვეყანა, მათ დახურა ნამუსის ქუდი და იგი მათ არ შეურცხვენიათ. ან როგორ შეარცხვენდნენ კონსტანტინეს მადლიანი კალმით დახატულნი.

მუხან კვაბრძეული

სისხლი სისხლთაგანს საქართველოსი

ცხოვრებაზე დაკვირვებამ ღრმად დამარწმუნა და უკვე ძალიან კარგად ვიცი, რომ სხვისი დახასიათება არ შეუძლია არაფის! ცალკეულ პიროვნებას მხოლოდ საკუთარი თავის დახასიათება

ძალუქს, ისიც მხოლოდ მაშინ, სხვას როცა ახასიათებს იგი.

მიუხედავად ამისა, სხვის დახასიათებას მაინც ცდილობს არა მხოლოდ ის, ვანც ეს არ იცის, არამედ ისიც, ვინც ეს იცის!

ქართულ ლიტერატურაში დასაბამიდან დღემდე სულ ხუთად-ხუთი მწერალი თუა, რომელთა ნამოღვაწარი მკვეთრი, საკუთარი, ამასთანავე უადრესად ეროვნული ინტონაციით რომ გამოირჩევა. ერთერთი მათგანია კონსტანტინე გამსახურდია.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას გარეშე უკვე წარმოუდგენელია არა მარტო თანამედროვე, არამედ საერთოდ ქართული ლიტერატურა.

კონსტანტინე გამსახურდია გახლავთ მწერალი, რომელმაც ქართულ სიტყვას ახალი ფერხორცი და ქღერადობა შესძინა.

კონსტანტინე გამსახურდია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად თითქმის ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელმაც თავისი ზოგადქართული სულასკვეთება სრულიად საქართველოს ენით გამოაშუუღრა (ენით, რომელიც მოიცავს დღევანდელი საქართველოს ყველა კუთხეს უკლებლივ და საქართველოზე გადათქარუნებულ ყველა საუკუნეს ქრისტეს შემდეგ).

მან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ბარე ორი აუცილებელი და მოზღუნელი სიტყვა შემოიტანა და დაამკვიდრა. არაერთი არქაული სიტყვა მკედრეთათ წამოაყენა და ფენიქსებზე განაახლა.

კონსტანტინე გამსახურდიამ პროზა გააცხოველა, გაანოყიერა და გააუღვარა პოეტური სინტაქსის თავისებური მომარჯვეებით.

ინერსიით მოახდინა სიტყვაზე აქცენტირება და მისი გამკვეთრება.

სხვათასიტყვას გამოუქმენა და მიუჩინა ქართულში მანამდე მასთვის უცხო ადგილი.

რაც მთავარია, თავისი შესანიშნავი შემოქმედებით მან ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ პოეზიაში რითმა და მარცვალთა ტოლფარდობა როდია მთავარი.

პოეზია, უწინარეს ყოვლისა, სიტყვის ხუთივე გრძნობით აღქმა და მავანი სიტყვის დასმია თავის ადგილზე.

პოეზია პოენა აზრისა და განწყობის შესატყვისი ხმისა, ფერისა, გემოსი და სუნისა, ეს ყველაფერი ერთსავე და სიტყვათა კომპლექშია თავმოყრილი.

ეს ასეაო და, ეს რომ ასეა, სწორედ ამიტომია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას პროზა თავისი პოეტური ხილვებით, სიმძაფრითა და ელვარებით არაერთი ქართველი პოეტის შემოქმედებას აღემატება ბევრად.

დღეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით თანდათანობით იშლება ზღვარი პროზასა და პოეზიას შორის; ახლა, როცა თითქმის ყველა კულტურულ ქვეყანაში, ლიტერატურის ეს ორი ფანრი უფრო და უფრო მეტი გამომსახველობით ძალას მშატებენ ერთიმეორეს — თავანთი ნიშანდობლივი თვისებების ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლით, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება ასეთ ვითარებაში, ამ თვალსაზრისითაც მრავალმხრივ საყურადღებო და საგულისხმოა ჩვენთვის.

კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს ისტორიულ წარსულს, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებას ყოველთვის მსოფლიო ხალხებისა და ქვეყნის ისტორიებთან ურთაერთკავშირში განიხილავს და გარდასულ დროთა პირუთენელი და მალაღმბატრულა ასახვით თანამედროვე ქართველთა გულში აღვივებს ეროვნული სიამყის გრძნობას; აღძრავს სურვილს დღევანდელობის შესაბამის საგმირო საქმეთათვის, რაც ერთობ მნიშვნელოვანი, საშვილიშვილო საქმეა.

თავისი გამოსვლებით, ლიტერატურული წერილებით, პირადი ცხოვრებით მიწყვი ამქლავებს ჩვენი ქვეყნის ხვალისდელ დღეზე ზრუნვასა და ფიქრს.

დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებითაა განწყობილი უმრწემესი ლიტერატურული თაობებისადმი.

ახსიათებს უტყუარი აღლო და მერპისის წინასწარჭკრეტის უზადლო ნიჭი. ქართველი ხალხის დიდი სიყვარული,

რომელიც მან თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით და, უპირველეს ყოვლისა, თავისი დიდებული შემოქმედებით მოიხვეჭა, მწამს, რომ თაობიდან თაობას სისხლავით გადაეცემა და არასოდეს არ გახუნდება, რადგან კონსტანტინე გამსახურდია, როგორც მწერალი,

სისხლი სისხლთაგანია საქართველოს. სულითა და გულით ვუსურვებ მთელი ქართველი ხალხის საყვარელ მწერალსა და პირადად ჩემს უხუცეს მეგობარს მრავალქმიერ სიცოცხლესა და კვლავ და კვლავ შემოქმედებით ძლევა-მოსილებას.

გიორგი ნავროშვილი

ჩვენი დროის გამოჩენილი მწერლად კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა რვატომეულის გამოცემა — ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის. ამიერდან ჩვენს მკითხველებს თუ ჩვენი ლიტერატურის მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა აქონიოს მთლიანი წარმოდგენა იმ ვრცელი გზის შესახებ, რომელიც მწერალმა გაიარა; მე ვიყავი ერთ-ერთი რედაქტორი ამ გამოცემისა, და ჩვენ, რედაქტორებს, რაც შეგვეძლო, დრო და ენერჯია არ დაგვიზოგავს, რათა ამ გამოცემის კარგად შესრულებინა თავისი დანიშნულება — სრული და ნათელი წარმოდგენა მიეცა მკითხველისათვის იმ რთულ გზაზე და იმ შემოქმედებითს ევოლუციანზე, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი დროის ამ დიდი შემოქმედისათვის.

და, აი, ახლა ჩვენს წინაშეა რვა საკმაოდ დიდი ტომი, და ყოველივე მათგანი არსებითად ორ ტომს უდრის; იქ წარმოდგენილია ყველა ყანრი მწერლობისა, რომელშიც კონსტანტინე გამსახურდიას უხდებოდა მუშაობა; აქაა მისი მშვენიერი ნოველები, დაწყებული სიკბუტუისდროინდელი, ჭერ ისევ უცხოეთში დაწერილი ნაწარმოებებით „საათი“, „მგვდართან შეხვედრა“ და დამთავრებული სულ ბოლოდროინდელი ქმნილებებით. გამოცემაში, ცხადია,

ყველაზე მთავარი ადგილი უჭირავს კონსტანტინე გამსახურდიას საქვეყნოდ ცნობილ რომანებს, რომელთაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს არა მარტო საქართველოში, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში; აქვეა კონსტანტინე გამსახურდიას შედარებით ნაკლებად შესწავლილი ესეუბი, ეს მეტად თავისებური ქანრის კრიტიკული ნარკვევები, წერილები მსოფლიო ლიტერატურას დიდოსტატებზე, თუ შობლიური კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებზე. აქვეა მწერლის ნაწარმოებები იმ დიდ პრობლემებზე, რომლებიც აღეგებდა მეოცე საუკუნის ლიტერატურას და ეს რვატომეული ჩვენ წარმოგვიდგენს კონსტანტინე გამსახურდიას არა მარტო როგორც დიდ რომანისტს, არამედ უაღრესად საინტერესო მოაზროვნესაც; ყველაფერი ეს სცალდება ლიტერატურის დარგს და წარმოდგენს ჩვენი აზროვნების ისტორიის ფრიად საინტერესო და ჭერაც შეუსწავლელ საფეროს.

რვატომეულში ბევრი რამ ახალია, მანამდე უცნობი მკითხველთა ფართო მასებისათვის. ეს ითქმის კერძოდ იმ საჭარო გამოსვლების სტენოგრაფებზე, რომლებიც მწერალმა იმ ტომებში გამოაქვეყნა და რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმ პროცესებზე, აზრთა იმ შეხლა-შემოხლაზე, როცა

იქმნებოდა მე-20 საუკუნის დიდი ქართული ლიტერატურა.

კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეული გამოვიდა ხელმოწერით გამოცემის სერიაში. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ეთქვათ ჩვენი გამოცემლობებს ტემპებზე. რვატომეულის გამოცემას დასჭარდა სრული ათი წელი, პირველი ტომი გამოვიდა 1958 წელს, ბოლო ტომი — 1968 წელს. ეს მეტად დიდი დროა, არ შეიძლება ხელისმომწერი ათ წელს ვალოდინოთ. ასე არსად არ ხდება. ამ ბოლო წლებში ხელისმომწერით გამოცემების პრაქტიკა ძალზე გავრცელებულია; საინტერესოა გადავხედოთ მათ ვადებს. აი, მაგალითად, რა დრო დასჭირდა ლეონიდ ლეონოვის, კონსტანტინე ფედინის, კონსტანტინე პაუსტოვის, ჯეკ ლონდონის, ანატოლ ფრანსის, მარკ ტვენის და სხვათა თხზულებათა გამოცემას? ერთიდან ორ წლამდე, ეს არის მაქსიმუმი. ქართულმა გამოცემლობებმა უნდა მიაღწიონ მუშაობას ასეთ ტემპს; ჰკითხეთ ჩვენი წიგნების გამავრცელებლებს, კერძოდ, ხელმოწერითი წიგნის მიღაზიების მუშაგებს და ისინი გეტყვიან, თუ რაოდენი პრეტენზიები, მკითხველთა წერილები, საჩივრები მისილიათ მათ მორიგი ტომების დაგვიანების გამო. ეს გასაგებიც არის. კაცი იმიტომ კი არ იწერს წიგნს, რომ პირველი ტომი თითონ წააქეთხო, ხოლო უკანასკნელი მისმა შეიღმა თუ შეიღმევიღმა; არა, თითონ უნდა, რომ მოესწროს; ჩვენში კი, იყო შემთხვევები,

როცა ესა თუ ის გამოცემა, ოც წელს გრძელდებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ხელისმომწერთა შორის მარტო თუ წლის ახალგაზრდები როდი არიან. ასეთ დაყოვნებას არა აქვს არავითარი გამართლება; იქნებ მითხრან, პოლიგრაფიული ბაზა ვერ გაუძლებს ასეთ დატვირთვასო. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გაუძლოს. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ შესძლო ექვს თვეში გამოცემა ვაჟა-ფშაველას ათი ტომი, ე. ი. ვაჟა მთელი უზარმაზარი შემკვიდრებოდა. მაშასადამე, ეს შესაძლებელი ყოფილა, თუ მონიდომა კაცმა. მე არ ვამბობ, რომ მაინცა და მაინც ექვსი თვის ვადა დაეუღოთ ყველა გამოცემას, მაგრამ ორ წელს, უკიდურეს შემთხვევაში, სამს და ოთხს, ეს ვადა არ უნდა სცილდებოდეს.

და ბოლოს, ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ამ ჩემს წერილში არ შეიძლება დავისაბო მიზნად რვატომეულის მთლიანი განხალვა. ეს დიდი სამუშაო კიდევ წინ არის. ამჯერად კი მივულოცოთ ჩვენს დიდ თანამედროვეს, ქართველი სიტყვის დიდოსტატს, ჩვენს უახლოეს მეგობარს — კონსტანტინე გამსახურდიას თავის ამ თხზულებათა გამოცემა. ეს ჰგავს დიდი სახალხო მოსავლის მოწყვას, და კიდევ უფრო სასიხარულო ის არაა, რომ მომყვანი და მოჭირანხულე ამ დიდი მოსავლისა კვლავ ადრინდელი ენერგიით, მისთვის ჩვეული მგზნებარებითა და ტემპერამენტით განაგრძობს შრომას ქართული კულტურის დიდ ყანაში.

ვახანგ ზაბლიაშვილი

• • •

რეჟისორის მოღვაწეობის ძირითადი საყრდენი ვახლავთ მშობლიური ლიტერატურა. პირადად მე დიდი პატივისმცემელი ვარ მსოფლიო დრამატურგიის კლასიკური მემკვიდრეობის, გატაცებით მიმუშავნია შექსპირზე და კვლა-

ვაც ვიმუშავებ, მაგრამ ჩემი შემოქმედების გული და საფუძველი მაინც ჩემი ერობა, ჩემი ერის აწმყო და აწმყოთი დანახული წარსული.

ეს თუ ასეა, მაშინ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს ჩემი უზომო სიყვა-

რული ჩვენი ეპოქის ქართული პროზის მწვერვალის, ბატონ კონსტანტინეს ბრწყინვალე რომანის „დიდოსტატის მარჯვენისა“. დიდი ხანია მალეღვებს ეს ნაწარმოები, მაგრამ მასთან შეჭიდებას ვერა ვბედავდი, საამისოდ მართო ვატაცება და სიყვარული როდი კმაროდა, საჭირო იყო წლები, გამოცდილება.

და, აი, ახლა, წლებისა და გამოცდილების შემდეგ, ვბედავ ბატონ კონსტანტინეს დიდი ნაწარმოების ეკრანზე ვაცოცხლებას. მე მალეღვებს ამ პროზაული ნაწარმოების დიდი პოეზია, სიცოცხლის ღრმა ფილოსოფია, ეროვნული

ფესვებიდან აღმოცენებული ზოგადკაცობრიული იდეები.

ის, რაც მე აქამდე გამოცემებში ატრწი თუ კინოში, მიმაჩნია მოსამზადებელ მუშაობად, ეტიუდებად ამ დიდი ფილმის შექმნისათვის. მუშაობა ახლა ხანს დავიწყეთ. საქართველოს კაცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო გვიქმნის ყველა პირობებს მუშაობის ნორმალური დინებისათვის, რაც გვამხნევებს და ძალას გვმატებს.

თუ ამ ფილმს ჩვენი ერი და ბატონი კონსტანტინე კმაყოფილებით შეხვდებიან, თავს ბედნიერად ჩავთვლით.

ბიოგრაფიული

• • •

აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია დიდი დიაპაზონის მწერალია. მისი მხატვრული ნიჭი და დიდი მეცნიერული ერუდიცია სამაგალითოა, ზოლო „საქმენი მისნი“, როგორც, მემოტიანემ თქვა დავით აღმაშენებლის შესახებ, „დაურწმუნებელი“.

კონსტანტინე გამსახურდიას როლი ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში ჭეშმარიტად ასევე განუზომელია.

მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი დიდებული მწერლების ზომლში და ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა ამჟამად უკვე გამოქვეყნებული თავისი რვატომეულით. მისმა ნიჭმა და შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო და მისი სახელი ქართულ ლიტერატურასთან ერთად მსოფლიო ასპარეზზე ვავიდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ახალგაზრდობის ხანიდან ვიცნობ. ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტი იგი უსმენდა პეტერბურგის უნივერსიტეტის

საუკეთესო მეცნიერებს — ფილოსოფოსებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ლინგვისტებს, ისეთ სახელოვან სწავლულებს, როგორც იყვნენ: ზელინსკი, როსტოვცევი, კარევეი, ბარტოლდი, ბოდუნ დე-კურტენე, ვედენსკი, მარი, ჯავახიშვილი.

მაგრამ მალე, ორი სემესტრის შემდეგ, ბერლინის უნივერსიტეტსა და დასავლეთ ევროპის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძო ცოდნის გაღრმავება. ამავე დროს მისი საუკეთესო სკოლა იყო მუზეუმები, სადაც დაუნჯებელია კაცობრიობის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი კულტურის ძეგლები — საბერძნეთისა თუ რომის, სუმერებისა თუ ეგვიპტელების, ინდუსებისა თუ ჩინელების, უცხო ხალხების ეთნოგრაფიული რელიქვიები თუ ბუნების საოცრებანი.

დიდი თვალსაწიერითა და ღრმა ცოდნით დაბრუნდა იგი სამშობლოში და პატრიოტული მგზნებარებით შეუღდა

სამწერლო მოღვაწეობას. ამ დღიდან მოკიდებული თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მის კალამს მეღანი არ შეშრობია და მის შუბლს ოფლი.

მისი შემოქმედებიდან ერთი წამით მის ისტორიულ რომანებზე თუ შევიჩერდებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი გათანგულია იმ ეპოქის ღრმა ცოდნით, რომელიც რომანშია ასახული. თითოეული მათგანის დაწერას წინ უძღოდა დამატებული მუშაობა წლების მანძილზე, როდესაც მწერალი-მეცნიერი რომანის ეპოქის დამახასიათებელ წყაროებს გულმოდგინედ იკვლევდა, ანალიზირებდა, ცხრილავდა, სხვადასხვა ენებზე დაწერილ ფოლიანტებს ფურცლავდა და ნივთიერ ძეგლებს სწავლობდა და წაღმართი რომანში შექჷნდა.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში მეცნიერის წესით არის გამოყენებული არა მხოლოდ წერილობითი წყაროები, არამედ ხალხური ისტორიოგრაფია, პოეზიაში თუ პროზაში გამოხატული სიბრძნე, ხალხის წესი და რიგი, ქართველი ხალხის, და არა მხოლოდ ქართველის, ეთნოფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა და მისი გამოშუქურების, განსაზღვრულობის უზადლო შეძლება.

კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანების არა ერთი პასაჟი ბევრ ისტორიკოსსაც კი შეშურდებოდა, რამდენადაც ისინი მკაცრი სამეცნიერო მოთხოვნილებების საფუძველზეა დაწერილი, ღრმად გააზრებული და მხატვრულ ფორმაში მკითხველისათვის მიწოდებული. წყაროები? იკითხავს კაცი. კონსტანტინესათვის, ვითარცა მეცნიერისათვის, ცნობილია ყოველი ისტორიული წყარო. მაღლიანი „ქართლის ცხოვრება“ არა მხოლოდ ისტორიულ ამბავთა მატანეა, არამედ ის თავისთავადი მხატვრული ქმნილებაა;

კონსტანტინე ერთსაც წყალობს და მეორესაც. მისი ისტორიული შემოქმედება ერთხელაც მეტია და მეორეხელაც ისტორიულ წყაროს გამოწვლილივით ამოიკითხავს, მეცნიერულ აზრს გაითვალისწინებს და თავისას — „ჰოს“ თუ „არას“ — იტყვის, ხოლო „ღირებულებას“ ისე ცოცხლად და მხატვრულად აამეტყველებს, რომ მკითხველი კითხვის თავს ვეღარ ანებებს.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც ერთი მაგალითის დასახელება. ყვიჩალების ყოფა-ცხოვრების, მათი შეიარაღების, საოჯახო ყოფის, საზოგადოებრივი ურთიერთობის და რელიგიის აღწერა დამყარებულია უცხო წყაროების გამოწვლილივით ცოდნაზე, სამეცნიერო აკრიბიაზე, რასაც ჩვენ ქართულ ისტორიოგრაფიაში იშვიათად თუ შევხვდებით. ანდა ომს აღწერს, გენერალურ გეგმას ააგებს, მოულოდნელობას თავს გაართმევს და კიდევ და კიდევ... ერთი სიტყვით, ისე ვადმოსცემს, მკითხველს დააფიქრებს — თვით ხომ არ უსარდლია იმ ომებისათვის.

თვით რომანი „დავით აღმაშენებელი“ ხომ ქართველი ხალხის სულში ჩაწვდომა, მისი სუნთქვისა და გულის ძვერის გადმოცემა, მსოფლიო სარბიელზე ყველასათვის დასანახად გატანილი.

შოთა რუსთაველის შემდეგ ჩვენ არ ვიკით მეორე ქართველი მწერალი, რომელსაც ასეთი დიდი მხატვრული ტილო შეექმნას, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ დავით აღმაშენებელს შეუქმნა.

ბარაქალა მის ნიჰსა და კალამს. დეე. მისი რვატომეულის გამოსვლას კიდევ დიდხანსა და დიდხანს მრავალი ახალი ტომი მოყოლოდეს, მისი მკითხველების გასახარებლად და სამშობლოს საღიდებლად.

გიორგი ჯიბლაძე



კონსტანტინე გამსახურდია ჩემი არამარტო საყვარელი, პირდაპირ განვაცხადებ, უსაყვარლესი მწერალია.

სიყვარულს ყოველთვის თანა სდევს მცირეოდენი „სკეპსისი“, და არ დავმალოვ, რომ ეს „სკეპსისი“ მქონდა ჩემს სიყვარულშიც კონსტანტინე გამსახურდიასადმი. მინდოდა ყოველთვის კარგი ყოფილიყო, მაგრამ ზოგიერთი მისი იდეა ჩემთვის მიუღებელი იყო.

პირველად კონსტანტინე გავიცანი მისი ლექსებით. დღესაც მახსოვს პირველი სტრიქონი ლექსისა „კურფიურსტერდამი, თეთრი ქვევით უცხო დანგები...“

შემდეგ წავიკითხე რომანი „დიონისოს ღიმილი“. დღემდე ვერ გამოვსულვარ იმ ღრმა შთაბეჭდილებიდან, რომელიც ამ რომანმა მაშინ ჩემზე მოახდინა. ისიც მინდა დავძინო, რომ, ჩემს სხვა მასწავლებლებთან ერთად, კონსტანტინე გამსახურდიამ დიდად შემაყვარა ევროპული და რუსული ლიტერატურა.

ევროპული ლიტერატურა შევიყვარე მისი მშვენიერი ნაშრომით გოეთეს შესახებ, აგრეთვე ბრწყინვალე თარგმანით გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანისა“. რუსული ლიტერატურა კი ძალიან ახლობელი შეიქნა ჩემთვის გამსახურდიას ორბიანალური წერილით „ლენ ტოლსტოი“, (ასეთი სათაური მქონდა — „ლენ ტოლსტოი“ და არა „ლევ ტოლსტოი“).

ამ წერილებში გამსახურდია ჩანდა არა მარტო ხელოვანი, ოსტატი, რომელსაც ეხერხება ფრაზის მოქნევა, არამედ როგორც ნატიფი გემოვნების, მოაზროვნე კაცი, დიდი ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილი ადამიანი.

ასეთი ნაშრომების ავტორი არ შეიძლება მკითხველის გატაცების საგანი არ იყოს, მით უმეტეს, ისეთი მკითხველისა, რომელიც ლიტერატურაში პრობ-

ლემებს ეძიებს და თეორიებით დაინტერესებულია.

დააკვირდით: არსებობს ლიტერატურაში ერთი ხერხი — ეს არის ეპისტოლარული ხერხი, როცა წერილების მიწერ-მოწერა მოქმედ ვმირებს შორის გამოყენებულია, როგორც მხატვრული ფორმა. ეს ხერხები პირველად შემოიტანა ქართულ მწერლობაში გიორგი მერჩულემ ძველი კლასიკური რომანი — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

მე ვიცი, რომ მერჩულე არის მეტრი თვით გამსახურდიასათვის. ამას თვითონვე აღიარებს თავის ნაწერებში. შემდეგ, ეს ხერხი გამოყენებული აქვს რუსთაველს პოეტურ მეტყველებაში უდიდესი ოსტატობით. ვახსენებ, წერილების მიწერ-მოწერა ნესტანისა და ტარიელისა. თუ ახალს დროში ქართულ მწერალთაგან, ამ ორი ბუმბერაზის შემდეგ, მიმართა ეპისტოლარულ ხერხს ყველაზე სრულყოფილად, ეს გახლავთ გამსახურდია „მთვარის მოტაცებით“.

არასოდეს დამავიწყდება თარაშ ეხვარის წერილები სვანური კომედიან. ეს ერთი უბრწყინვალესი ფურცელია არა მარტო ბელეტრისტიკის, მე ვიტყვოდი, ქართული პოეზიისაც, იგი არ არის მარტოდენ ბელეტრისტიკა, პოეზიაა თავიდან ბოლომდე.

აი, დღეს ლაპარაკი გვაქვს გამსახურდიას თხზულებების მ ტომზე, რომელიც უბრწყინვალესი ტალანტის ტიტანური შრომის შედეგია.

ასეთ ტომებს ვერ შექმნიდა ადამიანი მარტოდენ ნიჭით, მას რომ დღე-ღამე რუდუნებით არ ესწორებინა.

ამ დიდ შრომას დიდი ტალანტი ამშვენებს. კონსტანტინე გამსახურდია გამოირჩევა სწორედ უბრწყინვალესი, განუმეორებელი ტალანტითა და ასევე დიდ შრომისმოყვარეობით.

ხანდახან ვფიქრობ შექსპირზე, რომ-

ლის შესახებაც გამსახურდიას შესანიშნავი გამოკვლევა აქვს დაწერილი, ბრწყინვალე გამოკვლევა. ვიხსენებ ჰამლეტის სიტყვებს მამაზე: „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა, მე ისეთ კაცსა ვეღარ ვნახავ ჩემს სიცოცხლეშიო“. ხშირად მიფიქრია კონსტანტინე გამსახურდიასზე, რომ ასეთ მწერალს ჩვენ ძნელად ვნახავთ ჩვენს სიცოცხლეში. ეს არის რაღაც ბედნიერი შერწყმა ტალანტისა და შრომისა. არიან ძალიან ნიჭიერი მწერლები, მაგრამ შრომის მხრივ მოისუსტებენ. გამსახურდია ნიჭითაც და შრომისმოყვარეობითაც ძალიან ჰგავს ისეთ დიდ მწერლებს, როგორც არიან, მაგალითად, ბალზაკი, დოდე, ეს დაუსრულებელი შრომატევადი მწერლები. არ დამაინიწყდება გამსახურდიას ერთი ფრაზა, რომ ის რომანს უყურობს, როგორც უადრესად შრომატევადი ჟანრს ლიტერატურაში საერთოდ. ეს საესებო სწორია. რომანი, მართლაც, უადრესად შრომატევადი ჟანრია!

ერთი რამ უნდა მოგახსენოთ კიდევ.

მე თეორეტიკოსი ვახლავართ ლიტერატურისა, პოეტიკისა და ესთეტიკის პრობლემების მკვლევარი, და ამ თვალთუყურობ ხშირად კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას. როცა მის რომანებს კითხულობთ, თქვენ ყოველთვის გრძნობთ გასაოცარ, ოკეანისებურ ღელვას ქართული ენისას, გიზიდავთ ის, და, მეორე მხრივ, ზედავთ, ხანდახან, მწერლის მცირეოდენ, მე ვიტყვოდი, დაუდევრობას. მაგრამ ყოველთვის მახსენდება ლონგინი, ნეოპლატონიკოსი თეორეტიკოსი, რომელმაც პირველად დაწერა საპეციალური გამოკვლევა ამალელების პრობლემის შესახებ. ლონგინი აღარებს ორ დიდ მწერალს ერთმანეთს — ჰომეროსსა და აპოლონ როდოსელს, „არგონავტიკის“ ავტორს, და ამბობს: აპოლონ როდოსელს არავითარი შეცდომა თავის „არგონავტიკაში“ არა აქვს. ჰომეროსს აიღებთ და სავსეა შეცდომებით. ამიტომ იყო, რომ ბო-

როტი კრიტიკის ფუძემდებელმა ზოილმა მწვავე წერილები დაწერა ჰომეროსზე, პირდაპირ ბრალდებულად გამოიყვანა გენოსი კაცი ჰომეროსი და, ბრალი დადო, იმდენი შენიშვნა გაუკეთა მას. ამ ფაქტის მოტანის შემდეგ ლონგინი აყენებს პირდაპირ კითხვას: ვინ იქნებოდა ჰუმანოფილი, რომელიც იჩივებდა ყოფილიყო უშეცდომო აპოლონ როდოსელი და არ ყოფილიყო შეცდომებით სავსე ჰომეროსი.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, ზოგჯერ, მართლაც, ვაჟებს ეს წერილმანი, პატარა, მცირედი ნაკლი, მაგრამ ეს გამოწვეულია მისი დიდი ტალანტით, მისი შეუზღუდველი ტალანტით, და არა სხვა მიზეზით. ლონგინმა შემდეგნიარად დასაბუთა ეს აზრი: რატომ იქცევა ასე ზოგიერთი მწერალი, რატომ ცდილობს იყოს უშეცდომო, არ ჰქონდეს არავითარი შეცდომა? აქ ნიჭის საკითხია, ვინაიდან საშუალო ნიჭის კაცს ეშინია მცირე ბრალდებაც არ დაემატოს — „შეცდომა დაუშვაო“. ამიტომ ის მუდამ ცდილობს უშეცდომოდ წეროს, ხოლო გენიოს მწერალს არაფრის არ ეშინია: ის გენიოსია და იგი თვითონ ჰქმნის კანონებს წერისას.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მინდა ვანაცხადო, რომ გამსახურდია არის უბრწყინვალესი, უშესანიშნავესი მოვლენა ქართული კულტურისა, და ჩვენი დიდი ღირსებაა, რომ ასეთი მწერალი ჰყავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურას. მისი რომანების საერთაშორისო მასშტაბი სრულიად უშეკვლია, ვინაიდან უცხოელი კაცისათვის გამსახურდიას რომანები არა მარტო ეგზოტიკაა, არამედ, უბრწყინვალესი შემოქმედებითი მიღწევაც. განზრახული მაქვს, ჩემი ეს ხანგრძლივი მუშაობა გამსახურდიას შემოქმედებაზე იმით დავაგვირგვინო, რომ დავამთავრო მონოგრაფიული გამოკვლევა. ესაა ჩემი იდეალი, და ველი იმ დღეს, როცა მონოგრაფიის დავასრულებ.



ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანაშვილი

„ილიას ნიკოსთან ყოფნა უყვარდა, აფასებდა მის ცოდნას და ვინებამახვილობას“.

არტურ ლახიტი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ხალხმა მრავალი მგზნებარე, თავდადებული და მამაცო, ნიჭიერი ადამიანი შემატა თავის ერს. ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას და სხვა დიდ მოღვაწეებს ურბნელის ფსევდონიმით თანამდგომობა გაუწია ნიკოლოზ ხიზანაშვილმა, რომელიც, მათ სხვა თანამებრძოლებთან ერთად, დაუტყობლად იბრძოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ბევრი საინტერესო მოვლენაა შემონახული ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ხიზანაშვილის ურთიერთ დამოკიდებულებაზე. მაგრამ ვიდრე მათ დაახლოვებას, დამეგობრებას და განსაკუთრებით, ილიას სტუმართმოყვარეობას („ილიაობას“ — საგურამოში, სადაც ხშირი სტუმარი ყოფილა ნიკო ხიზანაშვილი) შეეხებოდეთ, საქაროდ მივყავინია გავიხსენოთ ნიკო ხიზანაშვილის პირველი გამოხველა სამწერლო-სამოღვაწეო სარბიელზე.

1876 წელს ნ. ხიზანაშვილმა, სრულიად ახალგაზრდად, წარმატებით დამთავრა ნოეორთისის უნივერსიტეტი და, შშობლიურ მხარეში დაბრუნდა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან მუშაობა დაიწყო ჯერ თბილისის სასამართლო პალატაში, შემდეგ ზანგეზურში, ხოლო 1879 წელს კავკასიის მეფისნიაცლის ბრძანებით მოპრიგებულ მოსამართლის თანაშემწედ იქნა გადაყვანილი ცხინვალში. ოსეთში მუშაობა მისთვის საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა.

ნ. ხიზანაშვილმა სამწერლო-სასამართლო კარგები ცხინვალთან შემოაღო თავისი ერთერთი კორესპონდენციით, მაგრამ ეს იყო 1881 წელს და არა 1879 წელს, როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ. მან ჯერ უბრალო კორესპონდენციები გამოკვეთა გაზეთ „დროებაში“, ხოლო შემდეგ ღრმა მეცნიერულ წერილებსა და ნარკვევებს ბეჭდავდა სხვადასხვა გაზეთებსა და ეურნალებში. ასეთებია: „ძველი და ახალი თაობა“ (გაზ. „დროება“, 1883 წ. № 94); „ჩვენი

ლიტერატურულ კეთილ წესიერებაზე“ („დროება“, 1883 წ. № 99); „შეზავრის შენიშვნებიდან“ („დროება“, 1883 წ. № 129); „ჩვენი გლეხკაცობა და აქციზის საქმე“ („დროება“ 1883 წ. № 197); „ქართული ენის შემოღების გამო“ („დროება“ 1883 წ. № 187); „ლიტერატურული შენიშვნა“ („დროება“, 1883 წ. №№ 230, 231); „ეკონომია თუ აგრონომია?“ („დროება“, 1883 წ. № 248); „ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი“ (ეურ. „იმედი“, 1882 წ. № 3); „საფუძვლები სახალხო განათლებისა“ („იმედი“, 1882 წ. №№ 5, 6, 7, 8, 9, 10); უფლება და კანონი ჭველ საქართველოში“ („იმედი“, 1882 წ. № 11-12) და სხვა მრავალი.

უსტიციის სამინისტროს ბრძანებით 1884 წლის 2 ივლისს ხიზანაშვილი ცხინვალიდან გადაყვანილ იქნა თიანეთში მოპრიგებულ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. მართალია, ნ. ხიზანაშვილის მეცნიერულ ნიჭსა და უნარს ადრე შეესაფრებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა პროვინციაში მუშაობის გამოცდილებამ ფშავ-ხევსურეთის ცხოვრებას უფრო დაახლოვა იგი, თიანეთში ჰკრეფდა წარსული ცხოვრების მასალებს, გულდასმით იკვლევდა და სწავლობდა მათ.

თიანეთში მუშაობის პერიოდში ნ. ხიზანაშვილი კიდევ უფრო დაუახლოვდა ახლად გაცნობილ ვაჟა-ფშაველას, ზნორად იბეჭდებოდა თიანეთის პროვინციის საქინბოროტო საკითხებზე მისი კორესპონდენციები.

თუკი ცხინვალში მუშაობის დროს ნ. ხიზანაშვილი „დროებაში“ და ეურნალ „იმედში“ აქვეყნებდა კორესპონდენციებს ხალხის მდგომარეობის შესახებ, მის ჟიურსა და ვარაზზე და საბავდა მომავლის პერსპექტივებს ეკონომიურ ღარჯში, თიანეთში მან ძირითად მიზნად ფშავ-ხევსურეთის ადამიანთა და წესების შესწავლა გაიხატა. ნ. ხიზანაშვილის შრომებისა და კორესპონდენციების მიხედვით ჩვენი დროის

მემატანეს შეუძლია აღადგინოს თიანეთის მახრის წარსულის უტყუარი სურათი. ხიზანაშვილმა ფიქსაცია გაუკეთა ხეცურბეთის დეფიცი სოციალურ სინამდვილეს, რითაც მამაველ თაობას ფასდაუღებელი მასალა შემოეწვინა.

ნ. ხიზანაშვილის მიერ ნიჭიერად და საქმიანობა ცოდნით დაწერილ სტატიებსა და ნარკვევებს ილია ჭავჭავაძემ განცხადებებში მოუყვანა, რაც შემდეგ გახდა მიზეზი იმისა, რომ ეურნალ „ივერიის“ რედაქტორმა ნ. ხიზანაშვილს საზოგადოებას მისთან ეთანამშრომლა. ნიკო ხიზანაშვილი სიამოვნებით დეთანხმა ამ წინადადებას და 1884 წელს თიანეთიდან ეთნოგრაფიული და სხვა ხასიათის ნარკვევებს უგზავნიდა „ივერიის“ რედაქციას.

1885 წელს, როდესაც გაზეთი „დროება“ დაიხურა და მრავალი ცდის შედეგად ილია ჭავჭავაძემ ნებაართვა მიიღო ეურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებისა, იგი, როგორც სხვა მრღვევებს, ისე ნიკო ხიზანაშვილსაც უგზავნის სტამბურად დაბეჭდილ სპეციალურ წერილს შემდეგი შინაარსით: „მოწყალეო ხელმწიფე! გაზეთებიდან მოხსენებულ გვეწმებათ, რომ პირველ იანვრიდან 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორობა ეიკოს რე მე. რასაკვირველია, ამისათვის მძიმე ტვირთს მე ვერ ეიკოსრებდი, თუ სახეში არ მქონოდა დახმარება და შემწეობა თქვენი სთავა პატრიარქული მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე, საერთო საზოგადო საქმეა, იქნება სხვაგან არს აზა, როგორც საკუთრივ ჩვენი. თქვენი წინასწარი, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა იქ თვითონ თქვენი გული იწმუნებულ გყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მასისადაც, აქ თხოვნა ჩემგან შეტა. მე მართო საქმოდ ვრაცხ მოგახსენით, რომ თქვენი კლამის ნაწინამოციებისთვის ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი. გაზეთი ვახლდება „დროებაზედ“ უფრო მომეტებულის ზომისა. თქვენდა საყურადღებოდ მომართმევი პროგრამა გაზეთისა.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედვ.,
თქვენი გულითადად პატივისმცემელი
ილია ჭავჭავაძე (1885 წ.)¹

ამ წერილის შემდეგ, გაზეთ „ივერია“ გამოცემის წინა დღეებში, ილიას სპეციალური ბარათი გაუგზავნია თიანეთში ნიკო ხიზანაშვილისათვის და უთხოვია, რომ თუ ეს შესაძლებლობა მიიზნედა, თბილისში გადმოსულიყო შემდეგ თანამშრომლად გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში სამუშაოდ. ილიას ამ ბარათითვე უცნობებია რედაქციაში მუშაობის პირობებიც: ხელფასი, მაგრამ ნიკო ხიზანაშვილს იმხანად ვერ მოუხერხებია თბილისში გადმოსვლა და თიანეთში სამსახურისათვის თავის მიჩენება, ამიტომ ილიასათვის უცნობებია, რომ მას ამჯერად არ შეუძლია გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში შემდეგ თანამშრომლად მუშაობა, ისე კი დახმარება აღუთქვამს ილიასთვის წერილებსა და კორექსორულციების მიწოდებაში.

სხვათა შორის, 1886 წ. 3 იანვარს გაზეთ „ივერია“ თანამშრომელი გრიგოლ უფშიძე წერილით ატყობინებს თბილისიდან კავშირს სოფრამ მგალობლიშვილს, რომ ილია ჭავჭავაძეს უთხოვია ნიკო ხიზანაშვილისათვის მუშაობის თანამშრომლობა ეიკოსა „ივერიის“ რედაქციაში; მისთვის მუშაობის სათანადო პირობებიც გაუცხნათ. მაგრამ „ნიკო ხიზანაშვილის წერილი მოგვივიდა და არ დავთანხმებ რედაქტორის პირობას, თუმცა დიდ შემწეობას დახმარება რედაქციას...“² ჩადგან ნიკო ხიზანაშვილს უაზო უთქვამს რედაქციაში უშუალო თანამშრომლობაზე, როგორც წერილიდან ჩანს, ილიას შემდეგ გრიგოლ უფშიძისათვის დაუგვიდა წერილი მიეწერა გორში მწერალ სოფრამ მგალობლიშვილისათვის და ეცნობინა, რომ „ილია ვთხოვს ჩამობრძანდეს და იმუშაო რედაქციაში, თეხი ზეთი თუმანი იქნება ყამბაგარი. ამას კი გადრთობლებს ილია, რომ ჯერ ჩადგან რედაქციის ნივთების შეძლება არც კარგი ითქმის და არც ავი, ვაი თუ მერე რედაქციამ ვეღარ შესძლოს მაგოდენა ხარჯი, თქვენ სამსახური დაეკარგვიანოთ — კი, ძალიან კარგად იცი, რომ რედაქციის საქმე სახიფათო საქმეა, ერთი მხრით მთავრობის შიშში, რომ უფროდ არ მოგვიცხობს, მეორეს მხრით ფულის უქონლობისა... გწერ ყველა ამას, ჩადგან ილიამ მითხრა: ყველაფერი კარგად მომწერია შენთვის. მოითქვარე კარგად ნაბტომი კარგად, დინჯად ვახლემე, რომ მერე სინანუდი არ გავიხდეს.“²

მართალია, ნიკო ხიზანაშვილს უაზო უთქვამს ეთანამშრომლა „ივერიის“ რედაქციის

¹ საქართველოს სახელ. ლიტ. მუზეუმის

15754=6
უ. 217

² როგორც ს. მგალობლიშვილის „მოგონებანი“—დან ჩანს, იგი დთანხმებული „ივერიის“ რედაქციაში მუშაობაზე. (ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, 1938 წ. გვ. 197).

¹ ილიას ასეთივე ხასიათის წერილები მიეწერია ა. ყაზბეგისათვის, ს. მგალობლიშვილისა, ნ. ლომოურისა და სხვა მწერალ-მოღვაწეთათვის (ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. X, გვ. 112; 1961 წ.).

მეშაკად, მგერამ თვით დიდად დაინტერესებული ყოფილა, რომ ამით ილია ჭავჭავაძეს ხელი არ შეშლიდა და მასთან მიუყვანია (და ვიუცყვია ახალგაზრდა ნიჭიერი ეურნალისტი არტემ ახნაზაროვი. ახ როგორ გადმოგვეცემს ამ ამბავს თავად არტემ ახნაზაროვი (მწერლობაში „ჩოროს“ ფსევდონიმით ცნობილი): „როდესაც ვახეთი „დროება“ დაიხურა და 1886 წლიდან „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, 1886 წლის დასაწყისში... ნიკო ხიზანაშვილმა გადმომიცა, რომ ილია ჭავჭავაძეს უნდა შენი ნახვა, — მანამდე მე ილია ჭავჭავაძე თვალით არ მენახება, — ამ დროს 19 წლის ახალგაზრდა ვიყავი („თეატრში“ ეთანამშრომლობდი)... აქედან აღვიღად წარმოსადგენია როგორ ამიტოვდა და ამიღეღა გული, როდესაც შევიტყვე, რომ „დღი“ ილია (მანინაჲ ნუჲ იგი „დღიდად“ ითვლებოდა) თვითონ მიბარებდა“¹. მართლაც, ამ დღიდან არტემ ახნაზაროვი მუდმივად თანამშრომელი ხდება ვახეთი „ივერიისა“, ილია ჭავჭავაძესთან საკმაო ავტორიტეტით მოიპოვა და კარგი ეურნალისტის სახელი დაიმსახურა, თავისი სხარტული ფილმებზეთა და აქედან ისაღებ წყალ წასაღებ ამბებით, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა ვახეთი „ივერიის“ ფურცლებზე (არტემ ახნაზაროვი ილიას „ივერიას“ მუდმივ თანამშრომლად ბოლომდე შერჩა).

შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ხიზანაშვილის დახლოება ილიასთან სწორედ იმ პერიოდში იწყება, როდესაც ყოველდღიური ვახეთის „ივერიის“ გამოცემა დაიწყო ილია ჭავჭავაძემ. გარდა ამისა, რომ ნიკო „ივერიას“ ზედმიწევნით აწვდიდა თანაგვითიდან კორესპონდენტებას და ენთოგრაფიულ წერტილებს², თითონაც ხშირი სტუმარი იყო „ივერიის“ რედაქციას.

ილიამ თითქმის წესად შემოიღო „ივერიის“ თანამშრომლების პარასკევობით შეკრება სასაუბროდ და მოსალაპარაკებლად. „ივერიის“ გულშემატკივარი, ვარემე თანამშრომლებიც, ხშირად ესწრებოდნენ „პარასკევობას“ და მათ შორის ნიკო ხიზანაშვილიც იყო ხოლმე. იგივე არტემ ახნაზაროვი თავის მოგონებაში გადმოგვცემს, რომ ილიას „ეს პარასკევების კრებები ისეთ ჩვეულებად გადაიქცა, რომ მოუწყველად ესტუმრებოდნენ ხოლმე ილიას... ამ საღამოს უფრო ხშირად ესწრებოდნენ: ბერტო უმიკაშვილი („ანონისტელი“), დავით ერისთავი („დონ-ინე“), რაფიელ ერისთავი, ნიკო ხიზანაშვილი („ურბნელი“, „პლემსი“), არტემ ლიპიტი და სხვები“³.

როდესაც ნიკო ხიზანაშვილმა თანაგვითი სამსახურს თავი დაანება და თბილისში გადმოვიდა მუდმივ საცხოვრებლად, დღე სამუშაოზე წყოლ, კიდევ უფრო დაუხალდედა, დაუხალდედა გობრდა, დაუნათესავდა (ილიას მუდმივ თბილისში ხიზანაშვილის შეილის ნათლა იყო) ილია ჭავჭავაძეს. მათ შორის კიდევ უფრო განმტკიცდა და ეთიარება ერთმანეთისაღმი სიყვარული და პატივისცემა, რასაც ადისტურებს მათი თანამედროვეების არტურ ლისიტის, ვიორჯი ლასხიშვილის, გრიგოლ ყიფშიძის, იაკობ მანსვეტაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, რომანოზ ფანცხვას, სამსონ ფირცხალავას, ვლისაბედ ჩერქეზიშვილისა და სხვათა გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებული მოგონებანი და მეშუარება.

ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილებსა და ვიზუოდებს იმ მოგონებებიდან, რომლებიც უშუალოდ ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ხიზანაშვილის ურთიერთდამოკიდებულებას, მეგობრობასა და სიყვარულს შეეხება.

ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ხიზანაშვილის თანამედროვე, „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი იაკობ მანსვეტაშვილი გადმოგვცემს, რომ „ჩემს დროს, ყველაზე მეტად შეუღლებდებოდნენ იყო ილიასთან ნიკო ხიზანაშვილი, კაცო ენაწყლიანი, სიტყვა მოსწრებული, კარგი მოსაუბრე, თუნუკი, ამასთან ჭკვიანი, კარგად განათლებული და ბევრი ნაკითხი. სხვისგან ილია თუ წყობურტსაც არ მიიყარებდა, ამისაგან ბევრს იბიწნედა“. მართლაც, ილიას რომ ნიკო ხიზანაშვილი დიდად ყვარებდა და მასთან ყოფნას სასიამოვნოდ მიიხსენებდა, ეს თვით ილიას კერძო წერილებიდანაც ჩანს. ლიტერატურულ მუშეუქმში დაცული ილიას თობი წერილი ნიკო ხიზანაშვილისაღმი. მუდმივ იუმორით ილია ნიკოს ემატებოდა თავისთან სადილად, სიამოვნო დაინტერესოს მიხელო, სადილის მენიუსაც კი ატყობინებს. ერთერთ წერილში ილია სწერს:

„მხო ნიკო! აბა თუ კაი მეგობარი ხარ, დღეს სამ საათზე ვოგჯალიში მოდი და საცურამოს წაიღებე. ქერ ერთი, რომ ორშაბათს უქმეა და მეორე, კაი ეომანია მოდის; გევა და საშა ყიფშიძე ასე ლამაზად ვავატარებთ ამ ორ დღეს, რომ მერე მართო მოგონება პირში ნერწყვის მოგვარის და თითების ცვენას დაიწყებ. აბა თუ ბიჭი ხარ, ნუ მიმტყუნებ. ქერ შე და მერე შენს მეგობრობას შენი ილია ჭავჭავაძე. ილიას ეს წერილი დათარგმნებულია 19

1 ა. ახნაზაროვის მოგონება, „ილია ჭავჭავაძე და მისი დრო“. — ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული. გვ. 294, 1937 წ.

2 „ივერია“, 1886 წ., 267, 268, 269.

3 ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, გვ. 298, 1937 წ.

1 ეს წერილები არ არის შესული ილია ჭავჭავაძის ოხულებითა აკადემიურ გამოცემაში.

2 ლიტ. მუშეუქმის ხელნაწერთა ფონდი, № 17609.

ამას ისიც ემატება, რომ ქართული რომანტიკოსები პირადი განცდებითა და შთაგრძობული სულით ერთ პოეტურ ოქაზს წარმოადგენდნენ, რადგან ყველა ისინი თავიანთ ბედით თუ სისხლით ნათესაობით დაკავშირებულნი იყვნენ ბაგრატიონებთან. ამიტომ წარსულის გაიდგლება, მათი შემოქმედებისათვის ერთ-ერთი საშუალება იყო, რითაც ისინი პოეზობდნენ სულის სიმშვიდეს. ამდენად, რომანტიკული პოეზია ერთგვარად დავალებულია ემიგრანტული პოეზიასთან.

ასევე თეიმურაზ პარველის, არჩილის, ბესი-
10. „მწათობი“ № 7.

კის შემოქმედებაში შეიძლება უხვად ვიპოვოთ ლექსები, რომელთა მოტივები ემსგავსებიან ალექსანდრე ჭავჭავაძის, ვრ. ურბნულიანისა და ნ. ბარათაშვილის ცალკეულ რომანტიკოსულ ოდნელო აქ არაფერია, ერთი ლიტერატურული სტილი მეორისაგან არ არის გამოჩნული გავილი კედლით.

ამგვარი გავება სულ სხვა შუქს ფენს ემიგრანტულ პოეზიას. ლიტერატურული ტრადიციების გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ აღრინდელმა ქართულმა ლიტერატურამ ნიადაგი მოუზადა მომდევნო თაობას და რომ რომანტიკოსები წინა თაობის ლიტერატურული მონაპოვრიდან მოდიან. ძველი ქართული ლიტერატურის ნორმები და ტრადიციები ერთგვარ ბარიერს წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, რომელიც ვააზრდევს ვარდამავალი ხანის მწერლებმა და შემდეგ ამ გზას გააყვენენ რომანტიკოსი პოეტები ალ. ჭავჭავაძის მეტაფორებით.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ დიდ საქმეს, რომელიც ამ ბერიოდის მწერლებმა წამოიწყეს და რომელიც შემდგომში სამოციანელებმა დაიგვირგინეს. ეს იყო ცუდები სამწერლო ენის გამარტივებისა, რომელიც ერთგვანა, სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა და გაეცნობიერა ის პროექტი, რომლის დამწყებად ემიგრანტი მწერლები ითვლებიან. ვერ კიდევ ანტონ კვათლიკოსის სამი სტილის თეორიის ბატონობისა ემიგრანტი პოეტები დ. გუარამიშვილი, დ. ბაგრატიონი, ი. სააკაძე და სხვები, უგულებელყოფენ ძველი ასოების (ა, მ, ე, ვ) ბზარებას. ამის შედეგით შავალითა დიმიტრი ბაგრატიონის ბელნაწერი ნუსხები, რომელთა შექმნისთან ირკვევა, რომ პოეტები შეგნებულად ცდილობს გაამარტივოს დაქანობული მართლწერის ნორმები.

შამსადამე, ემიგრანტულ პოეზიას შეიძლება ვუწოდოთ თავისებური წინარომანტიკობა, რომელიც არსებობდა ჩვენს ლიტერატურაში ნამდვილი რომანტიკობის წარმოშობამდე. აქ შეიძლება ვაიხსენოთ შემდეგი ანალოგია: ბრანდესი საფრანგეთის რომანტიკობის შესახებ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის რომანტიკობის ყუდა ისეთი წინამორბედი, როგორც ფრანგული „ემიგრანტული ლიტერატურა“ იყო და თვით ფრანგული რომანტიკობის ფუძემდებელი შტობრიაანს და შადამ დე სტალს ემიგრანტული ლიტერატურის წარმომადგენლებად თვლის.

ქართული ემიგრანტული პოეზიისა და რომანტიკობის ურთიერთმიმართება იმის დამამტკიცებელია, რომ ლიტერატურული პროცესი ერთგვანი პროცესია, მისი შემდგომი საფეხური ითვალისწინებს მისი წინა საფეხურის მიღწევებს. ყოველთვის ითვისებს იმ კარგს, რაც ძლიერია მასში შექმლებისადაგვარად იყენებს მას თავისი იდეების გამოსახატავად.



სტუმარმასპინძლობის ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში

სტუმარმასპინძლობა თავისი მრავალსაფეხროვანი ტრადიციული საწესდევლებო ნორმებით განეკუთვნება ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამკვიდრებულ უძველეს რიტუალთა წყებას და სხვადასხვა ეთნოსის ყოფა-ცხოვრების სფეროში თავისებური კოლორატით არის შეფერილი. საერთოდ, როგორც ვარაუდობენ, „...ცივილურულ კაცობრიობაში სტუმართმოყვარეობის ზნე-ჩვეულებებს თითქმის არა ათასი წლის ისტორია აქვს“¹.

სტუმარმასპინძლობის ზნე-ჩვეულებების გარკვეულ ასპექტში განვიხილავთ დაკავშირებით სპირობ მთავარხანა ტერმინების სტუმარისა და მასპინძლის ლინგვისტიკური ანალიზი.

ტერმინ სტუმარის სიძველეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა ჩვენ გვხვდება ძველი ხანის როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ტექსტებში. ასე, მაგალითად, ფსალმუნში ვკითხულობთ: „უცხო ეკვმენ მშათა ჩემთა და სტუმარქეთა დედისა ჩემისათა“... (ფს. 68,9). ეს სახელი გამოყენებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“; „და რაემს მამა გრიგოლ სტუმარად მიიწიის იშხანს, უბისკოპოსმან საყდარსა იგი დასეს“²...

ტერმინი მასპინძელი, რომელიც საბას განმარტებული აქვს როგორც „სახლისა და ღვინის უფალი“, ქართულში მიღებულიდან ან საშუალო ირანულიდან (ქართულიდან) ნასესხებ სიტყვას წარმოადგენს და იგი სხვადასხვა ბგერით-სტრუქტურული ნიუანსებითაა გავრცელებული მთელ რიგ ენებში.

მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, რომ „ამ სიტყვასთან არის, როგორც ჩანს კავშირში გეოგ-

რაფიული სახელი ახანძა, რომელიც ნიშნავს სადგურს, სასტუმროს, თავშესაფარს“¹.

სიტყვა მასპინძელს ძალიან ადრე უნდა მოეპოვებინა მოქალაქეობრივი უფლება, რადგანაც იგი ნახშირითა ქართული მწერლობის ისეთ უძველეს ძეგლში, როგორცაა „ამოს წამება“. აქ წერია: „...ყური გულსა და გონებისა თქვენისანი განმმართველი სმენად და მასპინძელ კმენებით სიტყუათა ამთ ჩემთა“².

ქართული ზემოტყვევებების, კერძოდ, პროზული ფოლკლორის მასალების მიხედვით, სტუმარმასპინძლობას, როგორც ტრადიციულ რიტუალს, პირველად საგანგებოდ შევხვართ ალ. ლლონტი თავის მონოგრაფიულ შრომაში „ქართული ხალხური ნოველა“ და მრავალი საგულისხმო დებულება წამოაყენა ამ წეს-ჩვეულების ეთნოგრაფიული სპეციფიკურობისა და მხატვრული ასახვის შესახებ ხალხური ზღაპრებისა და ნოველების სიუჟეტურ მოტივებში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე სტუმარმასპინძლობა ფართოდაა აღწერილი როგორც მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში, ისე სპეციალური დანიშნულების სამეცნიერო გამოკვლევებში თუ საგანთო წერილებში. როგორც ცნობილია, საქართველოს მთას საქმიოდ კოლორატულად შემორჩა საუკუნეობით შემუშავებული და ხალხის ყოფაში განმტკიცებული სტუმარმასპინძლობის ტრადიციული წეს-ჩვეულებანი, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთის მხარეთა, საერთოდ, ფშავის, ზეესურეთის, ხევის მაგალითზე საუცხოოდ აისახა მხატვრული სიტყვის დიდოსტატების — ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის ნაწერებში.

სტუმარმასპინძლობის თემამ საუკეთესო განსახიერება პოეზია ვაჟა-ფშაველას მთელ რიგ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებში, განსაკუთ-

¹ ზ. ფინიკაია, სტუმარ-მასპინძლობა, ყოფიან-ცივის ესთეტიკა, თბილისი, 1965, გვ. 207.

² ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტოპათია, 1, თბილისი, 1946, გვ. 119.

³ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევი ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1960, გვ. 19.

1 იკვი, გვ. 19.
2 ს. ყუბანეიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 56.
3 ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველა, 1963, გვ. 264-266; მისივე ქართული ხალხური ნოველა, 1966, გვ. 237-242.

რებით კი ვეძახე გენიამ მთლიანად დამახასიათებელი სტუმარმასპინძლობის ადათობრივი ნორმები უმალეს პოეტურ ხარისხში აიყვანა უკუდავ პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“. გარდა ამისა, დიდი მგოსანი მთის (ფშავი, ხევსურეთი) ბინადართა ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებულ სტუმარმასპინძლობის საკითხებს შეკითხვითი ეთნოგრაფიულ წერილებსა თუ ჩავახუთო კორესპონდენციებში.

ხევსურეთში გავრცელებული სტუმარმასპინძლობის სპეციფიკური ნიშნების, სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების, სტუმრისათვის ვამინიშული სუფრის დაწვრთვებით აღწერას იძლევა დ. პავლიაშვილი ნარკვევში „ლუღის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში“¹.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით სტუმარმასპინძლობის ტრადიციულ ნორმებს ასახავენ თავიანთი შრომებში თ. სახოკია, ს. მაკალათია, ვ. თედორაძე და სხვ.

სტუმარმასპინძლობამ ფართო ასახვა პპოვა ქართული ტრადიციული პოეტური ფოლკლორის რეპერტუარში, რასაც ჩვენი აქ ცალკეულ თემატიკის მიხედვით განვიხილავთ.

მასპინძელი

მასპინძელი სტუმრის მიღებისა და პატივისცემის ცერემონიალისა თუ მისი უმშრობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით აღჭურვილი იყო შესაბამისი წინაპრები უნქველში, რომელიც ხალხის დაუწვრთელი კოლექსით აყო გათვალისწინებული და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სპეციფიკით ხასიათდებოდა.

საერთოდ, სტუმართმოყვარეობას, როგორც აღვნიშნეთ, შინაგანი სოციალური ერთობის ერთობის სახელით აღვიწინა პქონდა ვანკუთნილი და იგი საქართველოში ყველგან ფისდებოდა, როგორც ძველთა-იველი ქანსალი ტრადიციული ჰვეულება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და შედგამ ინარჩუნებდა ცხოველყოფილურ შინაარსსა და აქტიურ ხასიათს. ამ წეს-ჩვეულებების სათანადო ასპექტით ანალოზი მრავალ საგულისხმო არგუმენტს გვთავაზობს ასეთი დასკვნის ვაკეთებისათვის. კერძოდ, ამ ფაქტის სისარგებლოდ მებრძვებებს 1933 წელს ს. მაკალათიას მიერ აღწერილი სტუმარმასპინძლობის თუშური წესი, სადაც საკმაოდ რელიეფურადაა ნაჩვენები მასპინძლის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა, სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების ჰვეულება, რომელიც პირვანდელი სახით უკანასკნელ ხანამდე შემონახულია საქართველოს ამ

მხარეში. „...თუშურ დიდ ოჯახს ახასიათებდა სტუმართმოყვარეობა, — წერს ს. მაკალათია, — სტუმრის მიღებისა და პატივისცემის, ეს წესები ზოგიერთ ოჯახებში დღემდე დაცულია.“² თუშის მასპინძელი სტუმარს უმართავდა საგანგებო წვეულებას, რომელსაც „ახია“ ვერჯვ. ამ საღვინო ცერემონიაზე მებობლებსაც მიიწვევდნენ. სტუმრის არმიღება სარცხილი იყო და ოჯახისათვის დიდად სათაჯილო: „სტუმარ მივიდა კარზედა, ვერ უთხრა შინაობა“³.

სტუმრის მიღება-დახვედრის ცერემონიისთან ერთად უყრადღებებს იქვეც მასპინძლის მიერ სტუმრის უმშრობების უზრუნველყოფის ტრადიციული ჩვეულება, რაც საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასტურდება და რამაც გარკვეული რეზონანსი პპოვა როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ისე ხალხური ზემორისტიციკლების ძველებში. ხევსური მასპინძლის ოჯახში სტუმრის ხელშეუხებლობაზე საგანგებოდ მიუთითებს ვევა-ფშაველა: „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია, — აღნიშნავს ვევა, — სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მებობელიც, თუნდა მძაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა ვასცეს. თუ ვინმე გააძნეობდა, მაშინ თუთონ მასპინძელი ვასცემს პარტს სტუმრის მოდავეს, სისხლს დაქცევასაც არ დაერიდება, თუნდა სტუმარი შეურაცხყოფისაგან დიცივას“⁴.

ქართული ხალხი ოდითგანვე აფასებდა სტუმარმასპინძლობის მალაქეთილოშიბოღრ პრინციპებს, მდიდარო, ქემანისტური სულით გამსჭვებულ სტუმარმრავალ ოჯახს, რომელიც გულუხვი, ხელგამილი მასპინძლობით იყო ცნობილი. და თუ რაოდენ მალალ შეფასებას აძლევს კოლექტიური ავტორი სტუმარმომოყვარეობის თვისებას, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ იგი ერთ-ერთ ლექსში გულაღობასთან შედარებით უპირატესობას პუქალობას ანიჭებს:

არშის თავს ვეფხვი დავკოდა,
სამყერ საომრად მებოდა,
პუქალი კაცი მამაცზე
სამის ვაფრენით მებოდა.

შირის ტიპის ამ ლექსის პირველი პეზლიკა ვეუთვნის ვევა-ფშაველას, რომელიც ერთნალ „შომამის“ 1896 წლის № 6-ში ვამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ წერილში „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“ შესაბამისი შესავალი

¹ ს. მაკალათია, თუშეთი, ტფილისი, 1933.

გვ. 100

² იქვე, გვ. 100-101.

³ ვევა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, 1956, გვ. 148.

⁴ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 201.

ინტერპრეტაციით აწარმოებს რა ლექსის ილუსტრაციას, მას ფშავლების ძველ პოეზიას აყუთუნებს. ა. შანიძე განიხილავს რა ხვესურულ პოეტურ ფოლკლორში ასახულ სტუმარმასპინძლობას, სპეციალურად ჩერდება ამ ლექსზე, ახდენს მისი ბოლო ორი სტრიქონის ციტატებას და იქვე ასეთ კომენტარსაც უყუთუნებს: „პურადობას მეტად აფასებს ხვესური, რომელიც ამ თვისებას მამაცობაზედაც კი მაღლა აყენებს“¹.

არსებობს ლექსის ვრცელი ჩანაწერი, რომელიც ბაჩანას შიერ ვაზეთ „ივერიის“ 1890 წლის ნოემბერშია გამოქვეყნებული. ამ ვარიანტში ტრადიციულ ფშავურ ტექსტს კიდევ ერთი სტროფი ემატება:

უცხო უცხოა თემშია
კაცი სულ შედამ რეცია,
კაცი რომ კაცსა ვერ იცნობს,
სიყვდილზე გადამებია.

პურადობისა და გულადობის ანალოგიური დაპირისპირების პრინციპზეა აგებული ხალხური პოეზიის ნიმუში, რომელიც, ისევე როგორც ზემოაღნიშნული ლექსი, პურადობის პრიმატს აღიარებს. უფრო მეტიც: იგი აქ საშვილიშვილო სასიყეთო საქმედაა მიჩნეული, აყვანილია ვანძის რანგში:

არა ის მამაცობაი, — შირას ვზასავით ვაცვდება,
ერთი დღის ბარაქელაი, კარგა ჰქენ, ზელამც
კარგი ის პურადობაივ უნჯია, შეილსამც
შეჩება!
დაშჩება.

პურადის კაცის ქირიმე, შორითავ
გაიციენება⁴.

პურადობა ხალხურ პოეზიაში დანატიკური თაყვანისცემის ობიექტადის აღწევს, იგი სამი შიხან ერთ-ერთ (პირველ) მხესთანაა გატოლებული მასპინძლის პერსონალური ქების შემდეგ ხვესურულ წყობილიტყვეთ ძეგლში, სადაც, ასევე, როგორც ზემოთ განალოზიზებულ ლექსებში, პურადობის გვერდით მოცემულია ვეჟაკობა, მაგრამ მათ შორის აქ არ გვაქვს ტრადიციული კონტრასტული დაპირისპირება, პირიქით, ისინი ერთ სიბრტყეზე პარაზონულად არიან განლაგებული, თუმცა, ჩამოთვლის მიხედვით, აქაც პურადობას უკავია პირველი ადგილი. პურადობისაღმი მიძღვნილი სტრიქონი ლაკონური ფერწერული დეტალითაა წარმოდგენილი:

ნეტავ თქვენ ქურაზიშვილო! სამი მზე მოვა
თქვენზედ ჩვენსა
ერთ მოვსა პურადობისა, შექ დაგადგებინსკ
სცამხვდა,
მეორე მამაცობისა, მტერ ვერ შეადგეათ
ძალხვდა,
მესამე თოფოსნობისა, ჩიხენ ვერ გაგებენ
მთახვდა!

სტუმარამოყვარების კონკრეტულ-ნივთიერი გამოხატულება პურ-შარილი ხოტბის საგანს წარმოადგენს. მისი უდიდესი მნიშვნელობა მაღალმხატვრულადაა გადმოცემული ერთ-ერთ ხალხურ ლექსში:

შენი ბროლი-მარგალიტი
აღმასივით გაითლებდა,
გლეხი-კაცის პურშარილი
ზღვაზედ ხიდად ვადებდა.

ხალხის აზრით, პურადი, სტუმარამოყვარე აღამიანის სახლს ბარაქა არ მოაკლდება:

ვის მასწონ პური, სასმელი,
უსტუმროდ ნემც იამება!
სტუმარ რომ მავა და წავა,
სახლს კი ბარაქა დაშჩება.

სტუმარი ოჯახის ღირსს წარმოადგენს, მის სიხარულსა და ხალისს, ამიტომაც კოლექტიური აეტორის სიტყვებით

არ ვარგა უსტუმრო სახლი,
კალ ფულად არ გამოდგება².

სტუმარამოყვარეობა აღამიანის მიერ აღამიანის მიმართ ჰუმანიზმის გამოვლენების ერთ-ერთ უმაღლეს ფორმას წარმოადგენს, და, ბუნებრივია, ისტორიულად სტუმარმასპინძლობის რიტუალის ფორმირება უნდა ყოფილიყო აღამიანების შორის ურთიერთნდობის განვითარებისა და გაღრმავების ერთ-ერთი ლოგიკურ-პრაქტიკული გამოხატულება. სტუმარმასპინძლობა, როგორც სოციალური ფენომენი, ერთი ოჯახის ფარგლებს სცილდება, ის დროის ვარჯვეულ მონაკვეთში სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელთა ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს.

სტუმარისადმი შესაფერისი დახვედრისა და პატივისცემის თვალსაზრისით ხალხი აფასებს გულკეთილ მასპინძელს; იგი ფოლკლორული პოეზიის ქება-დიდებას ობიექტადაა ქცეული. ხალხის წარმოდგენით, მასპინძელი სტუმარს

1 ა. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 108.

2 ხალხური სიტყვიერება, I, ვ. თაყაიშვილის რედ., 1918, გვ. 219.

3 ა. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 199.

4 სახალხო ლეგენდები და ლექსები, ზ. კვიციანიძის გამოცემა, გვ. 72.

1. ვეჟა-ფშაველა. ტ. VII. გვ. 99.

2 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხვესურული, ტფილისი, 1931, გვ. 105.

3 „ივერია“, 1890, № 144.

4 ა. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 201.

ენოუზიასტერი გამომეტყველებით, გულგახსნილი, შეზღავსნილი, თვალეში სიხარულის მზეზამდგარი უნდა შეეგებოს. მან უნდა იცოდეს, რომ სტუმრის მდგომარეობაში აღამიანი უღრესად საოფთა, მგრძნობიარე, მოკრძალებული და მასპინძლის ყოველი ნაბიჯი, სიტყვა, ეესტი, მიმიკა, ხმის ტონის ნოუანსებიც კი სათანადო რეაქციას და ასახვას პოულობენ სტუმრის ფსიქიკაში, მის გუნება-განწყობილებაში. ყოველივე ეს ხალხის მიერ საუცხოოდაა განზოგადებული:

თუ მასპინძელი მოიღვნეს, სტუმარსაც მოეღვინება, თუ მასპინძელი არ ღვინობს, სტუმარსაც მოეწყინება¹.

ე. ი. მასპინძელი სტიმულს აძლევს სტუმრის ამა თუ იმ განცდას, მასპინძლის ემოცია სტუმრის ემოციის განმსაზღვრელის როლში გამოდის. 1884 წელს ს. ნიზაბავრაში ვინმე მესხის მიერ ჩაწერილი ვარიანტის ბოლო ორი სტრიქონი განსხვავებულია:

ზრდილობა და კარგი გული სამოყვროდ მოეხილება².

„კარგი გული“, — ეს გულკეთილი მასპინძლის ატრიბუტია, რომელიც ამავე ტიპის სხვა ლექსში „შხიარული გულით“ იცვლება, ოღონდ აქ მასპინძლის გულკეთილობას მისი გულუხვობაც ორგანულად ერწყმის:

მასპინძელ კარგა მასპინძლობს გულითა
შხიარულითა,
ახალი ჩექმა გაცვითა სუფრაზედ სიარულითა³.

ეს ლექსი ნინო ბარათოვის მიერ ს. მარაბდიაში ჩაწერილი, მას მრავალი პარალელური ტექსტი მოუპოვება. თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ტექსტში ბოლო ნაწილი ასეა წარმოდგენილი:

მწვანე ქოშები გაცვითა სუფრაზე სიარულითა,
წითელი ქვევრი მოხადა დაგვიხვდა
სიყვარულითა⁴.

სტუმრისადმი — „კარგი გულის ჩვენებას“ ქადაგებს ზევსურული პოეტური ფოლკლორის ძეგლი, რომელიც ქალის შინსაოფახო ფუნქციის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად სტუმართმოყვარეობას მიიჩნევს, რადგანაც იქაური ეთნოგრაფიული ნორმების მიხედვით „სტუმრის ში-

ღება, მოვლა-გამასპინძლება ღუდაკაცს საქმეს¹ წარმოადგენდა:

ქალო, რისთვის ვიხაროან
კარგი ყმისა ცოლობაი,
კარგი ყმისა ცოლობასა
კარგი უნდა ქალობაი!

შინსახლსა რიგი უნდა,
კარე-ეურსა შეენებაი,
სტუმარსა კარგი დახვედრა,
კარგი გულის ჩვენებაი².

ფშაური ლექსი დიასახლის-მასპინძელს მოუწოდებს:

ზეზე წამოდექ ქალო, სტუმარ რომ მოვლენ
კარზედა,
იტყვიან მაუქციეგრობას, აუგს დაგვბენ
თავზედა³.

როდესაც სტუმარი ზემანური მასპინძლის სახლის ზღურბლს გადააბიჯებს, იგი სხვა ოჯახის ჰერტქვეშ მზრუნველ ატმოსფეროს იგრძნობს, მაგრამ სტუმრის მოწყენილობა მასპინძლის კეთილ გულსწყრომას, მორალურ ტანჯვას იწვევს, ეს ფაქტი მას საკუთარ მარცხად მიიჩნია და მიმართავს თავის მართლებას, რომელიც „კარგი გულის ჩვენების“ არგუმენტს ემყარება: რად მოგწყენინათ, სტუმრებო, ჩვენიან
მოსვლა და დადგომა?
ჩვენ ისე გაგვხარებია, როგორც დასოცილთ
ადგომა⁴.

საყოფაცხოვრებო ენარის ქართული ხალხური ლირიკის ძეგლებში ვარკვეული ხარისხით აისახა მასპინძლის უარყოფითი ტიპიც. ერთ-ერთ ლექსში კოლექტიური ავტორი დასცინის ჭნწ, ხელმოკერილ, პურაძეირ მასპინძელს, რომელიც სტუმარს „ლუკმას უთვლის“ და მასთან დაზარაულ პურამარილს მისტირის:

თეოზე ცეცხლი დავანთე, ზედ დავაყარე ღუკაო,
კაცი რომ იხარებოდეს, რადღა უნდარის
ღრეკაო?⁵

ზევსურულ ლექსში იმავე უარყოფითი აფისების — სიძუნწისათვის, დაგმობილია ქალი-მასპინძელი:

1 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშა-ზევსურეთში, II, თბილისი, 1938, გვ. 38.
2 გ. ნათაძე, ხალხური ლექსები და ზღაპრები, თბილისი, 1950, გვ. 68.
3 ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., 1953, გვ. 130.
4 იქვე, გვ. 237.
5 იქვე.

1 გ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, I, თბილისი, 1955, გვ. 106.
2 მ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, თბილისი, 1964, გვ. 98.
3 იქვე, გვ. 99.
4 ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 281.

აგთოსას კი ნუ იტყვი,
მასპინძელს გული სტყოდეს,
სტუმრისა შასმულ-შავმულსა
კალი ქმარს შამასჩიოდეს¹.

ზვესურელი პოეტური ფოლკლორის სხვა ნიმუში სტუმრებისადმი არაერთიღანწყობილი „ღიაცის“ მკაცრი დასჯის მოწოდებას შეიცავს:

თუ ვეზობენი გმურობდენ,
ხარ ღილით გურტივიდი,
სტუმართ უნდადურ ღიაცსა
სახში ნუ შურტივიდი².

სტუმრებისადმი გულცივი „ღიაცის“ მიმართ ანალოგიურ სასჯელს ჭადაგებს ფშაური ლექსიც:

ახან ქარნ დაქარდებიან,
ქარზე თავ-დაბლა დააქლოდი,
სტუმრისად შონა ღიაცსა
დაპკოლი, გამაავლოდი³.

ხალხური პოეზიის ერთ-ერთ ძველში სტუმრებისადმი ანტიპათიურად აღწყობილი „ღიაცის“ შთქმელის უღმობელ შეგვენებასა და წყევლა-კრულვას იმსახურებს, სტუმარმასპინძლობის ტრადიციული ნორმების დამრღვევის ტრაგიკული სიტუაცია შემარწმუნებელი, კომპარული შტრახებია და დახატული. რამდენადაც ძლიერია სტუმართმოყვარეობის რიტუალისადმი ხალხის ერთგულება, იმდენად სასტიკია სტუმართმოყვარეობის რიტუალის შემლახველი ქალის სასჯელი. ლექსი შესრულებულია მაღალ მხატვრულ და ტექნიკურ დონეზე, რომელთანაც ორგანულადაა შეხვედრული კონკრეტულობა და ემოციურობა:

სტუმართად ცუდი ღიაცი,
ზახბაბს წვერზემც დარჩება,
ხელთ ბაღლი, ზურგით აკვანი,
ზედ ნიავღარიმც ასტუდება;
მიშველეობით იახადეს,
შეშველიც არცინ დახვდება,
აირთვენ მითისა ნიავნი,
სულიმც ეშმაკებს დარჩება,
ზახბაბს წვერზე მგაღ-ტურა
იბის ლეშითაც გააღება⁴.

ეს ლექსი ვაჟი-ფშაველას მიერ ფშავეშია ჩაწერილი და საილუსტრაციო ნიმუშად გამოყენებულია ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველი დედუკაის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, რომელიც 1889 წ. გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა. გვაქვს ამ ლექსის

ფშაური (თ. რაზიკაშვილისეული)¹ და ზვესურელი (ნ. ხიზანიშვილისეული)² მცირეოდენად განსხვავებული ვარიანტები.

მასპინძლის უარყოფითი ტიპის კრიტიკა მრავალნიმუში ხალხური პოეზიის სხვა ნიმუშებშიც („შოშხას რომ დედაბერია“³, „ღიაცი შადის და ვადის“⁴, და სხვ.).

ს ტ უ მ ა რ ი

ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო ლირიკის ნიმუშების მიხედვით სტუმარი კეთილშობილ ადამიანადაა შერაცხილი; იგი სასურველი პიროვნებაა მასპინძლის ოჯახში, სადაც მისადმი განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ და ყოველგვარ საშუალებას იყენებენ, რომ სტუმარი კმაყოფილი, ნასიამოვნები დარჩეს და კეთილი მოგონებები წაიღოს მასპინძლის სახლიდან.

ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა ასახული ფშაური ფიქსირებულ ლექსში, სადაც კოლექტიური ავტორი სტუმარს მზის სინათლეს ადარებს. ეს შედარება არა უბრალო მხატვრულ ორნამენტს წარმოადგენს, არამედ მასპინძლის მიერ სტუმრის სიყვარულის სიმლოქის გამოხატულებაცა:

შოთათ მოდიან სტუმრები, სინათლეს
ჰგანან მზისასა...
სწორებს რომ ჩხუნად გაუხდეს, გააშველოდი
ღეთის შადსა,
ერთფერად შანანოდით თავისასა და სხვისასა.

სტუმართმოყვარეობის ანალოგიურ შტრახებს შეიცავს ზვესურელი პოეტური ფოლკლორის ძეგლი, რომელშიც მკაფიოდაა ხახვასმული სტუმრისადმი მასპინძლის სიყვარული და კეთილგანწყობილება:

მასელამც ქნა კათა სტუმართა,
შინ წასვლა წესამც არ იყვა,
მც დგომი შავის ლუღისა,
გათავებიმც არ იყვა,
სიცოცხლე თქვენ კვალისა,
სიყვდილი წესიმც არ იყვა⁵.

სტუმრის თემატიკაზე შექმნილ ხალხური პოეზიის ზემოგანხილულ ნიმუშებს თავიანთი ფუნქციით მხარს უშეუენებენ მასპინძლის მიერ სტუმრისადმი მიმართული ლექსები. ერთერთ ასეთ ფოლკლორულ წყობილიტიყვიერ ნაწარმოებში მაღალმხატვრულადაა დხასიათებული მასპინძლის ოჯახის სანუკვარი პიროვნება — სტუმარი:

1 ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 237.

2 „ივერია“, 1891, № 90.

3 ბ. უმეკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 178.

4 იქვე.

5 ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 123.

6 ა. შანიძე, დასახ. კრებული, გვ. 198.

1 ა. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 200.

2 იქვე, გვ. 281.

3 „ივერია“, 1890, № 148.

4 ვაჟი-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, თბილისი, 1956, გვ. 87.

სტუმარო, სტუმარების მზემა,
არცა უსტუმროდ ღინია,
უსტუმროდ პერი და ღვინო
მწარე ვინა ტაბილია?
მზეიმე ნუ შავა უსტუმროდ,
მაიდახ ვინა თბილია?!

მასპინძლის ოჯახში სტუმრის ყოფნა საუცხოო პოეტური სტრატეგიებითაა ხაზგასმული. დასდებით, ანგელოზნი ხართ, ზედ შექნი დავადგებინათ, აზღვებით, ალვისხეს ღვინხართ, თვალნი ვერ ამოწვევდებიანთ, სპილონი ხართ მკლავნი ჯანითა, სწორნი თხლად დავადგებინათ.

ეს ლექსი ა. შანიძის ს. ხახმატში აბა ვიგაურისაგან ჩაუწერია და „თასზე მღერის“ ზევსტრულ სუფრულ სიმღერას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც მასპინძელთან შეზღვევების წესით სრულდებოდა.

რამდენადღე სასიხარულოა სტუმრის შემოსვლა მასპინძლის ოჯახში, იმდენად გულდასაწყვეტია მასპინძლის ოჯახიდან მისი წასვლა:

შინ წახოლთ, კანო სტუმარო,
ვაიპარებით დილითა,
თან გაიყოლებთ ზერდავას
ნაკვებსა თივაქერთაშ.

სტუმრის ციკლის ლექსებში მოაზოვება აგრეთვე, ასეთი ნიმუშებით, რომლებშიც გაყარობილებულია სტუმრის ესა თუ ის მანკიერი თვისება, მისი არაეთიკური ექსცესები. მართალია, სტუმარს მასპინძლის ოჯახში პატივისცემითა და თვავიზიანობით ხვდებიან, მაგრამ მან ასეთი გულთბილი ატმოსფერო ბოროტად არ უნდა გამოიყენოს, მისი სიტყვა და ქცევა პირად პატივმოყვარობაში არ უნდა გადაიზარდოს.

სტუმარმასპინძლობის დაუწერელი კოდექსი, რომელიც ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ყოფითი ტრადიციის ორგანულ კომპონენტს წარმოადგენს, სტუმრისაგან მოითხოვს ტაქტისა და ზომიერების უსტ დაცვას, სტუმრად ყოფნის დროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეკლამენტისაღმდეგ ანგაროშის ვაჟევისა. სწორედ ამ უკანასკნელ მომენტს თვალისწინებს ხალხური აფორიზმი:

დილით ოქრო ხარ სტუმარო, სიღამის
ვერცხლით იქცევი,
თუ კიდევ მოგიგვიანდა სპილენძით გაღაქმევი¹.

1 აღ. ჭინჭარაული, ზევსტრულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 347.

2 ა. შანიძე, დსახ. წიგნი, გვ. 198.

3 იქვე, გვ. 199.

4 ზ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 11, გვ. 192.

შაირის ტიპის ფშვარ ლექსში მასპინძლის მიერ სტუმრისადმი წაყენებული საყვედური იმავე მოტივზეა აყვებული. აქაც საყვედურის მიზეზი დროის მიხედვით სტუმრობის ჩვეულებების დარღვევაა:

ვახშობის შემდეგ ძილი ჰვობ,
მამა-პაპათა თქვიანო,
რალა ჩემ დათხოვნა გინდა,
სტუმარო, თავად ქვიანო!

სხვა ლექსში ნიღაბი აქვს ჩამოკლული უმაღლურ სტუმარს, რომელიც არასოდეს მასპინძლის პურ-მარილით კმაყოფილი არაა:

ქვემოზრელსა კაცსა პევიზარ,
ჩოხის ბოლო ვინიერსა,
თუ ვინდ ბვეერი ღვინო ვისეა,
ვერ ვავგზავნი მადლიერსა.

თ. რაზიკაიელის მიერ ქართულში მოპოვებული ერთსტროფიანი ლექსში გამოთარხებულია სტუმარი, რომელიც მუდამ სხვების, პერქვეშ ჭეიფსაა დამკვიდრი, მაგრამ თვითონ კი საყუთარ სახლში არავის მიიწვევს:

ოარიოდ ბატი ვავზარდე,
ერთი პატარა ნალარა,
ოჭურ რა მე დავბატეთ
ერთხელ შენ რატომ აღარა.

საერთოდ, სტუმარმასპინძლობის თემატიკის ტრადიციული პოეტური ფოკლორის ნიმუშებში ფართო პლანითაა ნაჩვენები სტუმარმასპინძლობა როგორც სოციალური ფენომენი, სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც პირების, ისე მეორის დანდებითი და უარყოფითი ტიპები. ამ კატეგორიის ნაწარმოებთა ორბიტში შემოდის აგრეთვე, სუფრული სიმღერების გარკვეული ჯგუფები (ე. წ. „სმურისა“ ერთი სახეობა ხეში, „თასზე მღერა“ ზევსტრეოში და სხვ.), რომლებიც ზოგჯერ სტუმარისა და მასპინძელს შორის დიალოგური ფორმით ვაბაჟებებსაც შეიძლება. სტუმარმასპინძლური პოეზიის მეტლებში ხალხი გამოხატავს საყუთარ მრწამსსა და ზნეობრივ-დამტყუარ პრინციპებს სტუმარმასპინძლობის, როგორც საუყუნოობით დამკვიდრებულ, განსაღი, ავადობრივი ნორმის შესახებ და ამ მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანის გადწყვეტისას იგი, გამოსახვის ტრადიციული ხერხებისა და საშუალებების გვერდით, იყენებს ორიგინალურ პოეტიკურ ატრიბუტებსაც.

1 „იგერია“, 1890, № 148.

2 საყუთარი მასალებიდან. მოქმელი პ. წიკლური, ს. შანიძის (გურჯაანის რ.).

3 ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 283.

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამებობრობის ასახვა ბაჟეთ „დროებაში“

ქართული ლიტერატურის, ყურნა-ლისტიკისა და, საერთოდ, ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში გაზეთმა „დროება“ დიდი როლი ითამაშა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში „დროება“ აღიარებულია როგორც ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შტაბი, ახალი თაობის დემოკრატიული მისწრაფებებისა და იდეების გამავრცელებელი ორგანო.

„დროება“ როგორც ლიტერატურული, ისევე პოლიტიკური გაზეთი იყო. ყოველგვარი რამდენადმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ვითარება დაუყოვნებლივ პოულობდა გამომხატურებას მის ფურცლებზე. როგორც პოლიტიკური გაზეთი, „დროება“ დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთის არმიის მეურ ჩატარებულ საომარ მოქმედებათა განხილვას. ვანსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა გაზეთი კავკასიის ფრონტზე მომხდარი საომარი მოქმედებებისადმი.

რადგან ამ პერიოდის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო მოქმედებაში, რომლებიც რუსეთის არმიას კავკასიაში ჩაუტარებია, რუსების მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველებიც, საომარ მოქმედებათა სურათების ასახვისას, თავისთავად ისახებოდა რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის დამაჯერებელი და საინტერესო მომენტებიც.

„დროება“, რასაკვირველაა, გვერდს ვერ აუვლიდა 1877-1878 წლების რუ-

სეთ-თურქეთის ომის ამბებს და, მართლაც, მის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები, სტატიები, ცნობები ჩატარებული ბრძოლების ირგვლივ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „დროება“ არ იყო სიანამდვილის ტენდენციურად მიმოხილველი ორგანო. იგი მოვლენებს შედარებით სალი თვალთ ხედავდა და თავს არიდებდა ფაქტების სუბიექტურად გაშუქებას.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, „დროებაში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით — „ომის ლოდინი“. ავტორი ხაზს უსვამს ქართველ მილიციონერთა უკეთ გაწვრთნა-შეიარაღების საჭიროებას, უკმაყოფილებას გამოსთქვამს მათი ურიგო შეიარაღებასა და არასაკმარისი საჯარისო გაწვრთნილობის გამო, რასაც ასე ასახულებს: „ყოველს შემთხვევაში კი გულდასაწყვეტი ის არის, რომ ჩვენი მილიცია მშვიდობიანობის დროს არ ეჩვევა სამხედრო წესს და არ სწავლობს ახალი ჩქარმსროლელი თოფ-იარაღის ხმარებას. უწინდელი ჩვენი მილიცია გამოსადეგი იყო ოსმალებთან ბრძოლაში, როცა იმათაც მილიცია გამოჰყავდათ და ჯარი ტალკვესიანი თოფებით დაიარაღებული ჰყავდათ. დღეს კი როგორც ოსმალოს, ისე სხვა სახელმწიფოებს, მილიციის მაგიერ გვარიანათ გაწვრთნილი ჯარი ჰყავთ და ეს ჯარები ჩინებული ჩქარმსროლელი თოფებით და ზარბაზნებით დაიარაღებულნი არიან. ომსაც ჩვენ დღეს-ხვალ რომ არ ველოდეთ, საჭიროა, რომ ჩვენი

ხალხი დაიარაღებული იყოს ახალი თოფებით, რომ მან ამ თოფების ხმა-რება ისწავლოს და შესწავლილი ჰქონდეს ეხლანდელი ჯარის წყობილება და სამხედრო წესი. იმედია, რომ მომავალში მიექცევა ყურადღება ამ საქმეს და ჩვენს ხალხს საშუალება მიეცემა ხელახლა გამოიჩინოს ის მამაცობა და ის გამირობა ბრძოლის ველზე, რომელიც იმას ნიჟარაგ წინუძღოდნენ ოცი საუკუნის განმავლობაში“¹.

იმ დიდი ინტერესის ნათელსაყოფად, რომელსაც იჩენდა ქართველი ხალხი თურქების წინააღმდეგ ბალკანეთში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, საყურადღებოა „დროებაში“ დაბეჭდილი წერილი სთავრით, — „ომის ამბავი“. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბალკანელი ხალხებისადმი საყოველთაო თანაგრძნობისა და ქართველი ხალხის უშუალო მონაწილეობას იმათ დასახმარებლად, წერილს ავტორი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ზმირად გვესმოდა ხოლმე, რომ ჩვენებიდან ბევრნი აპირებენ სერბიაში წასვლას, რომ იქაურს არმიაში თავისუფალ მებრძოლად შესულიყვნენ და ეომათ სარწმუნოებით მოძვე ხალხში მხარ-დამხარ ერთად ოსმალოებთან. სხვათა შორის დავარდნილ ხმას, რომ ვითომც თავალ ტ-ძე მიქელაძეც აპირებდა წასვლას სერბიაში, ამეამად ისიც დაუმატეს, რომ ვითომც თ. ალ. მიქელაძეს უნდა და თავის მოგვარე კაცებიდან — მიქელაძეებიდან, კულაში შეედგინა ერთი პატარა რაზმი და ვოლონტერებით წასულიყვნენ სერბიას არმიაში შესასვლელათ. ეს ხმა განსაკუთრებით მაშინ უფრო გავრცელდა, როდესაც ჩვენში გავიკოთ, რომ რუსეთის მმართველობა არამც თუ არ არის წინააღმდეგა ამგვარის თავის მოძვე ხალხის დახმარებისა, არამედ ხელსაც უწყობსო...“

ყველა ეს ხმები ჩვენ ძნელათ გვქე-

როდა, მაგრამ როდესაც დღეს ერთ რუსულ გაზეთში ბელგრადიდან კორესპონდენტია წავიკითხეთ, ცოტა არ იყოს ექვემი შეგვაყვანა.

ჩვენ ვსთქვით: ვანა ცოტანი არიან საზოგადოდ ჩვენში იმისთანები, რომელთაც ამგვარ საქმეში, გარდა ერთი სარწმუნოების მალვიარებელი მოძვე ხალხის დაცვისა, სხვაფრივაც თავის გამოჩენაც უნდა ჰქონდეთ სახეშითქო... მაგ იმისთანებს, რომელთაც სარწმუნოების მხრით ნათესაგს ხალხს ოსმალოს კლანჭებიდან განთავისუფლებაში უნდოდათ დახმარებოდნენ? აი, ბელგრადიდან, იმ რუსული გაზეთის კორესპონდენტი სხვათა შორის რას იწერება: „გარდა რუსებისა სერბიის არმიაში ბევრნი ბულგარელებიც არიან, თუმცა ესენი ვერ ომობენ ისე გაბედულად და მამაცურათ. ესევე არ შეიძლება კაცმა სთქვას რუმინელების ოფიცრებზე და სალდათებზე, რომელნიც თავიანთი სურვილით გადმოსულან რუმინეთიდან სერბიაში. ბერძნები და ალბანელები ძირელ ცოტა არიან სერბიის არმიაში, მაგრამ მაგიერათ, რომ იცოდეთ, ვინ არიან კადეც? — იმერლები, ქართლები, ოსები, მეგრელები და მათს შორის ქრისტეს სარწმუნოების მალვიარებელი აბხაზებიცა. ერთს რუსის აფიცერს უკითხავს ჩვენებურისათვის — რამ აიძულა ის, რომ მოსულა? ჩვენებურს მიუგია: — მინდა ვიომო ჩემი მოძვეების სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის. სანამდისინ ბელგრადში მოვიდოდნენ სერბიელებმა არ იცოდნენ, რომ ქვეყანაზე ქართლები, იმერლები და სხვა ხალხებიც არიან კავკასიაში იმისთანები, რომელნიც ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებენ. ბევრს ისინი ჩერქეზები ეგონათ, ბევრს ყაზახი — რუსები, მაგრამ როდესაც შეიტყვეს, რომ ქრისტიანები არიან, დაუწყეს გამოკითხვა: საიდან არიან, რა ქვეყნიდან, სად არის საქართველო, ვინ ჰყავთ მეფე და სხვა“¹.

¹ „დროება“, 1876 წ.; № 62

¹ „დროება“, 1876 წ.; № 91.

იმის შესახებ, თუ რა მიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ აქარლები ომის დაწყების წინა პერიოდში, ნათელ სურათს იძლევა ვინმე გ. ქაქავაძე-ოღლა 1876 წლის 29 აგვისტოს „დროებაში“ დაბეჭდილ წერილში. წერილში მოთხრობილია, ეგრძოდ, ქობულეთელების მდგომარეობაზე, მაგრამ იგი ნათელ სურათს იძლევა მთელი აჭარის სავალალო ყოფისა და თურქთა ბატონობის შესახებ.

აღნიშნული წერილი იმითაა საინტერესო, რომ იგი უფრო ცხადად გვაჩვენებს იმ დიდი საქმის მნიშვნელობას, რასაც რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობით მიღწეული აჭარის თურქ დამპყრობთა ხელიდან განთავისუფლება წარმოადგენდა. „ახლა მძავ, რაც გამოვაგენი ჩვენი შეწუხების ამბავი, შენდა მითხრობია და სულ მთლად ჩვენი ლაზისტანის სანჯაყების შეწუხებას მე კი არა, ჯარგი მცოდნე ფრანგი ვერ ასწერს ერთ თვეს“, ასე ასკენის წერილის ავტორი აჭარელი ხალხს გასაჭირს.

1877 წლის აპრილიდან, ე. ი. კავკასიის ფრონტზე რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების დროიდან, „დროება“ თითქმის ყველა ნომერში აქვეყნებდა ცნობებს ომის მსვლელობის შესახებ. ასეთ მასალებს გაზეთი ძირითადად პირველ გვერდზე აქვეყნებდა საერთო სათაურით — „ომის ამბები“, ქვესათაურებით კი — „აზიის ბრძოლის ველიდამ“ და „ევროპის ბრძოლის ველიდამ“ — გაზეთი მოუთხრობდა თავის მკითხველებს ომის ამბებს ცალკე აზიაში, ე. ი. კავკასიის ფრონტზე, ცალკე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

აღნიშნულის გარდა, დროდადრო გაზეთი აქვეყნებდა ფელეტონებს, ნარევეებს და სხვა სახის სტატიებს (მაგალითად, „ტყვედ მყოფის ნამბობი“, „დაქრილის ნამბობი“ და სხვ.).

1877 წლის 15 მაისს № 53 „დროებაში“ მოთავსებულია ცნობილი საზოგადო მოღვაწის ილია ალხაზიშვილის სტატია, რომელშიც იგი აღწერს მის

მეორ ნაწახ სურათებს არტაანისა და ახალქალაქის აღების შემდეგ. ი. ალხაზიშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს ქართველი მხედრების მამაცობას არტაანის აღების დროს. „არტაანის აღებაზე ქართველ აფიცრებს ძალიან უსახელებიან თავი, ყველაზე უწინ გვალაშვილი აეარდნია ციხეზე და თუმცა ორ ადგილს დიაჭრა, მაგრამ სწოთთ კი არა. ამავ დროს ჩიჩუაც დაიჭრა და ახლად პეტერბურგიდამ მოსული მუსხელიშვილი კი მოგვიცლეს“, ვითხვლობთ წერილში.

არტაანის თურქთა ხელიდან განთავისუფლებასა და იქაურ მოსახლეობაში ამით გამოწვეულ უდიდეს სიხარულს აღწერს ი. ალხაზიშვილი თავის მეორე წერილში, რომელიც დაიბეჭდა იმავე წლის № 64 „დროებაში“: „ალტაყებულის სიხარულათ დღესასწაულობენ თავიანთ ტყვეობიდან დახსნას და ხალხიც აღტაცებულნი ულოცავენ ამგვარ შეჭირვებისაგან განთავისუფლებულებს“.

სხვა სტატიაში ი. ალხაზიშვილი აღწერს იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიც ვარდებოდნენ თურქთა ტყვეები. სტატია ეწოდება „ყარსში ტყვედ მყოფის ნამბობი“: მოსათხრობი გადმოცემულია პირველი პირის, „ტყვედ მყოფის“, მეშვეობით, რომელიც გვამცნობს ტყვეების საერთო ფიჭრებს, მათ ნადევსა და წუხილს. ტყვედყოფილი ასე ამთავრებს თავის მოსათხრობს: „ღმერთო, ღმერთო, შენს მადლს, ისე ნუ მომკლამ, რომ ერთი როგორც არტაანის ციხეზე ვიყუნტრუშეთ, ისე ყარსას ციხეზედ ვიხტუნოთ და მერე თუნდ მოვკვდე, აღარას ვინადელი“.¹

ილია ალხაზიშვილი ომის პერიოდში პირადად იმყოფებოდა საბრძოლო მოქმედებათა სფეროში არტაანთან, ყარსთან, ზზრუმთან და საინტერესო მასალებს აწვდიდა გაზეთ „დროების“ რედაქციას. თავის წერილებში ი. ალხაზიშვილი აღწერს რუსეთის არმიის

¹ „დროება“, 1877 წ.; № 74.

მიერ აღებული ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მდგომარეობას, რუსი და ქართველი მეომრების მხარდახარ ბრძოლას საერთო მტრების წინააღმდეგ, დაქრალთა მოვლა-პატრონობის მდგომარეობას, დაკავებულ ციხე-ქალაქებიდან ტყვეების განთავისუფლებას და სხვა საფრონტო მოვლენებს.

ი. ალხაზიშვილის წერილებს გამოცდილი და ნიჭიერი ჟურნალისტის ხელი ატყვია. ის კარგად აუყენებს საკუთარი თვალით ნანახს. სხარტი და ლაკონური ენა მის ნაწერებს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

მარტო ზემოაღნიშნული ომის პერიოდში ი. ალხაზიშვილმა ბრძოლებში ქართველი ხალხს გამართული მონაწილეობის ფაქტებისა და რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის ასახვას „დროების“ ფურცლებზე ათზე მეტი სტატია უძღვნა.

სხვა ქართველკორესპონდენტებიდან, რომელთაც შედარებით მეტი ყურადღება დაუთმეს ომის ამბების ასახვას გაზეთ „დროებაში“, გამოირჩევიან გ. ზედგინიძე, დ. თუხარელი და გ. ნიკოლაიშვილი.

გ. ზედგინიძის ხელმოწერით 1877 წლის „დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილია ცხრა სამხედრო-პატრიოტული ხასიათის სტატია, რომელთა შორის აღსანიშნავია: „რუსის ჯარის მიერ დადი იაგნის მთის აღება“ (№ 155), „მუხთარ ფაშას არმიის სრული დამარცხება“ (№ 166) და სხვები. თვით გ. ზედგინიძის შესახებ კი ჭრჭერობით ცნობები არ მოგვეპოვება.

გ. ზედგინიძე თავის სტატიებს აგზავნიდა ქალაქ ალექსანდრეპოლიდან (ახლანდელი ლენინაკანი), ე. ი. ბრძოლის ველის რაიონიდან. მისი წერილები ბევრ საინტერესო ამბავს აწვდიდა „დროების“ მკითხველებს. მიუხედავად მრავალი ენობრივი და სტილისტური ხარვეზისა, რაც ამ წერილებში გვხვდება, გ. ზედგინიძეს მაინც გარკვეული შრომა და ღვაწლი აქვს გაწეული 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის

ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ასახვის საქმეში.

დ. თუხარელის პიროვნებას სამწუხაროდ მხოლოდ მას წერილებზე ხელმოწერითაა ჩვენთვის ცნობილი. როგორც „დროებაში“ დაბეჭდილ წერილებიდან ჩანს, დ. თუხარელი ომის პერიოდში არტაანში იმყოფებოდა და იქიდან აწვდიდა მასალებს გაზეთებს.

დ. თუხარელის წერილებიდან შედარებით საინტერესო ცნობებს იძლევიან: „არტაანის ციხის აღება“ (1877 წლის № 119 „დროება“); „ჯარის შეგროვება და სამზადისი ბრძოლისათვის“ (1877 წლის № 139 „დროება“); „სამზადისი დიდი ბრძოლისათვის“ (1877 წლის № 149 „დროება“) და სხვები. ომის ამბებზე დ. თუხარელმა გაზეთ „დროებაში“ სულ თერთმეტი სტატია გამოაქვეყნა.

გ. ნიკოლაიშვილი თავის სტატიებს „დროებას“ გურიიდან აწვდიდა. მისი სტატიებიდან განსაკუთრებით საინტერესო არიან: „დაჭრილის ნაამბობი“ (1877 წლის № 99 „დროება“); „კინტრიშის მდინარეზე რუსის ჯარის გადასვლა და მათ შორის გურულების დრუჟინა“, „რუსეთის ჯარის დაბანაკება მუხანესტატესთან“, „ქობულეთელები ომის შესახებ“ და სხვ.

ამ სტატიებში გ. ნიკოლაიშვილი, როგორც ადგილობრივი პირი, კარგად ხატავს გურულების მამაცურ ბრძოლას, რუსეთის ჯარების გვერდით, თურქთა წინააღმდეგ. რაც შეეხება სხვა ცნობებს გ. ნიკოლაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ასეთი ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ.

1877 წლის № 86-ში „დროება“ მკითხველებს ამცნობდა, რომ მიუხედავად უკანდახევისა, რომელიც მოხდა ტაქტიკური თვალსაზრისით, რიონის საბრძოლო რაზმი ბრძოლისუნარიანია და უახლოეს მომავალში დაამტკიცებს თავის სიძლიერესო. სტატიაში „რიონის ატრიალის დანიშნულება“ კვითხულობთ: „ვიმეორებთ, ეჭვი არა გვაქვს, რომ რიონის ატრიალი ისე მხნეთ მოიქცევა, იმის მოთავენი იმდენ გამჭირა-

ხობასა და წინდახედულებას გამოიჩინენ, რომ სადაც და რა დროსაც საჭირო იქნება წინ დაუხედებიან მტერს, რომელიც ხმელეთზე გადმოსვლას განიზრახავს“.

იმავე წლის № 95-ში კი სათაურით „ომის ამბები“ მოთავსებულია წერილი აფხაზეთში მომხდარი ბრძოლების შესახებ. ამ წერილში ქებითაა მოხსენებული გენერალ იაკობ ალხაზიშვილის აფხაზეთში განლაგებული ჯარებისადმი გონივრული ხელმძღვანელობა, რის შედეგადაც იქ მიღწეულ იქნა გამარჯვება თურქთა ჯარებზე.

ამ თებრაციას სტატიის ავტორი ასე ავეიწერს: „13-ს ოჩამჩირეში ვადმოსულა კიდეც ახალი ჯარი, ოსმალეთისა, სულ 8000 კაცი, არაბებისა და ოსმალებისაგან შემდგარი. გენერალმა ალხაზიშვილმა იმ წამსვე განკარგულება მოახდინა, რომ ფაქევის ბანაკი გაამაროს და მოამზადა ჯარი დასახედრებლად. მაგრამ შემდეგ, როცა მეზვერეების საშუალებით შეიტყუა, რომ მტერი რუსების თავდასხმას არ აპირებს. თვითონ გასწია ოჩამჩირისაკენ იმ განზრახვით, რომ აქედან განდევნოს ოსმალოს ჯარი“. შემდეგ აღწერილია მოსამზადებელი ღონისძიებები, შეტევის დაწყება, ბრძოლის სურათი. წერილში ჩანს, რომ ქართველ მეომრებს დიდი გამირობა და სიმამაცე გამოუჩინიათ ამ ბრძოლაში. ვანსაკუთრებით შექებულია ერთ-ერთი ათასეულის მეთაური ვინმე ნიჟარაძე, რომლის შესახებ ვკითხულობთ: „ოჩამჩირიდან სეტყვასავით მოდიოდა ტყვია და ყუმბარები. ამ დროს ზღვაში გამოჩნდა რამდენიმე ხომალდი მტრისა და იქიდანაც საშინელი სროლა შექმნეს, მაგრამ ყუმბარები ჩვენს ჯარს იქით ვარდებოდა. ვანსაკუთრებით მხნეობა გამოიჩინა ამ შეტაკების დროს ახალციხის პოლკის პირველი ბატალიონის კამანდირმა თ. ნიჟარაძემ, რომელიც წინ მიუძღოდა, ამხნევებდა თავის ჯარს და პირდაპირ ცეცხლში ვარდებოდა“.

„დროებამ“ სიხარულით ამცნო თავის

მკითხველებს ყარსის უმაგრესი ციხის აღება რუს-ქართველთა ლაშქრის მეფრე, ამ სასიხარულო ცნობას გაზეთის ადინშნავდა: „აგერ ველირსეთ ჩვენი დიდი სურვილის აღსრულებას; აგერ დღეს ჩვენს ხელთ არის ყარსის ციხე, რომლის ერთი გარეგანი შეხედულება, თუ სხვა არაფერი, აშინებდა და აღონებდა არამც თუ მშვიდ მცხოვრებლებს, არამედ თვით გაწვრთნილთაც საომარ ასპარეზზედ, რომელთაც ხსენებული ციხე ამაყად და დაციენით ვით ისტორიული გმირი, ახოვანი გოლიათი დასცქეროდა. მაგრამ ეს ამაყი ციხე, რომელიც 300 დიდი ზარბაზნითა და სამაო გარნიზონით იყო დაცული, დაემორჩილა ჩვენს მხედრობას.“¹

1878 წლის (№25) „დროებაში“ მოთავსებულია ვინმე ესაკა ლესელიძის წერილი. ავტორი მონაწილეა მდინარე კინტრიშთან მომხდარი ბრძოლისა იმავე წლის 18 იანვარს. გააფთრებული ბრძოლისა და ქართველების სიმამაცის სურათს წერილის ავტორი ასე აღწერს: „ჩვენი ჯარისკაცები თან და თან ხურდებოდნენ. რაც უფრო ხშირდებოდა ტყვია, ისე უფრო ალი ედებოდათ ამით და უფროსები ვერ აჩერებდნენ; სულ წინ წაწევა, მტერთან პირისპირ და ხელდახელ შეტაკება, ჩართული ბრძოლა ეშურებოდათ“.

წერილში ნაჩვენებია, თუ როგორ მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები და ქართველები საერთო საქმისათვის, როგორ ეწირებოდნენ ისინი აჭარის მიწაზე საერთო მტერთან ბრძოლას: „ამ დროს დაგვიჭრეს ჩვენი წინა კოლონის უფროსი ლენერალი შელემეტიევი, რომელიც იქვე გათავდა. დაგვიჭრეს აგრეთვე ჩვენი ორი სოტნის, უფროსები: ბერიძე ფეხში მძიმეთ და ჭაყელი მხარზედ. ეს ორი დაჭრილი კაცები წაქცეული იყვნენ, მაგრამ მაინც გვაძნევებდნენ: — არიქა ბიჭებო არ ჭამთ სირცხვილიო“².

წერილში მოთხრობილია, აგრეთვე,

¹ „დროება“, 1877 წ. № 149.

² „დროება“, 1878 წ. № 25.

ქართველი მოლაშქრეების მიერ რუსი ჯარისკაცებისადმი გაწეული დახმარებისა და წითელი ჯვრის საზოგადოების კარგი მუშაობის შესახებ: „ღმერთმან უშველოს ჩვენი წითელის ჯვრიანების“ უფროსს, კარგი წყობილება ჰქონდათ: ველზედ დაქრილები იმწამსვე წაიყვანეს, შეუკრეს და საშუალება მისცეს ყოველი ფერი, რასაც საჭიროება მოითხოვდა“; ან კიდევ: „მე მივეშველე დაქრილებს, მივარდი საჩქაროდ, მოვიდევით ერთი იმათგანი ზურგზედ, წაიყვანე იქ, საცა სხვები იყვნენ“.¹

„ღრობაში“ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შედეგადაც ინტენსიურად გრძელდებოდა ამ ომში მომხდარი საინტერესო ამბების გაშუქება. აქაც მრავალი ისეთი საყურადღებო მასალაა მოცემული, რომლებიც ქართველი ხალხის გმირული მონაწილეობისა და რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის მომხიბლავ მაგალითებზე მიგვიბრუნებს.

1878 წლის № 173-ში გავითი ბეჭდავს რაფიელ ერისთავის წერილს სათაურით — „ნაცვლად ნეკროლოგისა“. წერილი მიძღვნილია ქართველი ქალის ანა დავითის ასული ჭავჭავაძის ქვშმარიტად საგმირო და საქველმოქმედო საქმისადმი. ანა ჭავჭავაძე, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის თითქმის მთელი დროის განმავლობაში, თავისი ნებით იმყოფებოდა ფრონტის ხაზზე, საველე ლაზარეთში. რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიკვდილისაგან გადასარჩენად ბრძოლას შეაღწია ანამ თავისი ენერჯია და სიცოცხლეც. იგი საველე ლაზარეთშივე გარდაიცვალა 1878 წლის აპრილში, არტიანის სიმაგრეში, ტიფთ.

ანა დავითის ასული ჭავჭავაძე გამოჩენილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის ღვიძლი და იყო. იგი დაიბადა კახეთში, სოფ. ქისტაურში. ის იყო ცნობილი მხედართმთავრის, გენერალ-

ლიტენანტ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძის მეუღლე. ანას შვილი არ ჰქონია.²

სხვა დაწვრილებითი ცნობები ამ გმირი ქალის ცხოვრების შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ რ. ერისთავის აღნიშნული წერილი გარკვეულ შექს ჰყენს ამ სახელოვანი მანდილოსანის დღესულოვნებასა და მამულიშვილობას.

ანა ჭავჭავაძის გმირული საქმე უთუოდ დიდსი იყო უფრო ვრცლად გაშუქებულიყო ლიტერატურაში. რ. ერისთავის წერილი მის ბიოგრაფიულ ცნობებს არ შეიცავს და მხოლოდ ფრონტთან დაკავშირებული ამბებისა და გარდაცვალების მოთხრობით კმაყოფილდება. სამწუხაროდ, ამას სხვა არავინ გამოხმაურებია, ვარდა პოეტი ქალის ბარბარე ჯორჯაძისა, რომელმაც საგანგებო ლექსი უძღვნა ამ პიროვნების საგმირო საქმეს.

პოეტი დიდ გულისტიკვილს გამოსთქვამს გმირი ქალის ასეთი უბედური ხვედრის გამო.

ლექსში ვკითხულობთ:

„შენდა ნუგაშაღ თუ შეუღეკ თვით
ქრისტეს მცნებას?
აილე ჯვარი და მისღვედი ღვაწლით
ნათელ ვხას.
ომში დაქრილს ჯარს გაუწვედი დიდს
პატრონობას,
უხვედი წყლულთა მოლაშქრეთა,
თავმდალათ ყველას...
თავი შესწირე ქრისტეს სჯულსა და შენს
სამშობლოს,
შენც გაურევი სხვა წამებულთ მოწამეთ
გუნდში,
თითქმის იცოდი, მანდ გბოებდა საკვილო
ბოლოს
და ის მოსპობდა მწუხარებას შენს
ღამწვარს გულში“.²

ანა ჭავჭავაძის თავდადება რუსეთის არმიის დაქრილ მეზობლობა გადასარჩენად რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე, რუსი და ქართველი ხალხების სა-

¹ ანა ჭავჭავაძის შესახებ ცნობები მოგვიწოდნა მარიამ დავითის ასულმა ერისთავმა (იხ. მისივე წერილი, თურ. „საქართველოს ქალი“, 1962 წ. № 2, გვ. 19).

² „ღრობაში“, 1878 წ. № 173.

ბრძოლო თანამეგობრობის ისტორიას ამშვენებს, როგორც მისი ერთი ბრწყინვალე ფურცელი.

აღსანიშნავია „დროების“ 1878 წლის № 193-ში დაბეჭდილი წერილი სათაურით — „მილიციონერების სადილი“. იგი მოგვითხრობს ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ქართველ მებრძოლთა ათასეულთან თბილისში გამართულ შეხვედრებზე 1878 წლის 22 სექტემბერს.

საზეიმო შეხვედრა ალექსანდროვის (ახლა კომუნარების) ბაღში თბილისელთა მიერ მოწყობილი გულუხვი ნადიმით დამთავრებულია. მეტად საგულისხმოა ეს ფაქტი, რომ, ქართველ მებრძოლებთან ერთად, ნადიმზე მოწვეული იყო რუსული რეგულარული ნაწილიც, კერძოდ, კავკასიის მეორე მსროლელი ბატალიონი და, ამრიგად, ძმურად იხეიშეს ორი ხალხის მიერ ფრონტზე წარგზავნილმა და ბრძოლის ველიდან საერთო მტერზე გამარჯვებით დაბრუნებულმა მხედრებმა, თბილისელუბთან ერთად, თავისი დიდი გამარჯვება აღნიშნულ ნადიმს დასწრებითა მსოფლიანი ქართველი პოეტი, კავკასიის ომების გმირი ვეტერანი გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ვრცელი სიტყვით მიუმართავს ომდადახდილთათვის. გრ. ორბელიანის სიტყვა მოცემულია ხსენებულ წერილში¹ იგი ასე მიმართავს ქართველ მხედრობას: „ძმებო, მოგილოცავთ შვიდობით და გამარჯვებით დაბრუნებას. მოგილოცავთ დაბრუნებას იმ საშინელ ბრძოლიდან, სადაც თქვენი ძველი მამა-პაპების მხნეობა და სიმარჯვე აჩვენებ. ვინ არ ებრძოდა ძველად საქართველოს? ოთხივე კუთხივე მტერნი იყვნენ შემოსულნი. არაბნი, სპარსელები, ლეკები, თათრები არასოდეს მოსვენებას არ ვაძლევდნენ. მუდამ დღე იძულებული გიყავით იმათგან დაგვეცვა ჩვენი სარწმუნოება და სამშობლო. მუდამ ხელში ამოღებული ხრმალი გვჭონდა. და ჩვენ ვიგერიებდით ამ მტრებს. სიხარულით ვხედავ, რომ თქვენ იმ ძველი მამა-პაპათ სისხლი გიდგიათ ძარღვებში, ვხედავ, რომ მამა-პაპათ გადმოუციათ თქვენთვის თავიანთი მხნეობა, თავდადება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის. ეცა-

დეთ ძმებო, რომ ეგ მხნეობა, ეგ თავდადება თქვენს შვილებს, ძმებსა და მეზობლებს გადასცეთ! ეხლა მინ წახვიდეთ და თუ ვინიცობა, კიდევ საჭიროებამ მოითხოვოს და მტერი მოგვადგეს კარს, გამოდით ისევე მხნეობითა და თავდადებით, როგორიცა ახლა გამოიჩინეთ“¹.

უნდა აღვნიშნოთ გაზეთ „დროების“ კიდევ ერთი წვლილი რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ასახვის საქმეში.

1882 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა ნ. ა. ვოლკონსკის მიერ შედგენილი წიგნი „ისტორია ქართველ ქვეითის დრუჟინისა“, რომელიც „დროების“ რედაქციამ ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით 1884 წელს გამომთარგმნა ქართულ ენაზე და ცალკე წიგნად გამოსცა. წიგნის ცალკეული თავები გაზეთის ფურცლებზეც დაიბეჭდა იმავე წელს. ეს არის კაბიტალური ნაშრომი, რომლის საერთო მოცულობა 500 გვერდს აღემატება და დაწერილებით აღწერს საქართველოს პირველი ქვეითი ლეგიონის, შემდეგში დრუჟინის, მიერ გავლილ საბრძოლო ცხოვრების გზას. მისი დაარსებიდან, ე. ი. 1831 წლის ივნისიდან 1881 წლამდე.

წიგნს გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მასში დაწვრილებითაა მოთხრობილი იმ დიდი წვლილის შესახებ, რომელიც მიუძღვის ქართველ ხალხს, ერთმორწმუნე რუსებთან ერთად, საერთო მტრების ალაგმვაში.

ქართული დრუჟინის 50 წლის ცხოვრების ეს მატრიანე რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის ასახვის ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

წერილში მიზნად ვისახავდით გვეჩვენებინა გაზეთ „დროებაში“ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ასახვის ზოგადი სურათი.

მართალია, ყველა დამატასიათებელი მასალის დეტალური განხილვა ერთ წერილში ვერ მოხერხდა, მაგრამ მოყვანილი ნაწარმოებებიც საკმაოდ მეტყველებენ იმაზე. თუ რა ჯეროვან ყურადღებას უთმობდა გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის მხატვრულ ასახვას.

¹ გრ. ორბელიანის ეს სიტყვა მოყვანილია ელგუჯა ზიდარაძის ნაშრომში — „გრიგოლ ორბელიანი“, თბ. 1967 წ. გვ. 346.

¹ „დროება“, 1878 წ. № 193.



ლიბერლი სემიონოვი და ვაჟა ფშაველა

მოწინავე ქართველი საზოგადოების მოთხოვნით 1876 წელს გაიხსნა გორის (ამერკავკასიის) სამასწავლებლო სემინარია, რომელიც მიზნად ისახავდა ამერკავკასიის შვედური ერების შეიღების სიხალხო მასწავლებლებად მომზადებას. სემინარიის მოსწავლეთა კონტინგენტი მრავალეროვანი იყო: რუსებსა, ქართველებსა, სომხებსა და აზერბაიჯანელებთან ერთად სწავლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც, რომლებმაც შემდეგში სახალხო განათლების გავრცელებას დიდი აწვდიეს მთელს კავკასიაში. ხოლო ბევრმა თავი გამოიჩინა სამწერლობა-სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. თავისი არსებობის მანძილზე სემინარიამ რამდენიმე დირექტორი გამოიკვალა, მაგრამ არც ერთს არ დაუტოვებია ისეთი ღრმა კვალი სამასწავლებლო სემინარიის ცხოვრებაში, როგორც დასტოვა დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვმა (1824-1902), დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მიმდევარმა, პრაქტიკულად მთაბრძვინე შესანიშნავმა აღმასწავლებელმა.

დ. სემიონოვი ავტორია მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ნაშრომებისა, აგრეთვე სამასწავლებლო პედაგოგიური ხასიათის პუბლიკაციისა. 1888-1891 წლებში რედაქტორობდა ექრნალ „Детское чтение-ს“ 1878 წლის აგვისტოდან 1884 წლის აგვისტომდე იგი გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად მუშაობდა. ეს ეჭვი წელი ფრთხილ ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა სემინარიისათვის. დ. სემიონოვის მეცადინეობით სასწავლებლოში შემოღებულ იქნა ქართული (აგრეთვე სომხური და აზერბაიჯანული) ენის სავალდებულო სწავლება, შეკეთდა გაუჭობესდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა, რაც შედეგი იყო დ. სემიონოვის მიერ გამოცდილი და თავის საქმის საფუძვლიანად მცოდნე მასწავლებლებთან შერჩევა-მოწვევისა.

დ. სემიონოვს გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა მოსწავლეებთან. ყოველმხრივ ცდილობდა მათთვის მეცადინეობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნა და ამ მიზნით ხშირად თავის საკუთარ სახსრებიდან აძლევდა ფულად დახმარებას ახალგაზრდებს, როგორც პედაგოგი და აღმზრდელი შეუღარბელი იყო.

მისი გაცეითელები წარმოადგენდა ცოდნის და უზრტულ წყაროს, რომელსაც სახარულით ეწოდებოდნენ მოსწავლეები.

ამიტომ სრულიად სამართლიანად წერდა ვახ. „ივერია“ დ. სემიონოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: კუმშარტი „მოძღვრების მიმდევარი და მტიცედ შემსრულებელი იყო უშინსკის სიმე გამოჩენილი პედაგოგი და გოგრაფი, აწ განსვენებული დიმიტრი სემიონოვი, რომლის მოღვაწეობა და ხელმძღვანელობა წილადა ხედა გორის სემინარიას. ნამდვილად, ის ხანა, როდესაც ნეტარსენებული სემიონოვი იყო დირექტორად გორის საოსტატო სემინარიისა უნდა ჩათვალოს ამ სასწავლებლის ავღავეებისა და აღორძინების დროდ... სემიონოვის დროის კურსდამთავრებულნი სემინარიულნი რომ შევადაროთ ახლანდელ სემინარიულებთან, დიდ უპირატესობას მივიქმთ მამინდლებს როგორც განვითარებით, ისე მასწავლებლობის ხელოვნების ცოდნით. დიდი ხანი არ არგუნდა ბედმა გორის სემინარიის სემიონოვის დირექტორობა და ხელმძღვანელობა, მაგრამ ამ მცირე ხანსაც ბევრი რომ საუკეთესო გაეცეთა, ბევრი ყარგი და სამაგალითო სიხალხო მასწავლებელი წარჩხავნა სემინარიამ ამ დროს საქართველოს სხვადასხვა დაბა-სოფლებში. ეს კეთილი მუშაყნი, მიმდევარნი სემიონოვის პრინციპებისა სწავლა-აღზრდის საქმეში, თუ კიდევ არიან სადმე მასწავლებლად, პირნათლად მიაღვაწიონენ ხალხის საკეთილდღეოდ“ (1902 წ., № 246).

დ. სემიონოვის დროს გორის სამასწავლებლო სემინარიამ სწავლობდნენ შემდეგი ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა ფშაველა), ალექსანდრე ნათაძე, ლადო აღინაშვილი, ვანო ავილოშვილი, თეოდორე ზუსკოვაძე და სხვ.

ჩვენ ამჟამად გვინტერესებს დ. სემიონოვის ურთიერთობა მოსწავლეებთან, კერძოდ ვაჟა ფშაველასთან, მაგრამ, ვიდრე ამას შეეხებოდეთ, მოკლედ გვინდა დაეხასიათოთ სემიონოვის პიროვნება.

დიდი პედაგოგიური ანდოთი და ტაქტით დაქონლებული, გულსხმიერი და ღრმად განათლებული დ. სემიონოვი როგორც კი გორის

სამსწავლებლო სემინარიის დირექტორად დაინიშნა. მაშინვე ენერგიულად შეშობას შეუდგა მისი თავდადებული მოღვაწეობით გორის სემინარია სულ მოკლე ხანში მთელს კავკასიაში მოწინავე სასწავლებლად გადაიქცა. იგი ძალადონს არ იშურებდა, რათა მომავალი სახალხო მასწავლებლები მტკიცე ცოდნით და მდიდარი იდელებით აღჭურვილნი ნამდვილი მოქალაქენი, ხალხის უნაგვარი მსახურნი ყოფილიყვნენ. დ. სემიონოვს უსახლეროდ უყვარდა ახალი მოსწავლე, განტრხეველად ერთგუებისა, უყვარდა ქართული ახალგაზრდები, რომლებთანაც მას ნამდვილად მშობლიური, უღრესად პუშინური დამოკიდებულება ჰქონდა.

მოსწავლეების კარგად გრძობდნენ თავიანთი მშობრულის გულკეთილობას, ნამდვილად იდამინობას და ბევრი მათგანი რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც გამსაყვთრებული სიუვარულით იგონებდა მას. მავალითად, ქართული ლიტერატორი, სახალხო მასწავლებელი ვანო ავალიშვილი 1935 წელს დაწერილ „მოგონებანი“ აღნიშნავდა: „დ. სემიონოვი იყო შესანიშნავი პიროვნება. ლიბერალი, ქართველებს მოსიყვარულე. ისეთი პიროვნების დახმარება გაცერთი, ზერულად, დანაშაულად ჩაგვეთვლება და ამიტომ, რაც შეიძლება უფრო კრძალვად უნდა მოვიგონო მისი ღვაწლი, რომლის მოწამეც ვიყავი 55 წლის წინ“ (ე. ავალიშვილი, „მოგონებანი“, გამოქვეყნებულია, დატულია სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

1883 წლის შემოდგომაზე დ. სემიონოვს ქართული სემინარისტებისათვის თავი მოუყრია და უთქვამს: ამ რამდენიმე დღის წინ გორის ქართველობამ ერთ ოჯახში ვახშმად მიმიატოვა. სიამოვნებით ვეწევი, ვიძღვრებ და ვიბეკევი კიდევ. მაგრამ გული დამწყდა, რომ ზებრიტული ქართველი ქართულ სიმღერას ეღერა მღეროდა. ეს მალიან საწყენიათ. ამ შეხედრის ერთ-ერთი მოწაწილე, ზევით უკვე ნახსენები ვ. ავალიშვილი წერს: „დირექტორი ბატარი ხანს შესდგა. ლაბარაკი შესწყვიტა, მიგათვალღერ-მოგათვალღერა. თითქოს დაფექრა ჩვენი მდგომარეობა... და დაიწყო ჩვენი განხეგება:

— მაგრამ თქვენ, მომავლო მასწავლებელნი, გვევალუბათ თქვენი ხალხის მდგომარეობას ჩუქვირდებ და შეუდგეთ უსამაოვნო გარემოების გამოწერობას... აღიჭურვილნი ცოდნით, რაშიც ჩვენ ხელს მოგვიმარაოეთ. ვაიფანტნით თქვენს ხალხში, გადაეცით მათ ის, რაც აქ განათლების კერაში შეიძინეთ და უშველეთ, ქართველებო, თქვენს თავს. მინამ ჯერ კიდევ დრო არის, შეისწავლეთ მოხუცებულუბისაგან სიმღერები და თქვენ მოიფუფუნავე შეისწავლეთ. ენასაც თქვენსას ყურადღება მიაკციეთ“ (მოგონებანი, გვ. 46).

სხვათა შორის ამ შეხედრას ესწრებოდა სე-

მინარიის მოსწავლე ლადო აღნაშვილიც. მასზე ისე უმოქმედია დ. სემიონოვის გულწრფელ სიტყვებს, რომ ვადაუწყებტა, ქართული ხალხური სიმღერების შეკრება-შესწავლისათვის ენერჯია არ დაეშურებინა, რაც, შემდეგში პირნათლად შეასრულა. მის მიერ ჩამოყალიბებულმა სიმღერის გუნდმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაციას.

როგორც აღენიშნეთ, დ. სემიონოვმა სემინარიაში თავი მოუყარა შესანიშნავ ბედაგოგებს, რომლებიც თავდადებულად მუშაობდნენ. ერთ-ერთი მათგანი აყო რუსულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ნოვოსპასკი. მისი თაოსნობით სემინარიაში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული დღეები, რომლებზედაც რეფერატების კითხვით გამოდიოდნენ სემინარიელები. ერთ ასეთ შეკრებაზე ნოვოსპასკის დაებალებით ლეკა რაზიკაშვილს წუკუთხავს რეფერატი: „ლესკა „მერანი“ როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამოშმატულია. მასალები რომანტიზმის შესახებ ვეცასთვის მასწავლებელს მოუწოდებია. მოხსენებას მოსწავლეებს. მასწავლებლებს გარდა, გორის ინტელეგენციის ნაწილიც დასწრებია. ნ. ნოვოსპასკის ისე მოსწონებია ლ. რაზიკაშვილის მოხსენება, რომ უთქვამს:

„ჭვირდასო ლესკა ერძოდ შენ და საერთოდ შენს ტოლ-აზნაგებს ამ კრებაზე წაწყულ მადლობას გიცხადებთ იმ დღწლისათვის, რომელიც ჩემს წინაშე მივიბღვიეთ. თქვენ, გამონაკლისს გარდა, დღი ხალხით ასრულებდით ჩემს თხოვნას: სწერდით თემებს ქართული მწერლობიდან, არჩეოდით როგორც პოეტური, ისე პროზაული ნაწარმოებებს. ამ საშუალებით მე ცოტად თუ ბევრად გავეცანი თქვენს ლიტერატურას. მეც გვმელოდით შესაფერი მასალებს მოწოდებით სხვადასხვა საკითხების ვასაშუქებლად. აი ამ ვარემოებამ ერთმანეთთან შეგვაკავშირა. მისპო ჩვენს შორის ოფიციალური დამოკიდებულება.

მე აღტაცებული ვარ ძველი ქართული ლიტერატურის, რომელსაც აშშვენიდნენ გენიალური შოთა და ნამდვილი რეალისტი დ. გურამიშვილი. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ მწერლობას, იგი მე მიმანია რუსული ლიტერატურის უმცროს დად. ასეთივე აზრი გამოვთქვი 1882 წელს იმ სადღიზე. რომელიც კრის დამთავრებულ სემინარიალა პატივსაცემად გამართა შოთა დავითაშვილმა განხიზხიელ ვარსკვანიშვილის ბაღში“ (ს. ყუბანიშვილი, ვაქაფშაველი, 1837, გვ. 151).

ვყავს სამადლობელი სიტყვით მიემართავს: „— ჭვირდასო დამრავებელით თქვენ ხართ ბედაგოვი, მრავალი ცოდნით შეიარაღებული და ამავე დროს მოწინავეთაან ვაქვთ ჰუმანიური დამოკიდებულება. ამიტომ ყველას უყვარხართ. თქვენ დღი როლი შეასრულეთ ჩვენი განვითა-

რების პროცესში, ამას სიკვდილამდე არ დავი-
ვწყვებთ“ (იქვე, გვ. 152).

ეს ცნობები ამოღებულია თვალსაჩინო საზო-
გადო მოღვაწის, ლიტერატორისა და პედა-
გოგის ალ. გარსევანიშვილის მოგონებიდან. ალ.
გარსევანიშვილი პირადად იცნობდა დ. სემი-
ონოვის (მის შვილს ერთხანს ლათინურ ენაში
ამზადებდა), ოჯახში მისელა-მოსელა ჰქონდათ
და ერთმანეთთან საკმაოდ დაახლოებული
იყვნენ. იგი ამავე დროს ვაჟსათანაც მეგობრობ-
და და ამდენად მისი „მოგონება“ ორ მხრივ
იწვევს ინტერესს: საყურადღებო მასალებს
გვაწვდის როგორც სემიონოვის ისე ვაჟის და-
სახასიათებლად.

დ. სემიონოვის ვაჟა ფშაველა განსაკუთრე-
ბით ჰყვარებია; დიდად აფასებდა თურმე მის
ნიჭს და შესანიშნავ მომავალ უწინასწარმტყ-
ველებდა. მასწავლებლებს ხშირად აფრთხილუ-
ბდა მხრუწველობით მოპყრობოდენ „გველის-
მკამელს“ მომავალ ავტორს:

„ერთხელად მოეჭვიოთ ჩემს ლუკას. ის არ-
ჩვეულებრივი მოწავეა, მისდამი შაბლონური
მიდგომა არ ივარგება. ლუკა რაზიკაშვილი,
მძალე მთებედან ბაჩად ჩამოსულ, ზუნებთ
პოეტია; მასში დაგრთვილია მთიელ მომშთა
გონებრივი საღარო. ნუ შეებოჰვით მის არსე-
ბას. დღე განთათარდეს და მომწიფდეს ნორი
მგოსანი თაისუფალ სფეროში. ...ლუკა იშვია-
თი პოეტური ნიჭით შემეყლა ახალგაზრდა-
ЭТО высшая поэтическая натура! ...ჩემი
ღრმა რწმენით, მას დიდი მომავალი მოელის სა-
მწერლო ასპარეზზედ“ (გვ. 102, 111, ალ. გარ-
სევანიშვილის მოგონებიდან).

დ. სემიონოვი რომ განსაკუთრებულად ეპურო-
ბოდა ვაჟს, ეს კარგად ჩანს ერთი ფაქტიდან,
რომელსაც ცნობილი პედაგოგი ალ. ნათაძე
გადმოგვცემს. მისწავლეები გაუღებულნი
იყვნენ სემინარიასთან არსებულ დაწყებით სას-
წავლებელში საცდელი გაკვეთილები გადაე-
ცათ. ასეთ გაკვეთილს ესწრებოდნენ დაწყები-
თი სასწავლებლის, ავტოგულ სემინარიის რამ-
დენიმე მასწავლებელი, დირექტორი და უფრო-
სი კლასის მასწავლეები.

შემდეგ ხდებოდა გადაცემული გაკვეთილის
გულდასმით გარჩევა-შეფასება, დადებითი და
უარყოფითი მხარეების აღნიშვნა.

ასეთი გაკვეთილის გადაცემა მოუწია ლუკა
რაზიკაშვილსაც. მისი გაკვეთილის თემა იყო
კალია და მასთან ბრძოლა. თემის შერჩევას
საფუძვლად შემდეგი ფაქტი დაედო. 1879
წელს გორის მაზრას კალია შემოესია. მის
მოსახლეობაში მოსახლეობასთან ერთად მხურვალე
მონაწილეობა მიიღეს სემინარიის მასწავლეებ-
მა და მასწავლებლებმა. ვაჟს კალიების მოს-
პობაში განსაკუთრებით გამოუჩინდა თავი და
დ. სემიონოვსაც გაკვეთილის გადაცემა ამ თე-
მაზე მისთვის დაუეცალება. რამდენიმე დღის
შემდეგ ვაჟი გაკვეთილი გადასცა.

ალ, ნათაძე შემდეგში ამ გაკვეთილს ასე იფა-
ნებდა: „უფროსი კლასების მოწაფეები ყველაში
იქ ვიყავით. ასისტენტებად იყვნენ: ფარნოხ-ბე-
თიშვილი, მასწავლებელი პირველდაწყებით
სასწავლებლისა სემინარიასთან, აბასტო ქუთა-
თელაძე, ქართული ენის მასწავლებელი სემინა-
რიაში და თვითონ დირექტორი. მოწაფეები რე-
ცენზენტების როლს ეთამაშობდით და ყვე-
ლას ხელში ჭაღალდი და ფანჯირი გვეჭირა შე-
ნიშვნების დასაწერად. არ ვასულა სამი წელი,
რომ დირექტორი შემოვიდა და კლასში წესი-
ერება დამყარდა... იგი მივიდა ვაჟსთან, რალაც
წასრურობდა და უბრალო გაკვეთილად დღეყო.
გაკვეთილი ქართულ ენაზე იყო მიცემული.
პირველი ნაწილი გაკვეთილისა თითქო-წესიე-
რად მიმდინარეობდა: ყოველი მეთოდური წი-
სი იყო დაცული, ყველა დირექტორი მოძ-
ღებებს შესრულებული. მეორე ნაწილი გაკვე-
თილისა კი ნამდვილი „წამება“ იყო ვაჟსათ-
ვისაც და მოწაფეებისთვისაც... გაკვეთილის შე-
მდეგ ყველანი გარედ გამოვედით, ამხანაგებს
ხმა-კრინტი არ დაგვიბარეს, რომ ისედაც გაბო-
რობებოდა ვაჟა არ გავეუფარებინა... დირექ-
ტორმა შენიშნა ყველა ეს და ევაჟა თავისთან
წაიყვანა, ჩაი დააღვინა, ასაუბრა თავის ოჯახ-
ში. ძალე ვაჟა კმაყოფილი დაბრუნდა იქიდან“
(ეგრან. „თეატრი და ცხოვრება“, 1916,
№36).

როცა გაკვეთილის გარჩევა დაიწყო ვაჟა
კრიტიკის ქარიცხელში გაატარეს ამხანაგებმა,
უამრავი შენიშვნა მისცეს. ვაჟა ლელავდა. დ.
სემიონოვს არ მოუწონა გაკვეთილის ასე ცალ-
მხრივად შეფასება. „დირექტორმა ცოტა ხნით
შესწყვტა კამათი, მიინდომა კრიტიკის ჩაწე-
ლება, ვაჩივების შთაბეჭდილებების შესუსტება
და გაკვეთილის ღირსებაზე დაგაწყვებინა ლა-
ბარაკი. პირველად მე შეიძმა. მეც გაკვეთილის
პირველ ნახევარს მივაქცეე ყურადღება და ბე-
ჭრი კარგი მხარეები გადავუშალე ერებს ამ
გაკვეთილის შესახებ... ფარნოხ ნათიშვილმა
და აბასტო ქუთათელაძემ უქნეს ვაჟს ქართუ-
ლი ენის ცოდნა, ტერმინების გათვალის-
წინება და ერთხმად აღნიშნეთ გაკვეთილის
კეთილსინდისიერად შესრულება“ (იქვე).

ცხადია, სემიონოვი ამ შემთხვევაში ისე მოიქ-
ცა, როგორც შეჭურვის ნამდვილ პედაგოგს და
საშუალება არ მისცა ამასწრეებს გული გაე-
ტეხათ მომავალი მასწავლებლისათვის, ამ ჩა-
კვლევანა იმის რწმენა, რომ გამოუსწორებელი
შეცდომა მასწავლებლად დახელოვნების გზაზე
არ არსებობს. მიინდომების შემთხვევაში ყვე-
ლაფრის მიღწევა შეიძლება. ამიტომაც ვაჟამ-
ვალეობინა მან ურადღება „რეტენენტებს“
გაკვეთილის დადებით მხარეებზე. დ. სემიონო-
ვი ასევე მოიქცეოდა ყველა სხვის მიმართ, ვინც
არ უნდა ყოფილიყო მასწავლე ლუკა რაზიკა-
შვილის ადგილს, მაგრამ ის ფაქტი, რომ პრაქ-
ტიკინტი ვაჟა სახლში წაიყვანა, ჩაი დააღვინა-

ნა, ასევე და დამწველებელი გამოისტუმრა, იმაზე მოვითხოვს, რომ იგი მართლად სათუთად ეპყრობოდა მომავალ დიდ მგონას სთითონად ისე მოიქცა, რასაც სხვა მისწველებლებს სთხოვდა: „ფრთხილად მოექცეთ ჩემს ლეკს, ის არაჩვეულებრივი მოწვევა, მისდამი შაბლონური მიდგომა არ იყავება“.

როგორ აფასებდა თვითონ ვაჟა ლ. სემიონოვი? სამწუხაროდ, ამის გასარკვევად ჩვენ არ მოვუპოვება რაიმე წერილობითი ცნობა, რომელიც თვითონ დიდი ქართველი პოეტის ვალანს ეკუთვნოდა, მაგრამ ვ. ავალიშვილის საინტერესო „მოგონებებში“ აღწერილი ერთი ფაქტი კარგად გვიჩვენებს, თუ რა დიდად ფასებდა ვაჟა თავის აღზრდებს.

საქმის ეთაბრება ასეთია. 1882 წელს ლ. სემიონოვი გორში ეწვია სტუპარი, გუარად სოლოვიოვი („მოგონებებიდან“ არ ჩანს რა ერქვა სახელად სტუპარს). დირექტორთან ერთად მას ჩამოუვლია კლასები და შემდეგ გამომწველობების, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის უთქვამს:

„—ზოლოვით წმინდა და სამადლობელი საქმი ამაგიწრევი: იყოთ ხალხის მასწავლებლები. წარმოიდგინეთ ხალხი ვინაოლებელი, შეუგნებელი. ის ხომ ხალხია ხალხისა და უკან ჩამორჩენა. აი ამ ნაყლის, ხარვეზის ამომგებნი თქვენა ხართ. მამსადადე, ძვირფასნი ხართ ხალხისათვის. მე რამდენადღე გამოვინა და ვიცი, თქვენი თავი ძალიან ესაჭიროება ამ ხალხს რომელსაც თქვენ ეკუთვნით, ქართველებს, წადით; მიუხედავად თქვენს ხალხს, ვინაოთარეთ, მოჰყინეთ მათ შორის სწავლა-განათლება, კულტურა, რომ განათლებულს სხვა ხალხს არ ჩამორჩეთ“.

გაზარებულ ქართველ მოსწავლეებს სამადლობელი სიტყვის თქმა უთხოვიათ ვაჟა ფშველასათვის, რომელსაც ახალგაზრდობის გულისწადები ასე გამოუხატავს:

„—დიდად პატივცემულო სოლოვიოვი თქვენ დღეს პირველად გხვდებით და ვასაკრებელი არ იქნება რომ ვთქვა: არ ვიცნობთ. მაგრამ ეს შენსკომამ იქნება. ვიცნობთ, როგორ ამ ვიცნობთ და თქმულების მიხედვით: მითხარიან მე, ვის იცნობთ, მე გეტყვით, ვინცა ხართ. აი თქვენ იცნობთ პატივცემულ დიმიტრი დიმიტრის ძეს. იგი ვიცნობთ თქვენ და, ეს საკმარისა... ვიცნობთ თქვენი მსწრაფეობა... ხალხის ვულშემატეობით. ეს აქირად გამოხატება თქვენ მიერ წარმოქმნილ თბილ და ნათელ სიტყვაში.“

თქვენი გულშეუვალი სიტყვები, პატივცემული დიმიტრი დიმიტრის ძისებულები, გამახებვეს ჩვენ და გვიყვარა ვხას, რომელსაც მამა-ვინი სხვანი ვიყვლითბუნენ, რომელთათვისაც ჩვენი სინებელში ყოფნი სასარგებლოა. მაგრამ თქვენისთანა გულწრფელი და ტკბილი სუბარბი ჩვენ, ქართველებს, გვახხენებენ და

ჩვენს დანიშნულს მიხანს ადვილად მივადწევრ. ჩვენ, აქ ყოფი ქართველობა, შიღობას ვიძლებით ჩვენდამი თქვენი ვეთილ სტრვილებასათვის“.

„ლიბიტრი დიმიტრისძისებური სიტყვები“ ამ სახომად აქვს გამოყენებული ვაჟას ყველა ქათილოზილი, ზემანისტი და პოოვრესული შეხედულების მქონე აღმზიანს შესაფასებლად.

ლ. სემიონოვი ყოველთვის ცდილობდა თავის აღსაზრდელგში ჩაენერვა ხალხისადმი ღრმა საყვარელი. ვიკენებინა მათთვის, რამ ხალხის ნება უძლეველია. მისი აღმადროვინებელი სიტყვები ცხოველად ახსოვდათ სემიონოვის ყოფილ მოსწავლეებს და ვეთილი საქმისაკენ მოუწოდებდა მათ.

შავალითად, 1879 წელს ივნისში, გორის მიდამოებში ვალიის მოსპობის შემდეგ ლ. სემიონოვი მოსწავლეებს თავი მოუყარა და უთხრა: „ამ დღეს ხომ თვითონ თქვენ დინებთ რა ამბავიც მოხდა... ხალხი ახვრთდა... დავაწყნდა თავიანი დიდებრი ქირ-ვარამი, შტრობა, ერთი-ერთმანეთს ხელი გაუწოდა და საერთო ძალით შტერი დასძლია... ასე იცის ვრობობამ, საერთო ძალიან, იქ, სადაც თრი ხელი უძლეურია, სამას ხელი კლდეს გაარღვევს, ზღვის ძალებს შეიარებებს, მთას-მთას მიახლის და ვაჭირებულ მდგომარეობას საკეთილდღეო მდგომარეობად გადაქცევს ხოლმე“ (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 35, გვ. 5).

ასეთი შესანიშნავი თვისებების გამო ლ. სემიონოვი ძალიან უყვარდათ ქართველ მოსწავლეებს. ცდილობდნენ ყოველნაირად გაეზარებინათ მისი იმედები, კარგად შეეკეთისებინათ ის რჩევა-დარჩევანი, რასაც ეს დიდბუნებოვანი აღმზიანი სისტემატორად ამძვედა გორის სამასწავლებლო სემინარიიში მოსწავლე უბუქებს. ამიტომ არაა ვასაკვირი, როცა სემიონოვის ყოფილი მოსწავლეები ვ. ავალიშვილი, ალ. ნათაძე, ს. შამალაძე, ამ წრესთან ძალიან დაახლოებული ალ. ვარსკვანიშვილი და სხვები, თითქმის ერთხმად აღნიშნავენ: ასეთ ნათელ პიროვნებაზე ვაკვრით, ზერელედ დამარავი დინამიული ჩაგვეყვებოდა. ეს ვარემოვები, როგორც აღვნიშნეთ, იბნებდა არა მარტო იმით, რომ ლ. სემიონოვი უადრესად განათლებული პედაგოგი იყო, არამედ იმითაც, რომ იგი სათინო, გულსწმიდობი, ეროვნების ვანორჩელებელი მოსწავლის უსაზღვროდ მოყვარული და მზრუნველი იყო. რუსეთში ლ. სემიონოვის მოღვაწეობა სამკაოდ შესწავლილია (იხ. Д. Д. Семенов, Избранные педагогические сочинения, М., 1953). ხოლო საქართველოში ცხოვრების მის პერიოდზე ლაპარაკია, ჩვენს ნარკვევში „ლ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში“ (თბ. 1954).

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ლ. სემი-

ონოვის პოლიტიკურ მრწამსზე, თვითმპყრობელობასთან დამოკიდებულებაზე მისდამი მიტღენი გამოკვლევებში, რომელთაც ჩვენ გავეცებით, ლაბარია შიროლდ იმაზე, რომ ის „ლიბერალი იყო“. ქართულად კი მოგვებოვება მნიშვნელოვანი მასალები; რომლებიც ამ საკითხით დანტერესებულ მკვლევარებისათვის საყურადღებო უნდა იყოს. ზოგიერთ მათგანში დ. სემიონოვისა და ვაჟა ფშაველას ურთიერთობაც ჩანს და ამიტომ სავიროდ გვინათ რამდენიმე ფაქტზე შეგზერებულებით.

დ. სემიონოვი არ შეუშინდა ცნობილი ხალხისანი რევოლუციონერის მიხეილ ქიხინაშვილის ეფიფანის წარსულს (იგი ციმბირის გადასახლებადან ახალდამბრუნებული იყო) და 1831 წელს სემინარიიში ქართული ენის მასწავლებლად მიიწვია, თუმცა კავკასიის სასწავლო ოქტის მზრუნველი კ. იანოვსკი ამას ეწინააღმდეგებოდა. მ. ეფიფანმა გორში ხალხისათა არალეგალური წრეები შექმნა, რომლებშიც სხვებთან ერთად სემინარიის მოსწავლეებიც შეშობდნენ. 1832 წლის მარტში მ. ეფიფანი დაპატიმრეს. ამასთან დაკავშირებით სოფ. მგელაბდშიელი თავის „მოგონებებში“ წერს: „როდესაც ეპისკოპოსმა მიწა ეფიფანი გავკეთილიად გაიყვანეს, ეტლში ჩასვეს და თბილისში გადასახავნად ვითის საღვურისაგან წაიყვანეს, სემიონოვი მეტად შეწუხდა. იქნება რამე აკლავ, იქნება ფულიც არა აქვს ზედა“ და აღუქანდრე ციმბერიისკენ უთხრა, ფული მოკრიფა მასწავლებელთა შორის და სწრაფად გაიტრანა საღვურზე მიწისთვის. ციმატერიიმე ფული შეკურთვა და იმის მიშით, რომ საღვურზე ფულის გატანა არ დაგვიანებოდა და მატრებულს, არ გაესწრო, დიმიტრი დიმიტრის მეშ ჩასვა ციმბერიიმე ეტლში, ვაჟაყანა გორის საღვურზე და ფული მიშის გადასცა“ (1938 წ., გვ. 96).

ამ ფაქტს აღასტურებს მ. ეფიფანთან ერთად დაპატიმრებული შიო დავითაშვილიც: „ცოტახნის შემდეგ ჩვენთან შემოვიდა სიმასწავლებელთა სემინარიის დირექტორი დ. სემიონოვი, რომელსაც ეპისკოპოსისათვის ნებადართვა ეთხოვი მიშის სანახავად, მოსალაპარაკებულა მჭებს-სასწავლებლის საქმეების გამო. საქმე, რასაკვირველია, მის არა ჰქონდა რა. მას სურდა შიოლოდ ჩვენი ნახვა და გამხნეება, დირექტორს მოსკვა მოსწავლე საშა ციმატერიიმე, რომელმაც მ. ეფიფანს სახელდახელოდ შეგვარაგული ფული გადასცა“ (ხალხსწერი მომართობა საქართველოში, 1933, გვ. 95).

1832 წელს ალ. გარსევანიშვილის ნათესავემ ვასო მელდინეთუხუცესმა (კომპოზიტორ კოტე მელდინეთუხუცესის მამა) სოფ. ხიდისთავში სემინარიის ურსდამთავრებულთა პატრონაჟემად საღილი გამართა. დამატებული იყო დ. სემიონოვიც. მის მოსელამდე ვაჟა ფშაველამ და სხვა სტუმრად მოსულმა ახლავარდებმა

საკმაოდ მოიღონეს. ამ ღიბონს დამსწრე ალ. გარსევანიშვილი მოგვითხრობს: „ეტლით მიბრძანდა დირექტორი სემიონოვი. ჩვენ ეველანი წამოვხტით და ევენის კარებთან მივეგებეთ. ახალგაზრდობის დანახებზე დირექტორს ნახე გაუბრწყინდა და მან მხიპრული ხმით შემოგვძახა რუსულად:

Друзья, дадим друг другу руки,
И смело двинемся вперед...
Пусть под знаменем науки
Союз наш крепнет и растет...

— ამ ლექსის გამო, — სიტყვა სემიონოვი, — ავტორი შორულ მკუყანაში გადაასახლეს, მე კი მირჩევს გორიდან წასვლას შიოლოდ იმიტომ, რომ ახალთაობას ჰუმანიურად ევეკრობა და საზოგადოების ეემსახურება... ამასაც ევიტანი.

საღილი მოწყობილი იყო ევენის პოლოს ერთ ღიდ ზეივანში. იმ დღეს გმირებდ იყენენ — ერთის მხრივ, თვით ჩვენი პურმარილიანი მასწინელი ვასო და შერეო მხრივ, სემიონოვი.

სემიონოვიმ თავისი მკუყრმეტყველო სიტყვებით პირდაპირ მოხიზლა სხვებზე დამსწრენი.

„ვირფხარი მოწყაფეო და ამჟამად კი ჩემო მეგობრებო! — მიმართა მან ურსდამთავრებულ სემინარიელებს. — ცოდით შეიარაღებულნი დღეიდან თქვენ ზელო უნდა მოკიდით საზოგადოებრივ მოღვეწეობას. გასაოცეთ მხოლოდ, რომ მიზნის მისაღწევად მარტო ცოდნა არ ქმარა... საქართველოს მასთან ერთად მტაცე ხალხით შემეშავება.

რა არის ხალათო? ესაა ქარმონული, მკე ვაჟეთი, შეკეშირება სამი ფსიქური ფაქტორისა: გონების, გრძნობის და ნებისყოფისა. მტაცე ხალათის მოკლებულ მოქალაქეს დასტანჯავს წუთისოფელი — მე ამას ვამბობ ხაზგასმით... ამიტომ გულწრფელად ვირჩევთ, ამ ვარემოებას სერიოზულ ურჩადლება მიაცეთით. ვანავითარეთ თვითმოქმედების უნარი, მიეჩეეთ დისციპლინის, სხვებიც ამას მიჩეეთ. ევადლო ნაესრი დავლება ზუსტად აასრულოთ, მამელო, მხოლოდ მაშინ იგრძნობთ სიხარულს, რომელიც გამოიწვევს თქვენში მოქმედების ხალისსა... თუ ვანახორცილებთ ამ დარბევას, თქვენ იქნებით ნამდვილი სახალხო მასწავლებლნი და არა სოფლის მასწავლებლნი, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ ბრძანა რეჟეციონერმა პედაგოგმა მოძალუესკიმ, კავკასიის ოქტის მზრუნველის თანამგმემ.

— ეკრძოდ შენ, ზემო ლუკა! — მიმართა ორატორმა ვაჟას, — გეტყვი იმას, რაც შენთვის ზნირად მეთქვამს! ბუნებით პოეტო, შენ ტალანტი არ დამარბო, ვანავითარე გონე, დააკვირდი და შეისწავლე ცხოვრება, იყითხე

სხვადასხვა მიმართულების წიგნები და მანძი შეესაღებ, რომ ყოველმხრივ ჩვენი სინამდვილე დასურათო.

არ დაივიწყო, ჩემო ძვირფასო. ის სკოლა, რომელმაც შენ აღვზარდა, არ დაივიწყო ავრთვე შენი კეთილი მასწავლებლები და მათ შორის მეც...

ამ შეწყვეტა სემიონოვმა სიტყვა. თვალტრემლიანი მიუხალოვდა ვაჟას და სამჭერ გადაჰკაცა... დანარჩენებს ხელი ჩამოართვა, ორმა მოწაფემ დირექტორს ხელზე აყოცა.

ვაჟა ფშაველამ აღელვებული ხმით ასე უპასუხა თავის საყვარელ დირექტორს.

— ძვირფასო მასწავლებელო... ვაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ თქვენს ღვაწლს სიკვდილამდე არ დაივიწყებთ... თქვენი სახელი, როგორც სიმბოლო მოწაფეთა გონებრივი წინსვლისა, ჩვენი შორის წმინდა იქნება მარადის. ასეთსავე შილად გრძნობას განვიცდით ჩვენ იმ სკოლის წინაშე, რომელმაც აღვზარდა და თქვენი ხელმძღვანელობით კეთილი მომავლასაკენ გზა გვიჩვენა" (ალ. ვარსკვლავიშვილის „მოგონება“ გამოაქვეყნა სოლ. ყუბანიშვილმა. იხ. მისი ვაჟა ფშაველა, 1937; აგრეთვე: ცხოვრება ვაჟა ფშაველასი, მასალები, 1961 წ., გვ. 17-120).

მ. ყიფიანის დაბატიმრების შემდეგ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ ჩანოვსკისა და სემიონოვს შორის ურთიერთობა გამწვავდა. იანოვსკი ვერ იტანდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში დამყარებულ სასწავლო-აღმზრდელობით რეჟიმს, იმ გულთბილ ატმოსფეროს, რომელიც არსებობდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. იგი ხელსაურელ მომენტს იძებნა, რომ დ. სემიონოვი სამსახურიდან გაეთავისუფლებინა. ამის გამო სემიონოვი 1933 წლის შემოდგომიდან უკვე ცდილობს გორიდან წასვლას. 1884 წლის მარტამდე ის „ავიღმყოფობის“ გამო რუსეთში იმყოფებოდა. საზოგადოებაში დაყენებით ვაგრცელდა ზმა, რომ

დირექტორი სამუდამოდ ტოვებდა სემინარიას.

შეწუხებულმა გორელმა ნაცნობ-მეგობრებმა დ. სემიონოვს პეტერბურგში ამქვთის ტყვეზე გაუგზავნეს: «об Вашем отсутствии скорбят все. Еще больше беспокоит нас мысль, что Вы можете нас совсем покинуть. Здесь Вас все полюбили душевно, как человека и полезного общественного деятеля. Просим Вас скорее возвратиться к тем, которых любовь к Вам неизменна».

(სახალხო განათლების მუზეუმი, საქ. № 112, ფ. 42. დებემის ხელს აწერენ რეკ. ერისთავი, ზუბლაშვილი, სულხან შატბერაშვილი, ბეკაბეთგოვი და სხვ., 21 კაცი).

1884 წლის გაზაფხულზე დ. სემიონოვმა გორის სამასწავლებლო სემინარიაში ჩაატარა მეექვსე გამოშვება. დაწყებითი სკოლების სახალხო მასწავლებლებისა და გამოსაშვებ აქტზე უკანასკნელად შეხვდა თავის მოსწავლეებს.

ვაზ. „კავკაზი“ (1884, № 137) მის წასვლასთან დაკავშირებით წერდა:

«На последнем выпускном акте в семинарии, состоявшемся 12-го числа этого месяца, в своем прощальном слове, обращенном к семинаристам, он, между прочим, сказал: «с грустью и болью в сердце мне приходится покинуть двух взлелеянных своих детей: Закавказскую учительскую семинарию и Анастасьевскую женскую гимназию».

ასეთივე დიდი გულსტეფილით გააცილეს დ. სემიონოვი საქართველოდან მისმა მეგობრებმა და მოსწავლეებმა, რომელთაც მან ღირსი ამაგი დასდო და სახალხო მასწავლებლობის გზა დაულოცა. ამ გაცილებას ვაჟა ფშაველა არ დასწრებია; წინა წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაერთა და ლექციებს ისმენდა.

სვანეთის ისტორიის ზოგადი საკითხისათვის

საქართველოს ერთ-ერთი კუთხის — სვანეთის — ისტორიული წარსულის ირგვლივ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს.

რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში ჩაისახა და განვითარდა ორი ძირითადი, ერთმანეთის საპირისპირო მიმართულება: ერთი სვანეთს უკიდურესად ჩამორჩენილ, პირველყოფილი წყობილების დონეზე გაყინულ, კარჩაკეტილ კუთხედ მიიჩნევდა, ხოლო მეორე კი, პირიქით, სვანეთს თვლიდა განვითარებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა მქონე კუთხედ.

საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ნაწილობრივ დაძლია რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის მანიერება სვანეთის ისტორიის შესწავლაში. ქართული საზოგადოებრივ მეცნიერების დარგების თვალსაზრისით წარმომადგენლებმა სვანეთის ისტორიის არსებითი მხარეები კვლევა-ძიების სფეროში მოაქციეს და შექმნეს საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევები. განსაკუთრებით დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული სვანეთის მატერიალური კულტურის შესასწავლად. გამოვლენებულ იქნა დიდძალი ფოლკლორული და საისტორიო მასალა. ამავე დროს, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს ამ მიმართულებით კვლავაც ბერძენი რამა გასაკუთრებელი, რადგან: „მეტისმეტად დიდი და თვალსაჩინოა ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეპვის ჭეშმ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რთვი არსებითა მხარის შესახებ“. ერთი მხრით, — განაგრძობს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — სვანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორცაა მსოფლიოში ხმაავანთქმული „მითა“ სვანეთის („კოლხეთის“) სიმდიდრის შესახებ, მის სამეურნეო-მეტალურგულ მიღწევათა შესახებ და ამის დამატებითი რეზერვები არაქლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელისუფლების შემთავებელი სოსოფლო-სამეურნეო წესები (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა), ზით-ხეობის განსაკვირვებელი ნიმუშები, სამეურნეო და საომარი

იარაღის მკვლელობა და სამკაულთა ოქრო-მკვლელობა, უღრესად განვითარებული ფერწერა, ზოლო მეორე მხრივ ჩვენი ვითომდა ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სვანეთის „პირველყოფილობის“ შესახებ“.

„დამეთანხმებით, — დასცვენს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — საკითხის აგრე დატოვება საბჭოური ისტორიული მეცნიერებისათვის შეუწყნარებელია და მისი შესაფერისი გამართვა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ღირსების საქმეა“.

მართლაც უდავოა, რომ შუა საუკუნეთა ხანის სვანეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დონის შეფასებაში საბჭოური ისტორიოგრაფიაში კვლავაც მეტისმეტად თვალსაჩინოა აზრთა პრინციპული სხვადასხვაობა. ამიტომ ვესურს მკითხველს გაეცნოს ჩვენი მოსაზრებანი სვანეთის ისტორიის ირგვლივ წამოჭრილი ზოგიერთი პრინციპული და სადაო საკითხის გამო. ასეთად ჩვენ მიგვაჩნია სვანეთის სოციალური ურთიერთობის შეფასება. მოცემული პრობლემის გადაჭრის საფუძვლებზე ცდა ეკუთვნის დ. ბაქრაძეს. მკვლევარი იმ უღრესად მნიშვნელოვან დასცვენამდე მივიდა, რომ ბალსზეში (ე. წ. „თავისუფალი“) სვანეთში შუა საუკუნეებში ისეთივე სოციალური ურთიერთობა არსებობდა, როგორც იყო დანარჩენ სვანეთსა და მთელ საქართველოში. ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებთ მოცემულ საკითხზე ე. წ. „გვაროვნული თეორიის“ მიმდევართა მიერ გამოთქმულ პრინციპულად საწინააღმდეგო მოსაზრების გარკვევას, შევეცდებით ჩამოვინა და ეს შესაძლებელია სტატის ფარგლებში, იმ საბუთების გარკვევას, რომელნიც ცხადყოფენ დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული მოსაზრების სისწორეს და „გვაროვნული თეორიის“ მიმდევართა მცდარობას.

1 ნ. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გაზ. „მებრძოლი“, № 155, 1964, 29 დეკემბერი.

2. იქვე.

3 დ. Бақрадзе, Сванетия, ЗКОИРГО, кн. VI, 1864, стр. 38.

1 ნ. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გაზ. „მებრძოლი“ № 155, 1964, 29 დეკემბერი.

ძნელი ჩანს იმის ზუსტად დადგენა, თუ როდის დაიწყო სვანეთში ფეოდალიზაციის პროცესი. ამასთანავე როგორც წერტილში იყარაობიდან, ისე მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ირკვევა, რომ XI საუკუნიდან სვანეთში ფეოდალური წყობილება ბატონობდა. XI-XIV სს. სვანეთი გვევლინება საქართველოს ფეოდალური მონარქიის ერთ-ერთ საერისთავოდ, სადაც პრივილეგიურ წოდებას აზნაურები განეკუთვნებოდნენ. XI საუკუნეში მთელ სვანეთში (ბალსტეში სვანეთის ყველაზე განაირა სოფლებშიც კი) აზნაურები ბატონობდნენ, ამას გვიდასტურებს იფრატის (1096 წ.), კვირიკისა და ივლიტას (1112 წ.) და იფრატის (1130 წ.) ეკლესიების წარწერები. აი იფრატის ეკლესიის წარწერა:

1. „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მოხატა და შეიქმნა წმიდა ესე ეკლესიაჲ (სადიდებლად აზნაურთა) ამის ქვეისა, ყოველთა დიდთა და მცირეთა, შვილთა და მომავალთა მათთა და სულთა მიცვალბულთა მათთასა.“

2. წმიდათ მთავარანგელოზო, შეიწყალენ ორითვე ცხოვრებითა, ამინ. (მოხატა დასაბა) მითვანთა წელთა ხ — ქორონიონსა ტიე ქელითა თვედორე მეფისა მხატვრისათა. წმიდანო მთავარანგელოზო შეუდნეთ.“²

მსგავს წარწერას ვხვდებით კვირიკისა და ივლიტას ეკლესიაში:

„1. ქ. სახელითა ღმრთისაჲთა (მო) (ი) ხატა და შეიქმნა წმიდაჲ ესე ეკლესია... სადიდებლად და სალოცველად.“

2. ამის ქვეისა აზნაურთა... და ყოველთა რამელნი აშენებ (დ) ენ. წმიდაო კვირიკე აღიდგენ და შეიწყალენ.“

3. „...დასაბამითვანთა წელთა ხლიე (6716) ქორონიონსა...“³

1. აღნიშნული წარწერების ნაწილი 1910 წელს ამოკითხა ექვთიმე თაყაიშვილმა (იხ. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 208); აღნიშნული წარწერები 1938 წელს დეტალურად შეისწავლა შალვა ამირანაშვილმა (იხ. Ш. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, Тб., 1957 გვ. 134-135); წარწერებს უტრადლება მიაქცია პ. ინგოროყვაი (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უწყება, ტ. VII, თბ., 1933, გვ. 348). მითითებული წარწერები რამდენიმეჯერ იქნა გამოფრული საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 1947 და 1952 წლების ექსპედიციების დროს.

2 Н. Аладашвили, Т. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре Верхней Сванетии, Тб., 1966, стр. 4.

3. დასაბელებული ნაშრომი, გვ. 5.

ასეთივე სოფ. ნაიფრატის ეკლესიის წარწერაც:

„სახელითა ღმრთისაჲთა მოხატა“ (და შეიქმნა) საყდარი ესე წმიდისა გიორგიის სადიდებლად და სალოცველად) აზნაურთა (ამის) ქვეისათა ყოველთა.“¹

მორთული წარწერები მრავალმხრივია საყოველთაო: ჯერ ერთი, წარწერებიდან ნათლად ჩანს, რომ მე-11 და მე-12 საუკუნეებში ბალსტეში სვანეთის ქვეებში კალასა და იფრატში აზნაურები ცხოვრობდნენ, რაზედაც მიუთითებს სიტყვები: „ამის ქვეის აზნაურთა“, მეორე, წარწერები ცხადყოფენ იმასაც, რომ ამ ქვეებში აზნაურებს ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებული მდგომარეობა სჭეროდათ, რაზედაც თვით ეკლესიების აშენებაც მიუთითებს.

მართალია, მე-12-13 საუკუნეების სვანეთის სოციალ-ეკონომიურა ურთიერთობის გასატყვევად უხვი მასალა არ გავაჩინია, მაგრამ აქ ფეოდალურ დიფერენციაციანზე, სხვა ცნობებითა ერთად, უნდა მიუთითებდეს „ისტორიანი და აზნაი შარავანდედანი“, სადაც ნათქვამია: „ვინცა ვარდამოყოფეს სუანნი ლიდებულნი და მტყვენი (ხაზგასმა ჩემია გ. გ.) და ვარდამოიტანეს რუსი, მეფე ყოფილა, და მისცა დედოფალმან სიმტყიეც პირველად რუსის უნებლად გამეფებისათვის და მერე მის ეამისა შეყოფებისათვის არას შენადებისა“² თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სვანეთში ფეოდალურ დიფერენციაციანზე აღნიშნული ცნობებიც მოგვეპოვება, ცხადი უნდა იყოს, რომ აქ მოხსენიებული „ლიდებული“ და „მტყვევ“ სვანეთში წოდებრივ დიფერენციაციის არსებობას გვიდასტურებს.

სვანეთში XIV-XV სს. ფეოდალური ურთიერთობის არსებობაზე მიუთითებს მრავალი საბუთი (სტავდასტევა სახის მინაწერება, საერთოპირო, სასოფლო, საყოფა აქტები და სხვა). ეს ჩანს იოსელიანისა და დემეტრე სეტყელის ოჯახების შორის დადებულ ხელშეკრულებებშიც: „ქ. მთავარ მოწამისა სეტისა თავსდებობითა და შეუამღვომლობითა, დაგიწრეთ და გიბოძეთ დაწერილი ესე სამოკეთო ჩვენ იოსელიანთა უზზეგ და არღონ, თქვენ სეტელის (...) ნთა დემეტრეს მტკიეც და უმტყველი ეკოვლა მიზეზისაგან უმარუზოი, უთოთო და უთუმტოი, აქათ და უჯუნისამდე შევსუა-ღებულთ. მას ეამსა, ოდეს მოვიწინა ჩვენიო ქელთა (გლუხად) ყოფაი და ჩვენ წყალობაი გიმედეთ. აწ დღასითაგან წალმა თქვენთუის კარგი ვიყოთ, რაიც თქვენსა საქმეს უჯობდეს“

1 იქვე, გვ. 6.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959 (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), გვ. 54.

3 აღნიშნულ საბუთს პ. ინგოროყვაი მე-15 საუკუნით ათარიღებს.

იგი მოვიღებოთ, არაი და(გა)კლოთ, ვითა ჩვენსა გლეხსა ეგრე დაგადგეთ (ხაზგასმები ჩემია გ. გ.)¹ საბუთო მოწმობის დემეტრე სეტრელის ყმურ დამოკიდებულებას იოსელიანთა ოჯახის მიმართ. არსებობს ისეთი საბუთებიც, რომლებიც აზნაურთა მიმართ ყმათა ვალდებულებით ურთიერთობას გამოხატავენ. ერთ ასეთ საბუთში ვკითხულობთ: "წმიდის გიორგის სეტისა და მაცხოვრისა მულახისა თავსდობობითა და შუქვამდგომლობითა დაგაიწერეთ და ვიბოძეთ ჩუენ მჭაფრიანმან თქუენ ხერგიანთა მტოცე და უტყვევლი: თუ ხერგიანია ასი მოსახლე იყოს, ამ ორი საკლავის მეტი არა მპართებდეს; რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიკელი უდს (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)²... საბუთიდან ჩანს: ჭურ ერთი, ხერგიანები დაბეგრვილი მყოლიათ ჭაფარიძეებს; მეორეც, იოსელიანებს ყმები მყოლიათ; მესამეც ხერგიანების ვალდებულებათი დამოკიდებულება განუსაზღვრავთ იოსელიანების ყმათა ვალდებულებების კვალობაზე. ფრიად საყურადღებოა შემდეგი საბუთიც: "თუ ამ გულზე შეიქენით, ჩუენ მოგახსენებთ რომე, ჭაფარიძის გვარი იყოს, ესე ფიცი არ გავიტეხოთ: თუ ასი მოსახლე შეიქენას ამ ორ საკლავს იქეთ არა ემატოს; თუ განაყოფი ამოუწყდეს, ქრთამი არ მოუნდეს; თქუენით ვარკაცობით თუ სამეზაურის წამოგულებით, თუ არა (არა) (გ)კადროთ(?)! სადაც გუახლდეთ, თქვენ არა ვისი ვარჩიოთ, რომე ჭაფარიძე ყმინად დაიყოცოს — მაშინცა არა ვეხარჩლო (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)³. ფეოდალურ ურთიერთობაზე მიგვიანთებს სხვა საბუთიც: "ღმერთისა თავსდობობითა ვიდეს იქით არა ვიხორცო ერთი ზაქლავისაგან მეტი (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)⁴ როგორც ეხედათ მებატონის მეზვერისათვის დამატებით ვალდებულებებზე ერთი საკლავი.

ბატონყმურ ურთიერთობას გვაძენობს ასეთი სახის ბელშეკერულება: "ღმერთისა დედისა თავსდობობითა და შუქვამდგომლობითა დაგაიწერეთ ესე წიგნი ჩუენ მჭაფრიანმან ქელიძის მუტლიანსა და მის შვილებსა ამა პირსა ზედა, რომე ერთი ცხუვარი ბეგარა, ერთი მგზავრობაჲ საქმავიაროს იყოს, ერთი ზამინ, სამი ნადობა, — უყუნისამდე (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)⁵ ამ საბუთში გამოკვეთილად ჩანს მგბატონისა და ყმის საუკუნო საბეგარო-ვალდებულებითი ურთიერთობა.

3. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებულ მთელ რიგ (20, 21, 31, 32, 49 და სხვ.) დოკუმენტებიდან ჩანს ბალსზემო სვანეთის მოსახლეობის წოდებრივი დაყოფა. მე-20 საბუთიდან ჩანს რომ სასაფლო მიწის მიტაცებისათვის ჭაფარიძეებს უპირისპირდება მესტიის ჭევის რამდენიმე გვარი. მესტიაში მოსახლე აზნაურებისა და გლეხების ასეთივე დაპირისპირება ჩანს 21-ე საბუთიდან. ასევე შემდეგი საბუთიდან: "ქ ესე წიგნი დაგუწერათ ჩნ ხერგიანებმან. წა გიურგი 75 აზნაური ულსა გვრჯის გლხი კეს მახე გაწყნეთ მას შწერლეს. ხერგიანის გუარის კვი აზნაური კვი თუ შემაკუდეს, ხიხლი ყმან გარდაჯობად. თუ ხერგიანები იმას შევაკუდეთ, ყი ისი გლხმან კესმ (ხაზგასმები ჩემია გ. გ.)⁶ 22-ე საბუთში ჩანს ჭაფარიძეთა და იოსელიანთა მეთაური როლი მესტიის მოსახლეობის წოდებრივ დაყოფასთან ერთად ზოგიერთი საბუთი გვაძენობს აზნაურთა უპირატესობასაც: "....ჩუენ ქვემან ერთობიანდა მებტისამან, ერთობილა დილა და მიცირთა, ვარტა და გლეხთა, ყოველთა, ერთმანერთისა ნდობითა დამოწმებითა, მას ეამსა, ოდეს კილსა ზედა ეკლესია ავაშენეთ. იგი ეკლესიისადა კილსადა მთისა ვინცა რაცა შესკლდოს, ანუ სეტის შესაგლსა შივა ვინცა რაცა ვინ შესკლდოს. ერთისა ჭაფარიძისა და ანუ იოსელიანისა სიხლი მისითა ხანაქმართთა ედგას მათა და სიხლად ვერჩილეთ (ხაზგასმები ჩემია გ. გ.)⁷ ამ საბუთში აზნაურების პრივილეგიაზე მეტყველებს სოფლის მოსახლეობის მუჭარა რომ დამწავავეს გადაახდევინებენ ჭაფარიძის ან იოსელიანის სიხლის ფასს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჭაფარიძესთან ერთად მობსენიებულთა იქნებოდა მესტიის სხვა რომელიმე გლეხის გვათ და არა იოსელიანები. აღნიშნული საბუთი (ანუ სამაგრობულო) ხელმოწერილია 72 პირის მიერ და ნათლად გამოხატავს მესტიის მცხოვრებთა სოციალურ სახეს, მოსახლეობის დაყოფას აზნაურთა ("ვარჯთა") და გლეხთა წოდებად.

მოტანილი საბუთებიდან კარგად ჩანს სასოციალურების ფეოდალურ-წოდებრივი დაყოფა ბალსზემოს სვანეთში.

საბუთებიდან ირკვევა, რომ სვანეთში სხვადასხვა სოციალური წოდებანი ვარკვეული საჭიროებისას დროებით ერთიანდებოდნენ გარეშე მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ. საისტორიო წყაროებზე გულისხმობს დაკვირვება გვარწყმუნებს, რომ რიგ შემთხვევაში საფრთხე მტრის წინააღმდეგ ერთად გამოდიოდნენ არა მარტო ერთი ან რამდენიმე სოფლის აზნაურები და გლეხები, არამედ, ზოგჯერ მთელი სვანეთის სხვადასხვა წოდებებიც. ასეთი სახის

1. 3. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბილისი, 1941, გვ. 14.

2. 3. ინგოროყვა, იქვე, გვ. 15.

3. 3. ინგოროყვა, იქვე, გვ. 16.

4. ჯად ნიშნავს გადასახადს, მისატანს.

5. 3. ინგოროყვა, იქვე, გვ. 16.

6 ზამი — ღორი.

7. 3. ინგოროყვა, გვ. 16.

1 3. ინგოროყვა, გვ. 25.

2 3. ინგოროყვა, გვ. 110.

3 3. ინგოროყვა, გვ. 53-54.

ერთ-ერთ საბუთში რომელიც მე-14 და მე-15 საუკუნეების მიწინა თარიღდება, ნათქვამია: „ქ შთავარ მოწამისა სტრისა თავსდებობითა და შვამდგომლობითა და(ე)წერეთ (და) დაედევით დაწერილი ესე სრულიად სვანეთისა კვიცისა ვუშუღსა და ლაღვარსა შვა სამაგარაზღვრად ჩვენ ერთობლიან ქვემან, ვარგმან და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედანსმან, უჯადანსმან, ყვალამან მტკიცე და უცვლელი (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)“¹. როგორც ვხედავთ სამაგარობელი შეეხება მთელ ზემო სვანეთის წოდებათა ვაერთიანებას საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩანს ქვეყნის ანტილობის პირობებში პრივილეგიურ წოდებას უძირდა საკუთარი ინტერესების დაცვა, ვარშემ მტრების მოძალების მოგერიება. ამასთანავე ქვეყნის ინტერესების დაცვის მოტივით ის ახერხებდა გლეხობის მიმხრობას, მასთან ვაერთიანებას.

შთავარი კი ისაა, რომ ზემოთ მოტანილი საბუთები ექვემდებარებოდა გვიდასტურებენ პრივილეგიური წოდების არსებობას მთელს ზემო სვანეთში და კერძოდ ბალსზემო სვანეთში. მოხუცდავად ამისა, ზოგიერთ მკვლევართა აზრით მოცემულ ხანის ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთში ერთმანეთისგან განსხვავებული პოლიტიკური ვითარება არსებობდა, რომ თითქმისდა ბალსზემო სვანეთში მხოლოდ თავისუფალი მეთემე ცხოვრობდა, ხოლო ბალსქვემო სვანეთში „ვარგი და გლეხი“². მართალია, ეს მოსაზრება არ უარყოფს ბალსზემო სვანეთში საზოგადოების არაღი „X“ დიფერენციაციის არსებობას, მაგრამ ეს დიფერენციაცია არ სცილდება „თავისუფალი მეთემეს გლეხების პროცესს“³. მოცემული მოსაზრების ავტორთა მტკიცებობა: „ცალკეული დოკუმენტები, რომლებიც ბალსზემო სვანეთს შეეხება, ახვევ მოახსენებენ „ვარგისა და გლეხთა“, „მდიდთა და მცირეთა“ ბალსქვემოური დოკუმენტებისათვის დაზახსიათებელი ფორმულების შესაბამისად და ჩანს მათა ვადგენით (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)“⁴. დამაფიქრებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ავტორები ამ შემთხვევაში ბალსზემო სვანეთში „ვარგის“ (აზნაურთა) არსებობის უარყოფამდეც კი მიდიან. საბუთები ასეთი შეხედულების საწინააღმდეგოდ მერყევილებენ. განა შესაძლებელია აზნაურები (ანუ ვარგები) და გლეხები არ არსებობდნენ, ნუთუ აქ არ ცხოვრობდნენ აზნაურები: ჯაფარიძეები, იოსელიანები?... თუ-

კი ზელშესახებ საბუთებს რაიმე აზნაური გვეწვავა ამ ფაქტის უარყოფა ამსოფერტურად შეუძლებელია.

სვანეთსა და მეფე ალექსანდრეს შორის დადებული სამომაროებლო სიგელი ასევე ადასტურებს, რომ შუა საუკუნეებში მთელი ზემო სვანეთის მოსახლეობა დაყოფილია აზნაურებად და გლეხებად. ეს სიგელი პირდაპირ გვიდასტურებს, რომ აზნაურები ცხოვრობდნენ ე. წ. სვანეთის „მთიულეთის თემშიც“. მეფე ალექსანდრემ სვანეთი აიძულა რაპის თავად ჯაფარიძის სისხლის ფასში დაეთმო სოფ. ცენას იქით და ოსეთს აქეთ მდებარე ტერიტორია თავისი მოსახლეობით „ასე ვქონდეს შევლად და სამამულთო კიდარეთის ზედათი, და გლოლას ზედათი, ცენას იქით ოსეთს აქეთ და სრულიათ მთიულეთი ოთხასა ექამლი აზნაურიშვილიანთ, გლეხიანად (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)“¹. აღნიშნულ საბუთში ჩამოთვლილია აზნაურებიც, ესენია: ხოხაგაძე და გაგაშვილები, სიგელიდან ჩანს ისიც, რომ აღნიშნულ ხანაში ბალსქვემო სვანეთში რჩებოდნენ და დადგმულიანება ცხოვრობდნენ: „...და მერმე შევიყარებით სრულიად სვანეთის ჩენილები. და ვქენით ვაზარობა. მიველით ეცერს, რიჩვიანისა და დადგმულიანება შევხვეწიწენით და აღიანთან გაგვზავნეთ...“² ამასთანავე სიგელში მთიულეთში მოსახლე აზნაურების გვერდით ბალსზემო სვანეთის სხვა აზნაურები არაა დასახელებული, რადგან ვარშემოება ამის აუცილებლობას არ მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტში დასახელებული იქნებოდა არა მარტო ბალსზემო სვანეთის აზნაურები, არამედ თავიანთი წოდებით იქნებოდა მოხსენიებული რიჩვიანები და დადგმულიანებიც, როგორც ვხედავთ ეს უკანასკნელიც მხოლოდ ვვარით არიან მოხსენიებული. მაშასადამე, თუკი საბუთებს აზნაური გვეწვავა, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ შუა საუკუნეებში სვანეთი სოციალური სტრუქტურით არსებითად ერთგვაროვანი — ფეოდალური. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბალსქვემო სვანეთში დადგმულიანთა სამთავრო ჩამოყალიბდა, ხოლო ბალსზემო სვანეთი წყარო-აზნაურულ-გლეხურ ეტოხედ დარჩა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ჩვენ შეგვეძლო სხვა სარწმუნო წყაროების დამოწმებაც, მაგრამ ვფიქრობთ მოტიანილი საბუთებიც საკმაო საფუძველს იძლევიან იმის დასამტკიცებლად, რომ შუა საუკუნეების სვანეთში ფეოდალურ-მატრონეური წყობილებაა, რომ ამ მოსახლეობის ფეოდალურ-წოდებრივი დაყოფა ყოველგვარ ექვემდებარება.

1. ევანტიე გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 16.

2. ე. გაბლიანი, იქვე, გვ. 15.

3. ე. გაბლიანი, იქვე, გვ. 13.

1 ბ. ინგოროყვა, გვ. 5.

2 რ. ხარაძე, ილ. რომაძიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 1964, თბ., გვ. 104.

3 იქვე, გვ. 104.

4 იქვე, გვ. 104.

5 იქვე, გვ. 105.

საბუთებიდან ჩანს ისიც, რომ პრევილევური წოდება საგანგებო შემთხვევებისას დამოკიდებულ წოდებასთან ერთადღებოდა — „ერთობლივ კვეშე“, მაგრამ ეს ერთობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და სრულიადაც არ ნიშნავდა აზნაურისა და გლეხის წოდებრივ გათანაბრებას, მათ შორის სოციალური უთანასწორობის მოსპობას.

ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების გარკვევისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოციალური ურთიერთობის ამსახველი ენებების — „ფუსლ“-ისა და „ვარგ“-ის შინაარსის მართებულად გარკვევას. აკად. ნ. შარის განმარტებით „ფუსლ“-ი არის მეგობრობე, ბატონი (вусд-господин, господ)! „ფუსლ“-ს ასევე განმარტავდნენ მ. ზავადსკი, ა. სტოიანოვი, დ. შარკინი და სხვ. „ფუსლ“-ს საგანგებოდ შეეხო აკად. ს. ჯანაშია, რომელმაც განმარტებითაც ნიშნავს ფეოდალს, ბატონს, სიუზერენს, მთავარს. სვანურ ზეპირსიტყვიერებაში, როგორც ბალსჭვევით, ასევე ბალსზემო სვანეთში „ფუსლ“ იხმარება ბატონის, უფლის მნიშვნელობით.

ს. ჯანაშიას აზრით „ფუსლ“ სემანტიკურად ყველაზე ახლო ღვას ქართულ უფალთან. ფეოდალური ურთიერთობის თვალსაზრისით „ფუსლ“ ნიშნავს ფეოდალს, ბატონს, მთავარს, მბრძანებელს, ბატონს. ფუსლდება იწოდებოდნენ მეფეები, ასევე დადებულნი იყვნენ და სხვ.

სოციალური შინაარსისა, აგრეთვე სვანური ტერმინი „ვარგ“, რომელიც აკად. ს. ჯანაშიას განმარტებით გამოხატავს პრევილევურ სოციალურ წოდებას — აზნაურს.

როგორც ზემოთ აღნიშნავდით, სვანეთის სოციალური ძეგლებში მრავლად ვხვდებით „ვარგ“-ს და „გლეხ“-ს, „უფროსისა და „უმცროსის“, „უზედავისა“ და „უქედავისა“. სოციალურად დაქვემდებარებული და ჩაგრული წოდების გამოხატველ ტერმინებს შორის სვა-

ნურში „გლეხის“ გარდა აღსანიშნავია: „ქორს-მერდე“, რომელიც შინაგონის მნიშვნელობით იხმარება, ასევე „ლიდაანე“ მთავრად, ქორავებელი, შინამოსამსახურე, „ფადლი“ — ყმა, მოახლებ და სხვ.

თუ კი საისტორიო ძეგლებსა და სვანურ ზეპირსიტყვიერებას რაიმე ანგარიში გავწევთ, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმ პირობების წამოსაყენებლად, რომ თითქოსდა ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები მარტოდ მარტო მაღალკვებო სვანეთში არსებული სოციალური ვითარების კვალობაზე შეიქმნა და ისინი მხოლოდ აქაურ ვითარებას შეესაბამებოდნენ. სინამდვილეში აშკარად ჩანს, რომ ამ ტერმინების ამოცნენებისათვის ბალსზემო სვანეთში ისეთივე სოციალური საფუძველი არსებობდა, როგორც ბალსჭვემო სვანეთში. ზემო სვანეთი რომ ერთბაშე ფეოდალურ მხარეს წარმოადგენდა, ეს დასტურდება აგრეთვე საქართველოს ამ კუთხეში ქრისტიანული სარწმუნოების უადრესი სიძლიერით. შუა საუკუნეების სვანეთში განსაკუთრებით ძლიერ ვიდგა ფუსლები ფეოდალურ საქართველოს იდეოლოგიამ — ქრისტიანობამ. ამის თითქოსდა მუწვი, მაგრამ მაინც ბევრის მტკიცეული მოწმეა საქართველოს ამ კუთხეში მრავლად შემორჩენილი საეკლესიო ძეგლები: მაღალი ხელოვნებით შესრულებული და მოხატული საეკლესიო ნაგებობანი, ეკლესიებში დატეული უნიკალური ჯვარბუდეები და სხვა ძვირფასი ნივთები. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ მიუხედავად იმითა სიავისა 1910 წელს (არქეოლოგიური ექსპედიციის მონაცემებით) ქვემო სვანეთში 25 ეკლესია, ხოლო ბალსზემო სვანეთში 56 მოქმედი ეკლესია არსებობდა. სავთლისხმო უნდა იყოს ისიც, რომ მხოლოდ კელისა და უშგულის 11 ეკლესიაში ინახებოდა 299-მდე ნივთი, რომელთა უმეტესობა უნიკალურია, ადგილზეა დამზადებული და კუთხის განვითარებულობაზე მიუთითებს. მარტო ამ განემოების გავალისწინებაც კი საქმარისი უნდა იყოს იმისთვის, რათა სვანეთი მივიჩნიოთ ფეოდალური საქართველოს ერთერთ განვითარებულ კუთხედ. ანგარიშგასაწვევია საეკლესიო მსახურთა სიძრავეც. შუასაუკუნეების ძეგლია წარწერებში და მინაწერებში ხშირად ვხვდებით სვანეთის ეკლესიამონასტრებში მომსახურე: მვლდის, ბერის,

1 Н. Марр. Извлечение из Сванско-русского словаря. Материалы по яфетическому языкознанию, X. Петербург, 1920, стр. 30.

2 М. Завадский, Сванско-русский словарь СМОМПК, в 10, 1890, стр. 69.

3 Я. Стоянов, Образцы Сванской народной поэзии, СМОМПК, в 10, 1890, стр. 59.

4 Д. Маргиани, Сванетия (некоторые черты быта), СМОМПК, в 10, 1890, стр. 72.

5 ს. ჯანაშია, შრომები, 111, თბ. 1959, 131-135.

6 სვანური პოეზია, 1, თბ., 1939, გვ. 28, 42, 70, 72, 84, 112, 116, 119 და სხვ.

7 ს. ჯანაშია, შრომები, 111, გვ. 135.

1 ცნობები ამოკრფილია ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს.

2 Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, исследование по истории грузинского средневекового искусства, Иллюстрации, Тб., 1959, Текст, Тб., 1959.

დეკანოზის, წინამძღვრის მონაზონის და სხვ. სახელებს. საბუთებიდან ჩანს, რომ სვანეთში საეკლესიო უმებოც არსებობდნენ. აი ერთ-ერთი საბუთი:

„ქ. ესე ნიშანი და დაწერილი დაიწერეთ მოვაქსენე მე იუანე და ხერგო გელოვანმა თქვენ წმიდასა მთავარან(გე)ლოზსა და მისთა (...) ბელთა ლი (ლისა) კვეთა, მას ეამსა, ოდეს ჩემისა (მატ)რონისა მიქელა(ისტ)ისა ნებთა მთ(ხე)რისა მთავარ(ანგ)ელოზსა და (გა)თუალეთ ჩუენ თავი, შვილი, და ჩასაც ჩუენი ჰქუიან, მკუიარად, ვიძრე ჩუენი თუმი იუს. ამხსხა წერასა ზედა ორი ადგილი მამული (მოფციო) (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)¹. ეკლესიისადმი თავი შეუწირავს შოშქოფარს ცოცხანს: „...დაიწერეთ დაწერილი ესე მე შოშქოფარ ტფცხანანან თქვენ წმიდასა მთავარანგელოზს მხერისასა და გოფლე (sic) ჩემი სახალე ჩემი მამოლი ტყე და ველი მიადა გორა საქმარი და უქმარი (sic) ვიბედნიეროს დოჰამ ჩემი მამი ბერი ვითა შეივადროთ დოჰამ თქვენც შვიც/ვ/ი/დ/როს (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)². ეკლესიისათვის ასევე თავი შეუწირავს ვიორჯი რიჩგანს და სხვ. საბუთებიდან ჩანს, რომ ეკლესიისათვის მრავალ პირს შეუწირავს თავი და მამული, რაც, აგრეთვე ეკლესიის სიძლიერზე უნდა მეტყველებდეს.

ისტორიო მასალებიდან, აგრეთვე ზეპირსიტყვიერებიდან კარგად ჩანს, ისიც, რომ შუასაუკუნეებში (განსაკუთრებით XI-XIV სს.) სვანეთი უმეიდროეს ვადმარში იყო ბართან და წარმოადგენდა ერთიან საქართველოს განუყოფელ ნაწილს. სვანეთის შვიდროს ურთიერთმა ცენტრალიზებულ საქართველოს კულტურის ცენტრებთან კარგად ჩანს, როგორც სასულიერო, ასევე საერო ძეგლებიდან. შემთხვევითი არ უნდა იყოს სვანეთის ეკლესიათა და მათში დაცულ ნივთთაწარწერები, სადაც გამოხატულია საქართველოს ერთიანობა. ეს ერთიანობა კარგად ჩანს ლატალის ერთ-ერთ ეკლესიის ხატის წარწერიდან, რომელშიც ნათქვამია: „აღიდენ მეფენი ბაგრატიონიანი, დადიანი და ლიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილი სანი (ხაზგასმა ჩემია გ. გ.)³.

საბუთებიდან ჩანს, რომ შუასაუკუნეებში სვანეთი არა მარტო სოციალ-ეკონომიკურად ყოფილა მოწინავე კუთხეთა რიგებში, არამედ იგი

აქტიურ როლს ასრულებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში. სვანეთის ერთსავები საქართველოს სამეფო კარზე, როგორც წესს მაჭუბტულებთუბუნის ან სხვა უმაღლეს თანამდებობას ასრულებდნენ. განსაკუთრებით კარგად ჩანს სვანეთის დიდი როლი თამარ მეფის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში⁴. ამაზე მეტყველებს თუნდაც სვანეთში თამარის კულტის არსებობა. თამარის სადიდებელი სვანური სიმღერები და ცეკვები, შოამბუქდავი ლევინდა-ვადმოცემები ასევე გვიდასტურებენ „მეფეთმეფისადმი“ თაყვანისმცემლობას. ბუერის მოქმედი სვანეთში ლევინდ შემორჩენილი თამარის სახელობის საეკლტო და-საერო ნაგებობანი, საეკლესიო და სხვადასხვა სახის ნივთები. ეხება არ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ავად. ნ. ბერძენი-შვილი აღნიშნავს: „იჩვენება რომ თამარ დედოფალი დაუმსახურებლად კი არ მიუთვინებია სვანეთს, არამედ შესაფერისი საქვეყნო დამსახურების შედეგად შექმნილან ისინი ღირსეულმა მონაწილენი საერთო სამშობლოს აყვავებამაღიერებისა“⁵. მსგავს ეთაბებასთან გვევს საქმე ფეოდალურ საქართველოს ცხოვრების სხვა ხანაშიც, როცა ქართველი მეფეები გულისყურით ეკიდებოდნენ სვანეთს, რომელიც ქვეყნის საერთო ცხოვრების უშუალო მონაწილე იყო. შორს წავივინებოდა იმ ქვარ-ხატების საეკლესიო ზარებისა და სხვა ძვირფასი ნივთების ჩამოთვლა, რომლითაც საქართველოს მეფეები, უნდა ვიფიქროთ, შემთხვევით როდი ამოკიდნენ თავის ერთ-ერთი კუთხის — სვანეთის ეკლესია-მონასტრებს და სხვ.

უვალად იყოს ეს არ უნდა მოწმობდეს სვანეთის ჩამორჩენილობას, მის კარბაეტილობასა და მოწვევტილობას ფეოდალური საქართველოს ისტორიული შემოქმედებიდან. პირბით, უნდა მოწმობდეს სვანეთის ყოფნას ფეოდალური საქართველოს განვითარების შესაფერის საფეხურზე.

ერთიანი და ძლიერი ცენტრალიზებული საქართველოს დამოს ვითარებაში არა მარტო შეფერბდა ქვეყნის პროგრესული განვითარების პროცესი, არამედ რაც შემთხვევაში აღგიოლი ჰქონდა რეგრესი, ერთგვარ უკანდახვასაც კი. ეს ბედი თავისებურად გაიზიარა სვანეთმაც. ერთიანი საქართველოს დამოს შემდეგ თანდათანობით იჩინა თავი სვანეთის სეპარატიზმი, რამაც ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე. სვანეთის კულტურულ-ეკონომიკური დამკვეთება საგრ-

¹ ბ. ინგოროვა, იქვე, გვ. 17.

² აქ, თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეხტმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 301.

³ იქვე, გვ. 301.

⁴ იქვე, გვ. 350-351.

⁵ იქვე, გვ. 364.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 54, 122.

² ნ. ბერძენი-შვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ვახ. „მებრძოლი“, № 155, 1964, 29 დეკემბერი.

ძნობა ჩანს მე-16 საუკუნიდან. ევთიმე თაყაიშვილის აზრით სვანეთში „საზოგადო კელტურის უაღრესად დაცემა განეუფლებოდა შეთორამებზე საუკუნესა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს“. ცენტრალური ხელისუფლების ვაგლუნის შესუსტებას დიერთა ადგილობრივი პარავილეგორი ფენის გაეღუნის შესუსტებამ, რამაც თავისი დალი დასვა ფეოდალურ-ბატონუმიერ ურთიერთობას სვანეთში, კერძოდ კი ბალსზემო სვანეთში, სადაც მებატონე აზნაურებმა მნიშვნელოვანწილად დაკარგეს თავილი პარავილეგები, ხოლო გლეხები კი ამდენადვე განთავისუფლდნენ დამოკიდებული მდგომარეობისაგან.

ამრიგად, ვფიქრობთ უდავოა, რომ სვანეთში მთელ დანარჩენ საქართველოსთან ერთად განვლო სოციალური განვითარების ფეოდალური საფეხური, მოკლებულ პროცესს სვანეთში უმკველია გაჩნდა თავის სპეციფიკაც, რომელსაც აქ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო დეტალურად ვერ შევხვებით. გვიანფეოდალური ხანის სვანეთის ერთ ნაწილში, სახელდობრ ბალსზემო სვანეთში (ე. წ. „თაყაიშვილი“ სვანეთში), როგორც ზემოთაღწეული თითქმის, სოციალურმა ურთიერთობამ ერთგვარი გარდატეხა განიცადა. ჩვენ აქ ვერ შევალთ იმის გამოძიებაში — თუ ისტორიული პროგრესის ბალსაზრისთან როგორ შეიძლება შეფასდეს ბალსზემო სვანეთის სოციალური ურთიერთობაში მომხდარი ზემოთ მოხსენებული გარდატეხა. ამიტომ მარტო იმ ფაქტს აღვნიშნავთ, რომ ცვლილების შედეგად გლეხობის ნაწილმა ძირითადად თავი დააღწია აზნაურთა მიმართ დამოკიდებულ მდგომარეობას და მხოლოდ ნაწილი დარჩა შესუსტებულ, არსებითად სიმპლურ ვალდებულებით დამოკიდებულებაში. ამ შოკუნის წარმოანჭმის ის თავისებურება სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც სახეზეა XIX საუკუნის ბალსზემო სვანეთში. (მსგავსი მოვლენები შეინიშნებოდა საქართველოს ზოგიერთ სხვა უბნებებშიც).

როგორია XIX საუკუნის რეფორმამდელი სვანეთის სოციალური ურთიერთობა? მოკლებულ ხანაში ჭკვეთ სვანეთსა და ბალსჭკვეთ სვანეთში ბატონყმური ურთიერთობის არსებობას აღიარებს მკვლევართა დიდი უმრავლესობა. მკვლევართა ნაწილი აღიარებს, აგრეთვე, ბალსზემო სვანეთში აზნაურთა პარავილეგორ მდგომარეობის და მათ მიმართ გლეხთა ვალდებულებით დამოკიდებულებას, ამასთანავე მიუთითებს აქ შექმნილ თავისებურებაზე, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ბალსზემო სვანეთის სოციალური ურთიერთობის შეფასება. რო-

გორც ზემოთაღწეულენიშნულ, ზოგიერთი მკვლევარი XIX ს. დასაწყისით ათარქვებენ ფეოდალიზაციის პროცესის დასაწყისს ბალსჭკვეთ სვანეთში, ხოლო ზოგიერთი აქ ხედავს გვაროვნულად ყოფის... პრავილეგოვან და მნიშვნელოვან გადმონათობებს, სოფლის თემის განვითარებას. ამასთანავე ამ უკანასკნელთა აზრით დროთა მსვლელობაში „სოფლის თემმა გვაროვნული თემი შეცვალა, ხოლო სოფლის თემი, რომელიც გვაროვნული თემის რღვევის პირობებში წარმოიშვა, რაც ფუნქციას სოფლის თემშიც ინარჩუნებდა“³, არიან ისეთი ავტორებიც, რომელთა აზრითაც ბალსზემო სვანეთის 1870-იან წლებშიც „გვაროვნული წყობილება იქცა... მოხუცდევად აზრთა სხვაობისა, ამგვარ თვალსაზრისებს ერთი საერთო ნიშანი გაჩინათ, ისინი ერთობ გამოირჩევიან XIX საუკუნის ბალსზემო სვანეთში ბალსზემო სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის არსებობას.

ამგვარი მოსაზრებების გადასინჯვის თვალსაზრისით საყურადღებოა ა. ჩარკვიანის მიერ ახლახან გამოცემული გამოკვლევა „სვანეთი“⁴, სადაც ჩვენს აზრთ, სწორადაა შენაშნული, რომ ბალსზემო სვანეთი თავის დროზე განვითარების ფეოდალურ საფეხურზე იდგა, ხოლო XIX საუკუნის რეფორმითა დროისათვის აქ პარავილეგორ ფეოდალურ წოდებას მნიშვნელოვანწილად დაუკარგავს თავისი უფლებები. აზნაურები: ჯაფარიძეები, იოსელიანები, ჩარკვიანები, ქორაყოლიანები, ყიფიანები, დვადარიანები და სხვა. დაახლოებით 31 ოჯახი, რომელთაც 151 შინაყმა ჰყოლიათ. გლეხთა შორის ზოგიერთი კლავაც გარკვეულ დამოკიდებულებით ურთიერთობაშია აზნაურთა მიმართ⁵. ამ გარემოებას ხაზს უსვამდნენ საგლებო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით სვანეთის სოციალური ვითარების გამოკვლევითი მოხელენიც, კერძოდ ქუთაისის გუბერნატორი წერდა: «В вольной Сванетии по добровольному разбору мною прав некоторых лиц, называющих себя азнаурами и заявляющих крепостные права на некоторых крестьян, я удостоверился, что в тех незначительных приношениях, которые некоторые крестьяне действительно делают азнаурам в размере, впро-

1. რ. ხარაძე, აღ. რომაქიძე, სვანეთის სოფელი ჭკველას, გვ. 81
2. იქვე, გვ. 114-115.
3. იქვე, გვ. 76.
4. ჩარკვიანი, სვანეთი (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი), „მეცნიერება“, თბილისი, 1967, რედაქტორი გ. მარგანი.
5. იქვე, გვ. 101.

1. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლჩხუმ-სვანეთში 1910 წ. გვ. 436

чем очень ничтожном, а именно: хлеба на 20 или 30 коп. в год, а также в принятом обычае угощать этих азнауров, в случае посещения вышеназванных крестьян...»¹.

მთავრობამ ალიაზა აზნაურთა მიმართ გლეხთა ნაწილის ვარკვეული ვალდებულებითი დამოკიდებულება. მაგრამ, ეს დამოკიდებულება არ ჩათვალა საკმაო საფუძველად იმისათვის, რომ დაემყარებინათ აზნაურთა მოთხოვნა გლეხთა პირადი ვათავისუფლების საზღაურის მიღებაზე. აზნაურთა ოჯახებში შინაგემების არსებობის ფაქტი მთავრობის მოხელეებმა სადღევოდ არ მიიჩნიეს.

შინაყმათა პირადი ვათავისუფლების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით წამოჭრილი სიტყვების გამო ელასტოვი შენიშნავს: «Освободить их с уплатою 25 руб. и притом только на мужскую душу, может породить волнение;» «возвратить же помещикам цену купил едва ли возможно и по ценности покупки, и потому, что в Сванетии рабы ценятся дорого, именно по невозможности достать прислугу, причем самые освобожденные не имея ни крова, ни занятия, ни хлеба, ни средств заработать его, и привыкшие между тем к горному воздуху, будут поставлены худшую почву прежнего положения, так, что обе стороны будут недовольны разрешением вопроса»².

აღნიშნულ ვარკველებათა გამო შენიშვნების პირადი ვათავისუფლების საკითხმა ფაქტურად ვერ კმაჟა გადაწყვეტა.

რეფორმათა პერიოდის სვანეთის სოციალური ურთიერთობის გამოკვლევის მასალების, აგრეთვე სხვადასხვა წყაროთა მონაცემების საფუძველზე ა. ჩარკვიანი მართებულად დაასკვნის: «ჩვენ თითქმის უღაო კენწარიტებად მიგვაჩნია ის, რომ სვანეთმა, მათ შორის ე. წ. თავისუფალმა სვანეთმა გააძრა ფეოდალურ-ბატონშემური ფორმაცია. თავისუფალ სვანთა თავისუფლება მათი კლასობრივი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინების შედეგი უნდა იყოს და არა ამ კლასის პატრიარქალური ყოფის გამოხატულება, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია» (ხაზგასმა ჩემბა გ. გ.)³. მართლაც, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დღემდე იგრძნობა იმის დამტკიცების ცდები, რომ თითქმის ბალსზემო სვანეთი სოციალ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით საუკუნეთა მანძილზე ჩამორჩა არა მარტო დანარჩენ საქართველოს, არამედ საკუთრივ ქვემო

სვანეთსა და ბალსქვემო სვანეთსაც. ასეთი რჩევის მკვლევარები ანგარიშს არ უწყვევენ არა მარტო ისტორიულ ფაქტებს, არამედ განვითარების დონის განსაზღვრულ ფაქტორებს. უფრობობ, განვითარების თვალსაზრისით სვანეთის სხვადასხვა ნაწილებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არსებობდა. მართალია სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის ბალსზემო სვანეთში ერთგვარი თავისებურებაც ახასიათებდა (კერძოდ წერტილი აზნაურული მეურნეობის არსებობა, გლეხთა ერთი ნაწილის პირადი თავისუფლება, ხოლო მეორისა ერთგვარი შემსუბუქების ვალდებულებითი დამოკიდებულება), მაგრამ არა ისეთი სპეციფიურ-თვისობრივი, რომელიც თუნდაც ოდნავ მაინც მოგვეცემდა საფუძველს აქ გვარკვეული წყობილებისათვის ურთიერთობის არსებობის სავარაუდოდ-საზოგადოების განვითარებას, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს მატერიალური დოვლათის წარმოების წესი. ამ მხრივ, როგორც ეს ა. ჩარკვიანის აზრითაა დანაკ ჩანს, მთელ სვანეთში არსებითად ერთნაირი ვითარება იყო. ერთგვაროვანი იყო არა მარტო მეურნეობის სისტემა, სამუშაო იარაღები და სხვა. არამედ მოსახლეობის კულტურა, ადა-წესები, ზნე-ჩვეულება და სხვა. ე. წ. არსებითად ერთნაირი იყო ყველაფერი ის, რაც განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას.

სვანეთის სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის ვარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს XIX ს. საზოგადოებრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის, კერძოდ ადგილობრივ მოსახლეობაში დამკვიდრებული ადა-წესებისა და ზნე-ჩვეულებების ობიექტური ასახვა-შეფასებას, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამაში ეძებს გვარკვეული წყობილების მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვან გადმონაშთებს.

სვანეთში ვარკვეული ზოგიერთი ადა-ჩვევა აღწერილი აქვს ბ. ნიკარაძეს, ევგ. ვაბლიანს, ლ. დადიანს, ივ. მარკვიანს და სხვ. ჩამოთვლილი ავტორები თავისებურად აღწერენ ამ ადა-წესებს, ხოლო ზოგიერთი რევოლუციონური და საბჭოთა მკვლევარი ვაზაიძე-ბუღაღ და, ხშირ შემთხვევაში, დაახინაყბუღაღაც კი განმარტებს მათ მნიშვნელობას: ე. წ. «გვარკვეული თემობის» მიმდევრები მეტწილად შენობილი გზით ცდილობენ დაამტკიცონ სვანთა „პირველყოფილობა“, ისინი აცხადებენ, რომ XIX ს. სვანეთში (უბიარტესად ბალსზემო ნაწილში) არსებობდა გვარკვეული წყობილების მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი გადმონაშთები».

დასახელებული თეორიის მიმდევრები სვანეთში გვარკვეული წყობილების გადმონაშთის არსებობის ერთ-ერთ საბუთად ე. წ. „მხევის“

1 ა. ჩარკვიანი, სვანეთი, გვ. 102.

2 იქვე, გვ. 102-103.

3 ა. ჩარკვიანი, იქვე, გვ. 81.

ინსტიტუტის არსებობას ასახელებენ. „მახვი“ სენერს, ჩანს, ზედსართავი სახელის „ზომა-საგან (დღი) უწარმოებია. აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი მათემატიკის სამუდამო-ბით: „მახვი-ი, მახვი-ი, მახვი“ და ნიშნავს უღელეს, ყველაზე დღს. ეს ნაწარმოები სახელი სენერსში დამკვიდრებული უნდა იყოს ოჯახის უფროსის აღსანიშნავად. ჩვენამდე სწორედ „მახვის“ ამ მნიშვნელობამ მოაღწია. „გვაროვნული თეორიის“ მიმდევრები „მახვის“ ცნებას იხივებენ ოჯახის, საშვოს, გვარის, სოფლის, რამდენიმე სოფლის და ზოგჯერ მთელი სენათის უფროსთან. აი რას წერს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მიღებულ „მახვის“ განმარტების წინამდებე ა. ჩარკიანი: „ზღაპრული გადმოცემა, რომ თითქმის „თემს“ (სავარჯულო) XIX საუკუნეში ჰყავდა ამორჩეული, ან კიდევ დანიშნული „მახვი“. აი თქმა უნდა, — ვანაგრობის იგი, — გვარში თავისი ასაკით, ვაჟოცილებით, თუ გაუღენით გამოიჩინოდნენ ბიჭები, რომელთა მოსაზრებას ნათესაობაში განსაკუთრებული ანგარიში ეწეოდა, თქვა გვარს თუ სავარჯულოს რეალური ე. ი. საერთო „მახვი“ არ ჰყოლია“. „მახვი“ რომ არ ირჩეოდა არც ოჯახში, არც თემში, არც გვარში და არც საერთოდ, ეს დასტურდება სენათის საისტორიო ძეგლებითაც, სადაც „მახვი“ საერთოდ არაა მოხსენიებული. ზეპირსიტყვიერებაში კი ვხვდებით ამ გამოთქმას, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშია ხშირად წარმოდგენილი. ამჟამად „მახვის“ ზოგჯერ უწოდებენ თანამდებობის პირს, მაგრამ ეს არის ამ ტერმინის მიერ შექმნილი სისხლე, მისი მნიშვნელობის ვიწროვება. ოჯახის უფროსის — „მახვის“ — თანამდებობრივი-არჩევითი ინსტიტუტი, როგორც გვაროვნული წყობილების გადმონაშთის ელემენტის არსებობა სენათში არც ისტორიულ წარსულში და არც მე-19 საუკუნეში არ დასტურდება.

მე-19 საუკუნეში სენათში გვაროვნული წყობილების გადმონაშთის არსებობის ერთ-ერთ საბუთად ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს „ლუზორს“, „ლახორს“. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში „ლუზორ-ლახორ“ განმარტებულია, როგორც სახალხო მმართველობის მუდმივ-მოქმედი ორგანო. „ლუზორ“-ის, ანუ „ლახორ“-ის პირდაპირი ექვივალენცია კრება, შეკრება, შევერილობა (ყრბილობა). საისტორიო ძეგლებიდან ჩანს, რომ სენათში საერთო შეკრება ხდებოდა ძალზე იშვიათად, მარტო საგანგებო შემთხვევაში. როგორც კი საპირპირიტო საკითხი განიხილებოდა, კრებაც წყვეტდა თავის არსებობას. საბუთებით არ დასტურდება თითქმის ამ კრებაში მონაწილეობდა ოჯახიდან

თითო აღმნიანი 18-დან 20 წლის ასაკი ზევით, რომ ვითომდა კრებას თავმჯდომარეობდა „მახვი“. ზღაპრულია კრების უფლებამოსილებების ეთნოგრაფიული განმარტებაც. კერძოდ, მტკიცება კრების მიერ დანიშნვის სიკვდილით დასჯის შესახებ და სხვ.

საერთოდ კრება რომ იშვიათი შემთხვევა იყო, ამასზე მთელითებს თუნდაც ბალსუგის სენათის წარმომადგენლობაა 1875 წლის კრებაზე ყასბულთ შერეაშიძის სიტყვა: ამგვარი ყრბობა მთელს ხვეისა, — აღნიშნავს იგი, — როგორც დღეს ვხვდავ აქ: ძველადღე ხშირად ყოფილა თურმე! თუ ჩვენ დაეკვირდებით იმას, რომ 1875 წელს ყასბულთ შერეაშიძე დაახლოებით 70-80 წლის იყო, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიღეთ, რომ 1800 წლის შემდეგ 1875 წლამდე ამგვარ შეკრებობას ადგილი არ ჰქონია. არც მე-18 საუკუნის სიგარტზე ამგვარი კრების ჩატარების დამადასტურებელი საბუთები არსებობს. მაშ რა ხელშეახებ წყაროზე დაყრდნობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბალსუგის სენათში XIX საუკუნის სიგარტზე ყრბობა ადგილობრივი თვითმმართველობის მუდმივმოქმედი ორგანოს წარმომადგენელია? საისტორიო საბუთებით არ დასტურდება „საოჯახო საბჭოს“ „უხუცესთა საბჭოს“, და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მოხსენიებული სხვა მსგავსი ინსტიტუტების არსებობა. ვაზნაოდებულია „ლახავის“, „ლახანის“ „სემირას“ და სხვათა როლის ეთნოგრაფიული განმარტებაც.

„გვაროვნული თეორიის“ მიმდევრები თავისი შეხედულებებს დასაბუთებას განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობენ ე. წ. „შესისხლეობის“ ინსტიტუტის რამდენაღე გაფართოებული ინტერპრეტაციით. საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაში საქმე ისეა დახატული, თითქმის შესისხლეობის საკითხში სენათის XIX საუკუნეში გაჩნდა ისეთი თავისებურება, რომელიც გვაროვნული წყობილების საწყის-მატარაქტის — ნიშნებსაც კი ატარებს. საკითხის ობიექტური გარკვევისათვის საჭიროდ მიგვაჩნდა ვაგნსენოთ შესისხლეობის საკითხში არსებული ავთო-წესის ძირითადი მომენტები, ავილოთ თუნდაც „წორ“ და „ლიწვრი“. ბესარიონ ნიფარაძე „წორ“-ს განმარტავს, როგორც სისხლს, ანუ სისხლის ფასს. „წორ“-ის ასეთივე განმარტებას იძლევა ეფ. ვაბლიანიც.

ჩვენი დაკვირვებით „წორ“ თავისი მონარსით უნდა მომადინებოდეს სწორიდან — ვაწორავ-

1 ბ. ნიფარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, 1964, გვ. 175.

2 ბ. ნიფარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, გვ. 117-122.

3 ეფ. ვაბლიანი, თავისუფალი სენათი, გვ. 110-111.

ბიდან, ამდენად „წორ“ ნიშნავს ფასის გადახდას, მატერიალურად ვასწორებას. „წორ“-ის პირველი საწყისი სახე უნდა იყოს „ლიწვრი“, საიდანაც წარმოდგება „მწვრი“. ამ შემთხვევაში „ლიწვრი“ ვულისხმობს ფიზიკურად ვასწორებას, ე. ი. სისხლის აღებას მოწინააღმდეგის მოსპობის გზით. მაშასადამე „ლიწვრი“ ნიშნავს მოწინააღმდეგის მოსპობას, ხოლო „წორ“ გულისხმობს ფასის მიღებას. თუ ჩვენ დავაკვირდებით სვანეთში გავრცელებულ ადათ-წესს, დავინახავთ, რომ მესისხლეობაში შუამუშევრებიდან მოყოლებული, ვაბატონებულ წესს წარმოადგენდა „წორ“-ფასის მიღება. არასწორი იგნებოდა იმის მტკიცება, რომ თითქოს სვანეთში მკვლელობისას საქმე ყოველთვის მშვიდობიანად წვდებოდა, ზოგჯერ ადვილი ჰქონდა საბასუხო მკვლელობასაც, მაგრამ აქ არსებულა ადათ-წესი თვით ვასწრახ მკვლელობის შემთხვევაშიც კი მატერიალურ ანაზღაურებას ითვალისწინებდა. ეს რომ ასეა, ამაზე ვარკვევით მივითითებს ბ. ნიკარაძე. მისი ვადმოცემით გლეხის, სისხლი უღრის: უშველში ექვს ნაჯომში მიწას, ანუ 36 ხარკში ანუ დაახლოებით 900 მანეთს. ამას ვარდა იხილდნენ სტეპანსკვა საჩქერებს: იარაღის, ქურქუღუნის, სამკაულის და მსხვილფეხა პირუტყვის სახით. იგივე ავტორმა ვადმოცემით სისხლის ფასი დაახლოებით ამდენსავე შეადგენდა მთელ ზემო სვანეთში, ქვემო სვანეთში კი სისხლის ფასი იმის ნახევარს უღრდა, რასაც ზემო სვანეთში, სტეპანსკვა ავტორთა ჩვენებით ბალსაზემო სვანეთში აზნაურის სისხლის ფასი უღრდა ითი. გლეხის სისხლის ფასს, სვანური ჩვეულებითი სამართალი მესისხლეობის საკითხში არ განსხვავდება ვახტანგ ბატონიშვილის სამართალსაგან. ეს რომ ასეა, ამის საიდუმლოებრივად საქმარისთა ერთმანეთს შეეუღარათ სვანეთში არსებული და ვახტანგის სამართალში აღწერილი გლეხის სისხლის ფასი. ვახტანგის მიხედვით სისხლის ფასი დაყოფილია წოდებთა მიხედვით: გლეხი კაცის სისხლი უღრის თორმეტ ოქმანს, აზნაურის კი (კარგვარაათა მიხედვით) ორმოცდარვა თუმნიდან — აორმოცდათორმეტ თუმნიმდენ, ვახტანგ ბატონიშვილის სამართალ-

ში აღნიშნულია, რომ გლეხის სოცეღილიათვის 60 ძროხა იყო დაწესებული, რომელც ფულად შეიცვალა, მაგრამ, რადგან ქართლში საქმარისთა ფული არ იყო „...გლეხის კაცისა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სისხლის საქმარი ტყინა, რელი — ყველა და იჭირვის“¹.

ვახტანგის სამართალი ითვალისწინებს სისხლის აღების (საბასუხო მკვლელობის) შემთხვევებსაც. თუ სისხლი მართებდა და მისთვის მოუღლავს, ნათქვამია სამართალში, მაშინ, — „ეს ნამართება სისხლიც გაუსინჯეთ და იმ ახლის მკვდრის სისხლიც გაუსინჯეთ და შედარეთ: რაც ნამართებან სისხლმან შეიფარდოს, ჩაარინეთ, და რაც მტრი დარჩეს მიაცემინეთ (ხაზგასმა ზემოა გ. გ.)“².

სვანური ჩვეულებითი სამართალი ადამიანის სხეულის დაზიანებისთვის დაახლოებით ისეთ-სავე მატერიალური ფასეულობის გადახდას ითვალისწინებს როგორცაც ვახტანგის სამართალში. სვანეთში დანაშაულისაგან თავის ვამართლების წესი მოწმებულია და დადიცეთა ცისეთივე იყო, როგორც ვახტანგის სამართლის მიხედვით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მესისხლეობის საკითხში სვანეთში არსებული ადათ-წესები დამყარებულია საქართველოს სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, განსხვავებას ვხედავთ მხოლოდ სისხლის ფასში. გლეხის სისხლის ფასი ზემო სვანეთში დაახლოებით 72-90 ძროხას, ანუ 90-120 თუმანს უღრდა, ქვემო სვანეთში კი ამდენს რამდენსაც ვახტანგის სამართალი ითვალისწინებს.

დბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ე. წ. „გვაროვნულ თეორიას“, რომელიც თავის საფუძველზე მცდარია, დღესაც იზარებს ზოგიერთი მკვლევარი. ამ თეორიის მიმდევრებ სვანეთის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას ამუქმენ წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, საქართველოს საერთო ისტორიული პროცესისაგან მოწყვეტით, აზვიადებენ სვანეთის თავისებურებებს, რითაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნებით თუ უნებოდ, ამახინჯებენ ისტორიულ სინამდვილეს.

ისეთთა ზოგად ხაზებში ჩვენი მოსაზრება სვანეთში ისტორიის ზოგიერთი პრინციპული და საღად გამხდარი საკითხის გამო.

1 ბ. ინგოროვეა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 53, 54, 110.
 2 ნაჯომი უღრის ერთ დღიურ მიწას.
 3 ხარი სამშალოდ 2-3 ძროხას უღრდა.
 4 ბ. ნიკარაძე, იქვე, გვ. 117-118.
 5 ბ. ნიკარაძე, იქვე, გვ. 119.
 6 პროფ. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ. 1963, გვ. 489.

1 იქვე, გვ. 486.
 2 იქვე, გვ. 490.
 3 ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეკონომიურ-ფილოლოგიური ძეგლები I, გვ. 119-120; პროფ. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 493-495.





თიბრანი, 1943 წელი

თავი მესამე

ჩერჩილის ბალკანური ავანტიურა

მომდევნო წლებში ჩერჩილი მრავალჯერ ცდილობდა დაეხმოს, რომ „ოვერორდის“ ოპერაციის ნაცვლად, იგი აწყობდა კონტინენტზე შეჭრის გეგმებს ზემოთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. უპირველეს ყოვლისა, ბალკანეთში. ჩასაკვირველია, ამასაც არ ჩქარობდა. მისი გეგმები დაკავშირებული იყო იმ განზრახვასთან, რომ შესაფერის მომენტში ვაშლისუღო სანდუთა არმიის გზის გადსაჭრელად, მოესპო მისთვის დასავლეთისკენ შემდგომი წინსვლის საშუალება.

რამდენადაც ეს შვავრული განზრახვა ჩაიშალა, ჩერჩილი შემდეგ ირწმუნებოდა, თითქოს ასეთი განზრახვა საერთოდ არ არსებობდო. თავის მრავალტომიან მიმუხარებში იგი სხუდასხვა სახეებით უბრუნდებოდა ამ პრობლემას, ამბობდა, თითქოს არასწორად გაუგეს. ბრიტანეთის იმპერიალისტთა ბალკანურ გეგმებს „ლეგენდას“ უწოდებდა. კერძოდ, მემუხარების მეორე ტომში ჩერჩილი წერს: „მრავალი საეჭვო ცნობა იყო იმ ხაზის შესახებ, რომელსაც მე ვატარებდი თეირანის კონფერენციაზე, ბრიტანეთის შტაბის უფროსებთან სრული თანხმობით. ამერიკაში ლეგენდად გაერქვოდა, რომ მე ვისწრაფოდი თავიდან აშევილებინა არხზე გადასვლის ოპერაცია, რომლის სახელწოდებაც იყო „ოვერორდი“, და რომ ამოდ ეცდილობდა ჩამეთრია მოკავშირეები ბალკანეთზე რაღაც მასობრივ შეჭრაში, ანდა ზემოთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ფართო კომანდაში, რომელიც ყველაზე ეფექტურად ჩაშლიდა „ოვერორდის“ ოპერაციას“.

სინამდვილეში, როგორც თეირანის მოლაპარაკება ცხადყოფს, ჩერჩილი ატარებდა სწორედ ასეთ ხაზს. რადგან ვერ გამოაჩვენა, იმტლებული შეიქმნა დათანხმებულები ნორმანდიაში ჭარბების გადასხმავს.

გაგრძელება. იხ. „მზაობა“ № 6.
 W. Churchill The Second World War, Vol. II, P. 344.

საინტერესოა, რომ მაშინაც კი თეირანში, სწორედ ასე გაიგო ჩერჩილის გეგმა პრეზიდენტმა რუზველტმა. მისმა შვილმა ელიოტმა, რომელიც იმ დღეებში თეირანში იმყოფებოდა, მამის გარდაცვალების შემდეგ მალე გამოაქვეყნა ირანის დედაქალაქში მამასთან სიუბრის ჩანაწერები. უხეობდა რა სხვაობათა დანახვაში ახლანდელ წარმოებულ მოლაპარაკებას ვეროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, რუზველტს უთქვამს ელიოტისთვის, ჩერჩილს ამ მიმართულებით განსაკუთრებული პოზიცია ჰქონდაო.

ყოველთვის, — განმარტა რუზველტმა, — როდესაც პრემიერმინისტრი დაეინებოთ მოითხოვდა ბალკანეთიდან შეჭრას, დამსწრეთათვის სრულიად ნათელი იყო, რა უნდოდა მას ბოლოსდაბოლოს. უპირველესად ყოვლისა, სურდა სოლოვიტ შეჭრილები ცენტრალურ ევროპაში, რათა არ შეეშვა წითელი არმია ავსტრიაში და რუმინეთში და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, უნგრეთშიც კი. ამას ხედებოდა სტალინი. უხედებოდი მე და ყველა დანარჩენები.

— მაგრამ მას არ უთქვამს ეს?
 — ჩასაკვირველია, არა, — მიპასუხა რუზველტმა. — როდესაც მათა რომ იხსენიებდა რუზველტი (სტალინი) ლაპარაკობდა სამხედრო თეატრისთვის დასავლეთში შეჭრის უპირატესობაზე და ჩვენი ძალების დაქაჩვის მიზანშეუწონლობაზე, მასაც ყოველთვის მხედველობაში პოლიტიკური შედეგები ჰქონდა. ამასი დაიწმუნებელი ვარ, თუმცა ამის შესახებ მას კრიტიკა არ დაუშვავს.

მაი ისევ დაწყე და გაშუბდა.
 — არა მგონია... — დაეიწყე მე გაუბედავად.
 — რა?
 — მინდა ვთქვა, რომ ჩერჩილი... ერთი სიტყვით, იგი არ...
 — შენ ფიქრობ, რომ შესაძლოა, იმ მართალი იყო? და შესაძლოა, ჩვენითვის, მართლაც მიზანშეუწონილი ყოფილიყო ბალკანეთშიც დეგრეტაცა?
 — ამა...

— ელიოტ, ჩვენი შტაბის უფროსები ერთ რამეში არიან დარწმუნებულნი: ამერიკელ ჯარისკაცთა ძალზე მცირე დანაკლისით, რაც შეიძლება ბევრი გერმანელის გასანადგურებლად, უნდა მოვაშალოთ ერთი უდიდესი შეჭრა და დაეარტყათ გერმანელებს ჩვენი განკარგულებაში მყოფი ყოველგვარი ძალებით. ეს გონივრულად მიმაჩნია. ამავე აზრისაა ძია ჯოჯ, და ყველა ჩვენი გენერალი. ისინი ამ აზრს იზიარებდნენ ყოველთვის. ომის დაწყებთანვე წარმოიდგინე, უფრო აღარც, ამ დროიდან, როცა ჩვენი ოპერატიული დაგეგმვის განყოფილებამ პირველად დაიწყო ფიქრი, თუ რა უნდა გაეფუძეულყო ომის დაწყების შემთხვევაში. წითელი არმიის წარმომადგენლებსაც ეს მიანიშნავდა გონივრულად. ასეთია საქმის ვითარება, ასეთია უმოკლესი გზა გამარჯვებისაკენ. ეს არის ყველაფერი. სამწუხაროდ, პრემიერმინისტრი ჩჭრილი ძალზე ბევრს ფიქრობს იმაზე, თუ რა იქნება ომის შემდეგ და რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მაშინ ინგლისი. მას საშინლად ეშინია რუსების შტაბისმეტა გაძლიერებისა.

შესაძლოა, რუსებმა განამტკიცონ კიდევ თანხანთი პოზიცია ევროპაში, მაგრამ იქნება თუ არა ეს ცუდი, დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე. ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: უკვე თუ სწრაფი გამარჯვების გზა ამერიკელთა მხრივ მანიშნავს დანაკარგის ფასად ძვეს დასავლეთში და მხოლოდ დასავლეთში, და ჩვენ არ ვვჭირდება ბალკანეთის რაიონში ოპერაციას ტყუილ-უბრალოდ შეეწირათ მსხვერპლად ჩვენი სადესანტო ზომადლები, ხალხი და ტექნიკა, და თუ ჩვენი შტაბის უფროსებიც დარწმუნებულნი არიან ამაში, — მერტი ლაპა-

რაკი აღარაფერზე აღარ არის საქმით.

მამას კუშტად გაეღიმა.

— მე ვერ ვხედავ საფუძველს ამერიკელი ჯარისკაცების სიოცხლის სფეროებში ჩასახლებად, ინგლისის რეალური ანდა წარმოსახვული ინტერესების დაცეხასათვის ევროპის კონტინენტზე. ჩვენ ვიპოვებთ და ჩვენი ამოცანაა მოვფიქროთ ომი, რაც შეიძლება მალე, და ავანტიურების გარეშე. მე ვფიქრობ, მე იმედი მაქვს, ჩერჩილი მიხვდა, რომ ჩვენი აზრი სწორედ ასეთია და ეს აზრი არ შეიცვლება.

მამამ ისევ დახუჭა თვალები და სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ საათის წიკწიკი არღვევდა.¹

მე თავს ნება მივციე მომეყვანა ასეთი გრძელი ცუტატი ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, იგი დაგებარება მკითხველს უკეთ გაარკვიოს, რა მიზნისათვის იღწეოდა ჩერჩილი, როდესაც ცდილობდა ბალკანეთის ავანტიურული გეგმის შეპარებას. მეორეც, იგი გვიჩვენებს, რომ რუხველტს შესანიშნავად ესმოდა ჩერჩილის გეგმის ნამდვილი აზრი. იქიდან, რასაც ამერიკის პრეზიდენტი ეუბნება თავის შეილს, თანაც — თერზიანის კონფერენციის დღეებში, ჩანს, რომ ინგლისის მმართველი წრეების გეგმები განსხვავდებოდა იმ ამოცანებისაკენ, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო საერთო მტერზე სწრაფი გამარჯვება. როგორც ჩანს, რუხველტი ნამდვილად არ თანაუგრძობდა ჩერჩილის განზრახვას. მაგრამ საქმითა მხედველობაში გვეჩინდეს, რომ ვანიტატონშიც იყვნენ გაკლებიანი პირები, რომლებიც, ჩერჩილის მსგავსად, არ ჩჭაობდნენ მეორე ფრონტის გახსნას.

სამხედრო ემსპარტმზის ოპერატიული

სამი სახელმწიფოს სამხედრო წარმომადგენელთა შეხვედრა შედგა 29 ნოემბერს, 10 საათსა და 30 წუთზე. ამერიკის დელეგაციას შეადგენდა აღმირალი ლეგი და გენერალი მარშალი, ინგლისელთაგან ესწრებოდნენ გენერალი ბრუკი და ავიაციის მთავარი მარშალი პორტალი, საბჭოთა მხარეს წარმოადგენდა მარშალი ვორთმილოვი.

კლინტი ეფრემის ძემ შემომთავაზა თარჯიმნობა ამ თათბირზე, და მეც, ახალი ბლოკნოტითა და ფანქრებით მომარაგებული, ვსიარობდი ხეივანში, თერმომეტრი საათი იყო დაწყებული. ხეივანი მიემართებოდა საელჩოს კარმიდამოს მთავარი შენობისაკენ, იქ, პლენარულ სხდომათა დიდი დარბაზის მეზობელ ოთახში,

უნდა მომხდარიყო სამხედრო ექსპერტთა შეხვედრა.

ხეივანი აერთებდა მთავარ შენობას იმ განცალკევებულ სახლთან, სადაც მთავარგებელი იყვნენ საბჭოთა დელეგატები, და მეც იქით ეიკტირებოდი — მოდის თუ არა მეთქი ვაროშილოვი. ძალიან სასიამოვნო ამინდი იყო, ჰაერს ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა დამის სიგრილე, ხშირ ფოთლებს შორის მოკაფე მზე დასთამაშებდა ყვითელი ქვიშით დაფენილ ბილივს. სიმშვიდე და სიჩუმე სუფევდა სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრის

¹ ე. რუხველტი, „მისი თვალებით“, მ. 1947, გვ. 186-187.

ამ მუდროს ადგილას. მათი შრავალშილიონიანი არმიები, საღვალე შორეულ ფრონტებზე ეწეოდნენ ტიტანურ ბრძოლებს აფეთქებათა ქუჩილსა და ხანძრების ბოლოში, თვალუწვდენელი ზღვებისა და ოკეანეების ბოხოქარ ტალღებს შორის.

შოლოს გაიღო კარი და გამოვიდნენ ორნი— სტალინი და ვოროშილოვი. სტალინი რაღაცის ელაპარაკებოდა თავის თანამგზავს, ის კი ჩუმად უსმენდა და დროდადრო თავს უქნევდა. შესაძლოა, ამ დროს ვოროშილოვი ღებულობდა უკანასკნელ მიითთებებს ინგლის-ამერიკელებთან მომავალ შეხვედრის თაობაზე, შესაძლოა სულ სხვა რამეზეც ლაპარაკობდნენ.

იმ დღით სტალინი შესანიშნავად გამოიყურებოდა. მხნე ნაბიჯები და მთელი მისი გარეგნობა მეტყველებდა, რომ იგი სავსე იყო ენერჯითა და სიმტკიცით. ხანდახან იღიმებოდა, თან ვოროშილოვს მხარზე ხელს უთათუნებდა, როდესაც გამოსწორდნენ, სტალინი თაყვი დამიკრა.

— დილა მშვიდობისა, ამხანაგო სტალინი... — სწრაფად ეუბნასტუხე მე.

— წარმატებას გისურვებ! — მოკლედ უთხრა სტალინი ვოროშილოვს და გაუხვია გვერდითი ხეივნისაკენ.

გზაზე კლიმენტი ეფრემის ძემ შკიოხა, თავს გაეართმევდი თუ არა თარგმანს და საუბრის ჩაწერას. ოქმი, ვანმობარტა ეოროშილოვმა, ვანსაკუთრებულ ვულვადგინებთ უნდა შედგეს, მას სტალინი წაიკითხავს. ექვლები გავაყულო ყველაფერი, როგორც საჭიროა-მეთქი ეუბნასტუხე მე. ვოროშილოვმა გამამხნევებლად გამიღიმა და მითხრა:

— სხვათა შორის, თქვენ მოსწონხართ ამხანაგ სტალინს, მაგრამ თქობრის რომ ჰქონე მორდებულო ხართ. ვირჩევთ, უფრო ვამედლოი იყოთ, სხვაგვარად შორს ვერ წახებთ. სტალინს ეს უყვარს, და ახლა თქვენი ბედი თქვენზევეა დამოკიდებულა...

მე რაღაც ჩავიბურტყუნე გაურკვეველად, ეტყობა, კიდევ ერთხელ ზედმეტად დავუდასტურე „გამბედობის“ სრული ექონლობა. ამასთანავე, მოულოდნელა იყო, კლიმენტი ეფრემის ძის შენიშვნა, რამაც დამახინა. არასდროს შეშინიშნეს, რომ სტალინს ზემს მიმართ ვანსაკუთრებულად ყურადღება გამოიჩინოს. იგი არასოდეს არაფერზე არ დამლაპარაკებია, თუ საქმე არ შეეხებოდა მთარგმნელის უშუალო ფუნქციას, და მეგონა, საერთოდ არ მამარნეს-მეთქი. ამიტომ არაფრით არ შემძლო მომგზარებინა, რაში უნდა გამომეჩინა „გამბედობა“ და ნამდვილად მოეწონებოდა მას ეს? ასე იყო თუ ისე, ჩემთვის ამ საუბარს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია...

შევედიბი სხდომის ოთახში. შუაში იდგა წითელაფედაფარებული გრძელი მგაიდა-12. „მნათობი“, № 7.

მაგიდის ცენტრში, ისე როგორც დიდ დარბაზში, საღვარზე დამაგრებული იყო კონფერენციის მინაწილე სამი სახელმწიფოს ყელზეთ მაგიდის ორივე მხარეს ჩამწყრეუბებზეთ სკამების გრძელი რიგები. როდესაც ჩვენ შევედით, ამერიკელები უკვე ისხდნენ თვითანი ადგილებზე. ეტყობა, მათ უკვე მოესწროთ ამავე შენობაში მცხოვრებ პრეზიდენტ რუზველტთან მოსვლა და მისი აპარატამენტებიდან პირდაპირ აქ მოვიდნენ. მივესალმეთ ერთმანეთს, შემდეგ დაიწყო ფრონტების ახალ ცნობათა ტრადიციული ვაცვლა-გამაცვლა. ამასობაში ინგლისელბიცი გამოსხდნენ, შეიძლოდა თაობირის დაწყება. ამერიკელები და ინგლისელები მოთავსდნენ მაგიდის ერთ მხარეს, რუსები — მგორე მხარეს.

სამხედრო წარმომადგენელთა თათბირი ვახსნა აღმობალმა ლევიმ. იგი თავმჯდომარეობდა თათბირს. ლევიმ წინადადება მისცა ინგლისელ გენერალ ბრუესს, მოესენებინა თათბირისათვის ხმელთაშუაზღვის ასპარეზის ამბები. ბრუესმა თითქოს ჩერჩილის გუშინდელ თეზისებს ავთობრებსო, ვანახებდა, ინგლის-ამერიკელთა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ის, რომ მტერზე ზემოქმედება მოახდინონ ყველაგან, სადაც ეს შესაძლებელია. ამავე დროს ისინი ისწრაფვიან შეაკავონ გერმანული დივიზიების ნაკადი, რომელიც შესაძლოა მიმართული იქნეს გერმანელების მიერ ჩრდილოეთ საფრანგეთისკენ, სადაც მათი გაძლიერება არაა სასურველი. რასაკვირველია, თქვა ბრუესმა, „ოვერლორდის“ ოპერაცია მიიხილავს გერმანულთა დივიზიების დიდ რაოდენობას, მაგრამ ეს ოპერაცია დაიწყება მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ, მანამდე კი ატიოლებულია რაღაც ვაკეთდეს გერმანულთა დივიზიების გამოსატყუებლად. გენერალმა ბრუესმა შეახსენა დამსწრეთ, რომ ინგლისელებს ხმელთაშუაზღვაში ჰყავთ დიდი ძალები, რომელთა გამოყენება მათ სურთ რაც შეიძლება უკეთ. ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ ბრუესმა მიმართა გენერალ მარშალს:

— თუ ვიტყვი ისეთ რამეს, რაც ამერიკელთა აზრს არ შეესაბამება, ვთხოვთ შემაწყვეტინოთ.

გენერალმა მარშალმა თავი დაუქნია:

— ვთხოვთ, ვანაგრძოთ...

— ინგლის-ამერიკელების მიერ დამუშავებული გეგმები, — თქვა გენერალმა ბრუესმა, — ითვალისწინებს ყველა ფრონტზე აქტიურ მოქმედებას, მათ შორის, ხმელთაშუა ზღვის რაიონშიც. ინგლისელებს ჰყავთ სპეციალური სალესანტო კარკაპები, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა ამ რაიონში ოპერაციის ჩატარებასათვის. საჭიროა მხოლოდ „ოვერლორდის“ გადღეობა იმ ვადით, რაც დასჭირდებოდა ამ ზომალდების გამოყენებას ხმელთაშუა ზღვაში. ის ოპერაციები შეაკავება გერმანიის წარებს,

რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა გერმანელების მიერ „ოვერლორდის“ ოპერაციის დროს.

ოპერაციის შემდგომი სხვადასხვა ვარიანტის განხილვისას იმ შიშით, რათა განზიდონ გერმანელთა ძალები ზრდილო საფრანგეთში მოკავშირეთა გადმოსხმის მომენტში, ბრუკმა დაიწყო ლაპარაკი ოპერაციის სირთულეებზე, რომ საჭირო გახდება ხოლმე ზღვით მიწოდება რეზერვისა ხან ერთი, ხან მეორე კვდუისათვის. ამის გამო, განმარტა მან, ადვილი არ იქნება დროულად შეავსო ჭარბით, რომელიც გეგმავე დახმარებ დესანტი... მაგრამ უნდა გაეთდეს ყველაფერი, რაც ეს შეიძლება, რომ გერმანელებმა ვერ შეძლონ თავიანთი ჯარების გაძლიერება, სანამ მოკავშირეთა გადმოსხმული ძალები ჯერ კიდევ უწინმეინო იქნება.

ბრუკის შემდეგ გამოხატა ამერიკელთა გენერალმა მარშალმა ლაპარაკი დაიწყო სადესანტო ხომალდების პრობლემიდან, რომელიც, მისი სიტყვით, ძალზე მწვევედ იდგა საქმეებზე, უპირველეს ყოვლისა, ამ ხომალდებს, რომლებიც შესაძლებლად ტანკებსა და მოტომექანიკური ნაწილების გადატანას. სწორედ ასეთი ხომალდები არ არის საემო ზმელთაშუა ზღვის ოპერაციის წარმატებულ შესრულებიანათვის, რაზედაც ლაპარაკობდა გენერალი ბრუკი. „ოვერლორდის“ ოპერაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ლაპარაკია ყველაზე მოკლე დისტანციაზე, რომლის დამლუვა აუცილებელია თავდაპირველ მომენტში. შემდგომში ნავარაუდელია საფრანგეთში ჭარბების გადასროლა უშუალოდ შეერთებულ შტატებზე — მათი საერთო რიცხვი დაახლოებით 60-მდე ამერიკელ დივიზიის მიღწევს. რაც შეეხება ზმელთაშუა ზღვის რაიონში მოქმედებას, ამის შესახებ ჯერ კიდევ არ არის მიღებული გარკვეული გადაწყვეტილება, რადგან ამ საკითხის განხილვა თერანში იყო განზარაბელი.

ახლა, განავრცობდა მარშალი, საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რა უნდა გაეთდეს უახლოეს სამ თვეში, ამისგან დამოკიდებით კი — უახლოეს ექვს თვეში. სამხრეთ საფრანგეთში შეტევის წამოწყება, — „ოვერლორდის“ ოპერაციის დაწყებამდე ორი თვით ადრე, ძალზე სახიფათოა. მაგრამ ამავე დროს სრულიად მართებული აზრია, რომ სამხრეთ საფრანგეთის ოპერაცია ზელს შეუწყობდა „ოვერლორდის“ ოპერაციის წარმატებას. ამიტომ საფრანგეთის სამხრეთით გადმოსხმა უნდა მოხდეს წარმანდამში, ორბ-სამი კვირით ადრე, მეორე ფრონტის გახსნამდე. აუცილებელია მხედველობაში ვიკონიოთ, რომ სერიოზული დამარცხლება ამ ოპერაციების განხორციელებისას ის იქნება, რომ გერმანელები დაანგრევენ ყველა ნავსადგურს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არშის მომარაგება მოგვიხდება და სანაპირო-

დან. დაბოლოს გენერალმა მარშალმა ედვინ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ამერიკელები-სათვის პრობლემა ჭარბობსა და მშინარაგებასს საკითხი კი არ არის, არამედ — „საქმისხმელ ხომალდების უკმარობა“.

ამრიგად, გენერალმა მარშალმა, თუმცა იშვარად არ ილაპარაკა ინგლისელების გეგმების შესახებ მოკავშირეთა გადმოსხმაზე ხმელთაშუა ზღვის რაიონში, მაგრამ საკმაოდ ნაოლად გავეთვინა, რომ სადესანტო საშუალების უკმარისობა ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გააკაინარებდა „ოვერლორდის“.

გორიშილოვი ყურადღებით ესმენდა გენერლების — ბრუკისა და მარშალის მსჯელობას, მაგრამ თავს იკავებდა რაიმე შენიშვნებისაგან. შემდეგ მან წინადადება შეიტანა, რათა ინგლის-ამერიკელებს ჯერ სადვიაციო ოპერაციების შესახებ გაეკეთებინათ მოხსენება. ამ თემაზე გამოვიდა ინგლისის ავიაციის მარშალი პორტალი. აღნიშნა რა, რომ დღემდე ძირითადი თავდასხმები გერმანიაზე ინგლისიდან ხდებოდა, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახლა ასეთი თავდასხმების განხორციელება ხდება ზმელთაშუა ზღვის რაიონებიდანაცო. მარშალმა პორტალმა გავეფრთხილა, რომ მოგველოდა კიდევ უფრო მძიმე ბრძოლები, მაგრამ რწმენა გამოთქვა, რომ გერმანელების სამხედრო-საჰაერო ძალთა განადგურების ინგლის-ამერიკელი გეგმა მაინც წარმატებით დამთავრდება. გერმანელები ძალზე განიცდიან მასარებულ საჰაერო თავდასხმებს, განსაკუთრებით — სამხრეთ გერმანიაზე. ეს თავდასხმები ხმელთაშუა ზღვის რაიონიდან ხორციელდება. მას, პორტალს, ესმის, რომ საბჭოთა ავიაცია თითქმის მთლიანად ჩამებულია სხმელეთო ბრძოლებში ფრონტის რაიონში, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ საბჭოთა სარდლობა გამოყოფდეს ავიაციის ნაწილს აღმოსავლეთ გერმანიის დაბომბვისათვის. ეს დიდ გავლენას მოახდენდა ყველა დანარჩენი ფრონტის მდგომარეობაზე.

აღმირალმა ლევიმ იკითხა, რა აზრის იყო მარშალი ეორიშილოვი ახლახან მოსმენილ მოხსენებაზე?

— პირველ ყოვლისა, — უპასუხა ეორიშილოვი, — მინდა ორი შევითხვა მოკვთე. ჯერ ერთი: რა კეთდება იმისათვის, რათა გადაწყდეს სატრანსპორტო და სადესანტო საშუალებების პრობლემა? მეორეც, ენიჭება თუ არა პრიორიტეტი „ოვერლორდის“ ოპერაციას? გენერალ მარშალის მოხსენებიდან უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკელებს „ოვერლორდის“ ოპერაცია ძირითად ოპერაციად მიანიჭათ, მაგრამ თვლის თუ არა ამ ოპერაციის ასევე მთავარ ოპერაციად გენერალი ბრუკი, როგორც ბრიტანეთის გენერალური შტაბის უფროსი? ხომ არ ფიქრობს, რამ მისი შეცვლა შეიძლება სხვა რომელიმე-

თი ხმელთაშუა ზღვის რაიონში ანდა სხვა ადგილებზე?

ამ საკითხების დაყენების სიმძაფრემ დარბაზში რამდენადმე დაბნეულობა გამოიწვია. გენერალმა ბრუქმა მის წინ დალაგებულ ქალაქებს დაუწყო გადამსწვება. ეტყობოდა, ჭერ არ იყო პასუხისათვის მზად. სიტყვა გენერალმა მარშალმა აიღო.

— რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, — თქვა მან, — ყველაფერი კეთდება, რათა აუცილებელი სამზადისი დამთავრებული იქნას „ოვერლორდის“ ოპერაციის დაწყების მომენტისათვის. კერძოდ, მზადდება სადესანტო კარკაპები რომელთაგან თითოეული შეძლებს 40-მდე ტანკის გადატანას.

როდესაც გენერალი მარშალი ამთავრებდა ბოლო ფრაზას, გენერალმა ბრუქმა თითო ასწია, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ უმალვე სურდა სიტყვის აღება ამერიკის წარმომადგენლის შემდეგ. აღმოჩნდა ლეგიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— უბრალოდ ყოვლისა, — განაცხადა ბრუქმა, — მიიდა მარშალ ვოროშილოვს ვუპასუხო იმის შესახებ, თუ როგორ უნებრებენ ინგლისელები „ოვერლორდის“ ოპერაციას. ინგლისელები ამ ოპერაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და იგი მთელი ომის არსებით ნაწილად მიიჩნიათ. მაგრამ „ოვერლორდის“ წარმატებისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები, რომლებიც საშუალებას არ მისცემდა გერმანელებს, გამოეყენებინათ ჩრდილო საფრანგეთში არსებული კარგი გზები რეზერვის გადმოსასროლად...

ბრუქმა მიიხედავს პირდაპირი პასუხის კითხვას, — მიიჩნიათ თუ არა ინგლისელებს „ოვერლორდი“ მთავარ ოპერაციად, და შეუდგა მსჯელობას იმაზე რომ, საერთოდ, როგორც ბრტანეთის სარდლობას მიიჩნია, აუცილებელი წინაპირობა ლა-მანშიან გადმოსხმისათვის უნდა განხორციელდეს 1944 წ. ინგლისელები ყველაფერს აკეთებენ მომავალი წლის განმავლობაში ამ ოპერაციის განხორციელებისათვის. მაგრამ სირთულე მდგომარეობს სადესანტო ხომალდებში. იმისათვის, რომ მზად ვიყოთ 1944 წლის 1 მაისისათვის, აუცილებელია ახლავ ექნას გადასარჩლილი სადესანტო ხომალდების ძირითადი მასა ხმელთაშუა ზღვიდან. მაგრამ ამას, აღნიშნა ბრუქმა, მოჰყვებოდა იტალიის ოპერაციის შეჩერება იმ მომენტში, როდესაც ინგლისელებს უნდათ მუდმივად დაკავებული ჰყავდეთ ბრძოლებში გერმანელთა დევიზების მუქსიმალური რიცხვი. ეს აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რათა გერმანელთა ძალები მოვიხილოთ რუსეთის ფრანტადან, არამედ „ოვერლორდის“ შემდგომი წარმატებისათვისაცო. აქედან კი გამოდის, რომ ამაჟამად არ შეიძლება ყველაფერი „ოვერლორ-

დის“ ოპერაციის მომზადებას მოეხმარათ. სწორედ ამიტომ არის ძნელი ემსკრტყა... თუ როდის მოვახერხებთ ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრასო.

დასასრულ გენერალმა ბრუქმა ყურადღება გაამახვილა დროებითი, მოძრავი პორტების შექმნის სირთულეზე. ამ მხრივ ახლა მიმდინარეობს ცდები, სადა მთავანი არც თუ ისე ხარბიელო გამოდგა, როგორც წარმოგვედგინა, თუმცა, საერთოდ, გარკვეული წარმატება მოვიპოვეთ. ასეა თუ ისე, „ოვერლორდის“ ოპერაციის წარმატება თუ წარუმატებლობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მსგავსი ნავსადგურების არსებობაზე. ამრიგად, გენერალმა ბრუქმა ინგლისელების მიერ უკვე უამისოდაც დახვეწებულ მრავალ დამზარებლებს დაუმტა „ოვერლორდის“ დროულად განხორციელების კიდევ ერთი დამზარებლობა. ინგლისის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება იმ დაკმაყოფილება ეთრომილოვი და მან კვლავ ჰკითხა გენერალ ბრუქს:

— მიიდა ვიცოდე, თვლიან თუ არა ინგლისელები „ოვერლორდის“ ოპერაციას მთავარ ოპერაციად?

ინგლისელმა გენერალმა ამაყრადაც თავი აარიდა პირდაპირ პასუხს. მან თქვა:

— მე ველოდი ამ შეკითხვის და უნდა ავღნიშნო, რომ არ მსურს ვიხილო ოპერაციის წარუმატებლობა როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ საფრანგეთში. მაგრამ ზოგიერთ ვარკმობათა შემთხვევაში ეს ოპერაციები განწირულია მარცხისათვის.

ვოროშილოვი დარწმუნდა, რომ ვერ მიიღებდა ინგლისელებისაგან განსაზღვრულ პასუხს და გადაწყვიტა გაეცნო მათთვის საბჭოთა თვალსაზრისი განსაზღვრული პრობლემის შესახებ. მან შეახსენა სხდომას კონფერენციის გუმიდელ პლენარულ სხდომაზე საბჭოთა დედეგაციის მეთაურის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა გენერალურ შტაბს ხმელთაშუა ზღვის რაიონის ოპერაციები მიიჩნია მორტეარისხომანდ და მიზანშეწონილი იქნებოდა სამხრეთ საფრანგეთში განხორციელებულიყო მხოლოდ ისეთი ოპერაციები, რომელთაც გადაწყვეტი მიიშენილობა ექნებოდათ „ოვერლორდის“ წარმატებისათვის. ომის გამოცდილება და ინგლის-ამერიკელი ჯარების წარმატება, ჩრდილო აფრიკაში, იტალიაში დესანტის გადმოსხმის ოპერაცია, ინგლის-ამერიკელითა ავიაციის მოქმედება გერმანიის წინააღმდეგ, შერტეებული შტატების და გაერთიანებული სამეფოს ჯარების ოკუპანზაციის დონე, შერტეებული შტატების მძლავრი ტექნიკა, მოკავშირეთა საზღეო მლოერება და, განსაკუთრებით, მათი ბატონობა ხმელთაშუა ზღვაში — ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სურვილი, თუ იქნა, „ოვერ-

ლორდი“ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს. აუცილებელია მხოლოდ ნებისყოფა.

შემდეგ ვიროზილოვმა გაახსენა მათ: საბჭოთა ქვეყნის წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ არხის გადმოღების ოპერაციას ხელ შეუწყოს მოკავშირეთა ჯარების მოქმედებამ სამხრეთ საფრანგეთიდან. ამ მიზნით შესაძლებელი იქნებოდა იტალიაში თავდაცვაზე გადასვლა. განთავისუფლებული ძალებით კი სამხრეთ საფრანგეთში გადასვლა, რათა მტერს ორივე მხრიდან დაარტყან. ეს გადმოსხმა შესაძლოა განხორციელდეს ან ორი-სამი თვის განმავლობაში, ან ერთდროულად, ანდა „ოვერლორდის“ ოპერაციის შემდეგ. კოტათი მოგვიანებითაც კი. მაგრამ ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

— არხის ოპერაცია, — განგრძობს ვიროზილოვმა, — ჩვენ ადვილ ოპერაციად არ მივგანხიანია, ჩვენ გვესმის, რომ ეს ოპერაცია მდინარეთა გადალახვაზე უფრო ძნელია, მაგრამ ჩვენი გამოცდილების საფუძველზე ისეთი დიდი მდინარეების გადალახვისა, როგორცაა დნებო, დუნა, სდვი, რომელთა მარჯვენა ნაპირი მთავორანია და, ამასთანავე, გერმანელების მიერ კარგად გამაგრებული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არხის ოპერაცია, თუ კი იგი სერიოზულად იქნება ჩატარებული, წარმატებით ჩაივლის. გერმანელებმა ზემოდსწინებული მდინარეების მარჯვენა ნაპირებზე ააგეს თანამედროვე რკინიბეტონის სიმაგრეები, შეიარაღეს ისინი მძლავრი არტილერიით და შეეძლოთ დიდ სიღრმეზე დაეშინათ მარცხენა დაბალ სანაპიროსთვის. არ შეეცათ ჩვენი ჯარებისათვის მდინარესთან მიახლოვების საშუალება, კონცენტრირებულ საარტილერიო და ნაღმარტიურად ცეცხლის შემდეგ, ავიაციის ძლიერი დარტყმების შემდეგ, ჩვენმა ჯარებმა მიანიჭეს შეძლეს ამ მდინარეების გადალახვა და მტერი განადგურებული იქნა აი რატომ ვარ დაწმუნებული, რომ კარგად მომზადებული, და, რაც მთავარია, ავიაციის ძალების მთლიანი მხარდაჭერით „ოვერლორდის“ ოპერაცია სრულ წარმატებით დავერვირვინდება. მოკავშირეთა ავიაციამ თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს, რასაკვირველია, მთლიანი ბატონობა ჰაერში, ჯერ კიდევ ქვეითი ჯარების მოქმედების დაწყებამდე.

გენერალმა ბრუკმა შემარიგებელი ტონით ვანაცხადა, ინგლის-ამერიკელს ხმელთაშუაზღვის ოპერაციები მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის ოპერაციებად მიაჩნიათ. მაგრამ, ჩამდინადე ხმელთაშუაზღვის რაიონში იმყოფებმა დიდძალი ჯარები, ეს ოპერაციები შესაძლებელია და უნდა ჩატარდეს კიდევ იმისთვის, რათა ხელ შეუწყუთ ძირითად ოპერაციასო. ისინი მიღროდა დაკავშირებული ომის მთლიან წარმოებასთან და, კერძოდ, ჩრდილს საფრანგეთის ოპერაციების წარმატებასთან.

შემდეგ ბრუკმა გადაიტანა საუბარი მდინარეთა ზღუდეების გადალახვის პრობლემაზე. მან თქვა, რომ ინგლისელები დიდი ინტერესით და ატლაციებით ადევნებდნენ თვალყურს წითელი არმიის მიერ მდინარეთა გადალახვას და ფიქრობდნენ, რუსებმა დიდ წარმატებას მიიღწიეს სადესანტო ოპერაციაშიო. მაგრამ ლა-შანვის ოპერაცია მოითხოვს სპეციალურ საშუალებებს და საჭიროებს დეტალურ დამუშავებას. ინგლის-ამერიკელები უკვე რამდენიმე წლის მანძილზე სწავლობენ ყველა აუცილებელ დეტალს, რომელიც ამ ოპერაციასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანი სისწინელები მდგომარეობს, აგრეთვე იმაშიც, რომ საფრანგეთში დაქანებული ნაპირი და იქ არსებობს მრავალი მენჩიკი. ამის გამო ბევრ ადგილას ხომალდებს გაუჭირდებათ ნაპირთან მისვლა. ყოველივე ამისათვის აუცილებელია მომზადება.

გერმანელმა მარშალმა ასევე მიუთითა ჩრდილო საფრანგეთში გადმოსხმასთან დაკავშირებულ სისწინელებზე. იგი არ დავთანხმა ვიროზილოვის ნათქვამს, ლამაზზე დესანტის შესახებ. მარშალმა თქვა, რომ თავის დროზე შესწავილი იქნეს სახმელეთო ოპერაციები და მისთვისაც ცნობილია მდინარეთა გადალახვა. მაგრამ როდესაც ეს წაიწყდა ოკეანეზე სადესანტო ოპერაციებს, მოუხდა სულ თავიდან შეესწავლა ყოველივე. თუკი მდინარის გადალახვისას დამარცხება შესაძლოა ნიშნავდეს მხოლოდ წარუმატებლობას, ოკეანეზე დესანტის გადასხმისას წარუმატებლობა კატასტროფას ნიშნავს.

ვიროზილოვი შეუპასუხა მარშალს. მისი აზრით, ისეთი ოპერაციის დროს, როგორცაა „ოვერლორდი“, მთავარია ორგანიზაცია, დაგეგვა და მოფიქრებული ტაქტიკა. თუ კი ტაქტიკა დამსმულია მთავარის შესაბამისი იქნება, მოწინავე ნაწილების წარუმატებლობაც კი მხოლოდ წარუმატებლობა იქნება და არა კატასტროფა. ავიაცია უნდა გაბატონდეს ჰაერში და განადგუროს მოწინააღმდეგის არტილერია. ინტენსიური საარტილერიო მომზადების შემდეგ, გაიგზავნება მხოლოდ მოწინავე ნაწილები და როდესაც ისინი გამაგრდებიან და წარმატება აღინიშნება, გადასხდებიან ძირითადი ძალები.

საბოლოოდ ყველა თვ-თავს აზრზე დარჩნა. მაგრამ სამხედრო წარმომადგენლებმა ვერ შესძლეს საერთო ენის გამოხატვა არა მარტო სადესანტო ოპერაციის საკითხში, გადაუწყვეტილი დარჩა უფრო მნიშვნელოვანი საკითხი — ჩრდილოეთ საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნის უაღა.

როდესაც დღის მეორე ნახევარში შეიკრიბა სამი ქვეყნის დელეგაციის პლენარული სხდომა, სამხედრო წარმომადგენელმა სხდომას ვერავეთარი სანუგეშო ვერ მოახსენა.

მეფის ხმალი სტალინგრადადისათვის



კონფერენციის პლენარული სხდომის დაწყებამდე, 29 ნოემბერს, შედგა სახვიმო ცერემონია — შეფუთვით VI-ის და ინგლისელი ზალხის სახელით სტალინგრადის მცხოვრებთათვის საგანგებოდ დამზადებული ხმლის გადაცემა. ცერემონია გადაიქცა მოკავშირეთა ერთობის დემონსტრაციად საერთო შტაბის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ძალზე დროული იყო. ამ ცერემონიამ ცოტაოდენ განვლბტა კონფერენციის დაძაბული ეითარება და მოაგონა ვველას, რომ ანტიბიტლერული კოალიციის წინ დგას კიდევ უფრო დიდი და მწელი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთობისა და შეთანხმებული მოქმედების პირობებში. ორმხრივ ეფესიან და ინკრუსტირებულ ქარქაშიან, ელვარე ხმალს უნდა გამოეხატა სიმბოლო პატივისცემისა სტალინგრადის გმირებისადმი, სადაც ფაშისტურ მხეცს ხერხემალი გადაუმსხვრავს.

დარბაზი ცერემონიის დაწყებამდე გაიქცა. აქ უკვე იმოფებოდა დღეგაცეის უველა წევრი, აგრეთვე ანტიბიტლერული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოთა არმიის, ფლოტის და ავიაციის ხელმძღვანელები, როდესაც გამოჩნდა „დიდი სამეული“.

სტალინს მარშლის სამხრეებიანი ღია-რუხი კატელო ეცეა. ჩერჩილიც ამგვრად სამხედრო ფორმით გამოცხადდა. ამ დღიდან თეირანში ინგლისის პრემიერი ყოველთვის თავისი ფორმით გამოჩნდებოდა ხოლმე და უველა ფიქრობდა, რომ ეს სტალინის მარშლის ტანსაცმლის თავისებური რეაქცია იყო: თავდაპირველად ჩერჩილი ატარებდა ლურჯოლმეობან კოსტიუმს, მაგრამ როდესაც სტალინი მარშლის ფორმით დაიხსა, მან მაშინვე გამოითხოვა მეფის სამხედრო-საპეკო ძალების უმადლესი ოფიცარის რუხ-მოცისდრო მენდირი. ამ ფორმამ სწორედ ხმლის გადაცემის ცერემონიალისათვის მოუსწრო. რუხველტს, ჩეულებტარი, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცეა.

საპატიო ყარაულში იდგნენ წითელი არმიისა და ბრეტანეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრები. ორკესტრი ასრულებდა საბჭოთა და ინგლისის სახელმწიფო ჰიმნს. სახვიმო სიხუფე გამეფდა. ჩერჩილი ნელ-ნელა მიუახლოვდა შეგდაზე მდგარ დიდ შუვ ყუთს და გახსნა იგი. ქარქაშიში ჩადებული ხმალი იდო შეჭწითელ ხავერდის ბალიშზე. ჩერჩილმა ორივე ხელით ილო იგი და მიმართა სტალინს:

— მთმა უდიდებულესობამ მეფე გეორგ მეექვსემ მიბრძანა მე, ჩავაბროთ თქვენ ქალაქ სტალინგრადისათვის გადასაცემად ეს საპატიო ხმალი, რომელიც გაკეთებულა მისი უდიდებულესობის მიერ ამორჩეული და მოწონებული ესკიზით. ეს საპატიო ხმალი დამზადებულია

ინგლისელი ოსტატების მიერ [რუსულად] წარმოადგინდა მრავალი წლის მანძილზე ეწოდებოდა ხმლების დამზადებას. ხმლის პირზე ამოტვიფრულია წარწერა: „გეორგ VI-ის საჩუქარი ფოლდისგულიან ადამიანებს — სტალინგრადის მოქალაქეებს ინგლისელი ხალხისგან პატივისცემის ნიშნად“.

ჩერჩილმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ხმალი გადასცა სტალინს, რომლის უკან იდგა საბჭოთა საპატიო ყარაული, წინდახრილი ფეტვით. სტალინმა ჩამოართვა ხმალი და ქარქაშიდან ამოაძრო. ხმლის პირმა ცივად გაიყვია, სტალინმა ტუჩებთან მიიტანა და ეამბორა. შემდეგ ისე, რომ ხმლისათვის ხელი არ გაუშვია, ხმადებლა წარმოთქვა:

— სტალინგრადის მოქალაქეთა სახელით მინდა მადლოერება გამოთქვა გეორგ VI-ის საჩუქრისათვის. სტალინგრადის მოქალაქეები დიდად დააფასებენ ამ საჩუქრის და მე გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, გადასცეთ მათი მადლობა მის უდიდებულესობას — მეფეს...

ჩამოვარდა სიხუფე. სტალინმა ნელა შემოთხრა მაგიდას, მივიდა რუხველტთან და აჩენია ხმალი. ჩერჩილს ქარქაში ეკირა, რუხველტმა ეურადღებით დაათვალიერა უზარმაზარი ხმალი. პრეზიდენტმა წაიკითხა ზედ გაკეთებული წარწერა და თქვა:

— ქეშმარიტად, სტალინგრადის მოქალაქეებს ფოლადის გული აქვთ... მან დაუბრუნა ხმალი სტალინს, რომელიც მივიდა მაგიდასთან, სადაც ყუთი იდო, ფრთხილად დადო ხმალი ბალიშზე და უუთი თავი დაახუტა. შემდეგ ყუთი გადასცა ევროპილიცს, რომელმაც საპატიო ყარაულის თანხლებით ხმალი მეზობელ ოთახში გაიტანა.

უველანი გავიდნენ სურათის გადასაღებად აეთრსვეტებთან აივანზე. თბილო და წყნარი დღე იყო. მზე დანათობდა შემოდგომისგან ოქროსფერებულ ფოთლებს. სტალინი და ჩერჩილი გაჩერდნენ აივანს ეკნტრში, სადაც ეტლით მოიყვანეს რუხველტიც. აქვე მოგვანათ სამი სავარძელი „დიდი სამეულისათვის“. სავარძლების უკან ჩამწკრივდნენ მინისტრები, მარშლები, გენერლები, ადმირალები, ელვები, ფოტოკოპირტორებისა და კინოოპერატორებისათვის ეს დიდი დღე იყო. ისინი წინ და უკან დარბოდნენ, ხან ჩამოხტებდნენ, ხან ფეხის ცერებზე დგებოდნენ, შემოუტრებდნენ ხან ერთ, ხან მეორე მხრიდან, ცდილობდნენ უკეთესი პოზიციის მონახვას. შემდეგ ამაღა განზე გავიდა და „დიდი სამეული“ დარჩა მარტო მადალი კარების ფონზე, რომელიც აივნიდან სხდომის დიდ დარბაზში გადიოდა. ამ სურათმა მთელი მსოფლიო მოიარა და ისტორიული ვახდა.

მთავარსარდლის ძივნაში



შევის ხმლის სტალინგრადასათვის გადაცემის ცერემონიალის დამთავრებისთანავე დაწყებულ სხდომაზე, საზეიმო — ზეაწეული განწყობილება სწრაფად გაიფანტა. უმთავრესი საკითხი, ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის ეფაჟ ჩერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩებოდა. სტალინი მთებზე ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენლებს და ჰკითხა:

— მე მინდა მივიღო პასუხი კითხვაზე, თუ ვინ იქნება დანიშნული „ოვერლორდის“ ოპერაციის მთავარსარდლად?

— ეს საკითხი ჩერ კიდევ არ გადაწყვეტილია, — მიუგო რუზველტმა.

